საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაცული იურიდიული ლიტერატურის (1998-2019 წწ.)

ბიბლიოგრაფია

1. 343.37/7 (ელექტრონული კოდი: 2013-12158)
   საბაჟო დეპარტამენტი;
   "საქართველოს საბაჟო კოდექსი";
   კომენტარები, პირველი გამოცემა;
   რედაქტორი - თ. აბულაძე;
   რეცენზენტები : თ. ძეგლიგაშვილი; ა. ჯოლოხავა;
   თბილისი, გამომცემლობა „ეტრატი", 1998 წ. წიგნის სრული მოცულობა - 500 გვერდი.
   ავტორთა კოლექტივი: ვიქტორ ლორთქიფანიძე, დიმიტრი აბულაძე, ზაური ამილახვარი, თარაშ ლორთქიფანიძე, ემზარ ჯგერენაია.

   1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსი მიიღო, ხოლო ახალ კოდექსზე მუშაობა ჯერ კიდევ 1993 წელს დაიწყო, რაც 1997 წელს ახალი საბაჟო კოდექსის მიღებით დაგვირგვინდა. აღნიშნული ნაშრომი სწორედ ამ კომენტარებს ეხება.
   დოქტრინალური კომენტარები გამოხატავს სხვადასხვა პირების, სპეციალისტების, მეცნიერების თუ პრაქტიკოსების შეხედულებებს და ბუნებრივია, მათ კანონის ძალა არ აქვთ და მისი კანონის მაგივრად გამოყენება შეუძლებელია. დოქტრინალური კომენტარების ძირითადი ამოცანა კანონის დებულებების ღრმად წვდომაში დახმარებას გულისხმობს.
   წიგნი განკუთვნილია საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისათვის, სტუდენტების და მასწავლებლებისათვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისათვის, ვისაც თავის საქმიანობის მხრივ საბაჟო კანონმდებლობასთან აქვს შეხება.

2. 34/44 (ელექტრონული კოდი: 2016-6078)
   ვახტანგ ქარუმიძე, ემა დარგალი
   არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება
   რედაქტორი: პროფესორი მამია დარჩია
   თბილისი, გამომცემლობა „ობოლი მარგალიტი", 1998 წ. წიგნის სრული მოცულობა - 279 გვერდი.
   რეცენზენტები: ოთარ ჯაფარიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოსი, ლეონიდე ადეიშვილი - პროფესორი

წიგნი არასრულწლოვანთა აღზრდის, განათლებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკური საკითხების შესწავლით დაინტერესებული ინფორმაცია მკითხველისთვისაა განკუთვნილი. ინფორმაცია საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი, პროფესიული განათლების პროგრამების შესახებ საინტერესოდ და დაწვრილებით არის გადმოცემული.

3. **340/4 (ელექტრონული კოდი: 2012-0830)**
მარიამ ცაცანაშვილი
ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება
რედაქტორი გ. ინწკირველი
რეცენზენტები: ბ. რიმშიაშვილი; ო. შატბერაშვილი;
გამომცემლობა „ტექინფორმი“, 1999 წ. წიგნის სრული მოცულობა - 237 გვერდი.

მონოგრაფიაში განხილულია ინფორმაციის დოკუმენტირების, კომპიუტერული ინფორმაციისა და ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები. საქართველოს კანონმდებლობის ფონზე გაშუქებულია სასაქონლო და არასასაქონლო ინფორმაციული ურთიერთობები. შესწავლილია მასობრივი ინფრომაციის თავისებურებანი და ინფორმაციული კულტურის პრაქტიკული პრობლემები ეროვნული ინფორმაციული უსაფრთხოების სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით.
წიგნი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო სამართლის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სტუდენტების, ასპირანტებისა და საინფორმაციო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვისaa განკუთვნილი.
ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ან მისი ნაწილის გამრავლება, ასლის გადაღება ან სხვა სახით გავრცელება გამომცემლისაგან წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე აკრძალულია.

4. **34/41 ((ელექტრონული კოდი: 2012-0717)**
ზვიად როგავა
საგადასახადო სამართლის საფუძვლები
რედაქტორი: ნუგზარ ქავთარაძე - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
თბილისი, 2000 წ. წიგნის სრული მოცულობა - 391 გვერდი.
პირველი გამოცემა. რეცენზენტი ქეთევან ქოქრაშვილი - იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ამ წიგნის სახით „საგადასახადო სამართლის სახელმძღვანელო“ საქართველოში პირველად გამოიცა. იგი მოქმედი უახლესი საგადასახადო კოდექსის და კანონმდებლობის შესაბამისად არის შედგენილი. დიდ დახმარებას გაუწევს როგორც საგადასახადო სფეროს პრაქტიკოს მუშაკებს, ასევე ზოგადად ყველა იურისტს და ეკონომისტს, მათ შორის სტუდენტებსაც. მასში იურიდიული

სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი თანმიმდევრობითაა გადმოცემული საგადასახადო სისტემის ცნება, საზღვარგარეთის საგადასახადო სამართლის საფუძვლები, საგადასახადო წარმოება და გადასახადების გამოანგარიშების წესი და თანმიმდევრობა.
გარდა ამისა, წიგნის საკითხებს, ბოლოში ერთვის ცხრილები, რომლებიც სასწავლო მასალის ათვისებას აადვილებს.

5. **342/59 (ელექტრონული კოდი: 11445)**
პაატა ცნობილაძე
"საქართველოს კონსტიტუციური სამართალი"
რედაქტორი - პროფესორი ზ. კინკოლავა
რეცენზენტები: პროფესორი ა. აბესაძე; პროფესორი გრ. ერემოვი
თბილისი, 2000 წ. წიგნის სრული მოცულობა - 264 გვერდი.
წიგნი აიწყო და დაკაბადონდა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა"-ს კომპიუტერულ ცენტრში

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების გამო ჩვენი ქვეყნის ისტორია უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტით გამდიდრდა. სახეზეა ქვეყნის გრძელვადიანი მოქმედების ძირითადი კანონი, რომელიც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.
წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა სისტემატურად და მეტნაკლები სისრულით წარმოაჩინოს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის კურსი.
ნაშრომი მეტად პრობლემურ საკითხებს მოიცავს. მასში გამოკვეთილია თანამედროვე კონსტიტუციური აღმშენებლობის სიახლენი, რომლებიც საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა.
ნაშრომში საკითხები სასწავლო პროგრამის თემატიკის შესაბამისად არის გაშუქებული. ყოველი თემა ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილება, რაც მოცემული სასწავლო კურსის სისტემის მისაღებ ვარიანტს აყალიბებს.
გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის.

6. **341/40 (ელექტრონული კოდი: 2012-3353)**
თენგიზ ლილუაშვილი
„საერთაშორისო კერძო სამართალი"; დამხმარე სახელმძღვანელო
თბილისი, 2000 წ. წიგნის სრული მოცულობა - 231 გვერდი.

დამხმარე სახელმძღვანელო ლექციების მოკლე კურსს წარმოადგენს. მისი სისტემა საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის შესაბამისადაა აგებული.
გათვალისწინებულია აგრეთვე სტრასბურგის 1997 წლის სესიაზე საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელმაც განსაზღვრა

არამარტო ამ საგნის სწავლების ვალდებულობა ყველა უმაღლეს იურიდიულ სასწვლებელში, არამედ შემდეგი სავალდებულო თემები საერთაშორისო კერძო სამართლის კურსისათვის: 1. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები 2. საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართლის თანაფარდობა. 3. სამართლის არჩევის პრობლემა. 4. საერთაშორისო კონტრაქტები 5. უცხო იურიდიული და ფიზიკური პირები. 6. საერთაშორისო დეტიქტები 7. საერთაშორისო სამემკვიდრეო და საოჯახო სამართალი 8. სასამართლო იურისდიქციის პრინციპები 9. საერთაშორისო არბიტრაჟი 10. საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება.
წიგნი გათვალისწინებულია სტუდენტების, პრაქტიკოსი იურისტებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

7. **340.1/2 (ელექტრონული კოდი: 2102-0993)**
ვალერი ლორია
„საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“
რედაქტორი - დოცენტი გიორგი გიორგაძე;
რეცენზენტები: პროფესორი ზაურ ჯინჯოლავა; დოცენტი ვახტანგ თორდია
გამომცემლობა „ცოტნე“; თბილისი, 2000 წ. წიგნის სრული მოცულობა - 464 გვერდი.

წიგნი მესამე შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას წარმოადგენს. იგი ადმინისტრაციული სამართლის კარდინალურ საკითხებს შეეხება, რომლებიც უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. საკითხები განხილულია ახალი თვალთახედვისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე, ევროპის მოწინავე ქვეყნების, განსაკუთრებით საფრანგეთის, ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით.
ნაშრომი აგებულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო იურიდიული აქტების დებულებებზე.
განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ადმინისტრაციულ სამართალში და გათვალისწინებულია სტუდენტების, ასპირანტებისა და ადმინისტრაციული სამართალით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

8. **343.3/46 (ელექტრონული კოდი: 2013-11776)**
ზაურ წულაია
„სისხლის სამართალი“ (კერძო ნაწილი)
საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით; ტომი პირველი;
გამომცემლობა „ინტელექტი“;
რედაქტორი - ო. გამყრელიძე;
თბილისი, 2000 წ. წიგნის სრული მოცულობა - 367 გვერდი.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ჩამოთვლილია დანაშაულის კონკრეტული სახეები, ასევე აღწერილია თუ რა შინაარსის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) ჩაითვლება საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, ე.ი

დანაშაულად.
ნაშრომში საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობის გათვალისწინებით, განხილულია: საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება, დანაშაულის კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა, კერძო ნაწილის ნორმის სტრუქტურა, კერძო ნაწილის სისტემა და ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის ცალკეული სახეები.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის.

9. **347.73/2**
საქართველოს კანონი. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ. დებულება. საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ. შეტანილია დამატება 2000 წ. 11 თებერვალს №141-II ს.
თბილისი, 2001 წ. წიგნის სრული მოცულობა - 31 გვერდი.

დებულება - საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ.
საქართველოს კანონის - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ - მიზანია: ა) საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა, ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების სფეროების განსაზღვრა, გ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, დ) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნა.
საქართველო აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.
კანონი შედგება 12 მუხლისაგან.
დებულება - საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ - განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძვლებს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან იურიდიულ პირებად, აგრეთვე ინდივიდუალური საწარმოებისათვის.
დებულება XIV თავისა და 77 მუხლისაგან შედგება.

10. **342(09)/5 (ელექტრონული კოდი: 2012-1164)**
გივი ლობჟანიძე
„ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“
რედაქტორები: აკადემიკოსი როინ მეტრეველი. პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი
რეცენზენტები: პროფესორი ლევან სანიკიძე, პროფესორი ბესარიონ ზოიძე, შსს აკადემიის რექტორი გურამ ქარქაშაძე; თბილისი, 2001 წ. წიგნის სრული მოცულობა - 619 გვერდი.

რეკომენდაცია წიგნის დაბეჭდვის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის

სამეცნიერო საბჭოების მიერ არის გაცემული.
წიგნი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებია განხილული. ნაშრომში გათვალისწინებულია უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ცვლილებები.
სათანადო ადგილი აქვს დათმობილი დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემებს და სხვა უახლეს პრობლემებს.
წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ქართული სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.
ჩვენი მცდელობაა სტუდენტებსა და პედაგოგ-მასწავლებლებს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სწავლების პროცესში არსებული პრობლემების დაძლევა გავუადვილოთ,.

11. **342.4/111 (ელექტრონული კოდი: 2012-1511)**
ოთარ მელქაძე
„ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები“
სადისკუსიო წერილების სერია
გამომცემლობა: შპს „პოლიგრაფ-სერვისი“. თბილისი, 2001 წ. წიგნის სრული მოცულობა - 80 გვერდი.

ნაშრომის შინაარსი სადისკუსიო წერილების სერიას წარმოადგენს და შემდეგ საკითხებს მოიცავს: I-საკანონმდებლო პროცესი-მიზეზთა მიზეზი. II-სახელმწიფო მმართველობის მოდელის პრობლემა. III-საარჩევნო სამართლის სამართლიანობის პრობლემა. IV- საარჩევნო სამართლის საკითხები. V- ქართული საარჩევნო სამართლის მახასიათებლები. VI-მრავალპარტიულობის არსი და ქართული სინამდვილე. VII-საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების წინადადებები.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის სახსრებით და ხელშეწყობით.
საავტორო უფლება ეკუთვნის გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისს.

12. **343.3/39 (ელექტრონული კოდი: 2013-11754)**
რამაზ ოთინაშვილი
ჩრდილოვანი ეკონომიკა - კორუფცია
რეცენზენტი ნათელა თურნავა; თბილისი, 2001 წ. წიგნის სრული მოცულობა - 269 გვერდი.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემო. შესწავლილია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის არსი და ბუნება. გაანალიზებულია მათი გამომწვევი მიზეზები, ფუნქციონირების თავისებურებები და ტენდენციები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო

საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემებს. შემუშავებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის, სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკასთან ურთიერთკავშირის ძირითადი მიმართულებები.
განკუთვნილია ეკონომისტების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების და საერთოდ, საქართველოს მომავლით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვისაა.

13. 341.4/9 (ელექტრონული კოდი: 4904)
მერაბ (ვეფხია) გვარამია
„საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადაცია“
რედაქტორები: ლ.ალექსიძე; თ.გამყრელიძე; რეცენზენტები: გ.ნაჭყებია; პ. ცნობილაძე; თბილისი 2002 წელი. წიგნის სრული მოცულობა - 128 გვერდი.

აღნიშნული მონოგრაფია ქართულ ენაზე პირველი გამოკვლევაა, რომელიც საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადაციის სპეციფიურობას ეხება. ნაშრომი არის ცდა თანამედროვე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებულ სფეროში პრობლემის წარმოჩენისა, ასევე ხაზგასმულია ავტორისეული თვალთახედვა ზოგიერთი საკითხისადმი.
საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადაციის სპეციფიურობას განაპირობებს ის, რომ ა) მასზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.
ბ) შიდა კანონმდებლობით, დაუსჯელობის მიუხედავად, ბრალდებული ან უნდა დასაჯონ, ან გადასცენ გ) აღნიშნულ საქმეში ხშირად ფიგურირებს პოლიტიკური ელემენტი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზეც. შეძლებისდაგვარად წარმოჩენილია საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადაციის სპეციფიურობა და განსხვავება ჩვეულებრივ დანაშაულში ბრალდებული ექსტრადაციისაგან.

14. 341-322/1 (ელექტრონული კოდი: 2012-1124)
გივი ლობჟანიძე
„საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა“
რედაქტორი - მარინე კვაჭაძე; რეცენზენტები: გურამ ქარქაშაძე, კოტე კემულარია, გიორგი ღლონტი.
საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2002 წელი. წიგნის სრული მოცულობა - 223 გვერდი.

ნაშრომი მეთოდური ხასიათისაა. მასში განხილულია საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ისეთი სახეები, როგორიცაა გენოციდი, ნარკომანია, კორუფცია, ადამიანით ვაჭრობა, ტერორიზმი. იგი შედგენილია და სახელმძღვანელოდაა განკუთვნილი შსს სამინისტროს აკადემიის მსმენელთათვის, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის საერთაშორისო საჰაერო სამართლისა და საფრენოსნო სპეციალობის სტუდენტებისათვის, სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების

თანამშრომლებისათვის აღსანიშნავია, რომ წიგნში დასახელებული პრობლემებით დაინტერესებული პირები მრავალ საყურადღებო ინფრომაციას მოიპოვებენ. საშუალება მიეცემათ უფრო საფუძვლიანად გაეცნონ და შეისწავლონ ორგანიზებული დამნაშავეობის ჩვენ მიერ განხილული პრობლემა და მისი სახეები. წიგნი დასაბეჭდად რეკომენდირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ.
ნაშრომი ეძღვნება ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულ ადამიანთა ხსოვნას.

15. 342.4/116 (ელექტრონული კოდი: 2013-8766)
ვოლფგანგ ბაბეკი
„კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995)“ II გამოცემა ედუარდ შევარდნაძისა და ჰანს-დიტრიხ გენშერის შესავალი სიტყვით გერმანულიდან თარგმნა - კ. კუბლაშვილმა. გამოცემის ელექტრონული ვერსია - www.giz.de/law-caicasus, გაული, 2002 წელი. წიგნის სრული მოცულობა - 455 გვერდი.

ნაშრომში ასახულია გერმანელი იურისტის თვალით დანახული 1993-1995 წლების საქართველოში არსებული საკონსტიტუციო პროცესი, აგრეთვე კონსტიტუციის გარშემო 2001 წლამდე განვითარებული უმთავრესი მოვლენები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მოვლენებს ავტორი პირველწყაროზე დაყრდნობით აღწერს, იგი კონსტიტუციის შემუშავებაში ყველაზე აქტიურად მონაწილე იურისტებსა და პოლიტიკოსებს პირადად ხვდებოდა და წერდა მრავალსაათიან ინტერვიუებს. მას საშუალება ჰქონდა ყველა შემორჩენილ მნიშვნელოვან დოკუმენტს ორიგინალში გასცნობოდა
წიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით.
წიგნი ვრცელდება უფასოდ. გამოცემის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ.გვერდზე. www.giz.de/Law-caucasus.
ამ ნაშრომით ქართველმა მკითხველმა შეიძინა უაღრესად საინტერესო მეცნიერული შრომა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს-მნიშვნელოვანი წყარო კონსტიტუციის ნორმათა ისტორიული განმარტებისათვის, ხოლო ქართველმა იურისტებმა და პოლიტიკოსებმა საყურადღებო ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევა კონსტიტუციური პროცესის განვითარების შემდგომ ეტაპებზე გასათვალისწინებლად.

16. 342.9/10 ელექტრონული კოდი: 2012-1756)
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; 2002 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით. გამომცემლობა „ლ.დ“. წიგნის სრული მოცულობა - 183 გვერდი.

ადმნისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და

პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით. სწორედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.
საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით 1985 წლის 1 ივნისიდან იქნა შემოღებული.

17. 342.8/119 (ელექტრონული კოდი: 2012-1718)
მერაბ გველესიანი
„ადგილობრივი თვითმმართველობა: გუშინ, დღეს, ხვალ. ეკონომიკური ასპექტები“
რედაქტორი - ლეო ჩიქავა;
რეცენზენტი - თამაზ ჩიკვაიძე; თბილისი, 2002 წელი. წიგნის სრული მოცულობა - 112 გვერდი.

ნაშრომში განხილულია პრობლემები, რომლებიც საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისას იჩენს თავს და მთელ მსოფლიოში გამოკვეთილია ეკონომიკური ინსტრუმენტებისა და მექანიზმების სრულყოფის მნიშვნელობა ჭეშმარიტი თვითმმართველობის ჩამოყალიბებაში. გარკვეულია თვითმმართველობის არსის, მიზანდანიშნულების, როლისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება და განვითარების ტენდენციები.
გამიზნულია ფართო მკითხველზე, უწინარეს ყოვლისა საკრებულოს წევრზე რათა მას სრულფასოვანი წარმოდგენა შეექმნას თვითმმართველობის წარსულზე, აწმყოსა და მომავლის კავშირზე, მისი განვითარების მაგისტრალურ გზაზე, აღუძრას მკითხველს ამ სფეროში ნოვაციების სურვილი.
ბროშურა დაიბეჭდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

18. 34/43 (ელექტრონული კოდი: 2016-0323)
„II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში 2003“
თბილისი, 2003 წელი. სიმპოზიუმის მასალები, წიგნის სრული მოცულობა - 608 გვერდი.

წიგნში ასახულია კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით.
გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) და გერმანიის

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების (BMZ) ფედერალური სამინისტროს დავალებით GTZ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ანხორციელებს მრავალ პროექტს, რომლებიც მიმართულია სამართლისა და იიუსტიციის რეფორმების მხარდაჭერად. ამ პროექტის ჩარჩოებში ადგილებზე იგზავნებიან ექსპერტები, რომლებიც კითხულობენ მოხსენებებს, ატარებენ კონსულტაციებს და ადგილობრივი სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში იღებენ მონაწილეობას.
სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან საქართველოს უზენაესი სასამართლო და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება. მომხსენებლები იყვნენ საკორპორაციო და კაპიტალის ბაზრის სამართლის ქართველი და გერმანელი მეცნიერები და პრაქტიკოსი იურისტები. გამოითქვა სურვილი, 2004 წელს რიგით მესამე სიმპოზიუმის გამართვისა, რომელიც მეწარმეთა შესახებ კანონის მიღების მეათე წლისთავს მოეძღვნა. ეს გახლავთ მოვლენა, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სამართლებრივი ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

19. 342/68 (ელექტრონული კოდი: 2012-1220)
გივი ინწკირველი
„სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი, 2003 წელი. წიგნის სრული მოცულობა - 247 გვერდი.

ნაშრომი მომზადებულია ავტორის მიერ და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის არის განკუთვნილი. წიგნი წინა წლებში მრავალჯერ გამოცემული სახელმძღვანელოების საფუძველზე შეიქმნა.
სახელმწიფოსა და სამართლის თეორია საზოგადოებრივი მეცნიერებაა, ვინაიდან მისი საგანი და მისი შესწავლის ობიექტები გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენები-სახელმწიფო და სამართალია.
სახელმძღვანელო შედგება ცხრა თავისა და რამდენიმე ქვეთავისაგან. ესენია: Iთავი - სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა, II თავი -სახელმწიფოს არსი, III თავი - სამართლის არსი, IV თავი - სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები, V თავი - საქართველოს სახელმწიფო და სამართალი, VI თავი - სამართლის ნორმები, VII თავი - სამართლის წყაროები, VIII თავი - სამართლებრივი ურთიერთობანი და IX თავი - სამართლის სისტემა.
ნაშრომი რეკომენდირებულია ასევე არაიურიდიულ სპეციალობათა სტუდენტებისათვის და სკოლების სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების საგნის მასწავლებელთათვის.

20. 341.9/3 (ელექტრონული კოდი: 2012-1025)
ჯანხოთელი გრიგოლ
„საერთაშორისო კერძო სამართალი“
რედაქტორი - იაკობ ლეჟავა; რეცენზენტი - პეტრე დაუთაშვილი

თბილისი, 2003 წელი. წიგნის სრული მოცულობა - 312 გვერდი.

საერთაშორისო კერძო სამართალი სამართლის დამოუკიდებელ დარგსა და დამოუკიდებელ დისციპლინას წარმოადგენს. საერთაშორისო კერძო სამართალი ცალკე დისციპლინის სახით XIX ს. მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა, ამდენად, იგი სამართალმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დარგია.
სახელმძღვანელო შედგება 12 თავისა და რამდენიმე ქვეთავისაგან, ესენია: საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება, საგანი, სისტემა; პირები საერთაშორისო კერძო სამართალში; კოლიზიური ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში; გარიგება; სანივთო სამართლის საკითხები; ზიანის მიყენებით გამოწვეული ვალდებულებები; მემკვიდრეობის საკითხები; საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი; უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების ცნობა; საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო; მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო; მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები; ინტელექტუალური საკუთრება საერთაშორისო კერძო სამართალში და საოჯახო სამართალი.
წიგნი სასარგებლოა ნებისმიერი სასწავლებლის სტუდენტისათვის, ასპირანტის, მასწავლებლის, მეწარმის და პრაქტიკოსი იურისტისათვის.

21. **340/34 (ელექტრონული კოდი: 2012-0827)**
კუბლაშვილი კონსტანტინე
„ძირითადი უფლებები“
რედაქტორი თამარ ბერიძე,
რეცენზენტები: თევდორე ნინიძე, კონსტანტინე კორკელია
თბილისი, გამომცემლობა „ჯისიაი“ 2003; წიგნის სრული მოცულობა - 356 გვერდი

პრაქტიკული იურიდიული სახელმძღვანელო ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ქართულ ენაზე პირველად შეიქმნა. იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში ადამიანის უფლებათა სფეროში დამკვიდრებული სასწავლო კურსის შესაბამისად არის შედგენილი. მასში დაწვრილებითაა ასახული უფლებათა შესახებ მსოფლიოში შექმნილი პირველი იურიდიული დოკუმენტები, კონსტიტუციები და დეკლარაციები, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი უფლებების ცნება, კატეგორიები, შინაარსი, მის მიერ დაცული სფერო, შესაძლებელი შეზღუდვის ფარგლები და ამ შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები.
სახელმძღვანელო გამოცემულია ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით.

22. **347.764/1 (ელექტრონული კოდი: 154668)**
ჟერომ ბონარი
„სადაზღვევო სამართლის საწყისები“
თარგმანი - ნათია კინწურაშვილი

თბილისი, 2003 წ., წიგნის სრული მოცულობა - 114 გვერდი.

დაზღვევა არის ხელშეკრულება, რომელიც ეფუძნება ორმხრივ იურიდიულ ვალდებულებებს დამზღვევსა და დაზღვეულს შორის. სადაზღვევო შესატანის სამაგიეროდ, მზღვეველი უზრუნველყოფს დამზღვევისათვის მატერიალური დახმარების გაწევას ან კიდევ, ნატურით დახმარების გაწევას. ხელშეკრულება ორიგინალურობით გამოირჩევა, რადგან იგი რისკთან არის დაკავშირებული. პარიზის სენ-დენის უნივერსიტეტის პროფესორის ჟერომ ბონარის სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ტემპუსის პროექტის ფარგლებში დაიწერა.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული და ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის.

23. 343.43/3 (ელექტრონული კოდი: 2013-12221)
ჯემალ გაბელია
„ადამიანის მოტაცების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“
რედაქტორი - ო. კვაჭაძე
რეცენზენტი - ზ. ხაჟალია
თბილისი, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2003 წ., წიგნის სრული მოცულობა - 154 გვერდი.

წიგნი მონოგრაფიის, რომლის კვლევის საგანი ერთ-ერთ მძიმე დანაშაულს - ადამიანის მოტაცების სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ საკითხს განხილავს.
ეს დანაშაული კაცობრიობის დასაბამიდან მოდის, რომელმაც პრიმიტიული სახე იცვალა და დიდი უარყოფითი რეზონანსის მქონე სისხლის სამართლის დანაშაულად ჩამოყალიბდა.
ავტორის მიერ ადამიანის მოტაცებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, პროფესიონალურ დონეზეა წარმოჩენილი და განსახილველი საკითხების მოკლე, მაგრამ ძალზე ტევად საგნობრივ ანალიზს წარმოადგენს, რაც შესაძლებელია სამეცნიერო-პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოდ იქნეს გამოყენებული.
ნაშრომი დახმარებს გაუწევს, როგორც ადამიანის მოტაცებასთან დაკავშირებულ პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერებას, ასევე პრაქტიკოს თანამშრომლებს და საზოგადოების ფართო წრეს.

24. 343. 353/1 (ელექტრონული კოდი: 2013-20145)
შოთა ფაფიაშვილი
„სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა“
რედაქტორი - ვაჟა ჯანყარაშვილი
რეცენზენტი - შენგელი ფიცხელაური
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“; 2003 წ., წიგნის სრული მოცულობა - 307 გვერდი.

ნაშრომში განხილული და გამოკვლეულია ისეთი საერთო სახის სამოხელეო დანაშაულის გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების პრობლემები, როგორიცაა: სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, სამსახურებრივი სიყალბე და გულგრილობა. მასში ასევე სრულყოფილადაა გამოკვლეული და გადმოცემული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სატრანსპორტო დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების პრობლემატური საკითხები. განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და საგამოძიებო საპროფესორო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.
იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ასპირანტებს, მეცნიერ-მუშაკებსა და ფართო საზოგადოებას სწორად გაერკვნენ მექრთამეობის (კორუფციის) და სხვა სახის სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულთან ბრძოლის არსსა და მნიშვნელობაში.

25. 342.9/5 (ელექტრონული კოდი: 2012-1781)
ზურაბ ადეიშვილი, ლევან სამხარაული
„საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა“
თბილისი, 2003 წ., წიგნის სრული მოცულობა - 248 გვერდი.

ქართული ადმინისტრაციული სამართლის განვითარებისათვის ევროპულ პრაქტიკას და პრინციპებს მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც შევიდა ამ წიგნში ევროსაბჭოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელო- ადმინისტრაცია და მოქალაქე. სახელმძღვანელოში მოცემულია ადმინისტრაციული სამართლის ევროპული პრინციპები და ინსტიტუტები. ასევე აღწერილია თუ რა გარანტიები უნდა შექმნას ნაციონალურმა კანონმდებლობებმა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ადამიანის უფლებებისათვის.
წიგნში ასევე შესულია ორი ნაშრომი: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის მიერ მომზადებული „ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სამართალწარმოება „გერმანიაში“ და სხილდერისა და ბროუერის „ნიდერლანდების ადმინისტრაციული სამართალი. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყანას ადმინისტრაციული სამართლის უზარმაზარი ტრადიციები გააჩნია.

26. 343.2/4 (ელექტრონული კოდი: 2013-11503)
იური გაბისონია
„აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში“
რედაქტორი - აპოლონ ფალიაშვილი
რეცენზენტები: მერაბ ტურავა, ვენელი ბენიძე, თამაზ კაპანაძე
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 419 გვერდი.
აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში; პრაქტიკული

სახელმძღვანელო -საპროცესო დოკუმენტების ნიმუშებითურთ
ნაშრომი წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების და მისი სახის შერჩევის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ პირველ „კომპლექსურ“ ნაშრომს-პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, რომელიც აგებულია სისხლის სამართლის პროცესის თეორიის უახლეს მიღწევებზე, საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს პრაქტიკის ანალიზზე. სამართალგამოყენებითი პრაქტიკისათვის ხელის მაქსიმალურად შეწყობის მიზნით, მასში ფართოდაა განხილული და გამოყენებული შესაბამისი სასამართლო-საგამოძიებო თუ საადვოკატო პრაქტიკის როგორც ტიპური, ისე ატიპური (კაზუსური, იშვიათი თუ ძნელი) მაგალითები, ამასთან, დართული აქვს შესაბამისი საპროცესო დოკუმენტების ნიმუშთა სრული „კომპლექტი“ ვარიანტულად. დაყენებულია მთელი რიგი წინადადებებისა კანონმდებლობის სრულყოფისათვის. სახელმძღვანელო განკუთვნილია მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლებისა და სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე ადვოკატებისათვის, აგრეთვე სტუდენტების, ასპირანტებისა და დაინტერესებულ პირთათვის.

27. 342.8/124 (ელექტრონული კოდი: 2012-1705)
„საქართველოს საარჩევნო კოდექსი; საქართველოს ორგანული კანონი“
რედაქტორი - ბადრი კოჭლამაზაშვილი;
თბილისი, საგამომცემლო სახლი „კეგელი“; 2003 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 166 გვერდი.

მიღებულია 2001 წლის 2 აგვისტოს ცვლილებებითა და დამატებებით 2003 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით; (ოფიციალური ტექსტი);
საქართველოს ორგანული კანონი -საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ადგენს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვით მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, გამგებლისა და მერის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავის განხილვის წესს.
საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, გამგებლისა და მერის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია . ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ეს კანონი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.
ეს კოდექსი შედგება 4 კარისა და 19 თავისაგან.
გამოცემა დაფინანსებულია ფონდი „ღია-საზოგადოება-საქართველოს“ არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის მიერ.

28. 342.9/5 (ელექტრონული კოდი: 2012-1781)
ზურაბ ადეიშვილი, ლევან სამხარაული
„საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა“
თბილისი, 2003 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 248 გვერდი.

ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმთვარესი ელემენტია საჯარო ინტერესი. ადმინისტრაციული სამართალი სწორედ საჯარო ინტერესს იცავს. ადმინისტრაციული სამართლის მეორე ელემენტს წარმოადგენს საჯარო ხელისუფლება. ამ კრიტერიუმის თანახმად ადმინისტრაციული სამართალი განიმარტება როგორც დარგი, რომელიც აწესრიგებს მხარეთა უთანასწორობაზე და დაქვემდებარებაზე დაქვემდებარებაზე დამყარებულ ურთიერთობებს.
წიგნში შესულია ევროსაბჭოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ადმინისტრაცია და მოქალაქე. ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ადმინისტრაციული სამართლის ევროპული პრინციპები და ინსტიტუტები. წიგნში ასევე შესულია ორი ნაშრომი: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის მიერ მომზადებული-„ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სამართალწარმოება გერმანიაში“ და სხილდერისა და ბოუერის-„ნიდერლანდების ადმინისტრაციული სამართალი“. უნდა აღონიშნოს, რომ ორივე ქვეყანას ადმინისტრაციული სამართლის უზარმაზარი ტრადიციები გააჩნია. თანამედროვე გერმანული ადმინისტრაციული სამართალი სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას ეყრდნობა. ჰოლანდიურ ადმინისტრაციულ სამართალზე კი დიდი გავლენა იქონია ფრანგულმა ადმინისტრაციულმა სამართალმა.

29. 342.7/10 (ელექტრონული კოდი: 2012-1653)
„პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. გზამკვლევი“
გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2004 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 222 გვერდი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება. გზამკვლევი შედგება შვიდი თავის, ქვეთავებისა და კომენტარებისაგან.
I თავი: თავისუფლების პრეზუმცია; მართლზომიერების მოთხოვნა; პატიმრობის არსი.
II თავი: თავისუფლების აღკვეთა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ნაწილი.
III თავი: თავისუფლების აღკვეთის სხვა გამამართლებელი გარემოებები.
IV თავი: დაკავების საფუძვლების დაუყოვნებელი შეტყობინების ვალდებულება.
V თავი: დაპატიმრებული პირის სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილი მოხელის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენისა და სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარების ან განთავისუფლების ვალდებულება.
VI თავი: პატიმრობის მართლზომიერების გასაჩივრება.
VII თავი: კომპენსაცია.

30. 342/65 (ელექტრონული კოდი: 2012-1230)
ულრიჰ შპრინგორუმი, გოჩა ვაჭარაძე, ქეთევან ვარდიაშვილი
„საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“
გამოცემულია გერმანულ-ქართული თანმშრომლიბის ფარგლებში
თბილისი, 2004 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 116 გვერდი.

საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ(15.07.2004წ. მდგომერებით) ქვეყნის დემოჰრატიული განვიტარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი სისტემის შექმნას.
აღნიშნული კანონი ექვსი თავისაგან შედგება. პირველი თავი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების ცალკეულ სახეებს და ადგენს მათ იერარქიას. მეორე თავში კიდევ ხდება სამთავრობო დაწესებულებებისა და ორგანოების ჩამოთვლა.
მესამე თავი შეეხება ნორმატიული აქტების მომზადებას, მიღებას, გამოქვეყნებასა და მოქმედებას.
მეოთხე თავში მოცემულია ნორმატიული აქტების აღრიცხვიდა და სისტემატიზაციის წესები.
მეხუთე და მეექვსე თავები დათმობილი აქვს კანონის გარდამავალ და დასკვნით დებულებეს.
დღეისათვის სამართლებრივი აქტის მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვის და სისტემატიზაციის წესებსარეგულირებს „ნორმატიული აქტების შესახებ“საქართველოს 1996 წლის 9 ოქტომბრის კანონი.

31. 341.24/10 (ელექტრონული კოდი: 2012-1022)
„გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმები ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ“
ინგლისურიდან თარგმნა - გ. კუკულავამ
თბილისი, 2004 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 54 გვერდი.

გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმები ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ თარგმნილია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), შემოწმებული იუსტიციის სამინისტროს და დამტკიცებული საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ. გამოიცემა ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრთან (TRACCC) თანამშრომლობით და დაფინანსებულია ეუთო-ს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის (OSCE/ODIHR) „საკანონმდებლო განგაშის პროგრამის“ გრანტის ფარგლებში.
ინგლისურიდან თარგმნა გიორგი კუკულავამ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა პროფესორმა გიორგი ღლონტმა.
კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანი თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

32. 34/54 (ელექტრონული კოდი: 2012-0492)
ავტორთა კოლექტივი: მაყვალა კახიძე, მზია ლეკვეიშვილი, ვალერიან მეტრეველი, რომან შენგელია, ალექსანდრე შუშანაშვილი, პაატა ცნობილაძე, ზურაბ ძლიერაშვილი, ლადო ჭანტურია, ირმა ხარშილაძე
რედაქტორი - რომან შენგელია
რეცენზენტები: ჯონი ხეცურიანი, ზაურ წულაია
თბილისი, გამომცემლობა: „მერიდიანი“, 2004 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 439 გვერდი.

წიგნში გაშუქებულია საქართველოს უახლესი კანონმდებლობისა და სამართლებრივი დოქტრინის ძირითადი საკითხები. იგი შედგენილია ახალი კანონმდებლობისა და შესაბამისი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. თემატიკა ძირითადად განსაზღვრულია სკოლებისა და უმაღლესი არაიურიდიული სასწავლებლების პროგრამების შეჯერების საფუძველზე. წიგნში გახილულია ისეთი საკითხებიც, რომლებიც პირველად ქვეყნდება ან შედარებით სრულყოფილ წარმოდგენას ქმნიან ნაკლებად დამუშავებულ დებულებებზე.
წიგნი განკუთვნილია იურისპრუდენციით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

33. 343.359/4 (ელექტრონული კოდი: 2013-11919)
„საქართველოს საგადასახადო კოდექსი“
მიღებულია 2004 წლის 22 დეკემბერს
თბილისი, დაიბეჭდა შპს „არადანის“ მიერ, 2004 წელი, წიგნის სრული მოცულობა - 191 გვერდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად წესებს და პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგდასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულებების

წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

34. 343.3/38 წულაია დავით
ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის ზოგიერთი კრიმინოლოგიური პრობლემა; რედაქტორი -ა. გაბიანი; რეცენზენტები: ჯ.ჯანაშია, ი.გოძიაშვილი; გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 2004 წელი. გვერდი.195 2013-11742

ეკონომიკური დანაშაულების ცნება და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები
ეკონომიკურ სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის თანამედროვე პრობლემები
ეკონომიკური დანაშაულობის დტერმინანტები
ეკონომიკური დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში
ეკონომიკური დანაშაულის ჩამდენი პირის კრიმონოლოგიური დახასიათება
დანაშაულობის თავიდან აცილება ეკონომიკური საქმიანობის სფეროში
ეკონომიკურ დანაშაულთა პროფილაქტიკაში კულტურის ფენომენის შესახებ
წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტების, პედაგოგებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის, ასევე ეკონომიკური კრიმინოლოგიით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

35. 343.139/1 ბოელინგი ჰაინ; ჭანტურია ლადო; სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა II გამოცემა; გამომცემლობა „ჯისიაი“; გამოცემულია GTZ ფინანსური მხარდაჭერით; თბილისი 2004 წელი. რედაქტორი: სოფიო ჩაჩავა; 2014-2568

შინაარსი; წინათქმა; შესავალი; ნაწილი პირველი
რელაციის ტექნიკის ცნება და დახასიათება;
შესავალი
საქმის ფაქტობრივი გარემოებების (აღწერილობითი ნაწილის) მნიშვნელობა.
აღწერილობითი ნაწილის მომზადება: მასალების შეგროვება; ამონაწერი საქმიდან.
სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი II-ის 249-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად
ფაქტების მითითების ტვირთი
სამართლებრივი დასკვნა: სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთებულობა, მოთხოვნის საფუძველი და იურიდიული კვალიფიკაცია (სუბსუმცია)
სამართლებრივი დასკვნა და გადაწყვეტილების პროექტი
მტკიცების სტადია
სამოტივაციო ნაწილი
გადაწყვეტილების სარეზულიციო ნაწილი
საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტა-საქმის დამთავრება მორიგებით
ნაწილი მეორე:
შემთხვევა 1; შემთხვევა 1.ა; შემთხვევა 2; შემთხვევა 2ა; შემთხვევა 2ბ; შემთხვევა 3; შემთხვევა 3ა; შემთხვევა 4; შემთხვევა 4ა; შემთხვევა 5; შემთხვევა 5ა; შემთხვევა 6;

შემთხვევა 6ა; შემთხვევა 7;
ნაშრომი გამიზნულია როგორც მოქმედი, ისე მომავალი მოსამართლეებისათვის, რომლებიც სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ.

36. 34/50 (ელექტრონული კოდი: 2012-0392) ხუბუა გიორგი. სამართლის თეორია. რედაქტორი: მ. ჩიკვილაძე, თბილისი, 2004 წ. 218 გვერდი. გამომცემლობა „მერიდიანი“, რეცენზენტები: ინწკირველი გივი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იზორია ლევანი, სამართლის დოქტორი.

წიგნში განხილულია სამართლის თეორიის ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართლის ღირებულებით, ფილოსოფიურ და კულტურულ წანამძღვრებს, სამართლის მიმართებას სახელმწიფო ხელისუფლებასთან, პოლიტიკასთან, საზოგადოებაში მოქმედ სხვადასხვა ნორმატიულ სისტემებთან. სამართლის ნორმათა განმარტების თემა გაშუქებულია თანამედროვე იურიდიული მეთოდების ფონზე.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსეი იურისტებისა და სამართლის თეორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

37. 343/48 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი ეკონომიკური დანაშაული; გამომცემლობა „მერიდიანი“; რედაქტორი: ოთარ გამყრელიძე; თბილისი 2004 წელი. 2013-5697

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის და პროცესის განყოფილებაში მომზადდა მორიგი, მეორე წიგნი, რომელიც წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის განმარტებას. წიგნში გაანალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-207-ე მუხლების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა.
პირველი წიგნი 2002 წელს დაიბეჭდა. და მასში განხილულ იქნა 108-136-ე მუხლების (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს მუშაკებს დანაშაულის კვალიფიკაციის რთული საკითხების გადაწყვეტისას.
წიგნი გამოცემულია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში.
ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, პროფესორ თამაზ შავგულიძის დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

38. 342.7(02)/3 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის; ევროპის საბჭო 2004;

ეს გამოცემა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 50-ე წლისთავს ეძღვნება, ემთხვევა, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული „ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ათწლეულის“ შუა პერიოდს. სასწავლო პროგრამა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანის უფლებები ნებისმიერი საგანის გაკვეთილზე ისწავლებოდეს-დაწყებული საზოგადოებათმცოდნეობით, დამთვარებული ისტორიითა და მათემატიკით და წარმოიდგინეთ ფიზიკური მომზადებით. ამ გამოცემის მიზანია, დაისახოს ამოსავალი წერტილები აღნიშნულ შესაძლებლობათა გამოყენებისათვის. სასწავლო მასალაში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია, რომელიც შეეხება: ამ გამოცემის გამოყენებას და ევროპის საბჭოს შესახებ უმთავრეს (ამოცანებს) მონაცემებს; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მიმოხილვას; ადამიანის უფლებათა ევროპული კოვვენციის მოქმედებას; ადამიანის უფლებების სფეროში ევროპის საბჭოს მოღვაწეობის სხვა ძირითად ასპექტებს; სამომავლო ღონისძიებებთან დაკავშირებულ რჩევებს.
ევროპული კონვენციის მიღება პირველი ნაბიჯია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განსაზღვრული რიგი უფლებების აღსრულების საქმეში.

39. 342.7(02)/4 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები. თარგმანი: ანა გეგეჩკორი; რედაქტირება: რუსუდან მარგიშვილი; ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ.2007 წ; 2013-4903

342.7/65 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ბესარიონ ბოხაშვილი, რუსუდან ტუშური; რედაქტირება: ლაშა ჭელიძე; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ. 2017; 2013-4900; 412 გვერდი

342.7(02)/4 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ანა გეგეჩკორი; რედაქტირება: რუსუდან მარგიშვილი; ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ. 2017 წელი. 2013-4903;

მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული
კრებული ერთ-ერთი ნაწილია ოთხი ტომისაგან შემდგარი გამოცემისა, რომელსაც ეწოდება „ადამიანის უფლებები და პენინტენციალური სისტემა“. ეს პუბლიკაცია შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს და განკუთვნილია პენინტენციამური სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა

პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად და რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ ტრენინგისთვის შემუშავებულ მიდგომას.
ძირითადი სახელმძღვანელო (I ნაწილი) იძლევა ინფორმაციის იმ წყაროების, სისტემებისა და სტანდარტების შესახებ, რომლებიც ციხის თანამშრომელთა მუშაობის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება.
გამოცემის II ნაწილი შეიცავს ადამიანის უფლებების შესახებ შერჩეული სხვადასხვა საერთაშორისო აქტის ფრაგმენტებსა და სრულ ტექსტებს, რომლებიც მართლმსაჯულების ადმინისტრირებას ეხება.
III ნაწილი- ტრენერის სახელმძღვანელო, წარმოადგენს ტრენერებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციებასა და რჩევებს.
IV ნაწილი- ისეა შემუშავებული, რომ ციხის პერსონალისათვის საჭირო ინფორმაცია იოლად მოსაძებნი და ხელმისაწვდომი იყოს. იგი წარმოადგენს ნორმებისა და საკითხების ყოვლისმომცველ კრებულს.
ინგლისურ ენაზე, ტექსტის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდებზე: www.ohchr.org.

40. 34(09)/19 (ელექტრონული კოდი:2012-0707) მეტრეველი ვალერიანი, ქართული სამართლის ისტორია. რედაქტორი - პროფესორი ნ. სურგულაძე, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005 წ. 443 გვერდი. რეცენზენტები: დოცენტი გ. დავითაშვილი, დოცენტი დ. ბოსტოღანაშვილი.

წიგნში განხილულია ქართული სამართლის ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი, მათ შორის: საგანი, მეთოდი, სისტემა, წყაროები, მეცნიერება.
ნაშრომში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ქართული სამართლის ისეთი დარგები, როგორიცაა: სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართალი, სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო და პროცესუალური სამართალი, შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტებით.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთატვის.

41. 342/64 სახელმწიფო მოხელის სამაგიდო წიგნი
კანონთა კრებული ცვლილებებითა და დამატებებით 2005 წლის 1 თებერვლამდე
თბილისი, 2005 წელი, 244 გვერდი.
იურისტის ბიბლიოთეკა „ბონა კაუზა“ 2012-1235

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია სახელმწიფო სამართლის მომცველი ის ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის წესს, სახელმწიფო მოხელეთა უფლებებსა და მოვალეობებს. თანამდებობის პირთა მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემის

საკითხებს. სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს.
კრებულში მოცემული ყველა კანონი კოდიფიცირებულია და მოყვანილია საკონტროლო მდგომარეობაში.
განკუთვნილია სახელმწიფო მოხელეებისათვის, სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ სხვა პირთათვის, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთათვის, აგრეთვე სახელმწიფო-სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

42. ფაფიაშვილი შოთა. შესავალი იურიდიულ სპეციალობაში. რედაქტორი: პროფესორი შ. ფიცხელაური, თბილისი, 2006 წ. 207 გვერდი. გამომცემლობა „მერიდიანი“. რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ლორია, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორი, სამართლის დოქტორი ბ. მეურმისვილი.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ლექტორებისათვის სახელმძღვანელოდ. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობას გაეცნოს იურიდიული კადრების მომზადებისა და მათი პროფესიული ორიენტაციის საკითხებს; იურისტის პროფესიული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს; იურიდიული მეცნიერების როლსა და მნიშვნელობას მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში; სასამართლო რეფორმის მიმდინარეობისა და ამ მიმართულებით წამოჭილ სიახლეებს; იურიდიული სამსახურის ზოგიერთ თავისებურებებსა და ძირითად იურიდიულ ტერმინოლოგიას; ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებისა და მისი თანამედროვე მდგომარეობისათვის დამახასიათებელ პრობლემებს; ტრადიციული სამართლის დარგების ძირითად დებულებებსა და სხვა აქტუალურ საკიტხებს. ვფიქრობ, მოცემული ნაშრომი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა დამწყებ იურისტებს ამ რთულ ი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის პროფესიის ჩამოყალიბებასა და მათი ხაზიტ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

43. 34/45 (ელექტრონული კოდი: 2012-0179) ხეცურიანი ჯონი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. რედაქტორები: წიკლაური ირინა, ჩიკაშუა ეკა. ტექნიკური რედაქტორი მაია სვიანაძე. თბილისი, 2006 წ. 453 გვერდი.

წიგნში თავმოყრილია გასული წლების პერიოდულ გამოცემებში ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები, პუბლიცისტური წერილები, მოხსენებები, ინტერვიუები, რომლებშიც ასახულია XX საუკუნის მიწურულსა და XXI დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. ვრცელი შესავალი ერთგვარ გზავკვლევს წარმოადგენს ამ პრობლემების გააზრებისა

და მათი გადაწყვეტის ავტორისეული პოზიციის უკეთ გაგებისათვის. კრებული გათვალისწინებულია იურისტებისა და საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

44. 347.9/24 (ელექტრონული კოდი: 2016-11474) კორკელია კონსტანტინე (რედ.) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული
გამომცემლობა gtz
სტატიათა ავტორები, 2006 წ. 335 გვერდი.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გერმანიიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით მომზადდა კრებული, სადაც თავმოყრილა ადამიანის უფლებათა მოღვაწე მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების სტატიები, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების წარმოჩენა, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი და იმ საკანონმდებლო და პრაქტიკულ ღონისძიებებზე მსჯელობა, რომლებიც უნდა გატარდეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ევროპული სტანდარტების მიხედვით.
კრებულში განხილულია უამრავი საინტერესო თემა, როგორებიცაა: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, თანაზომიერების პრინციპი, სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპული და ქართული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლების დაცვის ევროპული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი, საკუთრების უფლების დაცვა. ექსტრადიციისა და დეპორტაციის ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა. კრებული განკუთვნილია როგორც ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით საინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

45. 347.77/17 საქართველოს კანონი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ. საქართველოს კანონი - მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფისგარანტიების შესახებ. თბილისი, 2007 წ.

საქართველოს კანონი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, ადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო სტატუსს, მის ამოცანებს და საქმიანობის სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ფინანსურ გარანტიებს. კანონი აწესრიგებს: ა) საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფლებებისა და

საქმიანობის გარანტიების რეალიზებასთან; ბ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაერთიანებულ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა დაწესებულებების უფლებებსა და საქმიანობის გარანტიებს; გ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთობებს სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

46. 342(02)/17 (ელექტრონული კოდი: 2012-1322) სოლომონ თეზელიშვილი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. მთ. რედაქტორი: თამაზ ბარაბაძე. რედაქტორი: თამუნა აბესაძე, ომარ კელაპტრიშვილი, კორექტორი: ინეზა ჭუმბურიძე, ნათელა კელაპტრიშვილი. თბილისი, 2008 წ. 839 გვერდი., გამომცემლობა „მერიდიანი“.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ახალი სახელმძღვანელო ყურადღებას იმსახურებს სამართლის პოლიტოლოგიის, ფილოსოფიისა და ენციკლოპედიის თეორიული მასალით, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს პირველი თავის შინაარსს. წიგნში ასევე მოცემულია პოზიტიური ცხრილები, რომელთა მეშვეობითაც უფრო ადვილია თეორიული ცნებების ათვისება და დამახსოვრება. ყველაფერი ხელს შეუწყობს, დაბალი კლასიდანვე ხდებოდეს ამ მეცნიერების ჩაშიფრვა ადამიანთა გონებაში. ასეთო მეთოდით საკმაოდ საინტერესოა მომავალი იურისტების ცოდნის თვალსაწიერის გაფართოების მცდელობა. პირველი ნაწილი ყველაზე ფართოა და აკადემიური, რაც გამოიხატება შემდგომში: შეინიშნება იურისპრუდენციის კავშირი ფილოსოფიასთან, მათემატიკასთან, ხატოვან სამეტყველო და მხატვრულ აზროვნებაში ცხოვრების სახელმწიფო - სამართლებრივი გაგების ასახვასთან. ამგვარად პირველი ნაწილი განისაზღვრება მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის, მეორე ქრესტომათიური ნაწილი, სადაც დეტალიზაცია მოხდენილი სახელმწიფოსა და სამართლის სფეროებს განეკუთვნება მეცნიერებისათვის, სტუდენტებისათვის, პედაგოგებისა და უფროს კლასელებისათვის, მესამე და მეოთხე ნაწილი, ყველაზე გამარტივებული, წარმოდგენილია შედარებით ზედა და საშუალო დაბალ კლასებში სასკოლო პროგრამისათვის.
ოთხი პროგრამის შექმნია აუცილობლას განაპირობებს ის თვალსაზრისი, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ადრეულ ასაკში შეუდგეს იურისტად ან სამართალმცოდნედ ჩამოყალიბებას, რაც მოზარდის აღზრდაში ძალზედ წაადგებად ჩვენს ახალგაზრდობას და ამ საგნით დაინტერესებულ ადამიანებს.

47. 34/58 (ელექტრონული კოდი: 2012-0458) საქართველოს კანონთა ნუსხა. კლასიფიცირებული თემატური და ქრონოლოგიური ნიშნით 2008 წლის 1 ივნისის მდგომარეობით. გაეროს განვთარების პროგრამა საქართველოს პარლამენტი. გამომცემლობა „Sida“, 2008 წ. 138 გვერდი.

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“.
კრებული საქართველოს კანონთა ნუსხა.
მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა „საქართველოს

პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება“. სერიის მომზადების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილეობდა ავტორთა კოლექტივი - გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები: პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა გურგენიძე, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი კახა დემეტრაშვილი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ხადური, მანანა სალუქვაძე, ნოდარ ნაფეტვარიძე, დავით გოგიჩაიშვილი, ზაზა ჩაგანავა, მიხეილ გვარჯალაძე.
კანონთა თემატური ნუსხა, ანუ შემოტავაზებული დარგები და სფეროები დალაგებულია ანბანურად, ხოლო თავად კანონები თითოეულ ჯგუფში - ქრონოლოგიურად - ახლიდან ძველისაკენ.
კანონთა ნუსხაში ცალკე ქვეთავად იქნა გამოყოფილი საქართველოს ორგანული კანონები, რადგან საქართველოს კონსტიტუციამ და „ნორმატიული აქტების სესახებ „საქართველოს კანონმა ამ ტიპის კანონებს საგანგებო ადგილი დაუთმო.
წინამდებარე კრებული ვერ იქნება იდეალური, რაც გამომცემლებს აქვთ გაცნობიერებული. მადლიერი ვიქნებით, თუკი მკითხველი მოგვაწოდებს საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს, რაც შემდგომი გამოცემებისას იქნება გათვალისწინებული.

48. 34(09)/17 (ელექტრონული კოდი: 2016-6135) მიხაილოვა ნ.ვ., ივანოვი ა.ა., ასანიძე ს.ხ. რომის სამართალი. მთავარი რედაქტორი: პროფესორი ნ.დ. ერიაშვილი. თბილისი, 2009 წ. 223 გვერდი., დერია „გამოცდა“ გამომცემლობა „სანმართლიანი საქართველო“.

რომის სახელმწიფოს საზოგადოებრივ-სამართლებრივი სფეროს საფუძვლები შუქდება ძველი რომის საზოგადოებრივი ცხოვრების კერძო სამართლებრივი საწყისების სპეციფიკასთან ურთიერთკავშირში. რომის სამართლის ისტორიის პერიოდიზაცია და რომის სამართლის წყაროების სისტემატიზება, ასევე საოჯახო, საგნობრივი, ვალდებულებითი და მემკვიდრეობითი სამართალი განიხილება ისეთი ფორმით, რაც შემსწავლელს საშუალებას აძლევს ადვილად და სწრაფად მოიძიოს სასურველი მასალა განვლილი მასალის გასამეორებლად და გამოცდის ჩასაბარებლად, ან ცათვლის მისაღებად რომის სამართალში.
იურიდიული პროფილის სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისა და იურისპრუდენციით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

49. 341.45/1 (ელექტრონული კოდი: 2013-0346) ცვარამია ვეფხია, ინტერპოლი და ევროპოლი. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები. რედაქტორი: პროფესორი ლევან ალექსიძე. რეცენზენტი პროფესორი ირინა ქურდაძე. თბილისი, 2009 წ. 307 გვერდი., სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველი გამოკვლევაა, რომელიც ინტერპოლისა და ევროპოლის ჩამოყალიბების, მისი იურიდიული ბუნების განვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის თეორიასა და პრაქტიკაში არსებული

პრობლემების წარმოჩენას ეთმობა. ნაშრომში ცალკეულ პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით მოცემულია ავტორისეული თვალთახედვა. ნაშრომში დოგმატური, ნორმატიული და შედარებითი სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით კომპლექსურადაა გამოკვლეული ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურების თავისებურებები, მათი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მაშტაბით ეფექტური საქმიანობის სპეციფიკა. აქვე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს ინტერპოლის ეცბს (ეროვნული ცენტრალური ბიუროს) საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების პრობლემებს და პრაქტიკულ საკითხებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობაა დღემდე არსებული სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შესაწავლა, კვლევა და ამის საფუძველზე პრობლემის წარმოჩენის გზით სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების გამომუშავება. ამავე დროს, ნაშრომის მიზანია მოცემული საკითხის გამოკვლევით მისი პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენა და სასწავლო პროგრამებში დანერგვა სათანადო კადრების მოსამზადებლად.

50. 34(09)/18 (ელექტრონული კოდი: 2012-0715) ლობჟანიძე გივი. რომის სახელმწიფო და სამართალი 1 ტ. რედაქტორი: რომან შენგელია. ქუთაისი, 2009 წ. 495 გვერდი. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. რეცენზენტები: გურამ სანიკიძე, შალვა ქურდაზე, საგამომცემლო ცენტრი.

პროფესორ გ. ლობჟანიძის ნაშრომი „რომის სახელმწიფო და სამართალი“ შექმნილია რომის სამართლის წყაროებსა და უახლოეს პერიოდში გამოცემულ რუსულ და ევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, შეფასება აქვს მიცემული მანამდე ქართულად გამოქვეყნებულ მასალებს. კვლევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომელიც რომაული სამართლის რეცეგციამ განაპირობა ქართული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ფორმირების პროცესში. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ წიგნში „რომის სახელმწიფო და სამართალი“ - განხილულია სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, სისხლის, სამხედრო, საფინანსო, საპროცესო, სასტატუსო სამართალი და ეძღვნება პროფესორ ლევან სანიკიძის ხსოვნას, ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და რომის სახელმწიფოსა და სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

51. 34(09)/18 (ელექტრონული კოდი: 2012-0718) ლობჟანიძე გივი. რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი ტ. 2. რედაქტორი: რომან შენგელია. ქუთაისი, 2009 წ. 495 გვერდი. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. რეცენზენტები: მარიამ ცაცანაშვილი, შალვა ქურდაძე. საგამომცემლო ცენტრი.

ძველი რომის სამოქალაქო (კერძო) სამართლისადმი ინტერესიო ჯერ არ განელებულა. შექმნილია რომის სამართლის წყაროებსა და უახლოეს პერიოდში გამოცემულ რუსულ და ევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, შეფასებულია მანამდე ქართულად გამოქვეყნებული მასალები. კვლევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით

ჩამოყალიბებულია რომაული სამართლის რეცეფციით განპირობებული ის საკითხები, რომლებიც გამოკრისტალდა ქართული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ფორმირების პროცესში. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველ კარში განხილულია პირები რომის სამართალში, მემკვიდრეობის, სანივთო (ქონებრივი), საკუთრების მფლობელობის, საოჯახო-საქორწინო სამართალი და ეძღვნება პროფესორ გ. ინწკირველის მოგონებას. მეორე კარი, რომის ვალდებულებითი სამართალი, პროფესორ ქარქაშაძის ხსოვნისადმი მიღძვნილი.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფფაკულტეტის სტუდენტებისა და რომის სამოქალაქო (კერძო) სამართლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

52. 341.234/1 (ელექტრონული კოდი:) ეროვნული უმცირესობების უფლებატა მარეგლამენტირებელი ნორმები საერთაშორისო სამართალში და საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. 2010 წ. 300 გვერდი.

წინამდებარე კრებული მომზადებულია იურიდიულ-საგამომცემლო კომპანია „ბონა კაუზას“-ს და რეინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამუშაო ჯგუფის მიერ.
გამოცემა მომზადებულია საქართველოს გაეროს ასოციაციის „ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამის“ ფარგლებში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.
შესავალი „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენცია.
დეკორაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა დაცვის შესახებ. კულტურული მრავალფეროვნების უნივერსალური დეკლარაცია.
UNESCO-ს უნივერსალური დეკლარაცია განსხვავებულ კულტურატა შესახებ.
UNESCO-ს უნივერსალური დეკლარაცია კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.
ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ. ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი.
ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ადამიანის განსაკუთრებულობის თაობაზე კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი (ამონარიდი).
ოსლოს რეკომენდაცია, ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი.
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ.
ევროპის კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი.
კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ.
საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის

შესახებ (ამონარიდი).
ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ევროპის სოციალური ქარტია (ამონარიდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ბავშვის უფლებათა კონვენცია. კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ.
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების შესახებ.
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ამონარიდი).
2005 წლის აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №639.
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონვენციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.
2009 წლის 8 მაისის საქართველოს მთავრობის განკარგულება №348.
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
საქართველოს კონსტიტუცია.
საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.
საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შეახებ (ამონარიდი).
საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ამონარიდი).
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ამონარიდი).
საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (ამონარიდი).
საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი (ამონარიდი).
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, კულტურის შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (ამონარიდი).
საქარტველოს კანონი, უმაღლესი განათლების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, პროფესიული განათლების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, ზოგადი განათლების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, სამოქალაქო აქტების ტეგისტრაციის შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, მაუწყებლობის შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, სიტყვისაქ და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, საჯარო სამსახურის შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს ორგანული კანონი, რეფერენდუმის შესახებ (ამონარიდი).
საქართველოს კანონი, პაციენტის უფლებების შესახებ (ამონარიდი).
2005 წლის 28 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება

№127.
ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ (ამონარიდი).
იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე გამოცემა თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საქმეში.

53. 34(02)/16 (ელექტრონული კოდი: 2012-0136) გაჩეიშვილი ალ. სამართლის ზოგადი თეორია. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2010 წ. 235 გვერდი. გამომცემლობა „სამართალი“. რედაქტორები: ო. გამყრელიძე, მ. მარინაშვილი.
წიგნი გამოიცა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

ამართლის ოზგად თეორიას, როგორც იურიდიულ მეცნიერებას, უცილობლად დიდი მნიშვნელობა აქვს: მას შეჰყავს მოსწავლე იურიდიულ მეცნიერებათა შესწავლაში; იგი აძლევს მოსწავლეს სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნას.
ამ წიგნში გადმოცემულია: თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული თეორიები სამართლის შინაარსისა და წარმოშობის შესახებ, აგრეთვე დახასიათებულია სამართალი ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობით, საჯარო და კერძო სამართლის განსხვავების საფუძველი და სამართლის პრაქტიკული გამოყენება. რაც შეეხება იმ მიმართულებას, რომელსაც სამართლის განსაზღვრაში შეაქვს სოციოლოგიური თვალსაზრისი და მეთოდები ეს მიმართულება გამოყოფილია (განსაკუთრებით, ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება).
წიგნი უნიკალურია მასში გამოყენებული წყაროების სიმრავლითაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისი პრობლემების თეორიულ დონეზე დამუშავებას. ვფიქრობთ, რომ ეს გამოცემა დაეხმარება სამართლის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს.

54. 341.43/5 (ელექტრონული კოდი: 2012-1150) ლტოლვილთა სამართალი. თბილისი, 2010 წ. 180 გვერდი., გამომცემლობა „ბონა კაუზა“

საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის №1996-II-ს დადგენილებით.
1967 წლის 31 იანვრის ოქმი, ლტოლვილთა სატატუსის სესახებ.
კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.
საქართველოს კანონი, ლტოლვილთა შესახებ.
საქართველოს კანონი, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.
საქართველოს კანონი, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ.
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2008 წლის 27 სექტემბერს №117 ბრძანება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2002 წლის 10 აპრილის №8 ბრძანება
ლტოლვილთა რეგისტრაციის და მოწმობის გაცემის წესის შესახებ.
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 12 ნოემბრის №1398 ბრძანება საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და ლტოლვილთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის (სამგზავრო პასპორტისა და დოკუმენტის) გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

55. **341.1(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2013-2182) იან ბრაუნლი, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები (მეშვიდე გამოცემა). რედაქტორი: თაინათინ ხიდაშელი. სტილი და კორექტურა: ანა ჯაბაშვილი, გამოც. პასუხისმგებელი: თამარ მეტრეველი, თარგმანი: გიორგი კუკულავა, სალომე მეუნარგია, ეკა სირაძე, ერეკლე გლურჯიძე. თბილისი, 2010 წ. 823 გვერდი.** [საია].

წიგნის ბოლო გამოცემის დღიდან ცვლილებები სამართლის მრავალმა დარგმა განიცადა. ზომები იყო მიღებული მთელი რიგი თემების განახლებულად გაშუქებისთვის, მათ შორის სასამართლო იმუნიტეტის, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის, ირიბი ექსპროპრიაციის, სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულებისა და არაფორმალური ექსტრადიციის.
ამ დროს, განახლების პროცესს თან ახლდა შეფერხებები. ბოლოდროინდელი რთული მოვლენების დეტალურად გაშუქების ცდუნება უგულებელყოფილ იქნა. ასეთი მოვლენების ადეკვატურად გაშუქება სამართლის სახელმძღვანელოს საზღვრებს საგრძნობლად გასცდებოდა. წიგნი საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპების ანალიზს კვლავაც სტანდარტულობის ფარგლებში მოქმედი სამართლის თვალსაზრისით გადმოსცემს.
ახალი ტექსტი საერთაშორისო სასამართლოს არსებით პრეცედენტულ პრაქტიკას და საერთაშორისო სამართლის კომისიის ბოლოდროინდელ შრომებს ასახავს.

56. 347.771/1 **(ელექტრონული კოდი: 2012-1730)** საპატენტო სამართალი. სამრეწველო საკუთრების სამართალი. საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული. გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010, გვერდი. 257.

კრებულში წარმოდგენილია საპატენტო და სამრეწველო საკუთრების სამართლის მარეგლამენტირებული საქართველოს კანონები და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებსაც მიერთებულია საქართველო.
კანონები კოდიფიცირებულია და მოყვანილია საკონტროლო მდგომარეობაში.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, ადვოკატებისათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის, საპატენტო სამართლის საკითხებით

დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

57. **341.217/1(ელექტრონული კოდი: 2013-8893) გეფერიძე დ., ხაზალია ა. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. რედაქტორი: ელიზბარაშვილი ნ., თბილისი, 2011 წ. 313 გვერდი. რეცენზენტები: პატარაია დავითი, კახი ყურაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“.**

წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ცნებისა და არსის განსაზღვრის პრობლემები, წყაროები, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის რეგულირების ასპექტები და სხვა დებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების საკითხებზე.
წიგნის მიზანია, გააცნოს დაინტერესებულ პირებს საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის, როგორც სპეციფიკური დარგის თავისებურებანი.
განკუთვნილია საერთაშორისო სამართლის პრობლემებისთ დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

58. **342.4/114 (ელექტრონული კოდი: 2012-1557) მელქაძე ოთარი. ქართული კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი (წიგნი მეორე). რეზენზენტები: გ. კვერენჩხილაზე, დოქტორი, სრული პროფესორი, გ. თევდორაშვილი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. თბილისი, 2011 წ. 583 გვერდი. გამომცემლობა „უნივერსალი“.**

წიგნი გამოიცემა სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.
წარმოდგენილი ნაშრომი - „ქართული კონსტიტუციონალიზმი“, პირველი ცდაა ღრმად იქნეს გაანალიზებული და სათანადოდ შეფასებული საქართველოს კონსტიტუციური მოდელირების წარსული და ამწყო. ნაშრომი შედგება ორი წიგნისგან.
მეორე წიგნში დეტალურად არის განხილული საქართველოს კონსტიტუციური მოწყობის სახელმწიფო სისტემა. სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუციონალური კონსტრუქცია განხილულია ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონოლოგიურ დინამიკაში - საქართველოს 1921 და 1995 წლების კონსტიტუციების, 1992, 2004 და 2010 წლების კონსტიტუციური კანონების პაკეტის თავისებურებების თვალტახედვით. მათი ხარვეზები და ნაკლოვანებები წარმოჩენილია კონსტიტუციონალიზმის პოზიტიური ტენდენციებისადმი შედარებითი ანალიზის მეთოდით.საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნეგატიურ პრაქტიკას უპირისპირდება ე.წ. პოზიტიური იგავები კონსტიტუციონალიზმიდან - კონკრეტული მოსაზრებებისა და პრაქტიკული წინადადებების სახით - ქართულ კონსტიტუციონალიზმში არსებული ცდომილებების აღსაკვეთად.
განკუთვნილია იურიდიული და პოლიტოლოგიის სპეციალობების მაგისტრანტებისათვის, ქართული კონსტიტუციონალიზმის პრობლემებით

დაინტერესებულ პირთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

59. 34(02)/12 (**ელექტრონული კოდი:2012-6303) ლობჟანიძე გივი, ტუკვაძე ავთანდილი, ჯაოშვილი გიორგი. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. რედაქტორები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გერონტი შუშანაშვილი. თფ., 2012 წ. გამოცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 271 გვერდი. რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ღლონტი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რობერტ გოლეთიანი.**

წიგნი ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის (1926-2004) ნათელ ხსოვნას.
ნაშრომში განხილულია სამართლის ფილოსოფიის ძირითადი კონცეფციები, მისი ადგილი ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში, სათანადო ყურადღება მიექცა ფილოსოფიის სქემატურ სურათს, სამართლის ფილოსოფიური და კულტურული მემკვიდრეობის წინამძღვრებს, სამართლის ფილოსოფიისა და სახელმწიფო თანაფარდობის პრობლემებს. მასში სამართლის ფილოსოფიის საკითხთა რიგი განხილულიათანამედროვე ფილოსოფიური და იურიდიული მეთოდების დახმარებით.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, დოქტორანტებისა და სამართლის ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველტათვის.
წიგნი გამოსაცემად რეკომენდებულია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

60. 34(09)/15 (ელექტრონული კოდი: 2015-7710) მეტრეველი ვალერიანი, რომის სამართალი (საფუძვლები). რედაქტორები: იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ. კორძაია-სამადაშვილი. თბილისი, 2012 წ. 135 გვერდი. გამომცემლობა „მერიდიანი“. რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ჭანტურია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ზოიძე.

წიგნში განხილულია რომის სამართლის ძირითადი საკითხები: სამართლის წყაროები, სახელმწიფო, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო სისხლისა და პროცესუალური სამართლის დარგები. აღსანიშნავია, რომ რომი უკანასკნელი მონათმფლობელური სახელმწიფოა.
რომის სამართალი უაღრესად პროგრესიული მოვლენაა მანამდე არსებულ სამართლებრივ სისტემებთან შედარებით, იგი გამოირჩევა ცნობების სიზუსტითა და იურიდიული ტექნიკის მაღალი დონით.
ნაშრომი ძირითადად გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მას ინტერესით გაეცნობა აგრეთვე ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველიც.

61. 347.82/2 **(ელექტრონული კოდი: 2012-5332)** გეფერიძე დავით. საერთაშორისო საჰაერო სამართალი. სამეცნიერო რედაქტორი - ლ. ალექსიძე, რეცენზენტი - ი. ქურდაძე. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წ. გვერდი. 755.

საერთაშორისო საჰაერო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი არანაკლებ სერიოზულ როლს ასრულებს შიდასახელმწიფოებრივ სამართალშიც.
წიგნი ეძღვნება თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართალს. მისი მიზანია საერთაშორისო საჰაერო სამართლის რეგულირების პრობლემის შესწავლა და სამართლებრივი რეგულირების შედარებითი ანალიზის გათვალისწინების საფუძველზე, სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტუალური პრობლემების კვლევა, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ასეთი რეგულირების ეფექტიანობა.
წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები: საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნების და არსის განსაზღვრის პრობლემები, წყაროები, საჰაერო მიმოსვლის სამართლებრივი რეჟიმები, საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები, პრეცენდენტები საერთაშორისო საჰაერო სამართალი.

62. 347.9/27 **(ელექტრონული კოდი: 2012-5248) ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. რედაქტორი: რ. შენგელია, რეცენზენტები: თ. ზამბახიძე, ვ. ხრუსტალი, რ. ხურცილავა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წ. გვერდი. 755**

სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში შემოღებულ იქნა ახალი ინსტიტუტები და ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს დარღვეული უფლების სწრაფად, რეალურად და ეფექტიანად აღდგენას.
გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ნორმების სწორად გამოყენებას პრაქტიკაში, რაც შეუძლებელია მათი არსის გარკვევის, მათი ზუსტი შინაარსის დადგენის გარეშე.
ნაშრომში წარმოდგენილია საპროცესო სამართლის დებულებათა არსი, ის, თუ რა ფუნქციას ასრულებს თითოეული ნორმა თუ ინსტიტუტი საპროცესო სამართალში, ასევე ამ ნორმათა ხარვეზები და მათი აღმოფხვრისა და ნორმათა სრულყოფის მიზნით, წამოყენებული შესაბამისი წინადადებები.
ნაშრომში გამოყენებულია სტრასბურგის სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც მოცემულია ამა თუ იმ საპროცესო ნორმის სასამართლო განმარტებანი, ასევე გათვალისწინებულია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე მოსამართლეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკა, რაც პრაქტიკულ ღირებულებას ძენს ნაშრომს.
ნაშრომში ასახულია ყველა საკანონმდებლო სიახლე. განკუთვნილია იურისთათვის.

63. 34(02)/15 ლობჟანიძე გივი, ლობჟანიძე დავითი, ივანიშვილი დავითი. სამართალმცოდნეობის შესავალი. რედაქტორი: რომან შენგელია, სრული პროფ, თბილისი, 2012 წ. 63 გვერდი. რეცენზენტები: რომან შენგელია, სრული პროფესორი, ჯემალ გახოკიძე, სრული პროფესორი, შენგელი ფიცხელაური, სრული პროფესორი, ჯამლეთ ბაბილაშვილი, სრული პროფესორი, თამარ ვეფხვაძე, ასისტენტ პროფესორი

სამართალმცოდნეობის შესაცალი შედგენილია სისტემური მეთოდის საფუძველზე და ძირითადად გათვალისწინებულია, როგორც იურისტების ასევე არაიურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის. მასში განხილულია ქართული სამართლის სისტემაში შემავალი წამყვანი დარგების და დისციპლინის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა რომის სამართლის საფუძვლები, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრება, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, სამართლის მეთოდები, მუნიციპალური სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართლის მეთოდები, მუნიციპალური სამარტალი, ადამიანის უფლებათა სამართლის პრობლემები, სისხლის სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის, საარცევნო სამართლის საკითხები, საკორპორაციო სამართალი, დახასიათებულია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები. წიგნი სამსახურს გაუწევს, ასევე დასახებული საკიტხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.
ყდაზე გამოსახულია მეფე ვახტანგ VI-ის პორტრეტი.
წიგნი ეძღვნება მეგობრებს: გივი ყვარელაშვილს, ზურაბ გვიშიანის, ნოდარ გელოვანის ნათელ მოგონებას.
წიგნი გამოსაცემად და სახელმზღვანელოდ რეკომენდებულია საავიაციო, ტექნიკური უნივერსიტეტების და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

64. 341.217(02)/1 (ელექტრონული კოდი:2012-5390) გაბრიჩიძე გაგა. ევროპული კავშირის სამართალი. რედაქტორი: თამარ გაბელია. თბილისი, 2012 წ. 352 გვერდი. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.

ევროპულ კავშირთან დაახლოება და ევროპულ კავშირში ინტეგრაცია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყო. ამის თაობაზე სხვადასხვა დონეზე არაერთხელ გაკეთებულა პოლიტიკური განცხადებები და გადადგმულა ნაბიჯები, რომლებიც ევროპულ კავშირში გაწევრიანების მიმართ ინტერესის არსებობის დადასტურებად შეიძლება იქნეს აღქმული.
სახელმძღვანელო ბუნებრივია, შევიდა უმაღლეს სასწავლებლებში ევროპული კავშირის სამართლის კურსის ფარგლებში განსახილველი თემები, თუმცა სახელმძღვანელო განკუთვნილია არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ ასევე ევროპული კავშირის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წლისათვის.

65. 347.735(02)/1 **(ელექტრონული კოდი: 2013-1768)** ჭანტურია ლადო. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012 წ. გვერდი. 303

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ყოველი განვითარებული მართლწესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა და მასზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობა.
კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი სამოქალაქო სამართლის ნაწილია და განეკუთვნება კერძო სამართალს, აქედან გამომდინარე წიგნი ეძღვნება კრედიტის (მოთხოვნის) უარუნველყოფის მხოლოდ იმ საშუალებებს, რომელთაც საბაზრო ურთიერთობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ და ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იყენებენ.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის და სკოლების მოსწავლეთათვის, ასევე საკრედიტო საქმით დაინტერესებული იურისტებისა თუ ეკონომისტებისათვის.

66. 341(082)/1 (ელექტრონული კოდი: 2015-2348) ალექსიძე ლევანი, საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკურ ხანიდან დღემდე) 1 ნაწილი, ისტორია, კონცეფციები, პოლემიკა. რედაქტორი: ქეთევან ხუციშვილი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012 წ. 850 გვერდი. 1957-2012 წლებში გამოქვეყნებული რჩეული ნაშრომები.

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია აკადემიკოს ლევან ალექსიძის რჩეული ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნდა 1957-2012 წლებში და ეხება: საქართველოს ისტორიის საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ურთულეს თეორიულ პრობლემებს, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული სეპარატიზმისა და რუსეთის აგრესიული ქმედებების კრიტიკულ ანალიზს. მასში გაერთიანებულია აგრეთვე ლევან ალექსიძის მონაწილეობით შექმნილი დამოუკიდებელი საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი შიდა და საერტაშორისო პოლიტიკური ოფიციალური დოკუმენტები.
კრებული განკუთვნილია ისტორიკოსებისთვის, იურისტებისთვის, პოლიტოლოგებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის. იმედს გამოვთქვამთ, რომ კრებული ფართო საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვევს.

67. 347.63/3 (**ელექტრონული კოდი: 2013-3364**) გელაშვილი ირმა
ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა
რედაქტორი - თ. ნინიძე
გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წ. 243 გვერდი.

დაბადებამდელი ბავშვის სტატუსი ბუნდოვანია არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო სამართალშიც.
ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან.
პირველ თავში გაანალიზებულია ჩანასახის სიცოცხლისა ნდა ღირსების უფლება საერთაშორისო კონვენციებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.

მეორე თავი ეხება ჩანასახის სტატუსსა და მის ქონებრივ უფლებებს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კერძოდ მემკვიდრულ ყოფნის, სარჩოს მიღებისა და მუცლადყოფნისას მიყენებული ბინის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს.
მესამე თავში წარმოდგენილია ჩანასახის უფლებრივი მდგომარეობა თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიის პირობებში, განხილულია სინჯარის ემბრიონთა ბიოლოგიური, მორალური და სამართლებრივი სტატუსი.
მეოთხე თავი ეთმობა ემბრიონთა დონაციის - „გაშვილების“ სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებს.
მეხუთე თავში განხილულია ემბრიონის ღეროვანი უჯრედების სამართლებრივი და ეთიკური საკითხები.
მეექვსე თავში ჩანასახი განხილულია სუროგატული დედობის ხელშეკრულების შინარსში, როგორც მომსახურების რეზულტატი და წარმოჩენილია ამ გარიგების სამართლებრივი და ეთიკური მხარეები.
მეშვიდე თავში ჩანასახი წარმოდგენილია ზონის წყაროდ, კერძოდ განხილულია დაუგეგმავი - არასასურველი ჩასახვისა და ბავშვის არასასურველი დაბადებისათვის მშობელთა მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები.

68. 341.33(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2013-3259) ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. რედაქტორები: პროფესორი რომან შენგელია, პროფესორი მარინე კვაჭაძე. რეცენზენტები: პროფესორი დავით გეფერიძე, პროფესორი გენედი ბენიძე, პროფესორი რევაზ დიასამიძე. თბილისი, 2013 წ. 55 გვერდი., პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“.

წიგნი ეძღვნება დამსახურებული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის გურამ თავართქილაძის ნათელ ხსოვნას (1946 წ. 13.10 – 2009 წ. 08.11)
სახელმძღვანელოს გამოცემა რეკომენდებულია საქართველოს ტექნიკური და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტების, ასევე გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოების მიერ.
საქართველოს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია, რომლითაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის, მის მასობრივ და ინტენსიურ სწავლების პროცესს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ისწავლება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა ტარდება სემინარები ჰუმანიტარული სამართალი ისწავლება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა ტარდება სემინარები ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე, სადაც მონაწილეობას იღებს როგორც სტუდენტი ახალგაზრდობა, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და სამთავრობო სტრუქურების წარმომადგენლები. მათი მიზანია იურისტებში, სამთავრობო და აკადემიურ წრეებში ამაღლდეს ჰუმანიტარული სამართლის ცოდნა. მისი ნორმებისა და პრინციპებისადმი პატივისცემა.
წინამდებარე ნაშრომში განხილულია ყველა დროისათვის აქტუალური საკითხები, რომლებიც შედიან საერთაშორისო კონფლიქტების ანუ საერთაშორისო ჰუმანიტარული

სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში. მასში კომპლექსურად და მრავალმხრივ არის განხილული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი საკითხები, დაწყებული მისი განსაზღვრიდან, წყაროებიდან და პრინციპებიდან, დამთავრებული სახელმწიფოთა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობით ომის წარმოების წესების დარღვევისათვის.
მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევისა, სამწუხაროდ, შეიარაღებული კონფლიქტები ცხოვრების თანამგზავრად იქცა.

69. 342(02)/18 (ელექტრონული კოდი: 2013-15295) ამირან მოსულიშვილი, მანანა მოსულიშვილი. შესავალი სამართალმცოდნეობაში, წიგნი 1 (სახელმწიფოს თეორია). რედაქტორი: გივი ლობჟანიძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. რეცენზენტები: ვაჟა გურგენიძე პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გიორგი თარდი, სამართლის დოქტორი, პროფესორი. მანანა კოპალიანი - სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. თბილისი, 2013 წელი, 600 გვერდი., გამოცემლობა „გეორგიკა“.

წინამდებარე სახელმძღვანელო „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, წიგნი 1 განკუთვნილია უმაღლესი იურიდიული სასწავლებლებისა და სამართლის სკოლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.
სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნებას თან ერთვის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შეხედულება, დისკუსია, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის კონცეფციები, მიდგომები სახელმწიფოსა და სამართლის სოციალური დანიშნულების ბუნების არსის შესახებ. ნაშრომში გადმოცემულია სხვადასხვა შეხედულება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ არსებულ პრობლემურ საკითხებზე, თუმცა, არ გავურბივართ არც ადრე არსებულ კონცეფციებს, რამდენადაც, მიგვაჩნია, რომ ადრეც ქვეყნებოდა სერიოზული და მნიშვნელოვანი შრომები და მოთხოვნადი ღირებული მასალა.

70. 347.7/12 (ელექტრონული კოდი: 2013-9693) Chechelashvili Zurab Introduction to the Georgian business law. Text book. Giz, 2013 Tbilisi, 2013 y., 365 p.

This work – Introduction to the Georgian business law is the first attempt of creating an up-to-date text book in the field of business law in English language. For the first time after adoption of the new Civil Code of Georgian in 1997 any foreign English-speaker researcher or interested person has the rare opportunity to overview all main legal institutions of the Georgian civil, corporate and labour law fields directly in his/her native language without translation.
Part 1. Notion and system of law. General part of civil law
Part 2. Contract law
Part 3. Law of property
Part 4. Corporate law

Part 5. Labour law

71. 341.217/1 (ელექტრონული კოდი: 2015-5717) გეფერიძე დავითი, ხაზალია ავთანდილი. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და ტრანსნაციონალური კორპორაციები (მეორე გადამუშავებული გამოც.) თბილისი, 2014 წ. 339 გვერდი. რეცენზენტები: დავით პატარაია, კახი ყურაშვილი. გამომცემლობა „ბონა კაუზა“

წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები: საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ცნების და არსის განსაზღვრის პრობლემები, წყაროები, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის რეგულირების ასპექტები, თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების შესახებ და სხვა დებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების საკითხებზე.
წიგნის მიზანია გააცნოს დაინტერესებულ პირებს საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის, როგორც სპეციფიკური დარგის თავისებურებანი.
წიგნი დახმარებას გაუწევს იურისტ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, დოქტორანტებსა და პედაგოგებს. ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

72. 347.78(02)/1 (**ელექტრონული კოდი: 2014-6373**) ძამუკაშვილი დავით
ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი. მეორე გამოც. (გათვალისწინებულია 2013-2014 წწ. საკანონმდებლო ცვლილებები)
გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2014 წ. 505 გვერდი.

მონოგრაფია ადრინდელი წიგნის „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ მესამე გამოცემის ძირეული გადამუსავების საფუძველზეა 2012 წელს შექმნილი, რაც გამოიწვია ინტელექტუალურ უფლებათა სფეროში 2010 წლის ცვლილებებმა. გადამუშავება იმდენად ძირეული იყო, რომ წიგნი ახალი სათაურით გამოვიდა და ეს მისი გამოცემაა. მასში ინტელექტუალური უფლებები და ურთიერთობები განხილულია ზოგადი არსიდან მოყოლებით. წიგნი გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოდ. იგი გაუადვილებს საგნის შესწავლით დაინტერესებულ პირებს ინტელექტუალურ უფლებათა სამართლისათვის დამახასიათებელ საფუძვლებში გარკვევას.

73. 347.9(02)/5 (**ელექტრონული კოდი: 2014-2963**) ლილუაშვილი თენგიზ, ლილუაშვილი გია, ხრუსტალი ვალერი, ძლიერიშვილი ზურაბ
სამოქალაქო საპროცესო სამართალი I ნაწილი
რედაქტორი - თოდრია თეიმურაზი
გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წ. 371 გვერდი.

სახელმძღვანელო ორ ნაწილად არის გათვალისწინებული.

I ნაწილი, ე.წ. ზოგადი ნაწილი, მოიცავს ყველა ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ მასალას სარჩულის აღძვრამდე.
სახელმძღვანელო „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, ნაწილი I, შემუშავებული იქნა წამყვანი მეცნიერების - პროცესუალისტების მიერ, კერძოდ მეხუთე თავი - საქმის წარმოება სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით, დამუშავდა სამართლის დოქტორის ზურაბ ძლიერიშვილის მიერ. VI თავი - სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა - სამართლის დოქტორის ვალერი ხრუსტალის მიერ, სახელმძღვანელოს დანარჩენი ნაწილი დამუშავდა სამართლის დოქტორის გია ლილუაშვილის მიერ, 2005 წელში გამოცემული თ. ლილუაშვილის სახელმძღვანელოს „სამოქალაქო საპროცესო სამართლის“ საფუძველზე, დღევანდელი კანონმდებლობისა და დოგმატური შეხედულებების გათვალისწინებით.

74. 34(02)/17 (ელექტრონული კოდი: 2015-11751) ალფაიძე თ. სამართალმცოდნეობის შესავალი მეორე გამოცემა. რეცენზენტები: ბეგიაშვილი მალხაზი, თევდორაშვილი გიორგი, იზორია ლევანი, კვერენჩხილაძე გ., რუხაძე ზაზა, ყურაშვილი კახი, ცნობილაძე პაატა. თბილისი, 2015 წ. 447 გვერდი., „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.

სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა საკაცობრიო კულტურის ნაწილია და მასზე დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ხარისხი და ხასიათი. წარმოდგენილი სახელმძღვანელო „სამართალმცოდნეობის შესავალი“ განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტისა და სამართლის სკოლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე იმ პირობისთვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა იურისპრუდენციაში. სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის გაშუქებული სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების არსი, მათი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი და ზოგადი კანონზმიერებანი, ახსნილია იურისპრუდენციის ფუძემდებლური ცნებები და კატეგორიები.
„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში წამყვანი სასწავლო დისციპლინაა, იურისპრუდენციის ერთგვარი კარიბჭეა, რომლის გავლისა და ათვისების გარეშე შეუძლებელია იურიდიული სამყაროს აღქმა და გაცნობიერება. სახელმძღვანელოში გამოყენებულია სათანადო ნორმატიული აქტები, ქართველი სწავლული იურისტების შრომები, უცხოენოვანი ნლიტერატურა. თეორიული დებულებანი ილუსტრირებულია შესაბამისი სქემებით, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ შესასწავლ მასალას, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტს თეორიული ცნებებისა და კატეგორიების ათვისებასა და დამახსოვრებას.

75. 341.217(083)/1 (ელექტრონული კოდი: 2015-7597) მირიანაშვილი გიორგი. ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი. რედაქტორები: ანა ფირცხალაიშვილი, მალხაზ ბეგიაშვილი. თბილისი, 2015 წ. 183 გვერდი. გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“.

ევროპა ღირებულებათა სისტემად, ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტებად აღიქმება. ევროპული კავშირი კი მთელი ამ ღირებულებებისა და პრინციპების გაერთიანების, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემატიზაციის მცდელობაა.

ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი წაროადგენს ახალგაზრდა მკვლევარის ნაშრომს, რომელიც ლაკონურ და იმავდროულად ამომწურავ პასუხსა სთავაზობს იმ კითხვებს, რომელიც ევროპული კავშირის სამართლებრივი წესრიგის შესახებ შეიძლება წარმოიშვას.
ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი არის ევროპული სამართლებრივი სისტემის შესახებ ქართულ საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და ცოდნის შევსების მცდელობა. მისი ამოცანაა აამაღლოს ცნობიერება და მისცეს პირველადი, ზოგადი ცნობა მკითხველს ევროპული კავშირის სამართლის ბუნების შესახებ, რაც საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას თითოეული მოქალაქისათვის მეტად გააზრებულსა და გათვითცნობიერებულს გახდის. ცნობარის მიზანია ქართულ ენაში დაამკვიდროს ევროპულ სამართალთან დაკავშირებული ტერმინების შინაარსობრივად და ლექსიკურად გამართული გაგება.
ცნობარი განსაკუთრებით საინტერესოა იურისტებისათვის, პოლიტოლოგებისთვის, ჟურნალისტებისათვის, სოციოლოგებისა და სხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებისათვის.

76. 342.7 (082)/7 კორკელია კონსტანტინე.(რედ) ადამიანის უფლებათა დაცვა, სტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში. სტატიათა კრებული. თბილისი 2017 წელი. 198 გვერდი; 3576
სტატიათა კრებული შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი შემდეგი თემები:
კონსტანტინე კორკელია-წინასიტყვაობა.
დავით დოფიძე-ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დენონსირებისა და შეუსრულებლობის შედეგები.
თინათინ ერქვანია-არასწრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო მდგომარეობა და გამოცდილება საქართველოში.
ლევან კასრაძე -შეკრების თავისუფლების შეზღუდვა მორალისა და სხვა სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად-ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთგვაროვანი მიდგომა თუ ორმაგი სტანდარტი. ბესიკ ლოლაძე-უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში.
მაკა სტივენსონი-სახელმწიფოს პოზიციური ვალდებულება, დაიცვას თავის იურისდიქციაში შემავალი ყველა ადამიანის სიცოცხლე: მინდელის მაღაროში დასაქმებულთა მაგალითზე.
ქეთევან შუბაშვილი-ბავშვთა დისკრიმინაცია სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით.
ნინო ცუხიშვილი-საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლება მარიამ ჯიქია, დიმიტრი გეგენავა-ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებული ტერიტორიებზე.
კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისთვის, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის და ზოგადად, ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

77. 342.7(02)/4 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ანა გეგეჩკორი; რედაქტირება: რუსუდან მარგიშვილი; ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ. 2017 წელი. 2013-4903;
მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული
კრებული ერთ-ერთი ნაწილია ოთხი ტომისაგან შემდგარი გამოცემისა, რომელსაც ეწოდება „ადამიანის უფლებები და პენინტენციალური სისტემა“. ეს პუბლიკაცია შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს და განკუთვნილია პენინტენციამური სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად და რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ ტრენინგისთვის შემუშავებულ მიდგომას.
ძირითადი სახელმძღვანელო (I ნაწილი) იძლევა ინფორმაციის იმ წყაროების, სისტემებისა და სტანდარტების შესახებ, რომლებიც ციხის თანამშრომელთა მუშაობის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება.
გამოცემის II ნაწილი შეიცავს ადამიანის უფლებების შესახებ შერჩეული სხვადასხვა საერთაშორისო აქტის ფრაგმენტებსა და სრულ ტექსტებს, რომლებიც მართლმსაჯულების ადმინისტრირებას ეხება.
III ნაწილი- ტრენერის სახელმძღვანელო, წარმოადგენს ტრენერებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციებასა და რჩევებს.
IV ნაწილი- ისეა შემუშავებული, რომ ციხის პერსონალისათვის საჭირო ინფორმაცია იოლად მოსაძებნი და ხელმისაწვდომი იყოს. იგი წარმოადგენს ნორმებისა და საკითხების ყოვლისმომცველ კრებულს.
ინგლისურ ენაზე, ტექსტის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდებზე: www.ohchr.org.

78. 342.7/25 ლობჟანიძე გივი
ადამიანის უფლებათა სამართალი. რედაქტორები: ვახტანგ ქარუმიძე, ლევან მატარაძე
რეცენზენტები: მარინა კვაჭაძე, ავთანდილ ტუკვაძე
საგამომცემლო სახლი: „ინოვაცია“. თბილისი 2005 წელი, 538 გვერდი
2012-1644
ადამიანის უფლებათა სამართალი
გივი ლობჟანიძის შრომა ეძღვნება სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და საჭირო ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის პრობლემებს, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საკითხს. მასში გათვალისწინებულია ამ სფეროში თანამედროვე კონცეფციები და დოგმები. ნაშრომი მეცნიერულ-გამოყენებითი მიმართულებისაა. ოგო საღი აზრების კრებული და სამეცნიერო გამოკვლევაა თავისი დასკვნებითა და

რეკომენდაციებით. იგი ექვსი თავისაგან შედგება. ნაშრომში, საქართველოს მაგალითზე, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სამთავრობო და არასამთვარობო, საერთაშორისო ორგანიზაციებზე, საქართველოში დემოკრატიის დიდ მონაპოვარზე, სახალხო დამცველის ინსტიტუტზე, საკონსტიტუციო სასამართლოს, პოლიციის როლსა და მნიშვნელობაზე, ჰუმანიტარული სამართლის, წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობის, ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სამართლებრივ სტატუსზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაცემულია კონკრეტული მეცნიერული პასუხი, განსაზღვრული და განმარტებულია პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები, ტერმინები, და დებულებები, რაც დაკავშირებულია ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენის და მათი დაცვის პრობლემასთან.

წიგნი წარმოადგენს იურიდიული მეცნიერების დიდ შენაძენს. იგი დაეხმარება სტუდენტებს, ასპირანტებს, პროფესორ-მასწვლებლებს, მეცნიერებს და ნებისმიერ მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია ადამიანის უფლებების დაცვის სამართლის საკითხების შესწავლით.

წიგნი ეძღვნება პროფესორ ვახტანგ აბაშმაძის ხსოვნას.

79. 349.2 /1 საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. 2005 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით. გამომცემლობა „Rise". თბილისი 2005
2016-7759

გამოცემაში წარმოდგენილია შრომის კოდექსის ზოგადი დებულებები- მუშაკთა უფლება-მოვალეობები, შრომის ხელშეკრულებების პირობები და მათი ბათილობა. აგრეთვე, დებულებანი შრომის დისციპლინის, სამუშაო თუ დასვენების დროის, ხელფასის ოდენობის, ქალთა და ახალგაზრდათა შრომის შესახებ. განსაზღვრულია შეღავათები იმ მომსახურეებისა, რომლებიც მუშაობას უთავსებენ სწავლას და სხვა.

80. 343.359/3 ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტები; ინსტრუქციათა კრებული; გამომცემლობა „რაიზი"; თბილისი 2005; გვერდი.175; 2013-11915

ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტები; ინსტრუქციათა კრებული; გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის წერის შესახებ. 2. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელ რეგისტრაციის წესის შესახებ. 3. დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ 4. აქციაზე დეკლარაციის შევსების წესის შესახებ 5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის შესახებ 6. სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ 6. სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ 7. სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმის და მისი შეჯამების წესის შესახებ. 8. უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის და ანგარიშების წარდგენის წესი. 9. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები 10. ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარირების წესის შესახებ. 11. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშება.

81. 342.7/17 აქტიური მოქალაქეობის სახელმძღვანელო. რედაქტორები: თამაზ ასათიანი, აკაკი მინაშვილი. თავისუფლების ინსტიტუტი, 2005. თბილისი 2005 წელი, 125 გვერდი.

2012-1649
ნაშრომი შედგება შემდეგი საკითხებისაგან:
ნაწილი I. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალება.
თავი1. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფილოსოფიური და ისტორიული ფესვები.
ძველი საბერძნეთი
რელიგიური საუძველი
შუა საუკუნეები მე-20 საუკუნე.
თავი 2. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორია.
2.1. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის განმარტება.
ნაწილი II. არაძალადობრივი ბრძოლის თეორია, სტრატეგიული არაძალადობრიობა და კამპანიების წარმოება.
თავი 1. პოლიტიკური ძალაუფლება: ფორმები და საფუძველი
თავი 2. არაძალადობრივი ბრძოლის ფორმები და მეთოდები.
ნაწილი III. პრაქტიკული რჩევები, რომელიც მოიცავს სხვადსხვა საკითხისა და სტრატეგიის შერჩევას, კამპანიებსა და აქციებს.
წიგნის გამოცემა დაფინანსებულია დემოკრატიის ეროვნული ფონდის (National Endowment for Democracy) მიერ.

82. 342.4/101 იზორია ლ; კორკელია კ; კუბლაშვილი კ; ხუბუა გ;
საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. პროექტის დირექტორი: გ. ხუბუა. როექტის კოორდინატორი: რ. ბაქანიძე. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2005. თბილისი 2005. 426 გვერდი. 2012-1339
ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი
კონსტიტუციის ტექსტის სწორი ინტერპრეტაციისათვის არ არის საკმარისი განმარტების ჩვეულებრივი მეთოდები, ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა პრინციპებიც. კონსტიტუცია განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიან წესრიგს.
კონსტიტუციური ნორმები თანაბარი რანგისაა-მათ შორის არ არსებობს არანაირი იერარქია. შესაბამისად, კონსტიტუციური ნორმების განმარტებისას მაქსიმალურად უნდა იყოს რეალიზებული კონსტიტუციის ინტეგრაციული, ერთიანობის ჩამოყალიბებული ფუნქცია კომენტარების ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.
ეძლებისდაგვარად ფართოდ არის გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, დასავლეთის ტრადიციული დემოკრატიისა და ე.წ ახალი დემოკრატიის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა.
კომენტარები მომზადდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.
წიგნი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფინანსური ხელშეწყობით.

83. 342(09)/8 ჩერნილოვსკი ზ.მ.
სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია. ტომი II მეორე გამოცემა.

მთარგმნელი: ვ.ლორია; რედაქტორი: მ.კეკელია. რეცენზენტი ვ. მეტრეველი. გამომცემლობა „ნეკერი“, 2005. თბილისი, 2005. 466. გვერდი. 2012-1314
წიგნში განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია XVI საუკუნიდან XX საუკუნის 70-იან წლებამდე. ავტორი თანმიმდევრულად გადმოსცემს სხვადასხვა პერიოდის ევროპის, აზიისა და ამერიკის სახელმწიფოების სახელმწიფო წყობილების, სამართლის წყაროების, სამართლის ცალკეული დარგების თავისებურებებს. ავტორი ასევე იხილავს ცალკეული ქვეყნების სპეციალურ კანონმდებლობას, განხორციელებულ რეფორმებს, პირველი და მეორე მსოფლიო ომის შედეგებს.
შრომა განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის.
მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

84. 342(09)/7 ნადარეიშვილი გიორგი
ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. რედაქტორი: ზაზა ნანობაშვილი
გამომცემელი: „ბონა კაუზა“ თბილისი 2005 წელი, 311 გვერდი. 2012-1161
წიგნში გადმოცემულია საქართველოში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხები, საინტერესოდაა მიმოხილული სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის ასპექტები, აგრეთვე დეტალურად არის გაანალიზებული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ძეგლები. საყურადღებოა, რომ ავტორი ცალკე გამოყოფს და აღწერს საქართველოში დამყარებულ რუსულ მმართველობასა და სამართალს.
წიგნში ფრაგმენტულად არის ასევე განხილული თანამედროვე საქართველოს სამართალი.
წიგნი არის წარმატებული ცდა ერთიანად და სისტემატურად იყოს გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები, უძველესი დროიდან დღემდე. განკუთვნილია იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, სამართალმცოდნეებისა და ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის.

85. 342/67 საქართველოს კანონი ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ. თბილისი 2005; 7 გვერდი; 2012-1224
საქართველოს კანონი-ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ შედგება შვიდი მუხლისაგან. ესენია: მუხლი 1-კანონის მიზანი; მუხლი 2 კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება; მუხლი 3-ამნისტიის მოქმედების წესი; მუხლი 4- არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის წესი; მუხლი 5- დაფარული ქონების დეკლარირება -ლეგალიზაციის წესი; მუხლი 6-გარდამავალი დებულებები და მუხლი 7-დასკვნითი დებულება.

86. 341.9/1 ზოიძე ბესარიონ
ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში
რედაქტორი: პროფესორილ. ჭანტურია. საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი; თბილისი 2005; 347 გვერდი. 2012-1036

წიგნი ეხმარება ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარების ძირითად მიმართულებებს ძველი დროიდან მოკიდებული, დღევანდელობით დამთავრებული. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოდიფიკაციის პრობლემებს, ევროპული კერძო სამართლის რეცეპციას ქართული სამოქალაქო სამართლის კოდექსის მაგალითზე.
ნაშრომი შედგება 6 თავისა და ქვეთავებისაგან, ესენია: ევროპული კერძო სამართლის რეცეპციის ისტორიული ფესვები საქართველოში; სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის საფუძვლები; სამოქალაქო კოდექსის ენა; სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სისტემაში; სანივთო სამართლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის თავისებურებანი.
წიგნი საინტერესოა არა მარტო ცივილისტებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც დაინტერესებულია სამართალშემოქმედების პრობლემებით.
წიგნი გამოდის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით.

87. 340.1/2 ლორია ვალერი
საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი
რედაქტორი დოცენტი გიორგი გიორგაძე; რეცენზენტები: პროფესორი ზ. ჯინჯოლავა; დოცენტი ვ. თორდია
გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005; თბილისი 2005; 447 გვერდი; 2012-0988
წიგნი შეეხება ადმინისტრაციული სამართლის კარდინალურ საკითხებს.
ადმინისტრაციული სამართალი, სამართლის ისეთი დარგია, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოში ორგანოთა გარკვეული ჯგუფის საქმიანობასა და მის დამოკიდებულებას მოქალაქეებთან.
ნაშრომში საკითხები განხილულია ახალი თვალთახედვისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე, ევროპის მოწინავე ქვეყნების, განსაკუთრებით საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების მიღწევათა მიხედვით სახელმძღვანელო აგებულია ევროსაბჭოს მიერ რეკომენდებული ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელოს ძირითად დებულებებსა და პრინციპებზე.
ნაშრომში განხილულია საქართველოს კონონმდებლობისა და საერთაშორისო იურიდიული აქტების დებულებები. იგი მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემაა.
სახელმძღვანელოდ წიგნი დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ და განკუთვნილია, როგორც სტუდენტების და ასპირანტებისათვის, ასევე ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

88. 343.359/3 ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტები; ინსტრუქციათა კრებული; გამომცემლობა „რაიზი“; თბილისი 2005; გვერდი.175; 2013-11915
ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტები; ინსტრუქციათა კრებული; გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის წერის შესახებ. 2. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელ რეგისტრაციის წესის შესახებ. 3. დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ 4. აქციაზე დეკლარაციის შევსების წესის შესახებ 5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის შესახებ 6. სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ 6.

სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ 7. სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმის და მისი შეჯამების წესის შესახებ. 8. უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის და ანგარიშების წარდგენის წესი. 9. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები 10. ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარირების წესის შესახებ. 11. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშება.

89. 343.359/2 ინსტრუქციათა კრებული; გამომცემელი „ექსპრეს-კურიერი"; თბილისი 2005 წელი. გვერდი.95; 2013-11914
ინსტრუქცია
„სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმის და მისი შევსების წესი"
„ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმისა და გაანგარიშების შევსების წესი".
დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესი"
დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რედისტრაციის წესი
გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) წესი.

90. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2005 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით; თბილისი 2005 წელი. გვერდი.103; 2012-1777
342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2013 წლის 8 აპრილის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; თბილისი 2013 წელი. გვერდი. 141; 2013-8929
342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; თბილისი 2015 წელი. გვერდი.154; 2015-11456
342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; ცვლილებებითა და დამატებებით; 2011 წლის 15 მაისამდე; გამომცემელი „ბონა კაუზა"; თბილისი 2011 წელი. გვერდი.139; 2012-1774
342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; გამოცემულია 2011 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „Rise", 2012-1762

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, გამომცემელი 2011 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.
კოდექსი შედგება 2 ნაწილისაგან: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისაგან.

კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

91. 342.9/4 ადეიშვილი ზ; ვარდიაშვილი ქ; იზორია ლ; კალანდაძე ნ; კოპალეიშვილი მ; სხირტლაძე ნ; ტურავა პ; ქიტოშვილი დ; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; პირველი გამოცემა; თბილისი 2005; გვერდი. 361; 2012-1787
ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო(2005)
სახელმძღვანელო უახლეს დროში წარმოადგენს პირველს, ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში, რომელიც ნამდვილად იმსახურებს შეფასებას „თანამედროვე“.
ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელობა მეტად გაძლიერდა ფართო საზოგადოებაში, რაც აშკარა გახდა, რომ აქ საუბარია სახელმწიფოებრიობის 2 ძირითად ასპექტზე: ერთის მხრივ ეს არის ურთიერთობა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის და მეორეს მხრივ საუბარია ფუნდამენტალური პრინციპზე, რომელიც მოიცავს მმართველობის კანონიერებას, რაც პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფო ორგანოთა კანონისმიერებას მოქალაქეებთან მიმართებაში.
ნაშრომი გვაწვდის არა კანონის კომენტარს, არამედ აღნიშნული კანონის ნორმებისა და მათი სამართლებრივი საფუძვლების განმარტებას და ამით იგი ქმნის მყარ მეცნიერულ-პრაქტიკულ საფუძველს.
სახელმძრვანელო გამოცემულია შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით.

92. 343.195/1 ვიდმარი ნეილ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; საერთო სამართლის ქვეყნები; მთარგმნელი-ნ. გვენეტაძე; თბილისი 2005 წელი. გვერდი. 344; 2013-11471
სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა
ნაშრომი წარმოადგენს ავსტრალიის, კანადის, ინგლისისა და უელსის, ირლანდიის, ახალი ზელანდიის, შოტლანდიისა და შეერთებული შტატების ნაფიც მსაჯულთა სისტემების შედარებით მიმოხილვას. მასში ასევე შესულია თავები ესპანეთისა და რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შესახებ.
ნაშრომში თავმოყრილი სტატიები ცხადად მიუთითებს იმის აუცილებლობას, რომ თითოეული სისტემა განხილულ იქნეს მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ჭრილში, ასევე მხატვრობაში იქნეს მიღებული ქვეყნის საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ასპექტები.
განხილული სტატიები წარმოადგენს ინფორმაციის მდიდარ წყაროს , რომელიც თეორიტიკოსებსა და პრაქტიკოსებს დახმარებას გაუწევს გაანალიზონ ნაფიც მსაჯულთა სისტემის ფუნქციონირება მსოფლიოს ცვლად სოციალურ და ტექნოლოგიურ გარემოში.

93. 342.924/7 ნორმატიული აქტების კრებული; ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის; სამაგიდო წიგნი. II ნაწილი.
ავტორთა კოლექტივი: კ. დემეტრაშვილი; გ. გურგენიძე; მ. სალუქვაძე; ნ. ნაფეტვარიძე; დ. გოგიჩაიშვილი; ზ. ჩაგანავა; მ. გვარჯალაძე; დ. ჯაიანი; დ. ჭიჭინაძე; ნ. ხადური; თბილისი 2005 წელი. 546 გვერდი; 2012-5573
342.924/7 ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის; სამაგიდო წიგნი ნაწილი I; ავტორთა კოლექტივი: კ. დემეტრაშვილი; ვ.

გურგენიძე; მ. სალუქვაძე; ნ. ნაფეტვარიძე; დ. გოგიჩაიშვილი; ზ. ჩაგანავა; მ. გვარჯალაძე; დ. ჯაიანი; ლ. ჭიჭინაძე; ნ. ხადური; თბილისი 2005 წელი. 445 გვერდი; 2014-6723
ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის; ნაწილი I; სამაგიდო წიგნი;
საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“
„საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის“ სერია გამოდის გაეროს განვითერების პროგრამის (UNDP) მიერ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა დაწესებულებებისათვის განხორციელებული პროექტების ეგიდით.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მეოთხე წელია წარმატებით მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი „საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება“, სხვა სერიოზულ ინოვაციებთან ერთად პროექტით გათვალისწინებულია ქვეყნის ხაზინის, საგადასახადო, საბაჟო და საბიუჯეტო სისტემების სტრუქტურული რეფორმირების მხარდაჭერა. გამოცემა გამოსულია 2 ნაწილად. მათში მოცემულია ქვეყანაში საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობასთან, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებული, აგრეთვე კანონქვემდებარე და სხვა სახის ნორმატიულ-საინსტრუქციო მასალები.
კრებული კონკრეტულ და საჭირო დახმარებას გაუწევს ქვეყნის საფინანსო სისტემაში მომუშავე მოხელეებს, ყველა გადამხდელს, ასევე ბიზნეს და საბანკო რექტორებში დასაქმებულებს და ამ მნიშვნელოვანი სფეროთი დაინტერესებულ პროფესიონალებს.

94. 342.924/5 ნორმატიული აქტების კრებული სამოქალაქო რეესტრის მოხელეთათვის; სამაგიდო წიგნი; 2005 წელი. საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“; ავტორთა კოლექტივი: კ. დემეტრაშვილი; ვ. გურგენიძე; ნ. ხადური; მ. სალუქვაძე; მ. ემირიძე; ვ. აბელიშვილი; ნ. ნაფეტვარიძე; დ. გოგიჩაიშვილი; ზ. ჩაგანავა; მ. გვარჯალაძე; დ. ჯაიანი; 2012-5164
საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“
„მოხელე და კანონმდებლობის“ სერიის მესამე-„ნორმატიული აქტების კრებული სამოქალაქო რეესტრის მეოხელეთათვის“ უპირველესად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მისი სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის მოხელეებისათვის, აგრეთვე სამართალდაცავი უწყებების თანამშრომლობისათვისაა განკუთვნილი. ის მოიცავს 31 ნორმატიულ აქტს, მათ შორის: საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანპნს „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონს „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“; საქართველოს კანონს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“; საქართველოს კანონს „ემიგრაციის შესახებ“, საქართველოს კანონს „იმიგრაციის შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებს.
კრებული სათანადო დახმარებას გაუწევს ხელისუფლების სამივე შტოს ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მეტნაკლები შეხება აქვს ან ინტერესი ამ სფეროსთან.

95. 342.9/7 ტურავა პაატა; წკეპლაძე ნათია; ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო; საქართველოს გაეროს ასოციაციის პუბლიკაცია; რედაქტორი: ელზა მეტრეველი; თბილისი 2005; 182 გვერდი; 2012-1779;
ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოში თეორიისა და პრაქტიკული მაგალითების ურთიერთშეჯერების ფონზე, პროფესიონალურ დონეზე დეტალურადაა დამუშავებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმები, ფაქტობრივი მოქმედება, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ინფორმაციის თავისუფლება, ასევე განხილულია პირველი ინსტაციის სასამართლოში სარჩელის მიღების, დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმების საკითხები. სახელმძღვანელო აგებულია იმ პრინციპით, რომ დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილდეს სამართლებრივი ნორმების მისადაგება პრაქტიკაში წამოჭრილ სხვადასხვა სიტუაციაზე „კაზუსზე“. მასში გარდა თეორიული მსჯელობისა მოცემულია სხვადასხვა სიტუაციები პრაქტიკიდან, კითხვები სამართლებრივი ნორმების თაობაზე, თეორიული ახსნის შემდეგ გაცემულია პასუხები დასმულ კითხვებზე, მითითებულია სიტუაციების ამოხსნის მართებული გზები. სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული სამართლის სისტემურ და დოგმატურ შესწავლას, კიდევ ერთ საფუძველს ჩადებს ადმინისტრაციული სამართლის განვითარების მნიშვნელოვან საქმეში.

96. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; გამოცემულია 2005 წლის 15 ოქტომრის მდგომარეობით; თბილისი 2005 წელი. 101 გვერდი; 2012-1777
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.(2005)
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
თავი 1. ძირითადი დებულებანი
თავი 2. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი
თავი 3. ინგორმაციის თავისუფლება
თავი 4. ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი
თავი 5. ადმინისტრაციული ხელშეკრულება
თავი 6. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება
თავი 7. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში
თავი 8. ფორმალური ადმინისტრაციული გარემო
თავი 9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება
თავი 10. ამოღებულია
თავი 11. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი
თავი 12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება
თავი 13. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით
თავი14. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა
თავი 15. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიულ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით
თავი 16. გარდამავალი დებულებანი
თავი 17. დასკვნითი დებულებანი
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
თავი 1. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი
თავი 2. განსჯადობა
თავი 3. მიუკერძოებლობა, აცილება
თავი 4. პროცესის ხარჯები
თავი 5. საპროცესო ვალები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება
თავი 6. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში
თავი 7. სასამართლო მტკიცებულებები
თავი 7.1 ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით
თავი 7.2 ადმინისტრაციული სამართალწარმოება თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით
თავი 8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში
თავი 9. აპელაცია და კასაცია
თავი 9.1. გარდამავალი დებულებანი
თავი 10. დასკვნითი დებულება

97. 342.9/4 ადეიშვილი ზურაბ; ვარდიაშვილი ქეთევან; იზორია ლევან; კალანდაძე ნინო; კოპალეიშვილი მაია; სხირტლაძე ნუგზარ; ტურავა პაატა; ქიტოშვილი დიმიტრი; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბილისი 2005; 362 გვერდი; 2012-1487
სახელმძღვანელო უახლეს დროში ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში წარმოადგენს პირველს, რომელიც ნამდვილად იმსახურებს შეფასებას „თანამედროვე“. ის თავისი არსით ერთადერთი წარმომადგენელია სოციალისტური სამართლის გაუქმების შემდგომ წამოწყებული მოსაზრებებისა და ინიციატივების , რომელმაც მოგვიანებით მმართველობის ახალი ნორმების სახე მიიღო.
სახელმძღვანელო გვაწვდის არა კანონის კომენტარს, არამედ აღნიშნული კანონის ნორმებისა და მათი სამართლებრივი საფუძვლების განმარტებას და ამით ქმნის მყარ მეცნიერულ-პრაქტიკულ საფუძველს.
მნიშვნელოვანია ასევე კანონების განმარტება კაზუსების მიხედვით, მათ საფუძველზე და ასევე მათი სისტემური გააზრება, რათა შესაძლებელი და უფრო იოლი გახდეს შემდგომ ათვისებას.
გამოცემულია შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით.
სახელმძღვანელო წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს სამეცნიერო სტატუსის იურიდიული ლიტერატურის შექმნაში.

98. 342.7(02)/4 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები.
თარგმანი: ანა გეგჩკორი; რედაქტირება: რუსუდან მარგიშვილი; ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ.2007 წ; 2013-4903

342.7/65 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ბესარიონ ბოხაშვილი, რუსუდან ტუშური; რედაქტირება: ლაშა ჭელიძე; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ. 21007; 2013-4900; 412 გვერდი
342.7(02)/4 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ანა გეგეჩკორი; რედაქტირება: რუსუდან მარგიშვილი; ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბ. 2017 წელი. 2013-4903;
ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრეულების დაწესებულებები
მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული
კრებული ერთ-ერთი ნაწილია ოთხი ტომისაგან შემდგარი გამოცემისა, რომელსაც ეწოდება „ადამიანის უფლებები და პენინტენციალური სისტემა“. ეს პუბლიკაცია შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს და განკუთვნილია პენინტენციამური სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად და რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ ტრენინგისთვის შემუშავებულ მიდგომას.
ძირითადი სახელმძღვანელო (I ნაწილი) იძლევა ინფორმაციის იმ წყაროების, სისტემებისა და სტანდარტების შესახებ, რომლებიც ციხის თანამშრომელთა მუშაობის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება.
გამოცემის II ნაწილი შეიცავს ადამიანის უფლებების შესახებ შერჩეული სხვადასხვა საერთაშორისო აქტის ფრაგმენტებსა და სრულ ტექსტებს, რომლებიც მართლმსაჯულების ადმინისტრირებას ეხება.
III ნაწილი- ტრენერის სახელმძღვანელო, წარმოადგენს ტრენერებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციებასა და რჩევებს.
IV ნაწილი- ისეა შემუშავებული, რომ ციხის პერსონალისათვის საჭირო ინფორმაცია იოლად მოსაძებნი და ხელმისაწვდომი იყოს. იგი წარმოადგენს ნორმებისა და საკითხების ყოვლისმომცველ კრებულს.
ინგლისურ ენაზე, ტექსტის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდებზე: www.ohchr.org.

99. 342.7/49 ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო წამების წინააღმდეგ პრეცენდენტული საქმეები; პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი -ფრიდონ საყვარელიძე; რედაქტორი-ნინო კალანდარიშვილი; თბილისი 2005 წელი. 220 გვერდი; 2012-1629
წამებისაგან თავისუფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებაა, წამება დაუშვებელია ნებისმიერ ვიტარებაში, ეს უფლება არ შეიძლება შიზღუდოს დროის რომელიმე მონაკვეთით ან სხვა ღირებულებებით, თუმცა რეალობა საწინააღმდეგოზე მეტყველებს ზოგიერთ სახელმწიფოში. ნაშრომი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

შესავალი
სიორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
ტომაზი საფრანგეთის წინააღმდეგ
რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ
ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ
გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
სევტაპ ვეზენდოროღლუ თურქეთის წინააღმდეგ
კალანტარი გერმანიის წინააღმდეგ
კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ
მოისელი საფრანგეთის წინააღმდეგ
ვან დერ ვენი ნიდერლანდების წინააღმდეგ
ენაფი საფრანგეთის წინააღმდეგ
აფანასიევი უკრაინის წინააღმდეგ
კარალევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ
დასკვნა - ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა და პრეცედენტული გადაწყვეტილებები.
დანართი 1-როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს.
დანართი 2-ევროპის კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილებისათვის.

100. 342.4(075)/1 ტესტების ნიმუშები
კონსტიტუციური სამართალი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. გამომცემლობა „ბონა კაუზა“. თბილისი 2006, 139 გვერდი. 2012-1663
წიგნში მოცემულია ტესტების ნიმუშები, თანდართული სწორი პასუხებით, კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. წიგნი დახმარებას გაუწევს სამართლის პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს თეორიული ცოდნის გაღრმავება და შემდგომ განმტკიცებაში.

101. 342.4/109 საზღვარგარეთის ქვეყნის კონსტიტუციები
კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“ 2006.
ნაწილი III. მთავარი რედაქტორი -ვ. გონაშვილი; სარედაქციო კოლეგია: ლ. ბეჟაშვილი; ბ.ლოლაძე; ზ. ძლიერიშვილი; რ. გოგშელიძე; მ. სალხინაშვილი. დ. ბოსტოღანაშვილი. კ. ვარძელაშვილი. თბილისი 2006; 858 გვერდი. 2012-1467
საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები
ნაწილი III
წიგნი არის ამ სერიის III ნაწილი. მასში მოცემულია 12 ქვეყნის: ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, გერმანიის, ესპანეთის, ესტონეთის, თურქეთის, კანადის, ნორვეგიის, უკრაინის, რუმინეთის, უნგრეთის, ყაზახეთის, ხორვატიის კონსტიტუციების ოფიციალური და უახლესი ტექსტებიქართულ ენაზე. აქ წარმოდგენილი ქვეყნები სხვადასხვა მართვა-გამგეობის, სახელმწიფო წყობილების ფორმებითა და პოლიტიკური რეჟიმებით გამოირჩევიან და განსხვავებულ სამართლის სისტემებს წარმოადგენენ. თითოეულ ქვეყანას ერთვის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები.

ასევე მოცემულია ზოგადი ცნობარი კონკრეტული ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

102. 343.359/8 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფის შესახებ; სერია „მოხელე და კანონმდებლობა“; ავტორთა კოლექტივი; თბილისი 2006 წელი. გვერდი. 414; 2013-12047

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“. მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა „საქართველოს საფინანსო სიტემის მოდერნიზება: მეორე ფაზა“.
სერიის მომზადების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილეობდა ავტორთა კოლექტივი- გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები: პროფესორი -კასა დემეტრაშვილი, დოცენტი ვაჟა გურგენიძე, მანანა სალუქვაძე, ნოდარ ნაფეტვარიძე, დავით გოგიჩაიშვილი, ზაზა ჩაგანავა, მიხეილ გვარჯალაძე, დავით ჯაინი, ლევან ჭიჭინაძე, პროფესორი ნოდარ ჩადური, პროფესორი მედეა გოცირიძე, შალვა ბარდაძე;
შინაარსი:
საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს კანონი-საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს კანონი-საბაჟო ტარიფის შესახებ.

103. 342.4/113 ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია
1992 წლის XXVII შესწორების გათვალისწინებით. გამომცემელი „ბონა კაუზა“. თბილისი 2006 წელი. 62 გვერდი. თარგმანი და წინასიტყვაობა - დ. ჩიკვაიძე. 2012-1553

აღნიშნული კონსტიტუცია შეერთებული შტატების დამფუძნებელთა კრების, ანუ კონვენტის მიერ მიღებულ იქნა 1787 წლის 17 სექტემბერს. კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1789 წლის 4 მარტს. ეს კონსტიტუცია წარმოადგენს. პირველ დაწერილ კონსტიტუციას მსოფლიოში და იგი დღესაც მოქმედებს აშშ-ში.
ბროშურაში განთავსებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ქართულენოვანი თარგმანი და ოფიციალური ინგლისურენოვანი ტექსტი. განკუთვნილია იურისტებისათვის, დიპლომატიურ კორპუსში მომსახურე პერსონალისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლითა და ამერიკის შეერთებული შტატებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

104. 341.24/8 ამილახვარი ზაურ, ამილახვარი გიორგი
საერთაშორისო ბიზნესის სამართალი
მთავარი რედაქტორი: პროფესორი ქეთევან ქოქრაშვილი; რედაქტორი: პროფესორი ქეთევან ქოქრაშვილი; რედაქტორი: პროფესორი კახაბერ ესაძე. რეცენზენტები: ვაჟა გურგენიძე, ლარისა ყორღანაშვილი, ნინო გადელია. გამომცემლობა „ინოვაცია“; თბილისი 2006 წელი. 2012-1090

სახელმძღვანელოში განხილულია საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვანი

ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვადსხვა ქვეყნების კოლოზიური სამართლებრივი სისტემები. შედგება 14 თავისა და ქვეთავებისაგან.
ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების საგადასახადო და საბაჟო სპეციალობის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის. ის დაეხმარება ასევე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში საერთაშორისო კომერციული სამართლის, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის დისციპლინების შემსასწევლელ სტყდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. აგრეთვე პედაგოგებსა და ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ სხვა პირებს.
წიგნი იბეჭდება საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

105. 341.3 /7 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. ლტოლვილთა სამართალი.გამომცემელი „ბონა კაუზა“; თბილისი 2006, 291 გვერდი.
2012/1130
წიგნში მოცემულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, აგრეთვე ლტოლვილთა სფეროში არსებული საერთაშორისო -სამართლებრივი აქტები. კრებულში ასევე ადგილი აქვს დათმობილი კონვენციას სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ.
გარდა საერთაშორისო -სამართლებრივი აქტებისა, კრებულში ასახულია საქართველოს შიდა კანონმდებლობის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი. საქართველოს კანონი „ლტოლვილთაშესახებ“, ასევე საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“. ასევე ნაშრომში მოცემულია ამონარიდი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ადვოკატებისათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთათვის თუ სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

106. 347.9/24 (ელექტრონული კოდი: 2016-11474) კორკელია კ. (რედ.)
ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კჯანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული
გამომცემლობა gtz, სტატიათა ავტორები, 2006 წ. 335 გვერდი.
იუსტიციის სამინისტროს მიერ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით მომზადდა კრებული, სადაც თავმოყრილა ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების სტატიები, რომლის მიზანია ადამიანის სტანდარტების წარმოჩენა, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთა შესაბამისობის ანალიზი და იმ საკანონმდებლო და პრაქტიკულ ღონისძიებებზე მსჯელობა, რომლებიც უნდა გატარდეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ევროპული სტანდარტების მიხედვით.
კრებულში განხილულია უამრავი საინტტერესო თემა, როგორიცაა: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან,

გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, თანაზომიერების პრინციპი, სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპული და ქართული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლების დაცვის ევროპული სტანდარტები და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი, საკუთრების უფლების დაცვა, ექსტრადიციისა და დეპორტაციის ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა.
კრებული განკუთვნილია როგორც ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის, ისე ადამინის უფლებათა დაცვის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

107. 340.14/3 ონიანი სულხან; დავითაშვილი გიორგი
ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში.
მთვარი რედაქტორი: დ. ბოსტოღანაშვილი; სარედაქციო ჯგუფი-გულიკო ფერაძე, თამთა მახარაძე. გამომცემლობა: „მერიდიანი“ 2016; თბილისი 2016 წელი. 387 გვერდი.
2016-7976
ნაშრომი წარმოადგენს 2015 წლის 20-30 ივნისის ბალსზემო სვანეთის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო -მოხსენებით ანგარიშს.
სვანური ადათობრივი სამართლის შესწავლა მნიშვნელოვანია საერთო-ქართული ნიშნით, ვინაიდან იგი წარმოადგენს ქართული ადათობრივი სამართლის უძველეს პლასტს და თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას გარკვეული მოდიფიკაციით კვლავ განაგრძობს XXI საუკუნის ქართულ რეალობაშიც.
საექსპედეციო მასალები მოძიებულ იქნა ბალზემო სვანეთში, კერძოდ, მესტიის, ლენჯერის, მულახისა და უშგულის თემებში, ასევე ბალსქვემო სვანეთის ეწერის თემში რესპოდენტთა გამოკითხვის გზით.
ნაშრომში განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ქართული ჩვეულებითი სამართლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

108. 340/45 რაინჰოლდი ციპელიუსი
იურიდიული მეთოდების მოძღვრება
მეათე გადამუშავებული გამოცემა; თარგმანები: ესპანურ, უკრაინულ, ქართულ ენაზე. 153 გვერდი; ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი 2006. სამეცნიერო რედაქტორი-მერაბ ტურავა. გერმანულიდან თარგმნა -ლევან თოთოლაძემ; 2012-0945

იურიდიული მეთოდების მოძღვრება ეფუძნება სამართლებრივ-ფილოსოფიურ თვალსაზრისებს. იგი შეეხება ღია კითხვების შეზღუდულ ნაწილს. გერმანიაში გავრცელებული ტრადიციული ენობრივი გამოყენების მიხედვით. იგი, უპირველეს ყოვლისა იკვლევს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს კანონთა ინტერპრეტაცია, განვრცობა და განვითარება. საჭიროა, კანონს, რაციონალური განსჯის საფუძველზე, შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება მეტი განსაზღვრულობა მიენიჭოს.
ნაშრომი ქართულ ენაზე ითარგმნა 2009 წელს. თუმცაღა გერმანიისა და საქართველოს

განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციის შედეგად ჩამოყალიბდა უფრო სხვაგვარი სამართლებრივი ტერმინოლოგია და ცნებათა ახლებური გაგება. შესაბამისად ლევან თოთლაძისა და მერაბ ტურავას ნამუშევარი მეტია, ვიდრე უბრალოდ თარგმანი, ეს არის სამართლის, ენისა და ცოდნის შემოქმედება -განვითარების აქტი.

109. 34-3/1 დანელიშვილი ლ, მესხიშვილი მ; იურიდიული ლექსიკონი
რედაქტორები: პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი, პროფესორი ლადო ჭანტურია, რეცენზენტები: დოცენტი -გიორგი თოდრია, დოცენტი-პ. დაუთაშვილი; გამომცემლობა-„ლეგა“; თბილისი 2006; 606 გვერდი; 2012-0418

წიგნში განმარტებულია ოთხი ათასი იურიდიული ტერმინი და გამოთქმა, რომელშიც მინიმალურადაა მოცემული თანამედროვე, როგორც ქართული ისე უცხოური სმართლებრივი სიტემისათვის დამახასიათებელი ტერმინები.უპირატესობა მინიჭებული აქვს იმ ტერმინებს, რომელიც უფრო მეტადაა გავრცელებული სამართლის ყველა დარგში(სისხლი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომა, საფინანსო და სხვა) და იხმარება არა ერთ, არამედ მრავალ სამართლებრივ სისტემაში.
გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა მასწავლებლის, ხელისუფლების წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

110. 343.43/1 ლობჟანიძე გივი
ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები; რედაქტორი-გ.ხუროშვილი
რეცენზენტები-გ. ნაჭყებია; გ. ღლონტი; თბილისი 2006 წელი. გვერდი. 283; 2013-12159

გლობალიზაციისა და მსოფლიო ქვეყნებს შორის ინტეგრაციულ პროცესებს სასიკეთო მოვლენებთან ერთად სდევს მრავალი საჭირბოროტო პრობლემა. მათ შორისაა ისეთი ტრანსნაციონალურ დანაშაულთა გავრცელების ტენდენცია, როგორებიცაა: ფულის გათეთრება, კულტურისა და ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა, თვითმფრინავის გატაცება, საზღვაო მეკობრეობა, სადაზღვევო თაღლითობა, კომპიუტერული დანაშაული, ტერორიზმი, იარაღით, ნარკოტიკებით, ადამიანით ვაჭრობა-XXI საუკუნის სირცხვილი. ამ მოვლენებს ვერც საქართველო გადაურჩა ტრეფიკინგის თვალსაზრისით მას, საერთაშორისო ქვეყნები, განიხილავენ როგორც სატრანზიტო ქვეყნად, მაგრამ პროცესების ღრმად ჩაწვდომამ და შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ საქართველო არა მარტო სატრანზიტო, არამედ მომწოდებელი და ნაწილობრივ მომხმარებელი ქვეყანაცაა. იმისათვის , რომ დანაშაულს აქტიურად ვებრძოლოთ, საჭიროა საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება ეს ნაშრომი, რომელიც შედგება 6 თავისა და 16 პარაგრაფისაგან.
წიგნი განკუთვნილია იურისტებისათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის, რამდენადაც საკითხი თავისი შინაარსით და მასშტაბით გლობალურია.

111. 343.359/8 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფის შესახებ; სერია „მოხელე და კანონმდებლობა“;

ავტორთა კოლექტივი; თბილისი 2006 წელი. გვერდი. 414; 2013-12047

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“. მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა „საქართველოს საფინანსო სიტემის მოდერნიზება: მეორე ფაზა“.
სერიის მომზადების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილეობდა ავტორთა კოლექტივი-გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები: პროფესორი -კასა დემეტრაშვილი, დოცენტი ვაჟა გურგენიძე, მანანა სალუქვაძე, ნოდარ ნაფეტვარიძე, დავით გოგიჩაიშვილი, ზაზა ჩაგანავა, მიხეილ გვარჯალაძე, დავით ჯაინი, ლევან ჭიჭინაძე, პროფესორი ნოდარ ჩადური, პროფესორი მედეა გოცირიძე, შალვა ბარდაძე;
შინაარსი:
საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს კანონი-საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს კანონი-საბაჟო ტარიფის შესახებ.

112. 343/53 კოდექსთა კრებული; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; სერია „მოხელე და კანონმდებლობა“; ავტორთა კოლექტივი; თბილისი, 2006 წელი. 2013-5759

კოდექსთა კრებული; სამაგიდო წიგნი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
ავტორთა კოლექტივი-კახა დემეტრაშვილი; ვაჟა გურგენიძე; ნოდარ ხადური; მანანა სალუქვაძე; ნოდარ ნაფეტვარიძე; დავით გოგიჩაიშვილი; ზაზა ჩაგანავა; მიხეილ გვარჯალაძე; დავით ჯაიანი; ზურაბ კაპანაძე;
„საჯარო მოსამასახურის ბიბლიოთეკის“ სერია გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა დაწესებულებებისათვის განხორციელებული პროექტების ეგიდით.
„მოხელე და კანონმდებლობის“ სერიის ეს კოდექსთა კრებული, უპირველესად, საქართველოს კონტროლის პალატის მოხელეებისთვისაა განკუთვნილი; თუმცა ეს გამოცემა სათანადო დახმარებას გაუწევს ხელისუფლების სამივე შტოს სახელმწიფო დაწესებულებებს, ცენტრალური მთავრობის უწყებებს და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მოხელეებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს.

113. 342.4/109 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები
კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“
მთავარი რედაქტორი: ვ. გონაშვილი. ნაწილი V

სარედაქციო კოლეგია: ლ.ბეჟაშვილი; ბ. ლოლაძე; კ. ვარძელაშვილი;
თბილისი 2007. 1026 გვერდი. 2012-1505

წიგნი არის ამ სერიის V ნაწილი. მასში მოცემულია 12 ქვეყნის: ბრაზილიის, ვატიკანის, ირლანდიის, იტალიის, კვიპროსის, ლიხტენშტეინის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, სერბეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ტაჯიკეთის კონსტიტუციური აქტების ოფიციალური და უახლესი ტქსტები ქართულ ენაზე.
გარდა ამისა თითოეულ ქვეყანას ერთვის მიმოხილვითი სტატია, სადაც გამოკვლეულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები. ასევე მოცემულია ზოგადი ცნობარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

114. 342.4/109 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები
კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“
მთავარი რედაქტორი: ვ. გონაშვილი. ნაწილი V
სარედაქციო კოლეგია: ლ.ბეჟაშვილი; ბ. ლოლაძე; კ. ვარძელაშვილი;
თბილისი 2007. 1026 გვერდი. 2012-1505

წიგნი არის ამ სერიის V ნაწილი. მასში მოცემულია 12 ქვეყნის: ბრაზილიის, ვატიკანის, ირლანდიის, იტალიის, კვიპროსის, ლიხტენშტეინის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, სერბეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ტაჯიკეთის კონსტიტუციური აქტების ოფიციალური და უახლესი ტქსტები ქართულ ენაზე.
გარდა ამისა თითოეულ ქვეყანას ერთვის მიმოხილვითი სტატია, სადაც გამოკვლეულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები. ასევე მოცემულია ზოგადი ცნობარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

115. 342.4/109 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუცია
კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“-2007წელი.
ნაწილი IV მთავარი რედაქტორი: ვ.გონაშვილი, სარედაქციო კოლეგია: ლ.ბეჟაშვილი; ბ. ლოლაძე; კ. ვარძელაშვილი; თბილისი, 2007 წელი. 904 გვერდი. 2012-1480

წიგნი არის ამ სერიის IV ნაწილი. მასში მოცემულია 12 ქვეყნის: ალბანეთის, ბელგიის, ბულგარეთის, ინდოეთის, ისლანდიის, მაკედონიის, მექსიკის, მოლდავეთის, მონაკოს, ყირგიზეთის, შვედეთის კონსტიტუციების და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მნიშვნელოვანი კონსტიტუციური აქტების ოფიციალური და უახლესი ტექსტები ქართულ ენაზე. აქ წარმოდგენილი ქვეყნები სხვადასხვა მართვა-გამგეობის, სახელმწიფო წყობილების ფორმებითა და პოლიტიკური რეჟიმებით გამოირჩევიან და

განსხვავებულ სამართალის სისტემებს წარმოადგენენ.
თითოეულ ქვეყანას ერთვის მიმოხილვითი სტატია, სადაც გამოკვლეულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, კონსტიტუციი მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები. ასევე მოცემულია ზოგადი ცნობარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

116. 34(02)/9 სავანელი ბიძინა
სამართლის ზოგადი თეორია
სამართლის საფუძვლები. სამართლის ფილოსოფია და სოციოლოგია. მეხუთე გამოცემა; თბილისი 2007; 309 გვერდი; რეცენზენტები: პროფესორი ოთარ გაყრელიძე; პროფესორი თემურ ქორიძე; 2012-0748
ეძღვნება : პროფესორ თინათინ წერეთლის ხსოვნას.

წიგნი ქართულ ენაზე შესრულებული პირველი სახელმძღვანელოა, რომელიც თანამედროვე სამართლის ფილოსოფიური, ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და საკუთრივ იურიდიული ასპექტები სისტემაშია მოქცეული და გააზრებულია გლობალური პრობლემების ჭრილში. ავტორი განიხილავს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. წიგნში სრულყოფილად არის წარმოდგენილი სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე თეორია. ავტორი სტუდენტებისთვის გასაგებ ენაზე გადმოსცემს სამართლის ძირითად ცნებებსა და მეთოდებს, თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ძირითად სამართლებრივ სისტემებს და თეორიებს, ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხებს, დიდ ადგილს უთმობს პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს.

117. 343.359/7 იაშვილი ნინო, ჭეიშვილი თეა
საგადასახადო სამართალი; სამაგიდო კრებული მეწარმეთათვის; საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“; თბილისი 2007 წელი. გვერდი. 315; 2013-11957

კრებულში განხილულია გადასახადების , საგადასახადო დაბეგვრის, საგადასახადო სისტემის მიზნები და ამოცანები, საგადასახადო სამართლის პრინციპები. სრულადაა მოყვანილი მოქმედი საგადასახადო კოდექსის ძირითადი დებულებები. გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და მოვალეობების, საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნისა და შესრულების, საგადასახადო სამართალდარღვევებისა და სგადასახადო დანაშაულის, ასეთი დარღვევების სამართლებრივი შედეგების შესახებ. განხილულია საგადასახადო დავები და წარმოების სამართლებრივი გზები.
კრებული განკუთვნილია საწარმოს ახალგაზრდა დირექტორების, საშუალო და მაღალი რგოლების არაფინანსური მენეჯერებისათვის.
საინტერესო იქნება ასევე ახალგაზრდა ბუღალტერების, სამართლისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის.

118. 343.2 /2 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; ავტორები: ა. გაბიანი; ი. დვალიძე; ნ. გვენეტაძე; ნ. თოდუა; მ. ივანიძე; გ. მამულაშვილი; გ. ნაჭყებია; გ. ტყეშელაძე; გ. ხუროშვილი; რეცენზენტი მერაბ ტურავა; რედაქტორები: გ. ნაჭყებია; ი. დვალიძე; გამომცემლობა „მერიდიანი“ 2007; თბილისი 2007; გვერდი. 485; 2013-11493

სახელმძღვანელო შედგენილია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო კურსის მიხედვით. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის თეორიის ფუნდამენტური ცნებები და ინსტიტუტები, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დანაფუძნებელი, გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, სასჯელის მიზნები, სახეები და სხვა.
გამოცემაში ასახულია არამარტო სისხლის სამართლის დარგში საკანონმდებლო ნოვაციები, არამედ ამ ნოვაციებთან დაკავშირებული სერიოზული თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტდენტაბისა და სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული პირებისათვის.

119. 342.7/65 **(ელექტრონული კოდი: 2013-4900)** ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ბესარიონ ბოხაშვილი, რუსუდან ტუშური; რედაქტირება: ლაშა ჭელიძე; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბილისი, 2007 წ. 412 გვერდი.

342.7(02)/4 (ელექტრონული კოდი: 2013-4903) ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები; თარგმანი: ანა გეგეჩკორი; რედაქტირება: რუსუდან მარგიშვილი; ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი; ნიუ-იორკი და ჟენევა 2005 წელი. თბილისი, 2007 წ. 259 გვერდი.

ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრეულების დაწესებულებები მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული
კრებული ერთ-ერთი ნაწილია ოთხი ტომისაგან შემდგარი გამოცემისა, რომელსაც ეწოდება „ადამიანის უფლებები და პენინტენციალური სისტემა“. ეს პუბლიკაცია შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს და განკუთვნილია პენინტენციამური სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად ჩასატარებლად. გამოცემის ოთხივე ტომი ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთი შეავსონ და ერთად მოიცავენ ყველა იმ ელემენტს, რაც საჭიროა პენინტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ტრენინგის ჩასატარებლად და რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ ტრენინგისთვის შემუშავებულ მიდგომას.
ძირითადი სახელმძღვანელო (I ნაწილი) იძლევა ინფორმაციის იმ წყაროების,

სისტემებისა და სტანდარტების შესახებ, რომლებიც ციხის თანამშრომელთა მუშაობის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება.
გამოცემის II ნაწილი შეიცავს ადამიანის უფლებების შესახებ შერჩეული სხვადასხვა საერთაშორისო აქტის ფრაგმენტებსა და სრულ ტექსტებს, რომლებიც მართლმსაჯულების ადმინისტრირებას ეხება.
III ნაწილი- ტრენერის სახელმძღვანელო, წარმოადგენს ტრენერებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციებასა და რჩევებს.
IV ნაწილი- ისეა შემუშავებული, რომ ციხის პერსონალისათვის საჭირო ინფორმაცია იოლად მოსაძებნი და ხელმისაწვდომი იყოს. იგი წარმოადგენს ნორმებისა და საკითხების ყოვლისმომცველ კრებულს.
ინგლისურ ენაზე, ტექსტის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდებზე: www.ohchr.org.

120. 342(02)/7 **(ელექტრონული კოდი:** 2012-1171) ნადარეიშვილი გიორგი.
სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, 2008 წ. 330 გვერდი.
გამომცემელი: „ბონა კაუზა“.
სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ საზოგადოების განვითარების აუცილებელ და ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა, ე.ი. ისტორიული აუცილებლობის პროდუქტი იყო და რაც ისტორიულად აუცილებელია, ის პროგრესულიცაა. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ მსოფლიო სარბიელზე ჩნდება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ქვეყნების, ხალხების და ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ, არა ნაკლებს, ვიდრე ძველი ბერძნული მითოლოგიით ბედი და ოლიმპოს ღმერთები.
სახელმწიფოსა და სამართალს, თავისი დამოუკიდებელი და, ამდენად, შესწავლის ღირსი ისტორია გააჩნია.
წინამდებარე წიგნში ლექციების კურსის სახით წარმოდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები.
ლექციების ამ კურსში ავტორი დაინტერესებულ მკითხველს ტრადიციულად აწვდის უამრავ, მანამდე უცნობ ინფორმაციას სახელმწიფოსა და სამართლის საჭირბოროტო საკითხებზე.
გათვალისწინებულია იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

121. 342.4/109 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები.
ნაწილი II. მეორე გადამუშავებული გამოცემა.
რედაქტორი: ვასილ გონაშვილი. სარედაქციო კოლეგია: ლ. ბეჟაშვილი; ბ. ლოლაძე; კ. ვარძელაშვილი. თბილისი 2008; 799 გვერდი. 2012-1427

წიგნი არის ამ სერიის II ნაწილის მეორე გადამუშავებული გამოცემა. მასში მოცემულია

12 ქვეყნის: ავსტრალიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ისრაელის, საბერძნეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩინეთის, ფინეთის კონსტიტუციების ოფიციალური და უახლესი ტექსტები ქართულ ენაზე. აქ წარმოდგენილი ქვეყნები სხვადასხვა მართვა-გამგეობის, სახელმწიფო წყობილების ფორმებითა და პოლიტიკური რეჟიმებით გამოირჩევიან და განსხვავებულ სამართლის სისტემებს წარმოადგენენ.
თითოეულ ქვეყანას ერთვის მიმოხილვითი სტატია, სადაც გამოკვლეულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები. ასევე მოცემულია ზოგადი ცნობები ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

122. 341.7/9 დიპლომატიური სამართალი; საკონსულო სამართალი; გამომცემელი: „ბონა კაუზა“. თბილისი 2008 წელი. 178 გვერდი; 2012-1058

წიგნში წარმოდგენილია დიპლომატიური და საკონსულო სამართლის სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საქართველოს შიდა კანონმდებლობას მიკუთვნებული ნორმატიული აქტები. ესენია: საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ, ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ; ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ; კონვენცია სპეციალურ მისიათა შესახებ; საქართველოს კანონი საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ; საქართველოს კანონი საკონსულო მოსაკრებლი შესახებ; საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის 206-ე დადგენილება; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2005 წლის 7 ივლისის 93-ე ბრძანება; 2007 წლის 4 ოქტომბრის 156-ე ბრძანება, 2006 წლის 31 იანვრის 41-1 ბრძანება, 2007 წლის 2 მაისის 69-ე ბრძანება და 2006 წლის 31 იანვრის 44-ე ბრძანება.
განკუთვნილია იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, მომავალი დიპლომატებისათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის და დიპლომატიის თემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

123. 341.4 /5 საერთაშორისო სისხლის სამართალი.
საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების კრებული.
გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2008 წ. 309 გვერდი.
2012-1141

წიგნში წარმოდგენილია საერთაშორისო სისხლის სამართლის მომცველი საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებსაც კანონმდებლობით

დადგენილი წესით შეუერთდა საქართველო.
როგორც ცნობილია საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა. ამ თვალსაზრისით, წიგნში ასახული 22 კონვენცია განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკილტეტის სტუდენტებისათვის, სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის. ადამიანის უფლებების დაცვით დაკავებულ პირთათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის, ადვოკატებისათვის, აგრეთვე დაინტერესებული მკითხველისათვის.

124. 341/48 საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები. საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო კონვენციების კრებული
გამომცემლობა „ბონა კაუზა"; თბილისი, 2008 წ. 209 გვერდი. 2012-1050

წიგნში ასახულია საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები.
წიგნში შეტანილ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, საქართველო შეერთებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
განკუთვნილია იურიდიული და საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტების სტუდენტების და დოქტორანტებისათვის, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

125. 340(02)/1 სავანელი ბიძინა
იურიდიული მეთოდები, მეორე გამოცემა;
გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2008 წ. 112 გვერდი. 2012-0849

სწავლება იურიდიული მეთოდების შესახებ არის გაღრმავებული ნაწილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოსი „თანამედროვე სამართლის თეორია".
სახელმძღვანელოს მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევები. იგი ასევე დაეხმარება ახალგაზრდა პრაქტიკოს იურისტებს სასამართლო პროცესის წარმართვის, გადაწყვეტილების წერის, ანალიზის და სარჩელის შედგენის პროცესში.
სწავლება იურიდიული მეთოდების შესახებ მოიცავს სწავლებას იურიდიული მეთოდების პრაქტიკული გამოყენების პროცესის, მიზნის და შედეგის შესახებაც. და მისი მიზანია გაუადვილოს სტუდენტს სამართლის კონკრეტული დისციპლინების

დაძლევა ბაკალავრიატის მეორე და შემდეგ კურსებზე.

126. 34(03)/8 თეზელიშვილი სოლომონ
იურიდიული ენციკლოპედია
მთავარი რედაქტორი: თამაზ ბარაბაძე
რედაქტორები: ირმა შულაია, თამუნა აბსანაძე, ომარ კელაპტრიშვილი
ტექნიკური რედაქტორები: ვალერი და დათო უტიაშვილები
გამომცემლობა „მერიდიანი“ 2008 წ. თბილისი, 815 გვერდი. 2012-0736

იურიდიული ენციკლოპედია მოიცავს ფართო სპექტრის მქონე ძირითად ტერმინთა 5000, ქვეტერმინთა 20000 და სხვადასხვა განმარტება-მცნებათა 30000 რაოდენობას. პოლიტიკური და ეკონომიკური ტერმინები მოცემულია სამართლებრივ ასპექტში.
რაც შეეხება მასალის თემატიკას, არსებული იურიდიული მასალის აზროვნებითი მატერიალი არის ქართულ იურიუდიულ ლექსიკოგრაფიულ ტერმინოლოგიაში ყველაზე ფართო და მრავალმხრივი. თითქმის ყველა იურიდიული ტერმინი გაშუქდა, რომელიც მკვიდრი და ტრადიციულია მეცნიერების ამ დარგისათვის, მაგრამ ასევე აქცენტი გაკეთებულია ისეთ მხარეებზე ჩვენი სამართლებრივი ცხოვრებისა, როგორიცაა ადამიანის უფლებები, სასჯერაღსრულების დეპარტამენტის ყველაზე თანამედროვე მიდგომები, ეთიკა, ბირჟა, ბიზნესი, რეფორმის მეთოდები და საშაულებები, წამებისა და ძალდატანებით მიღწეული იძულების საკითხები და ზოგ შემთხვევაში იმდენად სკრუპულოზურ დეტალებში აღინუსხა, რომ ერთი შეხედვით იურიდიული ტერმინებისათვის არატრადიციულია, მაგრამ ის, რაც აკმაყოფილებდა 20 წლის წინანდელ მსოფლიოს ამ დარგიდან, დღეს მისთვის არასაკმარისია, რაც გამოწვეულია ამ ეპოქის სწრაფი, ცვალებადი და მზარდი მოთხოვნებით სამართლებრივი ცხოვრების მხრიდან.

127. 34-3/2 საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი
ბეჟაშვილი ლევან, ჩხაიძე თამარ, თარხნიშვილი შოთა. თბილისი, 2008 წ. 365 გვერდი. 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით; 2012-0520

ლექსიკონი ამომწურავად მოიცავს საკანონმდებლო ტერმინებს 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, იძლევა დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ რომელ საკანონმდებლო აქტში და კონკრეტულად რომელ მუხლშია ესა თუ ის ტერმინი მოცემული.
წარმოდგენილი ლექსიკონის მნიშვნელობა დიდია. ის ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს როგორც პროფესიონალ იურისტებს, ასევე მოქალაქეებს, რომელთაც სურთ

გარკვეული ინფორმაციის მოპოვება მოქმედი საკანონმდებლო ტერმინების მნიშვნელობის შესახებ. ამასთან ლექსიკონი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერთიანი საკანონმდებლო ტერმინოლოგიის დამკვიდრების საქმეში.
ლექსიკონი გამოცემულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით.
ლექსიკონში მოცემული მასალები არ გამოხატავს ეცროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

128. 343.16/14 აბაშიძე ირაკლი; პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე; გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;
მთავარი რედაქტორი-ბ. ზოიძე; რეცენზენტები: ო. ფარტენაძე; ა. მახარაძე; გ. აბაშიძე; ბათუმი, 2008 წ. გვერდი. 63. 2012-5553

ნაშრომში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: პროკურორი წინასწარი გამოძეიბის სტადიაზე (თანამედროვე რეალობა); პროკურორი-სისხლისამართლებრივი დევნის სუბიექტი. პროკურორი-გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი.
თანამედროვე რეალობაში პროკურორი, სისხლის სამართალწარმოებაში, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა, მისი როლი საკმაოდ აქტუალურია, რაც განპირობებულია საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მონიჭებული ფართო საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული ფართო საპროცესო უფლებამოსილებებით და მისი საპროცესო მდგომარეობით.
ნაშრომში მთავარი ყურადღება გამახვილებულია იმ უფლება-მოვალეობებზე, რაც განპირობებულია საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული ფართო საპროცესო უფლებამოსილებებით და მისი საპროცესო მდგომარეობით.
ნაშრომში მთავარი ყურადღება გამახვილებულია იმ უფლება-მოვალეობებზე, რაც მინიჭებული აქვს პროკურორს წინასწარი გამოძიების სტადიაზე, პროკურორის როლზე სისხლისსამართალწარმოებაში, კერძოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე თუ რამდენად სწორად და ეფექტურად ახორციელებს პროკურორი სისხლისამართებლივ დევნას და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, როგორია მისი როლი და მნიშვნელობა ამ ეტაპზე.

129. 342.924/6 ნორმატიული აქტების კრებული; პარლამენტის წევრთა და აპარატის მოხელეთათვის; სამაგიდო წიგნი; IV გამოცემა;
ავტორთა კოლექტივი: ვაჟა გურგენიძე; კახა დემეტრაშვილი; ნოდარ ხადური; მანანა სალუქვაძე; ნოდარ ნაფეტვარიძე; დავით გოგიჩაიშვილი; ზაზა ჩაგანავა; მიხეილ გვარჯალაძე; თბილისი, 2008 წ. 290 გვერდი. 2012-5585

გაეროს განვითარების პროგრამა

საჯარო მომსახურების ბიბლიოთეკის სერია „მოხელე და კანონმდებლობა“ მოამზდა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება“ ნაშრომი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
საქართველოს კანონი- საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ;
საქართველოს კანონი- საპარლამენტო ფრაქციის შესახებ
საქართველოს კანონი-ლობისტური საქმიანობის შესახებ
საქართველოს კანონი-ნდობის ჯგუფის შესახებ
საქართველოს კანონი-საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ
საქართველოს კანონი-პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ
საქართველოს კანონი- საჯარო სამსახურის შესახებ
საქართველოს კანონი- საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ
საქართველოს კნონი- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ
საქართველოს ორგანული კანონი-იმპიჩმენტის შესახებ
საქართველოს კანონი-საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ
საქართველოს კანონი-საპარლამენტო მდივნის შესახებ
საქართველოს კანონი-ნორმატიული აქტების შესახებ
საქართველოს კანონი-საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ
საქართველოს ორგანული კანონი-საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ
საქართველოს ორგანული კანონი-სახალხლო დამცველის შესახებ
საქართველოს კანონი- საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ
კრებული სათანადო დახმარებას გაუწევს საკანონმდებლო ხელისფლების გარდა სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, სამოქალაქო (ხელისუფლების გარდა) საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს.

130. 342.8/124 საქართველოს საარჩევნო კოდექსი; საქართველოს ორგანული კანონი ცესკო; თბილისი, 2008 წ. 128 გვერდი. 2012-1700;

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოსარჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, საარჩვენო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავის განხილვის წესს.
საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი

თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს- საკრებულოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ეს კანონი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.
საქართველოს ორგანული კანონი-საქართველოს საარჩევნო კოდექსი, შედგება 4 კარისა და 18 თავისაგან.

131. 349.4/2 საქართველოს მიწის კანონმდებლობა. 2009 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2009 წ. გამომცემლობა „Rise". 2016-7452

გამოცემა წარმოადგენს საქართველოს კანონებისა და ბრძანებულებების კრებულს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ. კანონები ეხება მიწის პრივატიზაციას, საკუთრების უფლების, ზიანის ანაზღაურების, აუქციონების გამართვის და სხვა საკითხებს.

132. 341.6/6 ცერცვაძე გიორგი
საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) რედაქტორი: თ. ზამბახიძე; რეცენზენტები: ზ. ძლიერიშვილი; ბ. ყიფიანი
გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2009 წ. 587 გვერდი. 2012-1154

მონოგრაფიის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველად იქნა განხორციელებული საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის პრობლემური საკითხების კომპლექსური მონოგრაფიული კვლევა. ნაშრომში წამოყენებული და დასაბუთებულია წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.
ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგადსამეცნიერო მეთოდები. ავტორი საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის საკითხებს იკვლევს და გადმოსცემს შედარებითი, ისტორიული და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე.
მონოგრაფია გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტიდენტებისათვის, მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის. ეძღვნება ავტორის მშობლებს.

133. 342.7/41 ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; საკანონმდებლო აქტების კრებული; 2009 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „ბონა კაუზა"; თბილისი, 2009 წ. 244 გვერდი. 2012-1631

წიგნში სრულყოფილად არის წარმოდგენილი საქართველოს კანონები და უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში
ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს და ხელისუფლების დამოკრატიულობის ერთგვარ ბარომეტრს წარმოადგენს.
თანამედროვე მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მონაპოვრის დაცვა ცივილიზებულ სახელმწიფოებში უპირველეს პრიორიტეტად არის მიჩნეული.
უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საქართველოში უკანასკნელო ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მიღებულ იქნა არაერთი კანონი და დადგენილება, რომლებიც ევროპულ კანონმდებლობასთან სრულ ჰარმონიზაციაშია, თუმცაღა ბევრი პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება.
წიგნი შედგება 2 ნაწილისაგან: 1. საქართველოს კანონები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2. ადამიანის უფლებათა შესახებ საწერთაშორისო აქტები და კონვენციები.
ნაშრომი დაეხმარება ნებისმიერ მკითხველს საკუთარი უფლებების ცოდნის, მათი პრაქტიკული გამოყენების საქმეში.
კრებული გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისათვის, მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, აგრეთვე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა წრისათვის.

134. 341.241/1 საერთაშორისო სავაჭრო სამართალი; სახელშეკრულებო კონვენციები გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“. თბილისი, 2009 წ. 327 გვერდი. 2012-1094

კრებულში წარმოდგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის საკითხებს. კონვენციების მიმღებ სუბიექტთა წრე მოიცავს გაეროს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, დსთ-ს, სუამ-ს, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.
წიგნი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტების, სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, ასპირანტებისათვის, ადვოკატებისათვის, დიპლომატებისათვის, მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

135. 340.14/4 დავითაშვილი გიორგი
დანაშაულთა სახეები: ქართულ ჩვეულებით სამართალში
რეცენზენტი პროფესორი დ. ბოსტოღანაშვილი; გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“

თბილისი, 2017 წ. 698 გვერდი. 2017-36960

ნაშრომი ეხება დანაშაულის ცალკეული სახეების განხილვას ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის მიხედვით. ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ცალკეული დანაშაულების ზოგად დახასიათებაზე და განსაკუთრებით იმ პასუხისმგებლობაზე, რაც ამ დანაშაულების ჩადენისათვის საქართველოს ცალკეული კუთხეების ჩვეულებითი სამართალი იყო გათვალისწინებული ამ ნაშრომში განხილულ იქნა დანაშაულთა კლასიფიკაცია, სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები, დანაშაულის სუბიექტი, სუბიექტური მხარე, დანაშაულის მცდელობის საკითხი, თანამონაწილეობის ინსტიტუტი, სასჯელთა სისტემა და კლასიფიკაცია, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები, ასევე სასჯელთა ცალკეული სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში.
ნაშრომი ძირითადად შესრულებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

136. 343.14/4 აბაშიძე გივი; მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში; გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-მთავარი რედაქტორი: ბ. ზოიძე; ბათუმი, 2009 წელი. 2012-5552

მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტს კაცობრიობის ისტორიაში ღრმა ფესვები აქვს, რომლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა საზოგადოების მორალურ და ეთიკურ ნორმებს, რელიგიურ წარმოდგენებს, ასევე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს. მოწმის ინსტიტუტი ცნობილია ჯერ კიდევ რომის სამართლიდან . იგი არსებობდა და ფართოდ გამოიყენებოდა რევოლუციამდელი რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლისა და სამოქალაქო პროცესებში.
ნაშრომში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:
მოწმის იმუნიტეტის ცნება და არსი;
სამართლებრივი იმუნიტეტის ზოგადი დახასიათება;
მოწმის იმუნიტეტის ცნება, საგანი, მნიშვნელობა და სამართლებრივი ბუნება;
მოწმის იმუნიტეტის პრინციპის თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში;
მოწმის იმუნიტეტი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში.
მოწმის იმუნიტეტის საზღვრები და სუბიექტები

მოწმის იმუნიტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში.

137. 341.3/8 სამხედრო სამართალი
ნორმატიული აქტების: კრებული 2009 წელი 10 ივნისის მდგომარეობით. გამომცემელი: „ბონა კაუზა“. თბილისი: 2009 წელი. 239 გვერდი; 2012-1056
სამხედრო სამართალი. ნორმატიული აქტების კრებული (2009 წლის 10 ივნისის მდგომარეობით)

სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია.
წიგნში წარმოდგენილია აი ნორმატიული აქტები, რომლებიც ადგენენ სამხედრო სამსახურის გავლის წესს, განსაზღვრავენ სამხედრო მოსამსახურის სტატუსს, არეგულირებენ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის გარანტიებს.
კრებულში წარმოდგენილი ნორმატიული აქტები კოდიფიცირებულია და მოყვანილია საკონტროლო მდგომარეობაში 2009 წლის 1 თებერვლისათვის.
განკუთვნილია სამხედრო მოსამსახურეთათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის, სამხედრო პროფილის სასწავლებლების სტუდენტებისათვის და სამხედრო პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

138. 340.6(02)/2 გელოვანი ნ; სხილაძე რ; წიქარიშვილი ხ; ტოქსიკოლოგიური ქიმია
გამომცემლობა „საუნჯე“; რეცენზენტი პროფესორი გივი კაციტაძე; თბილისი, 2009 წ. 183 გვერდი. 2012-0951

ნაშრომში გაშუქებულია „სასამართლო ქიმიური ანალიზის“ მნიშვნელობა, მისი ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის მართებულად წარმოების საკითხები.
დაწვრილებით არის გადმოცემული სასამართლო -ქიმიურ ლაბორატორიაში შრომით საქმიანობის ფუნქციები და ამოცანები, მათი ორგანიზაციული სტრუქტურა. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სასამართლო-ქიმიურ გამოკვლევებში ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტალური მეთოდების გამოყენებას. კურსი მოიცავს 30 თემას.
სახელმძღვანელოს შედგენისას გამოყენებულია ოფიციალური მასალები, სახელმწიფო ნორამტიული დოკუმენტები ჯანდაცვისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ სასამართლო ქიმიური ანალიზის ჩატარების საქმეში 2008 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით.
მასალა შედგენილია „ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში“ მოქმედი პროგრამის შესაბამისად და განკუთვნილია ფარმაცევტული ინსტიტუტების, ფაკულტეტებისა და უმაღლესი პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის, იგი ასევე სასარგებლო აღმოჩნდება

სასამართლო ქიმიურ ლაბორატორიებში მომუშავე ანალიტიკოსებისათვის.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება კანონით.

139. 340.1/4 კერესელიძე დავით
კერძო სამართლის უზოგადესი სისტემატური ცნებები
რედაქტორი: თამარ გაბელაია; ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2009; 428 გვერდი; 2012-0980

წიგნი შედგება 4 ძირითადი თავისა და მათი ქვეთავებისაგან. ესენია: 1- შესავალი; 2- პირი; 3-ქონება და 4 - მოქმედება.
საქართველოს სახელმწიფო ცნობს ადამიანის „საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და იცავს მათ, როგორც „წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს“.
-ადამიანის ღირსება და სიცოცხლე ხელშეუვალია
-„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია“...
-საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები აღიარებული და გარანტირებულია.
-„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების განვითარების უფლება“.
ამ უმნიშვნელოვანეს ფასეულობებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა კერძო სამართლის სამი ძირითადი ელემენტი: პირი(სუბიექტი), ქონება(ობიექტი) და მოქმედება (მოქმედების თავისუფლება).
წიგნს დართული აქვს ბიბლიოგრაფია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე.

140. 341.1/5 ნადარეიშვილი გიორგი
რომის სამოქალაქო სამართალი
მესამე გადამუშავებული გამოცემა; გამომცემლობა „ბონა კაუზა“; რედაქტორი: ზაზა ნანობაშვილი; თბილისი, 2009 წ. 169 გვერდი. 2018-1203

რომის სამოქალაქო სამართალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ისტორიში. მან საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს. სწორედ ამიტომ მისი საფუძვლიანი დაუფლება მნიშვნელოვანწილად აადვილებს სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის ფუნდამენტური დარგის შესწავლას.
ეს ნაშრომი, ასეთი სახის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე შექმნის ყველაზე სერიოზული ცდაა და დიდ დახმარებას გაუწევს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, მეცნიერ-მუშაკთათვის, აგრეთვე სამართლის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ

მკითხველთა ფართო წრისათვის.

141. 340.12/13 იზორია ლევან
თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია
მთავარი რედაქტორი -გიორგი ხუბუა; სტილისტ-რედაქტორი ქ. გოჩიტაშვილი; გამომცემლობა შპს „სიესტა“ 2009 წ. 261 გვერდი. გამომცემელი-ქ. კიღურაძე. 2012-0961

იზორია ლევან; თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია ნაშრომი აღწერს თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციის ამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს, განსაზღვრავს ამ ეტაპზე საქართველოში თანამედროვე საჯარო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების ძირითად პრიორიტეტებს.
წიგნი გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით და მასში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს. ნაშრომი დაცულია საავტორო სამართლით. დაუშვებელია გამომცემლის წერილობითი თანხმობის გარეშე მისი ცალკეული ნაწილებისა და მთლიანი ნაშრომის საჯარო მიზნებისათვის გამოყენება. დარღვევა გამოიწვევს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივ შედეგებს.

142. 340/42 დაზღვევის სამართალი
ნორმატიული აქტების კრებული; გამომცემლობა „ბონა კაუზა“; თბილისი, 2009 წ. 124 გვერდი. 2012-0816
ნორმატიული აქტების კრებული ცვლილებებითა დამატებებით 2009 წელი 25 ოქტომბერი

წიგნში ერთადაა თავმოყრილი ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ სადაზღვევო სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ფუნდამენტური კანონები სადაზღვევო დარგში, რომლებიც არსებითად ახლებურად აწესრიგებს დაზღვევის, პენსიის დანიშვნისა და სხვა საკითხებს.
წიგნში წარმოდგენილი კანონები საკონტროლო მდგომარეობაშია. განკუთვნილია იურისტებისათვის, ეკონომისტებისათვის, ბუღალტრებისათვის, ასევე სადაზღვევო კანონმდებლობით დაინტერესებული პირებისათვის.

143. 34(09)/18 ლობჟანიძე გივი
რომის სახელმწიფო და სამართალი. II ნაწილი; რედაქტორი: რ. შენგელია
რეცენზენტები: მარიამ ცაცანაშვილი, შალვა ქურდაძე; ქუთაისი შპს „ხომლი ენ-ის“ სტამბა. 2009; 495 გვერდი; 2012-0717

პროფესორი გ. ლობჟანიძის ნაშრომი ‘რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი“ შექმნილია რომის სამართლის წყაროებსა და უახლოეს პერიოდში გამოცემულ რუსულ და ევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, შეფასებულია მანამდე ქართულად გამოქვეყნებული მასალები.
ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ კარში განხილულია პირები რომის სამართალში, მემკვიდრეობის, სანივთო (ქონებრივი), საკუთრების, მფლობელობის, საოჯახო-საქორწინო სამართალი და ეძღვნება პროფესორი გ. ინწკირველის მოგონებას. მეორე კარი, რომის ვალდებულებითი სამართალი-პროფესორ გ. ქარქაშაძის ხსოვნისადმია მიძღვნილი.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და რომის სამოქალაქო (კერძო) სამართლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.
წიგნი სახელმძღვანელოდ და გამოსაცემად რეკომენდირებულია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

144. 34(09)/20 ტალიაშვილი ალექსანდრე
ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი; გამომცემლობა -ბაკმი თბილისი 2009; 103 გვერდი; დამხამრე სახელმძღვანელო . პირველი გამოცემა; 2012-0687

ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი. I გამოცემა
სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მკვლევარები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ სწორედ ძველი ათენისა და რომის ცივილიზაციებმა ჩაუყარეს საფუძველი ევროპის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას.
ანტიკური საზოგადოება და ცივილიზაცია შეიქმნა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. განვითარებულმა ფულადმა სისტემამ და ფინანსურმა კავშირებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ანტიკური ქვეყნების სახელმწოფოებრიობის ჩამოყალიბებაში. თავისი განვითარების მწვერვალზე მათ შექმნეს მსოფლიო მასშტაბის ორი იმპერია-ალექსანდრე მაკედონელისა და რომის იმპერიები. სწორედ ამ ქვეყნებში შეიქმნა პიველად უზარმაზარი ტერიტორიების მართვის ადმინისტრაციულ -სამართლებრივი ფორმები. ანტიკური ქვეყნების წიაღში შეიქმნა ახალი პოლიტიკური თუ იურიდიული ინსტიტუტები, რომლებმაც შემდგომში უზარმაზარი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე.

145. 34/59 ევროპის სამართალი
გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“; თბილისი, 2009 წ. 255 გვერდი. 2012-0428

წიგნში მოცემულია ის საერთაშორისო -სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიიღო ევროპულმა სტრუქტურებმა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ „ბებერი კონტინენტის“ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფასეულობისადმი. ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია.
საქართველო, რომელსაც სურს ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპულ თანამეგობრობაში, დღენიადაგ ცდილობს თანმიმდევრულად გადადგას სათანადო ნაბიჯები მიზნის მიღწევის გზაზე. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ.“
განკუთვნილია იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტების სტუდენტთათვის, სახელმწიფო მოხელეებისათვის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთათვის და დაინტერესებული მკითხველისათვის.

146. 343.359/5 ინსტრუქცია
საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების გამოყენების შესახებ. 2009 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით. გამომცემლობა „რაიზი“; თბილისი, 2009 წ. გვერდი. 54. 2013-11927

ინსტრუქცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების გამოყენების შესახებ
გამოცემულია 2009 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით; ინსტრუქცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:
საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითები ძირითად საშუალებათა მიხედვით;
ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა
გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამხადებელი მომსახურების ხარჯები.
არამატერიალური აქტივების ხარჯები
გადასახადის მიმდინარე გადასახადები

147. 343.359/6 საგადასახადო კოდექსის საფუძველზე; გამოცემული ინსტრუქციები; 2009 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „რაიზი“; თბილისი 2009 წელი. გვერდი. 128. 2013-11953

შინაარსი:
ინსტრუქცია
საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსების წესის შესახებ.
დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის წესის შესახებ.

დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ.
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის შესახებ. მოგების გადასახადის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ.
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის შესახებ. მოგების გადასახადის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ.
ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ.
საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსების წესი.
ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსების წესი.
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსების წესი.
გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის ფორმის შესვსების წესის შესახებ.
აქციზის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ.

148. 343.3(02)/2 ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, გვენეტაძე ნ, მუმლაძე დ; რედაქტორი გ. მამულაშვილი; რეცენზენტები-რ. გოგშელიძე, გ. ნაჭყებია; გამომცემლობა „მერიდიანი"; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; წიგნი II; მესამე გამოცემა; თბილისი, 2009 წ. გვერდი.423; 2016-18389

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი V მე-3 გამოცემა
სისხლის სამართლის კერძო ნაწილი შეიძლება განიმარტოს, როგორც სისხლის სამრთლის კანონით დადგენილ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულად აღიარებულ ქმედებათა წრესა და ნიშნებს, ასევე მისი ჩადენისათვის დადგენილ სასჯელის სახესა და ზომას.
ნაშრომი საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს გაგრძელებაა. იგი მოიცავს ეკოლოგიურ დანაშაულს, სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულის ზოგად დახასიათებას და დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ.
წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

149. 343.195/3 იორჰენდი ლარს, წიქარიშვილი კარა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; დასავლური სისტემების მიმოხილვა; გამომცემელი-„ბონა კაუზა"; რედაქტორი - კ.წიქარიშვილი; თბილისი, 2009 წ. 91 გვერდი. 9171

ნაშრომში განხილულია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე და მისი წარმოშობის ისტორია.
საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელსაც თავისი ისტორიული

ფესვები მე-11 საუკუნის ინგლისში გააჩნია, ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ ყოფილ ინგლისურ კოლონიებში, კერძოდ, საერთო სამართლის ქვეყნებში, არამედ კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც.
თუმცა, მრავალი წლის გამოცდილების შემდეგ, ევროპული ქვეყნების უმრავლესობამ უარი თქვა საერთო სამართლის მოდელზე და არჩევანი გააკეთა „შერეულ სასამართლოზე“, სადაც პროფესიონალი მოსამართლე და მსაჯულები ერთობლივად წყვეტენ, როგორც ბრალის, ასევე სასჯელის საკითხებს.
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი მოქალაქეების მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, არამედ ეს არის საკმაოდ რთული სასამართლო, რომელიც მოითხოვს მრავალი საკიტხის გადაწყვეტას.

ნაშრომი დააინტერესებს კანონმდებელს, პრაქტიკულ მუშაკებსა და ფართო მკითხველს.

150. 343.14/4 აბაშიძე გივი; მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში; გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-მთავარი რედაქტორი-ბ. ზოიძე; ბათუმი -2009 წ. 2012-5552

მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტს კაცობრიობის ისტორიაში ღრმა ფესვები აქვს, რომლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა საზოგადოების მორალურ და ეთიკურ ნორმებს, რელიგიურ წარმოდგენებს, ასევე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს. მოწმის ინსტიტუტი ცნობილია ჯერ კიდევ რომის სამართლიდან . იგი არსებობდა და ფართოდ გამოიყენებოდა რევოლუციამდელი რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლისა და სამოქალაქო პროცესებში.
ნაშრომში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:
მოწმის იმუნიტეტის ცნება და არსი;
სამართლებრივი იმუნიტეტის ზოგადი დახასიათება;
მოწმის იმუნიტეტის ცნება, საგანი, მნიშვნელობა და სამართლებრივი ბუნება;
მოწმის იმუნიტეტის პრინციპის თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში;
მოწმის იმუნიტეტი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში.
მოწმის იმუნიტეტის საზღვრები და სუბიექტები
მოწმის იმუნიტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში.

151. 343.122/2 აბაშიძე გივი; სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისათვის მომზადების ტაქტიკა და მისი დაგეგმვა; გამომცემლობა- შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმი 2009 წელი. 63 გვერდი; რედაქტორი-ადამ მახარაძე; რეცენზენტები: ნ. გაბრიჩიძე; მ. მამნიაშვილი. 2013-11423

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისათვის მომზადების ტაქტიკისა და მისი დაგეგმვის მოდელის შემუშავება. პროკურორის მიერ სასამართლო სხდომისათვის მომზადება, ბრალდების მხარდაჭერისათვის სათანადო ტაქტიკის შემუშავება და მისი დაგეგმვა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემობაა.
ნაშრომში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:
სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის თეორიული და სამართლებრივი საფუძვლები
სახელმწიფო ბრალდების ცნება, არსი, მნიშვნელობა და მისი ამოცანები სისხლის სამართლის პროცესში
პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალდების სუბიექტი
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისათვის მომზადების ზოგადი დახასიათება და მისი მნიშვნელობა.
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისათვის მზადების ტაქტიკა
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

152. 343.122/1 აბაშიძე გივი; სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში; რედაქტორი: ნიკოლოზ გაბრიჩიძე; რეცენზენტები: მიხეილ მამნიაშვილი; გიორგი ბარაბაძე; ირაკლი აბაშიძე; თბილისი, 2009 წ. გამომცემლობა „ინოვაცია“; 2012-5519; 115 გვერდი.

ნაშრომში განხილულია და ამოყალიბებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მონაწილეობის თეორიული და სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, სახელმწიფო ბრალდების ცნება, არსი და მნიშვნელობა და ამოცანები სისხლის სამართლის პროცესში, პროკურორის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისათვის მომზადების ტაქტიკა, მისი დაგეგმვა, პროკურორის მონაწილეობა სასამართლო განხილვის მოსამზადებელ ნაწილში, სასამართლო გამოძიებაში და სასამართლო კამათში.
ავტორის მიერ დეტალურად არის წარმოდგენილი და დამუშავებული პირველი ინსტაციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში პროკურორის მონაწილეობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, რისთვისაც აღნიშნულ საკითხზე შესწავლილი აქვს ვრცელი თეორიული მასალა, სამეცნიერო შრომები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები და მისი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პროკურორად და მოსამართლედ მუშაობის პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე ფართო არის გადმოცემული საკუთარი შეხედულებები.

ნაშრომი განკუთვნილია ამ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი მუშაკებისა და სტუდენტებისათვის. ასევე ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის.

153. 342.7(082)/1 კორკელია, კონსტანტინე (რედ) ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები; სტატიათა კრებული; GTZ 2009; სტატიათა ავტორები 2009; თბილისი, 2009 წ. 296 გვერდი. 2012-1741

სტატიათა კრებული მიზნად ისახავს, მკითხველს გააცნოს სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებითევროპული სახელმწიფოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ პრაქტიკის გაცნობა შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.
სტატიების ავტორები როგორც პრაქტიკოსი, ისე მეცნიერი იურისტები არიან. ისინი თავისუფალნი იყვნენ სტატიების თემატიკის შერჩევაში, ამიტომ სტატიების თემატიკა ბუნებრივად ასახავს იმ საკითხებს, რომლებიც ავტორების აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა.
კრებულში განხილულია მრავალი საინტერესო თემა, მათ შორის: სიცოცხლის უფლება და წამების აკრძალვასთან დაკავშირებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობის ევროპული სტანდარტები, ტერორიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ექსტრატერიტორიული დაცვა, ევროპული სასამართლოს ინსტიტუციური რეფორმა, კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მოქალაქეობის სტატუსის პრობლემები, ნორმათა იერარქია და ადამიანის უფლებათა დაცვა, საარჩევნო კანონმდებლობის აქტუალური საკითხები, საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები.
ეს კრებული GTZ-ის მხარდაჭერილი რიგით მესამე მსგავსი გამოცემა.

154. 342.7/41 ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; საკანონმდებლო აქტების კრებული; 2009 წლის 15 სექტემბრის ,დგომარეობით; გამომცემლობა „ბონა კაუზა“; თბილისი, 2009 წ. 244 გვერდი. 2012-1631

წიგნში სრულყოფილად არის წარმოდგენილი საქართველოს კანონები და უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში
ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს და ხელისუფლების დამოკრატიულობის ერთგვარ ბარომეტრს წარმოადგენს.

თანამედროვე მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მონაპოვრის დაცვა ცივილიზებულ სახელმწიფოებში უპირველეს პრიორიტეტად არის მიჩნეული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საქართველოში უკანასკნელო ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მიღებულ იქნა არაერთი კანონი და დადგენილება, რომლებიც ევროპულ კანონმდებლობასთან სრულ ჰარმონიზაციაშია, თუმცაღა ბევრი პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება.
წიგნი შედგება 2 ნაწილისაგან: 1. საქართველოს კანონები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2. ადამიანის უფლებათა შესახებ საწერთაშორისო აქტები და კონვენციები.
ნაშრომი დაეხმარება ნებისმიერ მკითხველს საკუთარი უფლებების ცოდნის, მათი პრაქტიკული გამოყენების საქმეში.
კრებული გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისათვის, მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, აგრეთვე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა წრისათვის.

155. 342.7/61 კორკელია კონსტანტინე; როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. გამოცემულია GTZ-ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი, 2010 წ. 159 გვერდი. 2012-1751

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავჯდომარის ჟან პოლ კოსტას წინასიტყვაობით.
1989 წელს, საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე გახდა და შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.
ნაშრომში მკითხველი გაეცნობა სახელმწიფოების, განსაკუთრებით ევროპული სახელმწიფოების, სასამართლო პრაქტიკას, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით. ასევე გაანალიზებულია 2010 წლამდე არსებული საქართველოს საერთო სასამართლოების თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები.
ნაშრომის მიზანია განვლილი პერიოდის პრაქტიკის საფუძველზე იმის გაანალიზება, მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით დაცვაზე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ევროპული სტანდარტები დაცული იყოს საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში.

156. 342.7/61 კორკელია კონსტანტინე; როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. გამოცემულია GTZ-ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი, 2010 წ. 159 გვერდი. 2012-1751

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავჯდომარის ჟან პოლ კოსტას წინასიტყვაობით.
1989 წელს, საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე გახდა და შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.
ნაშრომში მკითხველი გაეცნობა სახელმწიფოების, განსაკუთრებით ევროპული სახელმწიფოების, სასამართლო პრაქტიკას, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით. ასევე გაანალიზებულია 2010 წლამდე არსებული საქართველოს საერთო სასამართლოების თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები.
ნაშრომის მიზანია განვლილი პერიოდის პრაქტიკის საფუძველზე იმის გაანალიზება, მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით დაცვაზე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ევროპული სტანდარტები დაცული იყოს საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში.

157. 349.6/2 ურუშაძე თენგიზ; ლორია ვალერი
ეკოლოგიური სამართალი.(მე-4 გამოცემა).
რედაქტორები: პაატა ტურავა, ლია მაჭავარიანი; რეცენზენტები: ლევან ალექსიძე, მაია ბითავა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, 309 გვერდი. 2016-7446

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. წიგნში განხილულია ეკოლოგიური სამართლის ძირითადი საკითხები. ზოგად ნაწილში მოტანილია საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების საგანი და სისტემა; ეკოლოგიური სამართლის ცნება, ობიექტები, საგანი და მეთოდები; ბუნებათსარგებლობის სამართალი; ეკოლოგიური კონტროლი.
კერძო ნაწილი მოიცავს ბუნების ცალკეული კომპონენტების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, მათ შორის: ატმოსფერული ჰაერის, წყლების, მიწების, წიაღის და წიაღისეულის, ტყის და მცენარეულობის, ცხოველთა სამყაროს, დაცული ტერიტორიების და ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას.

სახელმძღვანელოს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

158. 349.442/1 სამშენებლო სამართალი. როგორ ვაშენოთ კანონიერად. ცვლილებებითა და დამატებებით 2010 წლის ოქტომბრამდე.
გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010 წ. 293 გვერდი. 2016-7449

იურისტის ბიბლიოთეკა
წინამდებარე გამოცემა შეიცავს საქართველოს კანონებს სამშენებლო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა წლებში გამოცემულ კანონებს, ბრძანებებსა და დადგენილებებს ქალაქმშენებლობის, ტექნიკური უსაფრთხოების და ტერიტორიების განაშენიანებისა და გამოყენების შესახებ. აგრეთვე, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების განმსაზღვრელი კანონები და დადგენილებები-2010 წლის 10 ოქტომბრამდე.
გამოცემას ერთვის ამონარიდები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებიდან.

159. 342.3/30 მუნუციპალური სამართალი ცვლილებებითა და დამატებებით 2010 წლის 1 ნოემბრამდე. გამომცემლობა „ბონა კაუზა“. თბილისი, 2010 წ. 2012-1324

სამართალი
ყველაფერი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ
საქართველოს მოქალაქეები- საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.
ამ კანონის გარდა, ზემოაღნიშნულ საკითხებს აწესრიგებს ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებიც, რომლებიც წიგნში საკონტროლო მდგომარეობაშია მოყვანილი. კრებულში მოცემულია აგრეთვე ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, სახელმწიფო მოხელეებისათვის, პოლიტიკოსებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

160. 341.9/5 საერთაშორისო კერძო სამართალი
კონვერტაციები, შეთანხმებები, პაქტები. გამომცემელი- „ბონა კაუზა“. თბილისი, 2010 წ.

155 გვერდი. 2012-1024

წიგნში თავმოყრილია საერთაშორისო კერძო სამართალში არსებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, სტატუსები და კონვენციები.
საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.
წიგნი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტების სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, ადვოკატებისათვის, დიპლომატებისათვის, მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

161. 341/38 ალექსიძე ლევანი
თანამედროვე საერთაშორისო სამართალი რედაქტორი: პროფესორი კოტე კორკელია
საგამომცემლო სახლი: „ინოვაცია“; თბილისი, 2010 წ. 510 გვერდი. 2012-1004

წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები: საერთაშორისო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის ცნება, სოციალური ბუნება, წყაროები, სუბიექტები; ცალკეული დარგების (სახელშეკრულებო, დიპლომატიური, საკონსულო, კოსმოსური და სხვა). ძირითადი დებულებანი. საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობების იურიდიული ჩარჩოა, რაც აძლევს ამ ურთიერთობებს სპეციფიკურ, სხვა სოციალურ მოვლენებისაგან განსხვავებულ ხასიათს. საერთაშორისო სამართალი მოიცავს მხოლოდ იმ ნორმებს, ქცევის წესებს, რომლებიც სახელმწიფოთა, სხვა სუბიექტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნებიან და რომელთა შესრულების უზრუნველყოფა თვით სახელმწიფოების, სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ხდება.
ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

162. 341(02)/5 საერთაშორისო სამართალი. ქართული თარგმანი -ნ. დ. ერიაშვილის რედაქციით; ავტორები: კ.კ გასანოვი, ი.ა. კუზნეცოვი; დ.ა. ნიკონოვი, რ.ა კალამკარიანი, დ.დ. შალიაგინი. რეცენზენტები: ა.ა. სტრუმოხოვი; გამომცემლობა: „სამართლიანი საქართველო“; თბილისი, 2010 წ. 411 გვერდი. 2012-1069

სახელმძღვანელოში მოკლედ და სისტემატიზირებული სახით ჩამოყალიბებულია „საერთაშორისო სამართლის“ კურსის თემები, მათ შორის: საერთაშორისო სამართლის სამართლის ცნება და წყაროები; საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და სუბიექტები; თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სამართლის უზენაესობის კონვენცია; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია. საერთაშორისო შეთანხმებებისა და საგარეო ურთიერთობათა სამართალი; პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სამართლის ცალკეულ დარგებს- საზღვაო, საჰაერო, კოსმოსურ, სისხლის სამართლის, ჰუმანიტარულ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ სამართალს.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული პროფილის სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის.
რეკომენდებულია სასწავლო-მეთოდური ცენტრის „პროფესიული სახელმძღვანელო“ მიერ.
ყველა უფლება დაცულია.

163. 34(02)/11 ლობჟანიძე გივი
სახემწიფოსა და სმართლის ზოგადი თეორია; რედაქტორი: პროფესორი გიორგი ხუბუა. რეცენზენტები: ვალერი ლორია, მანანა მოსულიშვილი; გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“; თბილისი, 2010 წ. 472 გვერდი. 2012-0543

ნაშრომი შედგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისა და თანამედროვე მეცნიერების (სახელმწიფოთმცოდნეობა, სამართალმცოდნეობა) მიღწევათა გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს პირველი გამოცემის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემების“ შემცირებულ დდა შესწორებულ მეორე გამოცემას.
წიგნი, როგორც სახელმძღვანელო სმასახურს გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, იურისტებს, სახელმწიფოსა და სმართლის თეორიის პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.
წიგნი გამოსაცემად და სახელმძღვანელოდ რეკომენდებულია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.
ნაშრომი ეძღვნება ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, პროფესორ ვახტანგ ქარუმაძის ხსოვნას.

164. 34/56 რენე დავიდი ; თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. რედაქტორი: თედო ნინიძე; მთარმნელები: თედო ნინიძე; ეკატერინე სუმბათაშვილი; გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“. თბილისი, 2010 წ. 423 გვერდი. 2012-

6316

წინამდებარე წიგნი არის მსოფლიოში მოქმედი სამართლებრივი სიტემების ერთ მონოგრაფიაში ასახვის წარმატებული ცდა.
კონტინენტური ევროპის: ინგლისური, ამერიკული, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მართლშეგნების, სამართლის წყაროების და ინსტიტუტების შედარებითი ანალიზით ავტორი თანამედროვე იურიდიული სამყაროს ფართო პანორამას გვთავაზობს. გრანდიოზული მასალის ორიგინალური გააზრების და ოსტატურად გადმოცემის წყალობით წიგნმა ფართო აღიარება ჰპოვა.
ავტორი, აწ განსვენებული ფრანგი პროფესორი რენე დავიდი, იწოდება იურიდიული კომპარავისტიკის თანამედროვე თეორიის მთავარ არქიტექტორად.

165. 343.2(02)/3 იოჰანეს ვესელსი; ვერნერ ბოილკე; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება; 38-ე გადამუშვებული გამოცემა; სამეცნიერო რედაქტორი-ი. დვალაძე; მთარგმნელი- ზ. არსენიშვილი; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი, 2010 წ. 606 გვერდი. 2013-11719

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; დანაშაული და მისი აგებულება
სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი იურიდიული განათლების დაუფლებისა და გაღრმავების სურვილის მქონე ქართულენოვანი მკითხველისათვის ერთობ საინტერესო ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს.
ქართული სამართლებრივი სისტემის რომანულ-გერმანული ოჯახისადმი კუთვნილება, კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ამ ოჯახში შემავალი ქვეყნების სამეცნიერო მიღწევების გაცნობისა და გაზიარების საკითხს.
იოჰანეს ვერელსისა და ვერნერ და ვერნერ ბოილეს სახელმძღვანელო გერმანული სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, დიდ დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებმაც უკვე გაიარეს სისხლის სამართლის მთლიანი კურსი, კიდევ უფრო სრულყონ სისხლის სამართალში მიღებული ცოდნა.

166. 343.2/9 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქეთევან; კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში; II შევსებული და გადამუშავებული გამოცემა; რეცენზენტები: ნანა თოდუა; გოჩა მამულაშვილი; გამომცემლობა-„მერიდიანი“; თბილისი 2010 წელი. გვერდი.199; 2107-41730

წიგნის მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამდიდრებულია

კაზუსებითა და მოკლე დოგმატიკური ნაწილებით. წარმოდგენილია არამხოლოდ კაზუსების ამხსნის მეთოდიკის თეორია, არამედ სისხლის სამართლის კაზუსების პირველი წიგნი ქართულ ენაზე.
სტუდენტის მიერ კაზუსების წერილობით ანალიზს კაზუსების ამოხსნის მეთოდიკის გამოყენებით მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესწავლილი მარადის უკეთესად დაუფლებისა და ამგვარად მისი პრაქტიკაში სამუშაოდ მომზადებისათვის.
წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში საუბარია კაზუსის ამოხსნას ტექნიკისა და სტადიებზე, მეორე ნაწილში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მატერიალური სამართლის ცალკეული თემები კაზუსების ამოხსნის ნიმუშებით; ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა; შუალობითი აღმსრულებლობა; დანაშაულის გამოვლენის სხვადასხვა სახის სქემები; თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სქემები.
ნაშრომი დაეხმარება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს წერის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კაზუსის ამოხსნისას შესწავლილი თეორიული მასალის გამოყენებაში.

167. 343.195(09)/1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია; სამეცნიერო რედაქტორი: ზ. მეიშვილი; სტილისტი- თ.ქოქრაშვილი; თბილისი, 2010 წ. 104 გვერდი. 2013-11491

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს უძველესი ინსტიტუტი 2010 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოშიც ამოქმედდა, რასაც ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა.
ნაშრომი მიმოხილვითი ხასიათისაა და საწყის ეტაპზე მკითხველს აწვდის გარკვეულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორია მისი წარმოშობის ისტორია, რა განვითარება ჰპოვა ამ ინსტიტუტმა შემდგომში, ვინ იყვნენ ნაფიცი მსაჯულებიდა რა როლი ეკისრებოდათ მათ საზოგადოებაში, არსებობდა თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და ა.შ.
საერთო სამართლის ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჰყავს როგორც უამრავი მხარდაჭერა, ასევე მოჭინააღმდეგე. ნაფიც მსაჯულთა მომხრეების უპირველესი არგუმენტია ის, რომ სახელმწიფო ძალაუფლებისაგან ინდივიდის დაცვის ყველაზე მყარ გარანტიას ქმნის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ასეთი ტიპის სასამართლო იძლევა პროცესის მაქსიმალურ შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობას.
რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოწინააღმდეგეებს, ისინი არგუმენტად იშველიებენ მსაჯულთა არაპროფესიონალიზმს. და მიიჩნევენ, რომ ნაფიც მსაჯულთა პროცესი ნელი და მოუქნელია და საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს.

უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემული ეს ნაშრომი, მიზნად ისახავს, დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს ამ უაღრესად საინტერესო და ურთულესი ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ცალკეული ქვეყნების მიხედვით.
გამოცემა იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

168. 343.14/6 დეკანოზიშვილი გია; დაკითხვის თანამედროვე პრობლემები; სისხლისსამართალწარმოებასა და კრიმინალისტიკაში; რედაქტორი-ა. ფალიაშვილი; რეცენზენტები: მ. მოსულიშვილი; ნ. გოგიჩაიშვილი; გამომცემლობა: „გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; 2010 წ. 291 გვერდი. 2012-4132

წიგნში გადმოცემულია დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენებისას პროცესუალური ნორმების დაცვის მექანიზმი.
ჩამოყალიბებულია დასაკითხის მიერ ინფორმაციის გადაცემის (ჩვენების მიცემისას) დომინირებული-კინესთეტიკური, აუდიტორიული და ვიზუალური ფორმების დადგენის მეთოდიკა.
სისტემატიზირებულია ჩვენების მიღებისას დომინირებული ფორმების შესაბამისი დაკითხვის ტაქტიკური ხერხები.
მოცემულია შემეცნებითი დაკითხვის ანუ ე.წ. „კოგნიტური ინტერვიუს“ გამოყენების საკითხები, მოწმისაგან ან დაზარალებულისაგან სრული და დაზუსტებული ინფორმაციის მიღებისათვის, რაც ითვალისწინებს მოვლენების კონტექსტში აღდგენის, სხვადასხვა თანმიმდევრობით გახსენების, პერსპექტივაში დანახვის და სპეციფიკური გახსენების ტაქტიკური ხერხების გამოყენებას.
ნაშრომი დაეხმარება არა მარტო მაგისტრატურის და დოქტორანტურის მსმენელებს არამედ დეტექტივებს, მათ თანაშემწეებს, ადვოკატებს და მოსამართლეებს, დაკითხის სწორი ტაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

169. 342.7(082)/2 კორკელია კონსტანტინე; ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. სტატიათა კრებული; GTZ 2010; სტატიათა ავტორები; თბილისი, 2010 წ. 256 გვერდი. 2012-1738

სტატიათა კრებული (2010)
სტატიების ავტორების მიერ კრებულში განხილულია მრავალი საინტერესო თემა, როგორებიცაა: კონსტანტინე კორკელია-წინასიტყვაობა
თეიმურაზ ანთელავა-ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ტესტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალში.
ირაკლი გივიაშვილი-ინფორმაციის მიღების თავისუფლება ადამიანის უფლებათა

ევროპული კონვენციის მიხედვით.
დავით თომაძე-საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება-ევროპული სასამართლოს ხედვა.
ნათია კალანდარიშვილი-ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ურთიერთმიმართება.
სოფიო კუპრაძე-ტერიტორიული დათქმები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმართ და ქართული პრაქტიკა.
ბესიკ ლოლაძე-საკუთრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვა საქართველოში.
ვახუშტი მენაბდე-კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში.
ლარს კრისტიან სუნდე-სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა.
ლალი ფაფიაშვილი-დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში.
ირაკლი ყანდიაშვილი-ქონებრივი რესტიტუცია ქართული კანონმდებლობისა და სტრასბურგის სასამართლოს მაგალითზე.
მიხეილ შარაშიძე-საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები.
რევაზ ხოფერია-ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და უფლების დაცვის ეფექტიანი საპროცესო მექანიზმი.
ქეთევან ხუციშვილი -ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით.
სტატიათა კრებული მიზნად ისახავს, გააცნოს მკითხველს სხვა სახელმწიფოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.
კრებული გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით.

170. 342.7/61 კორკელია კონსტანტინე; როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. გამოცემულია GTZ-ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი, 2010 წ. 159 გვერდი. 2012-1751

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავჯდომარის ჟან პოლ კოსტას წინასიტყვაობით.
1989 წელს, საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე გახდა და შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოს

კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.
ნაშრომში მკითხველი გაეცნობა სახელმწიფოების, განსაკუთრებით ევროპული სახელმწიფოების, სასამართლო პრაქტიკას, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით. ასევე გაანალიზებულია 2010 წლამდე არსებული საქართველოს საერთო სასამართლოების თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები.
ნაშრომის მიზანია განვლილი პერიოდის პრაქტიკის საფუძველზე იმის გაანალიზება, მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით დაცვაზე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ევროპული სტანდარტები დაცული იყოს საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში.

171. 349.2(082)/1 შრომის სამართალი ტ.I სტატიათა კრებული; რედაქტორი: ზაალიშვილი ვახტანგი; კოორდინატორი ამირანაშვილი გიორგი; გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. 2016-7752

წინამდებარე კრებული წარმოადგენს ახალ რეგულირებათა ანალიზის მცდელობას სამეცნიერო ჭრილში, რისთვისაც უკვე არსებული სასამართლო პრაქტიკა კარგ საფუძველს ქმნის. სტატიების ავტორები არიან როგორც მოქმედი მოსამართლეები, ასევე მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევარები. ყველაზე აქტუალური საკითხებია: დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, შრომითი ხელშეკრულების მოშლის წესი, სოციალური დაცვის ცალკეული მექანიზმები. აგრეთვე, სტატიებში განხილულია დასაქმებულის სტატუსის მახასიათებლები, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები და სხვა.

172. 347.736/1 (ელექტრონული კოდი: 2019) ჰაინრიჰ შნიტგერი, როინ მიგრიაული გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი. დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან
თბილისი, გამომცემლობა „სიესტა“, 2011 წ. 137 გვერდი.

ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემებისათვის, ბაზრის მონაწილეების წარმატებასთან ერთად ნაცნობია ასევე წარუმატებლობაც. ბაზარზე ორიენტირებული მართლწესრიგი, პასუხს უნდა იძლეოდეს ასეთი შემთხვევებისათვის. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა კი გაკოტრების სამართლის ამოცანაა. იგი აწესრიგებს მოვალის გადახდისუუნარობისას მონაწილე მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს და გაკოტრების წარმოებას. გაკოტრების წარმოება მიზნად ისახავს, მოვალეების

გადახდისუნარიანობის აღდგენას ან წარმოების ჯეროვნად ჩატარებას. გაკოტრების სამართლის მოქმედების სფერო არაპირდაპირ ვრცელდება ასევე სხვა სფეროებზე, ისეთი როგორც არის საკრედიტო სექტორი. კრედიტის გამცემი პირები, კრედიტის გაცემას დამოკიდებულს გახდიდნენ გაკოტრების შემთხვევაში კრედიტის მიმღების მიერ მათი უკან დაბრუნების შანსებზე.
წიგნი, სასამართლოებში, საადვოკატო ფირმებში, სამინისტროებსა და უნივერსიტეტებში მოღვაწე იურისტებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს, დიდ დახმარებას გაუწევს.
ნაშრომი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით.

173. 349.4(02)/1 საქართველოს მიწის სამართალი. სახელმძღვანელო. ავტორები: ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ., ქვაცაბაია. ფ. რედაქტორები: ტურაბელიძე,ნ. რეცენზენტები: წულაძე,ჯ; ბუცხრიკიძე, გ; ჩიქოვანი.პ.
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2011 წ. 296 გვერდი. 2016-7450

მიწების დაცვისა და გამოყენების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და აქტუალობა შეიძინა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ რადიკალურად შეცვალა საადგილმამულო ურთიერთობათა მარეგულირებელი მექანიზმის შინაარსი, საქმის წარმოების პროცესი, სტრუქტურული წყობა. მიწის ფონდის მართვის ტექნიკურ-ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტებიდან წინა პლანზე წამოიწია იურიდიულმა მხარემ. სახელმძღვანელო მოიცავს მიწის სამართლის ცნებას, ისტორიას, წყაროებს, მისი გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს. მიწისა და ტყის, წყლის, ნაკრძალების სამართლებრივ რეჟიმებს და მათი სარგებლობის უფლება-მოვალეობებს. მიწასთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულების წესებს. სახელმძღვანელო „საქართველოს მიწის სამართალი“ კარგ სამსახურს გაუწევს, როგორც სტუდენტებს, ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს.

174. 342/69 ინწკირველი გივი
სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი, 2011 წ. 234 გვერდი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2017-41610

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია საზოგადოებრივი მეცნიერებაა. სახელმწიფო განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციაა, ხოლო სამართალს შეადგენენ ის სავალდებულო ქცევის წესები, რომელთა შესრულება

უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამრიგად სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის მხოლოდ განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოვლენებს- სახელმწიფოსა და სამართალს.
ნაშრომში უპირატესობა მიენიჭა სახელწოდებას „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“ „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასთან“ შედარებით, რამაც განაპირობა ცვლილება მის სათაურში. სანამ რომელიმე მოსაზრება მყარად არ დამკვიდრდება მეცნიერებაში, ყველას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ერთ-ერთი მათგანი, ასევე სავალდებულო არ არის ყველამ გაიზიაროს ავტორის მოსაზრებები , მეცნიერებაში ჯერ კიდევ სადავო ზოგიერთი პრობლემის მიმართ.

175. 342.56/2 შვაბე, იურვენ
გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები
რედაქტორები: კ. კუბლაშვილი; თ. ნინიძე; ბ. ლოლაძე; ქ. ირემაძე. სტილისტური რედაქტორები: ზ. ბზიშვილი; თ. ქორქაშვილი; მთარგმნელი: ე. ჩაჩანიძე. გამოცემის ელ.ვერსია www.giz.de/Law-caucasus. 2011 წ. 463 გვერდი. 2012-1661

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები
პუბლიკაცია წარმოადგენს ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორის იურგენ შვაბეს მიერ გამოცემული კრებულის „ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები“ ქართულ თარგმანს, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ნორმათა შინაარსისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის გასაცნობად საუკეთესო გამოცემაა. კრებულში თავმოყრილია 1950-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა ის ძირითადი „გზამკვლევი“ გადაწყვეტილება, რომლებიც შთამბეჭდავად არის ახსნილი და განმარტებული გერმანიის კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრონციპების შინაარსი.
საქართველო წარმოადგენს რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ნაწილს, სისტემისა, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ კულტურას განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულის ქართული თარგმანის გამოცემა მნიშვნელოვანი სიახლეა არა მარტო ქართველი იურისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვისაც.
ქართულ ენაზე კრებული შეიქმნა საქართველოს უზენაესი და საკონსტუტიციო სასამათლოების თანამშრომლობით, ხოლო მისი გამოცემა შესაძლებელი გახდა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით.

176. 342.4(02)/3 დემეტრაშვილი ავთანდილ; კობახიძე ირაკლი
კონსტიტუციური სამართალი. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. რეცენზენტები: ნანა ჭიღლაძე; ზაზა რუხაძე; ლევან ალექსიძე. თბილისი, 2011 წ. 504 გვერდი. 2012-1573

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით ავტორები ცდილობენ კომპლექსურად გაიაზრონ და მკითხველს შესთავაზონ თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის ზოგადთეორიული, კომპარატივისტული, ეროვნული ცნებები, კატეგორიები, ინსტიტუტები, პროცედურები.
სახემლძღვანელო ითვალისწინებს კონსტიტუციური სამართლის სავალდებულო სასწავლო დისციპლინის ყველა იმ ტრადიციულ თემას, რომელიც, როგორც წესი ისწავლება იურიდიული პროფილის, საქართველოსა და კონტინენტური ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში.
ნაშრომში გამოყენებულია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მხოლოდ ამოქმედებული ნორმები, ხოლო დანართის სახით გამოქვეყნებულ კონსტიტუციის ტექსტში 2013 წელს ასამოქმედებელი დებულებებიდახრილი შრიფტით არის გამოყოფილი.
სახელმძღვანელო შედგება 11 კარის, 25 თავისა და დანართისაგან.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

177. 37/78 (ელექტრონული კოდი: 2013-1486) ალავიძე ოლეგ, გოგიჩაშვილი ნანა, ბალანჩივაძე თამარ
კრეატიული პედაგოგიკა
რედაქტორი - ვ. ასათიანი
რეცენზენტები - ი. ბუხულეიშვილი, რ. ჭანიშვილი
თბილისი, გამომცემლობა „ლიკა“, 2011 წ. 312 გვერდი.

„კრეატიული პედაგოგიკა“, როგორც განათლების მეცნიერება, თვით ცნების დონეზეც კი, უკანასკნელ წლებში დამკვიდრდა არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენი ქვეყნის გარეთაც, სადაც „კრეატიული პედაგოგიკის“ სრულმასშტაბიანი განვითარების პროცესი ჯერ-ჯერობით პირველ ნაბიჯებს დგამს.
„კრეატიული პედაგოგიკა“ არ მოიაზრება და არც არის აქამდე არსებული პედაგოგიკის ალტერნატივა. უფრო პირიქით, ეს არის პედაგოგიკის, როგორც განვითარებადი სამეცნიერო დასციპლინის, როგორც განათლების მეცნიერების, შიდა სივრცობრივი თუ სარეზერვო ველის გაფართოების კონკრეტული გამოხატულება.

ნაშრომი სამ ძირითადი თავისგან შედგება. ესენია:
თავი 1. პედაგოგიკა და კრეატიული პედაგოგიკა
თავი 2. კრეატიულობა და მისი დიაგნოსტიკა
თავი 3. ტრადიციული და ინოვაციური განათლება.

178. 364.2(02)/3 (ელექტრონული კოდი: 2016-6219)
ფრანგიშვილი ა., ბოჭორიშვილი ნ., ლანჩავა ო.
სიცოცხლის უსაფრთხოება. საგანგებო სიტუაციების მართვა და სამოქალაქო თავდაცვა. ო. ლანჩავას საერთო რედაქციით.
რეცენზენტები - ე. მეძმარიაშვილი, თ. შუბლაძე
თბილისი, საგამომცემლობა სახლი „ტექნ. უნ-ტი“, 2011 წ. 638 გვერდი.

სახელმძღვანელოში განხილულია საგანგებო სიტუაციის პრევენციის, აგრეთვე მისი მართვის საორგანიზაციო და საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხები სიტუაციის დაწყების, განვითარების, კულმინაციისა და მილევის შესაბამისად. წიგნის შინაარსი შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 მაისის ერთობლივ ბრძნებას „საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საგნის - „საგანგებო სიტუაციის მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის“ სწავლების შემოღების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროფილის შესაბამის სწავლებას.
იგი პასუხობს აგრეთვე NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორების სამოქმედო გეგმას - IRAP-ს. აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცხრა საკითხიდან წიგნში განხილულია ორი. კერძოდ, გარემოს დაცვა და საგანგებო სიტუაციის მართვა, რომლებზეც ყურადღება გამახვილებულია IRAP -ის გეგმის მესამე თავში. სახელმძღვანელო გამოადგება საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დანაყოფებს, რომელთა მოვალეობაა საგანგებო სიტუაციის შედეგად წამოჭრილი პრაქტიკული ამოცანების კვალიფიციურად გადაწყვეტა საზოგადოების სიცოცხისუნარიანობის შესანარჩუნებლად.

179. 342.4(02)/4 მელქაძე ოთარ
საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (რეფორმიდან-რეფორმამდე)
გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2011 წ. 350 გვერდი. 2012-1589

დამხმარე სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო, ავტორის მიერ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტზე მის მიერვე შედგენილი სასწავლო პროგრამის სტრუქტურა. იგი მოიცავს კონსტიტუციური სამართლის ზოგადთეორიულ საკითხებს, განიხილავს ქართული კონლსტიტუციონალიზმის გენეალოგიას და

მოქმედი კონსტიტუციის სამართლებრივ ბუნებას.
საქართველოს კონსტიტუციური სამართლის თემატური ბლოკის თავები 2008 წლამდე მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებშია განხილული და აღწერილი.
მეთორმეტე თავში ყველა ის განსაკუთრებული თემატური ცვლილება-დამატებებია წარმოჩენილი, რომელიც მას შემდეგ კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში განხორციელდა. ცალკე ბლოკის სახით არის განხილული 2010 წლის 15 ოქტომბერს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის აქცენტები და ზოგიერთი შემდგომი ნოვაციები, რომელიც სრულ წარმოდგენას ქმნის რეფორმით გათვალისწინებული სახელმწიფო მმართველობის სისტემის პერსპექტიულობაზე-2013 წელს მისი სრული ამოქმედების შემდეგ.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სხვადასხვა სპეციალობის მაგისტრანტებისათვის, ასევე დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

180. 342.4/19 საქართველოს კონსტიტუცია. გამომცემლობა „ბონა კაუზა“. 2011 წლის აპრილი. ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. 276 გვერდი. 11765

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. საქართველოს კონსტიტუციის კოდიფიცირებული ტექსტი (2011 წლის აპრილის მდგომარეობით) მომზადდა და ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. გამოცემა და გავრცელება ორგანიზებული იქნა სახელმწიფო უწყებათშორისი კომისიის და რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ.
საქართველოს კონსტიტუციის კოდიფიცირებული ტექსტი გამოცემულია და თარგმნილია უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ, საქართველოში დანიის პროგრამის 2010-2013 წწ. ფარგლებში.

181. 342.393/1 ბურდული ირაკლი
საკორპორაციო სამართლის კრებული. რედაქტორი; ი. ბურდული
გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2011 წ. 370 გვერდი. ტომი I. 2017-41575

საკორპორაციო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ერთიანი კორპუსი, თანამედროვე იურისპრუდენციაში ძალიან დიდ როლს თამაშობს იგი მრავალი ინსტიტუსაგან შედგება, რომელიც გლობალურ ტრანსნაციონალური კორპორაციული რეჟიმების სამყაროში იმდენად ვითარდება, რომ თვითმყოფად და დამოუკიდებელ ერთეულებად წარმოჩინდება.
წიგნში არის მცდელობა, რომ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის მნიშვნელოვანი

საკითხები გარკვეული სისტემატიზაციით იქნეს დალაგებული.
პირველ ტომში შესულია ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორები შემდეგი თემებით: აკაკი ქირია-საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, ნიკოლოზ გულაშვილი-კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში; დავით მაისურაძე- სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში; სალომე რობაქიძე - ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგებები და კერძო-სამართლებრივი შედეგები; გიორგი მახარობლიშვილი-საკორპორაციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი საწარმოთა შერწყმის პროცესში.
კვლევა განხორციელდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტის ფარგლებში.

182. 341.9/2 გაბისონია ზვიად; ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი; II გადამუშავებული გამოცემა; რედაქტორი: ლ. ჭანტურია; რეცენზენტები: ბ. ზოიძე; ზ. ძლიერიშვილი; თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011 წ. 489 გვერდი. 2013-8938

წიგნი წარმოდგენს „ქართული საერთაშორისო კერძო სამართლის“ მეორე გადამუშავებულ და დამატებულ გამოცემას. აღნიშნულ გამოცემას ცალკე თავად დამატებული აქვს საერთაშორისო შრომის სამართალი.
წიგნი ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართლის პრობლემებს. მასში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია ევროპის ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები. ნაშრომი შედგენილია ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების შესაბამისად და ამომწურავად მოიცავს ყველა ძირითად საკითხს.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე მეცნიერ-პედაგოგების, მოსამართლეების, არბიტრების, ადვოკატებისა და სხვა პრაქტიკოსი იურისტებისათვის და საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.
ნაშრომი ეძღვენება ავტორის მამის, იური გაბისონიას, ხსოვნას.

183. 340.14/1 დავითაშვილი გიორგი
დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში
რეცენზენტები: ნ. სურგულაძე; დ. ბოსტოღანაშვილი. გამომცემლობა: „მერიდიანი“, 2011 თბილისი, 2011 წ. 583 გვერდი.

წიგნში XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების საფუძველზე შესწავლილია დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტი ქართულ ჩვეულებით სამართალში.
წიგნი შედგება რვა თავისა და ქვეთავებისაგან და გადმოცემულია დანაშაულის არსი, კლასიფიკაცია ქართულ ჩვეულებით სამართალში; შურისძიების ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება, დანაშაულის სუბიექტი, ბრალის საკითხი, თანამონაწილეობის საკითხი, დანაშაულის მცდელობის საკითხი, სასჯელების ცალკეული სახეები და სასჯელის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ჩვეულებით სამართალში.
ნაშრომი განკუთვნილია ქართული ჩვეულებითი სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

184. 340.6(02)/3 კილასონია ბესარიონ
სასამართლო მედიცინა
რედაქტორი: რუსუდან ბერიაშვილი; ტექნიკური რედაქტორი: ზ. ბერიშვილი; თბილისი, 2011 წ. 363 გვერდი. 2014-2797

სახელმძღვანელო შედგება 15 თავისაგან, რომელშიც განხილულია სასამართლო მედიცინა და მისი ისტორიის მოკლე მიმოხილვა; სასამართლო სამედიცინო თანატოლოგია; გვამის დათვალიერება და გამოკვლევა, სხვადასხვა სხეულის დაზიანებით გამოწვეული სიკვდილის გამოკვლევა; პიროვნების იდენტიფიკაცია; სასამართლო სტომატოლოგია, ბიოლოგიურ ნივთმტკიცებათა ექსპერტიზა, ექიმის პასუხისმგებლობა პროფესიულ სამართალდარღვევებზე და ა.შ.
სახელმძღვანელო განკუთვნილია სამედიცინო და იურიდიული პროფილის უმაღლესი სკოლის სტუდენტებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტებისათვის, ექიმებისა და იურისტებისათვის.
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.
სახელმძღვანელო დაიბეჭდა ბრიტანული ფარმაცევტული კომპანიების „ვორლდ მედიცინის“ და „როტაფარმის“ საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ანტონ ობოლაშვილის ფინანსური მხარდაჭერით. ყველა საავტორო უფლება დაცულია და დარღვევა ისჯება კანონით.

185. 34(09)/23 რომის სამართლის ძეგლები
გაიუსის ინსტიტუციები
ლათინურიდან თარგმნა-ნ. სურგულაძე; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2011; მთავარი რედაქტორი: ნ. სურგულაძე; სარედაქციო ჯგუფი: დ. ბოსტანაშვილი, მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, ა. წიგნაძე, მ. შუხოშვილი. 452 გვერდი. 2014-6911

ნაშრომი წარმოადგენს რომის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის გაიუსის „ინსტიტუციების“ ქართულ ენაზე პირველად შესრულებულ თარგმანს, რომელსაც დართული აქვს შენიშვნები და საძიებლები.
„ინსტიტუტები“ ლათინურად საწყისებს, ელემენტებს ნიშნავს. იმპერატორ იუსტინიანეს „ინსტიტუციების“ ძირითად წყაროდ სწორედ გაიუსის „ინსტიტუციებია“ მიჩნეული და თანამედროვე ევროპული კერძო სამართლის სისტემის საფუძვლად გაიუსის მიერ შემუშავებული სისტემა ითვლება.
გაიუსის „ინსტიტუციები“ ოთხი ნაწილისაგან (წიგნისაგან) შედგება.
თითოეული წიგნი, თავისმხრივ, პარაგრაფებად არის დაყოფილი.
ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, ასევე რომის სამართლის დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

186. 34(09)/21 შემდგენელი: ბექა ქანთარია
ქართული სამართლის ისტორია (ქრესტომათია) რედაქტორი: იაკობ ფუტკარაძე; რეცენზენტი თამაზ ბერიძე; გამომცემლობა: „საქართველოს უნივერსიტეტი“; თბილისი, 2011 წ. 330 გვერდი. პირველი გამოცემა 2012-0781

ქართული სამართლის ისტორია; I გამოცემა
წიგნი შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორი ბექა ქანთარიას მიერ და მასში შესულია სამართლის ისტორიის აქტუალური საკითხები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ქართული სამართლის ისტორიაში მიღებული ცოდნა განიმტკიცონ ქართული სამართლის ზოგიერთი ძეგლის გაცნობით. წიგნის მნიშვნელობა დიდია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის, ვინაიდან იგი ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინად იქცა.
კურსის მიზანია სტუდენტს დაანახოს ქართული სამართლის ისტორიის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, დაანახოს და ასწავლოს ქართული სამართლის ისტორიის კავშირი სამართლის თეორიასთან და სამართლის სხვა დარგებთან, შეასწავლოს თანამედროვე სამართლის ნორმების პრაქტიკაში გამოყენება.
წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოდ რეკომენდირებულია საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ.

187. 343.359/10 ურიდია გონერ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები; 2011 წლის 26 მაისის მდგომარეობით. რედაქტორი: იაკობ(იაშა) მესხია. გამომცემლობა-მერიდიანი; თბილისი, 2011 წ. 679 გვერდი. 2013-12061

ურიდია გონერი; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები; 2011 წლის 26 მაისის მდგომარეობით
წიგნი წარმოადგენს ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებისა და ნაწილების განმარტებებს.
საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს, რომელმაც გააერთიანა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, რის შედეგადაც მივიღეთ უნიკალური ჰიბრიდი, სისტემა, რომელიც მოითხოვს ნაკლებ სახელმწიფო ხარჯებსა და ადმინისტრირებას.
წიგნში ასახულია შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებების ვრცელი სპექტრი, რაც წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის გამოყენების პრაქტიკულ მექანიზმს.
ნაშრომი განკუთვნილია მეწარმეების, სტუდენტების, ადმინისტრაციული ორგანოების, აუდიტორებისა და პროფესორებისათვის წიგნი ხელს შეუწყობს ფისკალური სფეროს ეკონომიკური საზღვრის დაცვისა და მეწარმეობის განვითრების თეორიული ძიებისა და პრაქტიკული იმპლიმენტაციის საკითხებს.
შედგება XLIII თავისა და XV კარისაგან.

188. 343.359/9 ხარაზი ია
საქართველოს საგადასახადო სამართალი ნაწილი II; 2011 წელს საგადასახადო კოდექსის ივლისის თვის მდგომარეობით. რედაქტორი-ხობელია დავით; რეცენზენტები-გ. ლორია; დ. გეფერიძე; გამომცემლობა „გეორგიკა“; თბილისი, 2011 წ. 555 გვერდი. 2013-12053

სახელმწიფო, კონკრეტულ იურიდიულ აქტებზე დამყარებით, ადგენს საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შესაბამის სასაქონლო ოპერაციებს, კრეფს გადასახადებს, ამტკიცებს პორტალში მგზავრების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საგადასახადო კოდექსით დადგენილ პროცედურებს და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეებზესამართლებრივი და მმართველობითი ზემოქმედების სხვა ფორმებს.
განსაკუთრებული ფუძემდებლური მნიშვნელობა ენიჭება, საგადასახადო-საბაჟო სამართლის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას. მასში ჩადებულია საქართველოს დემოკრატიული და ცივილიზებული პრინციპები, საქართველოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემების და მისი ცალკეული დარგების. მათ შორის საგადასახადო-საბაჟო სამართლის განვითარების საფუძვლები.
საგადასახადო კოდექსი საგადასახადო საქმისა და საგადასახადო სამართლის

საკითხების კოდიფიცირებული აქტია.
საქართველოს ახალი საგადასახდო კოდექსი გამოირცევა არაერთი ნოვაციით.

189. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; ცვლილებებითა და დამატებებით; 2011 წლის 15 მაისამდე; გამომცემელი „ბონა კაუზა"; თბილისი 2011 წელი. გვერდი.139; 2012-1774
342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; გამოცემულია 2011 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „Rise", 2012-1762

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, გამომცემელი 2011 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.
კოდექსი შედგება 2 ნაწილისაგან: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისაგან.
კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

190. 343.2/6 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქეთევან; სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II; დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები; გამომცю „მერიდიანი", რეცენზენტები: ნ. თოდუა; გ. მამულაშვილი; თბილისი, 2011 წ. 411 გვერდი. 2017-41812

ქართულ-გერმანული თანამშრომლობის ფარგლებში დაიწერა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო ორ წიგნად. პირველ წიგნში განხილულია დანაშაულის თანამედროვე ქართული მოძღვრების ძირითადი ინსტიტუტები (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი), მოქმედებით ჩადენილი დამთავრებული განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მიხედვით.
მე-2 წიგნის ავტორია სამართლის დოქტორი ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი. აღნიშნულ წიგნში ასევე ქართული და გერმანული ლიტერატურის გამოყენებიტ, განხილულია დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული შემთხვევები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.
წიგნი შედგება 4 ძირითადი თავისა და ქვეთავებისაგან. ესენია:
დანაშაულის მომზადება და მცდელობა
თანამონაწილეობა დანაშაულში

დანაშაულის ჩადენა უმოქმედობით
ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე
წიგნი გამოდის ფოლკსვაგენის ფონდის ხელშეწყობით.

191. 343.2/7 ტურავა მერაბ; სისხლის სამართალი; ზოგადი ნაწილი; პირველი წიგნი; დანაშაულის მოძღვრება
წიგნში განხილულია დანაშაულის თანამედროვე ქართული მოძრვრების ძირითადი ინსტიტუტები-ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი მოქმედებითი ჩადენილი დამთავრებული განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მიხედვით.
ქართულ-გერმანული თანამშრომლობის ფარგლებში დაიწერა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო ორ წიგნად: პირველ წიგნში განხილულია დანაშაულის თანამედროვე ქართული მოძღვრების ძირითადი ინსტიტუტები მოქმედებით ჩადენილი დამთავრებული განზრახი და გაუფრთხილებლობით დანაშაულების მიხედვით. ქართულ ლიტერატურასთან ერთად წიგნში გამოყენებულია არაერთი გერმანელი ავტორის ნაშრომი, ხოლო მეორე წიგნის ავტორია ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, რომელშიც ასევე ქართული და გერმანული ლიტერატურის გამოყენებით, განხილულია დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული შემთხვევები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.
სახელმძღვანელო განკუთვნილია მატერიალური სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხების შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის.
წიგნი გამოიცა ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით.

192. 343.16/15 აბაშიძე გივი; პროკურორი, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის სუბიექტი; (გამოძიების სტადიაზე); გამომცემლობა „ინოვაცია“; რედაქტორი: ნიკოლოზ გაბრიჩიძე; რეცენზენტები: ი. აქუბარდია; მ. მამნიაშვილი; თბილისი, 2011 წ. 215 გვერდი. 2012-5088

აბაშიძე გივი; პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნია სუბიექტი(გამოძიების სტადიაზე)
ნაშრომი ეხება სისხლის საპროცესო სამართლის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. მასში განხილულია და ამოყალიბებულია სისხლის სამართლებრივი დევნის ცნება, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში, პროკურორის მისერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე.
ავტორის მიერ დეტალურად არის წარმოდგენილი და მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული სისხლისამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის

კონცეპტუალური საფუძვლები გამოძიების სტადიაზე, დისკრეციული დევნის პრინციპები, პროკურორის როლი სისხლისამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში, რისთვისაც, აღნიშნულზე აქვს შესწავლილი ვრცელი თეორიული მასალა, სამეცნიერო შრომები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, გადმოცემული აქვს საკუთარი შეხედულებები.
ნაშრომი განკუთვნილია ამ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი მუშაკებისა სტუდენტებისათვის და ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის.

193. 343/47 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; 2011 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „RIZE"; თბ. 2013-5670

კოდექსი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილების, 15 კარისა და 49 თავისაგან. ესენია:
თავი I. საქართველოს ს.ს. კანონმდებლობა
თავი II. ს.ს. კანონის მოქმედების ფარგლები
თავი III. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები
თავი IV. ერთიანი დანაშაულის სახეები
თავი V. დანაშაულის სიმრავლე
თავი VI. დაუმთავრებელი დანაშაული
თავი VII. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა
თავი VIII. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები
თავი IX. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი
თავი X. სასჯელის მიზნები და სახეები
თავი XI. სასჯელის დანიშვნა
თავი XII. პირობითი მსჯავრი
თავი XIII. ს.ს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება
თავი XIV. სასჯელისაგან გათავისუფლება
თავი XV. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლეობა
თავი XVI. არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურება
თავი XVII. არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.
თავი XVIII. ამოღებულია
თავი XVIII.1 ამოღებულია პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასჯელთა სახეები, მათი გამოყენების წესი და პირობები.
კერძო ნაწილი:
თავი XIX. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ
თავი XX. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

თავი XXI. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა
თავი XXII. დანაშაული სქესობრივი ათავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ
თავი XXIII. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ
თავი XXIV. დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ
თავი XXV. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
თავი XXVI. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ
თავი XXVII. დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში
თავი XXVIII. დანაშაული საფინანსო საქმიანობიდ სფეროში
თავი XXIX. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ
თავი XXX. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის წინააღმდეგ
თავი XXXI. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარრვევა
თავი XXXII. დანაშაულის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ
თავი XXXII.1 დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ
თავი XXXII.2 საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში
თავი XXXIII. ნარკოტიკული დანაშაული
თავი XXXIV. სატრანსპორტო დანაშაული
თავი XXXV. კიბერდანაშაული
თავი XXXVI. დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ
თავი XXXVII. დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ
თავი XXXVII.1 ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა
თავი XXXVIII. ტერორიზმი
თავი XXXVIX. სამოხელეო დანაშაული
თავი XL. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ
თავი XLI. დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ
თავი XLII. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ
თავი XLIII. დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება
თავი XLIV. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ
თავი XLV. დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ
თავი XLVI. დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლოატაციის წესის წინააღმდეგ
თავი XLVII. დანაშაული კავობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ
თავი XLVIII. გარდამავალი დებულებანი
თავი XLVIX. დასკვნითი დებულებანი

194. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; ცვლილებებითა და დამატებებით; 2011 წლის 15 მაისამდე; გამომცემელი: „ბონა კაუზა"; თბილისი 2011 წელი. 139 გვერდი; 2012-1774
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
ზოგადი ადმნისტრაციული კოდექსი:
თავი 1. ძირითადი დებულებანი
თავი 2. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი
თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება
თავი 4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი
თავი 5. ადმნისტრაციული ხელშეკრულება
თავი 6. ადმნისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება
თავი 7. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმნისტრაციულ ორგანოში
თავი 8. ფორმალური ადმნისტრაციული წარმოება
თავი 9. საჯარო ადმნისტრაციული წარმოება
თავი 10. ამოღებულია
თავი 11. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდიდუალური ადმნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი
თავი 12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება
თავი 13. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით
თავი 14. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა
თავი 15. ამოღებულია
თავი 16. გარდამავალი დებულებანი
თავი 17. დასკვნითი დებულებანი

195. 342.7/62 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. 2010-2011 წლები. კრებული შეადგინა -თინათინ ბეჟაშვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი; თბილისი 2011 წ; 72 გვერდი; 2012-1746

საქართველოს უზენაესი სასამართლო ტრადიციულად განაგრძობს საქართველოს

საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს განჩინებათა ყოველწლიური კრებულის გამოცემას. ამ კრებულში შესულია 2010 და 2011 წლებში განხილული საქმეები. გარდა ამისა, თან ერთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ივნისიდან. მე-14 ოქმის ძალაში შესვლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სასამართლოს ეფექტიანობის გაუმჯობესების და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ევროპაში. მე-14 ოქმი სტრასბურგის სასამართლოს საშუალებას მისცემს მეტი ყურადღება მიმართოს საქმეებზე, რომლებიც წამოჭრის ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან პრობლემებს, რათა მან შეძლოს, მისი როლის უფრო ეფექტურად შესრულება.
გამოცემა მიზნად ისახავს, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს საქართველოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაცნობის საშუალება. კრებულში წარმოდგენილი 7 განჩინება, რომელთაგან 6 საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანსი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები, ხოლო 1 საქმეზე მიიჩნია, რომ არ დაირღვეულა აღნიშნული კონვენციის მუხლები.
ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია საქართველოსთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა ჯეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისათვის აუცილებელია კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის გამოყენება.

196. 40.11(02)/1 ფუტკარია ჯამბულ
სამართლის ფილოსოფია. შესავალი კურსი; სარედაქციო კოლეგია: ზ. ჯინჯოლავა, ნ. კავარაცხელია, გ. ქირია
მესამე გამოცემა373 გვერდი; გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011; თბილისი 2011
2012-1023

ნაშრომი ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული სამართლის ფილოსოფიის მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემაა, რომელშიც შესულია სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი საკითხები.
წიგნი წარმოადგენს სამართლის ფილოსოფიის შესავალ კურსს იგივე ზოგად ნაწილს, რომელიც გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე სამართლის ფილოსოფიით დაინტერესებული სხვა მკითხველებისათვის.
საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე ავტორის მიერ შრომა რეკომენდირებულია, როგორც სახელმძღვანელო წიგნი.

197. 341.6 /6 ცერცვაძე გიორგი; საერთაშორისო არბიტრაჟი
გამომცემლობა „მერიდიანი“ , თბილისი, 2012 წ. 734 გვერდი. 2012-6371

გამოცემა წარმოადგენს 2008 წელს გამოცემული ვერსიის კორექტირებულ ვარიანტს, რომლის მომზადებაც ავტორის სტუდენტების დამსახურებაა.
საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ქართული კანონის არარსებობა ნათელს ხდის ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის აქტუალობას. გარდა რამდენიმე სტატიისა, ქართულ ენაზე საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებული იურიდიული ლიტერატურა თითქმის არ არსებობს.
მართალია აღნიშნული ნაშრომი საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებული პრობლემების ყოველმხრივ და სრულყოფილ ანალიზს ვერ იძლევა, თუმცა, ამ პრობლემის შესახებ ქართველი მკითხველის ინფორმირების საინტერესო ცდას წარმოადგენს.
ნაშრომი ეძღვნება ავტორის მშობლებს. იგი გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ასევე საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

198. 343.3/4 ლაგვილავა ირაკლი; ადამიანის კრიმინალური ექსპლუატაციის პრობლემები; მონოგრაფია; რედაქტორი -გ. ღლონტი; რეცენზენტები -გ. თოდრია; ე. წიკლაური ლ. თბილისი 2012; გვერდი. 316; 2012-3978

ნაშრომში განხილულია ადამიანის კრიმინალური ექსპლუატაციის სოციუალურ-ეკონომიკური მიზეზები და პირობები, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და უზუსტობები, ადამიანის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო და საზთვარგარეთის ქვეყნების კანონები, საქართველოში საზოგადოებრივი აზრის სოციო-კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები. თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძველზე შემუშავებული საორგანიზაციო და საკანონმდებლო რეკომნედაციები და წინადადებები.
ნაშრომი განკუთვნილია სახელმწიფო და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის, იურიდიული პროფილის სტუდენტების, დპქტორანტების, პროფესორ-მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

199. 343.143/1 გვრიტიშვილი ლევან; მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამა; გამომცემლობა „უნივერსალი“; რედაქტორი: მაგდა ტატიშვილი; თბილისი 2012; გვერდი.158; 2012-5849

გამოცემაში წარმოდგენილია მოწმეთა დაცვის პროგრამის წარმოშობის და განვითარების ისტორია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ის სიახლეები და ინსტიტუტები, რომლებიც ამ პროგრამის მიზნების უკეთ განხორციელებას უწყობს ხელს და რომელთაც განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასევე განხილულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი რეგულაციები ამ საკითხთან დაკავშირებით და შემუშავებულია შესაბამისი რეგულაციები.
ნაშრომი ხელს შეუწყობს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, პრაქტიკულ მუშაკებს, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის განხორციელებაში არიან ჩართულნი და სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს.

200. 343.359/11 გაბისონია ირაკლი; საგადასახადო სამართალი; გამომცემლობა „თეკა და კომპანია“; რედაქტორები: ზ. რუხაძე; ქ. ჯინჭარაძე; რეცენზენტები: ჯ. გახოკიძე; მ. მამნიაშვილი; თბილისი 2012 წელი. გვერდი. 174; 2013-12094

ნაშრომი არის გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმების, საქართველოს კანონმდებლობაში მათთან დაკავშირებით არსებული პრობლემებისა და ხარვეზების საფუძვლიანად განხილვის მცდელობა. საკითხი წარმოდგენელია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მისი განხორციელების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მიხედვით.
ნაშრომში დეტალურადაა განხილული გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფოს შორის დამყარებული საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე გადასახადის გადამხდელის უფლებები, სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებათა დასაცავად შექმნილი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმები. ნაშრომში ინოვაციების გარდა, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველოყოფის ღონისძიებები, საგადასახდო კონტროლი, პასუხისმგებლობა, საგადასახდო დავა, განხილულია მათთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებიც გარკვეულ პრობლემებს წარმოშობენ გადასახადის გადამხდელის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

201. 343.2(02)/4 სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი
საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; სამეცნიერო რედაქტორები: ჯ. გახოკიძე; მ. მამნიაშვილი; რეცენზენტები: გ. დეკანოზიშვილი; თ. დონჯაშვილი; ბ.

კვირიკაშვილი; თბილისი 2012 წელი. გვერდი. 219; 2012-4561

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი ს. ს საპროცესო კოდექსი. კანონმდებლობის მიზანია შესთავაზის პრაქტიკას უფრო დახვეწილი, გამარტივებული და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის უფრო ადვილად გამოსაყანებული კანონის მოდელი. სახელმძღვანელოში განხილულია მოქმედი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ძირითადი საკითხი. ახლებურად არის გაანალიზებული სისხლის სამართლის პროცესის ცნება; ს.ს პროცესის ის ინსტიტუტები თუ ცალკეული პროცესუალური საკითხები, რომელიც მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოგვთავაზა და ჩვენი კანონმდებლობისათვის ნოვაციას წარმოადგენს, მაგალითად, ძირეულად შეუცვალა საპროცესო საქმიანობის მონაწილეთა სტატუსი სისხლისსამართალწარმოების პროცესში, განსხვავებული ინტერპრეტაცია მიეცა ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცედურულ წესებს, შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ა.შ.
წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მეცნიერ-მუშაკებისათვის პრაქტიკოსი იურისტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

202. 342.4/115 ბაბეკი ვ; ფიში ს; რაიჰენბეჰერი ც; კონსტიტუციის გადასინჯვა-საქართველოს გზა ევროპისკენ
ავთანდილ დემეტრაშვილის წინათქმით. თბილისი German cooperation; Deutse zuzamenarbeit, 2012, 421 გვერდი. 2013-8847

წიგნში განხილულია საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის რეფორმა. მასში საგანგებოდაა ასახული განსხვავებული პერსპექტივით დანახული კომენტარები და სტატიები. მისი მიზანია საქართველოს კონსტიტუციური რეფორმის პოლიტიკური პროცესის არსის განსაკუთრებული ხედვის წარმოდგენა.
პოლიტოლოგი სტივენ ფიში საქართველოს რეფორმას საერთაშორისო კონტექსტში განიხილავს. ავტორი მკითხველს სთავაზობს საკონსტიტუციო ცვლილებების შედარებით ანალიზს მსოფლიოს ქვეყნების მაგალითზე, ლათინური ამერიკით დაწყებული, არაბული გაზაფხულითა და აღმოსავლეთ ევროპის მოვლენებით დამთავრებული.
კონსტიტუციური სამართლის ექსპერტი ვოლფგანგ ბაბეკი აცხადებს, რომ საქართველოში პოლიტიკური პრობლემები სათავეს კონსტიტუციიდან იღებდა და მისი შესწორება გარდაუვალი იყო. პრობლემები სათავეს კონსტიტუციიდან იღებდა და მისი შესწორება გარდაუვალი იყო. იგი მიმოიხილავს და აფასებს საქართველოს კონსტიტუციური რეფორმის სხვადასხვა სამართლებრივ კონცეფციას.
ცენო რაიპენბერგის სტატიაში ასახულია ის მაღალი დონის მიდგომა, რომელიც

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) აქვს რეგიონის მიმართ ბოლო ათი წლის განმავლობაში. იგი მიმოიხილავს სტრატეგიასა და კავშირს სამართლებრივი დახმარების საერთო მიდგომასა და მხარდაჭერის კონკრეტულ მაგალითებს შორის, რაც მათ იუსტიციის სამინისტროს თხოვნით განახორციელეს. კრებულს თან ერთვის ასევე სხვადსხვა ისტორიული დოკუმენტი.

203. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2012 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით; თბილისი 2012 წელი. 122 გვერდი; 2012-5644

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

თავი 1. ძირითადი დებულებანი

თავი 2. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი

თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება

თავი 4. ადმინისტრაციულ0სამართლებრივი აქტი

თავი 5. ადმინისტარციული ხელშეკრულება

თავი 6. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი

თავი 7. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

თავი 8. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

თავი 9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

თავი 10. ამოღებულია

თავი 11. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი

თავი 12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრეულება

თავი 13. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

თავი 14. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

თავი 15. ამოღებულია

თავი 16. გარდამავალი დებულებანი

თავი 17. დასკვნითი დებულებანი

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

თავი 1. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

თავი 2. განსჯადობა

თავი 3. მიუკერძოებლობა, აცილება

თავი 4. პროცეის ხარჯები

თვი 5. საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და ვადები

თავი 6. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში

თავი 7. სასამართლო მტკიცებულებები

თავი 7.1. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან

დაკავშირებით
თავი 7.2. ამოღებულია
თავი 7.3. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით
თავი 7.4. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით
თავი 7.5. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით
თავი 7.6. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით
თავი 7.7. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით
თავი 7.8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით
თავი 7.9. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე
თავი 8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში
თავი 9. აპელაცია და კასაცია
თავი 9.1. გარდამავალი დებულებანი
თავი 10. დასკვნითი დებულება
კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამინის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

204. 342.8/127 მელქაძე ოთარ; საარჩევნო სამართალი; თეორია და პრაქტიკა; პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია; წიგნი XXXI გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი 2012 წელი. 321 გვერდი; 2012-5273;

ნაშრომში განხილულია საარჩევნო სამართლის ფუძმდებლები პრინციპები და მათი რეალიზაციის სამართლებრივი გარანტიები. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი არჩევნებს განიხილავს იურიდიული ინსტიტუტის პროექციაში , რომელიც სახელმწიფოთა მშენებლობის პროცესში დემოკრატიზაციის მყარ საფუძველს ამკვიდრებს. შედარებითი სამართლებრივი ანალიზის ფორმატში წარმოჩენილია ის მრავალფეროვნება, თუ როგორ ხორციელდება საზღვარგარეთის ქვეყნებში საარცევნო

სამართლის ამოსავალი პრინციპების რეალიზაცია მოქმედი საარჩევნო სისტემების მიხედვით წარმომადგენლობითი ორგანოებისა და სახელმწიფო მეთაურის არჩევნებთან მიმართებაში.
წიგნის მეორე ნაწილში განხილულია საქართველოში მოქმედი საარჩევნო სამართლის თავისებურებები-მისი კონსტიტუციური გარანტიების კონტექსტში. დეტალურად არის განხილული მოქმედი საარჩევნო კოდექსის სტრუქტურა და სამართლებრივი არსი, საქართველოში მიმდინარე კანონშემოქმედებით ჩამოყალიბებული ქართული პრაქტიკა და საარჩევნო სამართლის სიმყარის რეჟიმის დაუცველობის თანმყოლი რიგი პრობლემები.
განკუთვნილია იურისტებისა და პოლიტოლოგებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

205. 340.11/4 რეიმონდ უექსი
სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი. სამეცნიერო რედაქტორი: პროფესორიი. ბაჩიაშვილი; რედაქტორი: ქეთევან ქურდოვანიძე; მთარგმნელი: მერაბ ბაბუხადია; უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012; 165 გვერდი; 2014-6959

რეიმონდ უექსი-სამართლის ფილოსოფია-ძალიან მოკლე შესავალი
სამართლის შესახებ არსებული ლიტერატურა საკმაოდ მრავალფეროვანია, ზღვა ლიტერატურა არსებობს სამართლის საკითხებსა და სამართლის ფილოსოფიაზე, თუმცა ამ ნაშრომით ავტორი აიძულებს სხვებს შეამცირონ, შეკუმშონ, შეამოკლონ თავიანთი ნაშრომები წიგნის თემის ზედმეტად გამარტივების გარეშე და უზრუნველყოს რიგითი მკითხველი ცოცხალი და ხელმისაწვდომი გზამკვლევით სამართლის ფილოსოფიის ძირითად საკითხებში, ცხადყოს კანონის ხშირად მცდარი კონცეფცია და მისი მიმართება მართლმსაჯულების , უფლებებისა და მორალის საყოველთაო საკითხებთან.
ყველა საავტორო უფლება დაცულია. Oxford University Press-ის თანხმობის გარეშე არ შეიძლება წიგნის რომელიმე ნაწილის ასლის გადაღება ან გავრცელება რაიმე ფორმით, ელექტრონული თუ მექანიკური საშუალებით.

206. 34-3/4 თოთლაძე ლევან, გაბრიჩიძე გაგა, თუმანიშვილი გიორგი, ტურავა პაატა, ჩაჩანიძე ეთერ, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი
რედაქტორები: ხუბუა გიორგი, თოთლაძე ლევან; გამომცემელი: Berliner wisenschafts verlag. 2012. 626 გვერდი; დიზაინი, დაკაბადონება შპს „ბატაშ დიზაინი“ 2013-0953

განმარტებითი ლექსიკონი მრავალწლიანი და წარმატებული ქართულ-გერმანული თანამშრომლობის პროდუქტია. პროექტის იდეა 2009 წელს გაახმოვანა ბატონმა ლევან თოთლაძემ, რომელიც გახლავთ ბადენ-ვიუტენბერფის სამართლის ასესორი. მისი

ჩანაფიქრი იყო სამართლის სხვადსხვა სფეროს ცნებების თავმოყრა, განმარტება და ამ კუთხით, სტუდენტებისა თუ პრაქტიკოსი იურისტებისათვის ყოველდღიური საქმიანობის გამარტივება.
პუბლიკაცია მიზნად ისახავს როგორც ძველი, ისე ახალი სამართლებრივი ცნებების კონტექსტური გააზრებისა და დიფრენცირებული განვითარების კუთხოით დაგროვილი გამოცდილებების თავმოყრასა და წარმოდგენას. წიგნი დაახლოებით მოიცავს 6000 ტერმინის განმარტებას.
პუბლიკაცია გარდა აღნიშნულისა, გამოირჩევა იმით, რომ წარმოადგენს გერმანიის ფედერალური მთავრობის ეგიდით საქართველოში მოღვაწე ორი გერმანული ორგანიზაციის, კერძოდ, IRZ-ისა და GIZ-ის ერთობლივ პროექტს, რომელიც კიდევ ერთი მაგალითი და დასტურია იმისა, თუ რამდენად წარმატებული და გამართლებულია შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა და ერთიანი ძალისხმევა.

207. 34-3/3 გაბრიჩიძე გაგა, კალანდაძე ლაშა, მანჯგალაძე მანანა, მიგრიაული როინ, პაპუაშვილი შალვა, ფხაკაძე ქეთევან, ჩაჩანიძე ეთერ, ხუჭუა ნინა; იურიდიული ლექსიკონი
გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული
რედაქტორები: შალვა პაპუაშვილი, ქეთევან ფხაკაძე, ეთერ ჩაჩანიძე.
გამომცემლობა „სიესტა“ 2012; 545 გვერდი; გამომცემელი: ქეთევან კიღურაძე; 2012-0596

გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული იურიდიული ლექსიკონი, GIZ-ის ავტორთა ჯგუფისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ურთიერთანამშრომლობით შეიქმნა.
წიგნი გამოცემულია GIZ-ის პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ მიერ.
გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-გვერდზე
www.giz.de/law-caucasus
ლექსიკონში თავმოყრილია დაახლოებით 20000 სიტყვა. იგი უდავოდ გაუწევს დახმარებას იურიდიულ სფეროში მომუშავე ყველა პიროვნებას-სტუდენტით დაწყებული და პრაქტიკოსი იურისტითა თუ მეცნიერით დამთავრებული.

208. 342.7/64 ადამიანის უფლებათა სამართალი ცვლილებებითა და დამატებებით 2012 წლის 1 ოქტომბრამდე; გამომცემლობა „ბონა კაუზა“; თბილისი, 2012 წ. 311 გვერდი. 2012-5323

საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო აქტების კრებული
ცვლილებებითა და დამატებებით 2012 წლის 1 ოქტომბრამდე

წიგნში სრულყოფილად არის წარმოდგენილი საქართველოს კანონები და უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.
ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს და ხელისუფლების დემოკრატიულობის ერთგვარ ბარომეტრს ქწარმოადგენს.
თანამედროვე მსოფლკიოს ამ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მონაპოვრის დაცვა ცივილიზებულო სახელმწიფოებში უპირველეს პრიოროტეტად არის მიჩნეული.
წიგნი მოკრძალებული ცდაა იმისა, რომ დაეხმაროს მკითხველს საკუთარი უფლებების ცოდნის, მათი პრაქტიკული გამოყენების საქმეში.
კრებული გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, დოქტორანტებისათვის, მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, აგრეთვე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

209. 347.9/27 (ელექტრონული კოდი: 2012-5248) ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი.
რედაქტორი: რ. შენგელია
რეცენზენტები: თ. ზამბახიძე, ვ. ხრუსტალი, რ. ხურცილავა.
გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წ. გვერდი. 755

სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად. სამოქალაქო სამართალწარმოებაში შემოღებულ იქნა ახალი ინსტიტუტები და ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს დარღვეული უფლების სწრაფად, რეალურად და ეფექტიანად აღდგენას.
გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ნორმების სწორად გამოყენებას პრაქტიკაში, რაც შეუძლებელია მათი არსის გარკვევის, მათი ზუსტი შინაარსის დადგენის გარეშე.
ნაშრომში წარმოდგენილია საპროცესო სამართლის დებულებათა არსი, ის, თუ რა ფუნქციას ასრულებს თითოეული ნორმა თუ ინსტიტუტი საპროცესო სამართალში, ასევე ამ ნორმათა ხარვეზები და მათი აღმოფხვრისა და ნორმათა სრულყოფის მიზნით, წამოყენებულია შესაბამისი წინადადებები.
ნაშრომში გამოყენებულია სტრასბურგის სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც მოცემულია ამა თუ იმ საპროცესო ნორმის სასამართლო განმარტებანი, ასევე გათვალისწინებულია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე მოსამართლეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკა, რაც პრაქტიკულ ღირებულებებს ძენს ნაშრომს.

210. 347.152/4 (ელექტრონული კოდი: 2013-2328) ბიჭია მიხეილ
პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით
რედაქტორი - თ. ნინიძე
რეცენზენტები - ლ. ჭანტურია, ზ. ძლიერიშვილი
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2012 წ. 368 გვერდი.

პირადი ცხოვრების კომერციალიზაციის მანამდე უცნობმა მასშტაბებმა სამართალი ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. ეს პრობლემები კვლევაში საკმაოდ საფუძვლიანად არის განხილული.
დისერტაციის პირველი თავი ეძღვნება პირადი ცხოვრების შინაარსის დადგენას, რაშიც ავტორი სხვადასხვა თეორიების, კერძოდ კი სოციალურ თეორიებს იშველიებს და მათ დებულებებს დაწვრილებით განიხილავს.
კვლევის მეორე თავის მიზანია ზოგადი პიროვნული უფლებებისა და პირადი ცხოვრების სამართლებრივი დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი. ავტორი მიმოხილავს ზოგადი პიროვნული უფლების არსს, ამ უფლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობას და ასკვნის, რომ ქართულ სამართალში აღიარებულია ზოგადი პიროვნული უფლება.
ნაშრომის მესამე თავში გამოკვლეულია პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ფუნქციები, წარმოდგენილია უფლებების დაცვის სხვადასხვა ფორმა კონკრეტული საფუძვლების მიხედვით.
ნაშრომის მეოთხე თავი ეხება პირადი ცხოვრების დაცვის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივ გარანტიებს და ავტორი იკვლევს პირადი საიდუმლოების დაცვის სამართალწარმოებისას და ა.შ.
მონოგრაფიის დასკვნები ემყარება მრავალრიცხოვან ქართულ და უცხოურ ლიტერატურას და სასამართლო პრაქტიკას.

211. 368(02)/4 (ელექტრონული კოდი: 2013-0176) შათირიშვილი ჯამლეტ, კაკაშვილი ნატო
სადაზღვევო საქმე. მეორე შევსებული გამოცემა
მეცნიერ-რედაქტორები - გ. გამსახურდია, მ. ვარდიაშვილი
რეცენზენტი - რ. ფაჩულია
თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“, 2012 წ. 436 გვერდი.

სახელმძღვანელოში განხილული და გადმოცემულია დაზღვევასთან დაკავშირებული ძირითადი თემები და საკითხები: დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური არსი, როლი, წარმოშობა და განვითარება; სადაზღვევო საქმის საკანონმდებლო და ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები; რისკების მართვა და დაზღვევა; აქტუალური გამოთვლები

დაზღვევაში; სადაზღვევო საქმიანობის კლასიფიკაცია-ფორმები, დარგები და სახეობები; გადაზღვევის საფუძვლები; სადაზღვევო ხელშეკრულება; მზღვეველის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგომარეობა; სადაზღვევო ბაზარი საქართველოში და საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში.
სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ასევე დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

212. 347.9/27 (ელექტრონული კოდი: 2012-5248) ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი
რედაქტორი - რ. შენგელია
რეცენზენტები - თ. ზამბახიძე, ვ. ხრუსტალი, რ. ხურცილავა
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012 წ. 755 გვერდი.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად. სამოქალაქო სამართალწარმოებაში შემორებულ იქნა ახალი ინსტიტუტები და ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს დარღვეული უფლების სწრაფად, რეალურად და ეფექტიანად აღდგენას.
გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ნორმების სწორად გამოყენებას პრაქტიკაში, რაც შეუძლებელია მათი არსის გარკვევის, მათი ზუსტი შინაარსის დადგენის გარეშე. ნაშრომში წარმოდგენილია საპროცესო სამართლის დებულებათა არსი, ის, თუ რა ფუნქციას ასრულებს თითოეული ნორმა თუ ინსტიტუტი საპროცესო სამართალში, ასევე ნორმათა ხარვეზები და მათი აღმოფხვრისა და ნორმათა სრულყოფის მიზნით, წამოყენებულია შესაბამისი წინადადებები.
ნაშრომში გამოყენებულია სტრასბურგის სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც მოცემულია ამა თუ იმ საპროცესო ნორმის სასამართლო განმარტებანი, ასევე გათვალისწინებულია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე მოსამართლეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკა, რაც პრაქტიკულ ღირებულებებს ძენს ნაშრომს. ნაშრომში ასახულიაყველა საკანონმდებლო სიახლე. განკუთვნილია იურისტთათვის.

213. 347.735(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2013-1768) ჭანტურია ლადო
კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი
თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2012 წ. 303 გვერდი.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ყოველი განვითარებული მართლწესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა და მასზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობა.
კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი სამოქალაქო სამართლის ნაწილია და განეკუთვნება კერძო სამართალს, აქედან გამომდინარე წიგნი ეძღვნება კრედიტის (მოთხოვნის) უზრუნველყოფის მხოლოდ იმ საშუალებებს, რომელთაც საბაზრო ურთიერთობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ და ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იყენებენ.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტებისა და სკოლების სტუდენტთათვის, ასევე საკრედიტო საქმით დაინტერესებული იურისტებისა თუ ეკონომისტებისათვის.
ნაშრომი შედგება 4 თავისა და ქვეთავებისაგან:
თავი 1. ზოგადი დებულებანი
თავი 2. უზრუნველყოფის სანივთო საშუალებანი
თავი 3. უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებანი
თავი 4. უზრუნველყოფის სხვა საშუალებანი.

214. 347.63/3 (ელექტრონული კოდი: 2013-3364) გელაშვილი ირმა
ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა
რედაქტორი - თ. ნინიძე
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012 წ. 243 გვერდი.

დაბადებამდელი ბავშვის სტატუსი ბუნდოვანია არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო სამართალშიც.
ნაშრომი შედგება 7 თავისაგან.
პირველ თავში გაანალიზებულია ჩანასახის სიცოცხლისა და ღირსების უფლება საერთაშორისო კონვენციებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.
მეორე თავი ეხება ჩანასახის სტატუსსა და მის ქონებრივ უფლებებს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კერძოდ მემკვიდრულ ყოფნის, სარჩოს მიღებისა და მუცლადყოფნისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს.
მესამე თავში წარმოდგენილია ჩანასახის უფლებრივი მდგომარეობა თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიის პირობებში, განხილულია სინჯარის ემბრიონთა ბიოლოგიური, მორალური და სამართლებრივი სტატუსი.
მეოთხე თავი ეთმობა ემბრიონთა დონაციის - „გაშვილების“ სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებს.
მეხუთე თავში განხილულია ემბრიონის ღეროვანი უჯრედების სამართლებრივი და

ეთიკური საკითხები.
მეექვსე თავში ჩანასახი განხილულია სუროგატული დედობის ხელშეკრულების შინაარსში, როგორც მომსახურების რეზულტატი და წარმოჩენილია ამ გარიგების სამართლებრივი და ეთიკური მხარეები.მეშვიდე თავში ჩანასახი წარმოდგენილია ზონის წყაროდ, კერძოდ განხილულია დაუგეგმავი - არასასურველი ჩასახვისა და ბავშვის არასასურველი დაბადებისათვის მშობელთა მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები.
343.9(02)/6 (ელექტრონული კოდი: 2012-4297) გახოკიძე ჯ., გაბუნია მ.
კრიმინოლოგია. პირველი ნაწილი
რედაქტორი - გ. თოდრია
რეცენზენტები - ნ. გვენეტაძე, მ. მამნიაშვილი
თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012 წ. 166 გვერდი.

სახელმძღვანელოში დაწვრილებითაა განხილული კრიმინოლოგიის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ნაწილის საკითხები. იგი შედგება 8 თავისა და პარაგრაფებისაგან. ესენია:
თავი 1. კრიმინოლოგიის საგანი და სისტემა
თავი 2. კრიმინოლოგიური თეორიები
თავი 3. დანაშაულობა
თავი 4. დანაშაულის დეტერმინაცია
თავი 5. ვიქტიმოლოგია
თავი 6. დანაშაულობის კონტროლი
თავი 7. დანაშაულობის კონტროლის ფორმები
თავი 8. კრიმინოლოგიის განვითარება საქართველოში
ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს და კრიმინოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს.
ნაშრომის შექმნას საფუძვლად დაედო ავტორთა მიერ წაკითხული ლექციების კურსი კრიმინოლოგიაში.

215. 343.97/1 (ელექტრონული კოდი: 2012-3968) მესხიშვილი დავით
ორგანიზებული დანაშაული
რედაქტორი - გ. ღლონტი
რეცენზენტები - გ. თოდრია, პ. დაუთაშვილი
თბილისი, საგამომცემლო სახლი „წიგნის სახელოსნო“, 2012 წ. 355 გვერდი.

მონოგრაფიის ძიორითადი მიზანია ორგანიზებული დანაშაულის ცნების, ცალკეულ

ქვეყანაში არსებული ორგანიზებული დაჯგუფების წარმოშობის, განვითარების, საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მათთან ბრძოლის საკანონმდებლო-პრაქტიკული მთოდების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე აღნიშნული კრიმინალის სამეცნიერო-პრაქტიკული ჩარჩოს, მისი წარმოშობა-განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, რეგიონალური თავისებურებების დადგენა და მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავება.
ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმო ორგანიზებული დანაშაულის სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო აქტების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ანალისზ და მათ გავლენას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიაზე გლობალურ და ლოკალურ დონეებზე.
კვლევაში ასევე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის საფუძვლიან შესწავლას, მისი წარმოშობის მიზეზებისა და განვითარების ეტაპების გაანალიზებას, როგორც საქართველოში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში.

216. 345.73(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2012-1295) ბოძაშვილი ლევან, კოხრეიძე ნიკოლოზ
კიბერსივრცის სამართალი
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2012 წ. 272 გვერდი.

გამოცემა წარმოადგენს პირველ მცდელობას ქართულ ენაზე მოახდინოს კიბერსივრცის სამართლის საფუძვლებისა და არსის გადმოცემა. კიბერ, იგივე ელექტრონული სივრცე, ყველაზე მზარდი ტექნოლოგიური სფეროა და მისი რეგულირება ყველაზე მეტად არის რთული გამომდინარე ამ სივრცის ანონიმურობისა და ექსტრატერიტორიულობის თავისებურებებიდან. საქართველოც ამ სივრცის ნაწილია და შესაბამისად საინტერესო და აუცილებელია ამ სფეროში მოქმედი სამართლის კვლევა და განვითარება. სახელმძღვანელო მომზადებულია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის კიბერსამართლისა და კიბერუსაფრთხოების კვლევითი ცენტრის მიერ.

217. 347.82/2 (ელექტრომული კოდი: 2012-5332) გეფერიძე დავით
საერთაშორისო საჰაერო სამართალი
სამეცნიერო რედაქტორი - ლ. ალექსიძე
რეცენზენტი - ი. ქურდაძე
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012 წ. 755 გვერდი.

საერთაშორისო საჰაერო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი არანაკლებ სერიოზულ როლს ასრულებს

შიდასახელმწიფოებრივ სამართალშიც.
წიგნი ეძღვნება თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართალს. მისი მიზანია საერთაშორისო საჰაერო სამართლის რეგულირების პრობლემის შესწავლა და სამართლებრივი რეგულირების შედარებითი ანალიზის გათვალისწინების საფუძველზე, სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტუალური პრობლემების კვლევა, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ასეთი რეგულირების ეფექტიანობა.
წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები: საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნების და არსის განსაზღვრის პრობლემები, წყაროები, საჰაერო მიმოსვლის სამართლებრივი რეჟიმები, საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები, პრეცენდენტები საერთაშორისო საჰაერო სამართალში.

218. 349.2.(082)/1 შრომის სამართალი სტატიების კრებული. ტ. II
რედაქტორი: ზოიძე ბესარიონი კოორდინატორი: ამირანაშვილი გიორგი; გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი.2013; 2014-2948

ჩვენ წინაშეა ახალგაზრდა მკვლევართა კრებული, რომელიც შრომის სამართლის პრობლემებს ეხება. ავტორთა ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების ადგილი სამართლის სივრცეში, კერძოდ, დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებრივი ურთიერთდამოკიდებულება. მაგ. თამარ შურდას „დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზარალისთვის“, უჩა ძიმისტარაშვილის „ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების თავისებურებები“, სალომე ქავთარაძის „ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“ და სხვა.
კრებულს დართული აქვს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის ავტორია: ბესარიონ ზოიძე.

219. 349.2.(082)/1 შრომის სამართალი სტატიების კრებული. ტ. II
რედაქტორი: ზოიძე ბესარიონი კოორდინატორი: ამირანაშვილი გიორგი; გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი.2013; 2014-2948

ჩვენ წინაშეა ახალგაზრდა მკვლევართა კრებული, რომელიც შრომის სამართლის პრობლემებს ეხება. ავტორთა ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების ადგილი სამართლის სივრცეში, კერძოდ, დამსაქმებლისა და

დასაქმებულის უფლებრივი ურთიერთდამოკიდებულება. მაგ. თამარ შურდას „დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზარალისთვის“, უჩა ძიმისტარაშვილის „ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების თავისებურებები“, სალომე ქავთარაძის „ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“ და სხვა.
კრებულს დართული აქვს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის ავტორია: ბესარიონ ზოიძე.

220. 349.6/6 წულუკიძე , ჯანო
დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ. რედაქტორი: პროფესორი ო. გამყრელიძე რეცენზენტი ზ. გოთუა გამომცემლობა „გეორგიკა“; თბილისი -2013. 151გვერდი. 2014-2994

გარემოს დაცვისადმი გაზრდილი ყურადღება განპირობებულია მათი განსაკუთრებული ადგილით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურობა ბევრად განსაზღვრავს კაცობრიობის ხვალინდელი დღეს. ამ სფეროს მრავალ საკითხს შორის გამორჩეული ადგილი ეკუთვნის დანაშაულს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ.
1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოიცა კანონები წიაღის, ქიმიური, ბირთვული, რადიაციული უსაფრთხოების შესახებ. ასევე, ნიადაგის, წყლის, ჰაერის, ტყის დამცავი კანონები. მიუხედავად ამისა, ადამიანის საქმიანობა ხშირად დაკავშირებულია ისეთ სამართალდარღვევებთან, რომლებიც გარემოს აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს. წინამდებარე ნაშრომი გვასწალის მსგავს შემთხვევებში დანაშაულთან ბრძოლის იურიდიულ შესაძლებლობებს: საგამოძიებო მოქმედებები, მათი ჩატარების ტაქტიკა, დოკუმენტების მოძიება და ა.შ. აგრეთვე გვეხმარება, დავიცვათ მეურნეობა დანაშაულებრივი ხელყოფისგან. გვაცნობს, თუ როგორია მიწის, წყლის, წიაღისეულის თუ ტყის გამოყენების სამართლებრივი უფლებები.
ნაშრომი გამოადგება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს და უბრალოდ ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ პირებს.

221.

222. 342.56/3 კუჭუხიძე ანა
სასამართლო ხელისუფლების როლი პოლიტიკური კრიზისების რეგულირების საქმეში. შესავალი პოლიტიკურ იურისპრუდენციაში. რედაქტორი: გივი ლობჟანიძე. რეცენზენტები: ალექსანდრე კვაშილავა; ბადრი სალუქვაძე. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2013 წელი. 175 გვერდი. 2013-0632

ნაშრომი შეეხება ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების როლი პოლიტიკური კრიზისების რეგულირების საქმეში. ეს საკითხი საქართველოში დღემდე არ ყოფილა სპეციალურად შესწავლილი. მოცემული წიგნი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის მეტ-ნაკლებად აღმოფხვრას და მკითხველთათვის მაქსიმალურად ამომწურავი, მრავალმხრივი და მრავალფეორვანი ინფორმაციის მიწოდებას. ამ მიზნით, წიგნის შედგენისას გამოყენებულია როგორც საქართველოს სამართლებრივი აქტები და ქართველ ავტორთა სამეცნიერო შრომები, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და უცხოელ ავტორთა ნაშრომები, სახელმძღვანელოები. ავტორი არ შემოიფარგლება საკითხების მხოლოდ იურიდიული მხარის შესწავლით და დასმული პრობლემის არსის უკეთ გაცნობიერების მიზნით აქტიურად არის გამოყენებული კონფლიქტოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, პოლიტოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგების მიღწევები.
წიგნი განკუთვნილია იურისტების, პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და მოცემული საკითხით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი რაიმე სახით დარღვევა ისკება საქართველოს კანონმდებლობით.

223. 347.(51)/2 **(ელექტრონული კოდი: 2015-5396) რუსიაშვილი ჯუმბერ**
ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება
გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წ. 524 გვერდი.

ნაშრომი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ საჩელებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპროცესო აქტების კრებულს. მასში სისტემატიზებულია და გამარტივებული ფორმით არის მოცემული უზენაესი სასამართლოს განჩინებები, რომლებიც ერთობლიობაში აღებული გვევლინება ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ბინის ანაზღაურების ტაობაზე დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკის ნიმუშად.
წიგნი დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, ადვოკატებს, ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და ყველას, ვისაც ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სურს. კრებულში შეტანილი საპროცესო აქტები, როგორც კვლევის ობიექტი, საინტერესო იქნება სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის.

224. 347.82/3 **(ელექტრონული კოდი: 2015-7592) გაბიჩვაძე შორენა**
საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 299 გვერდი.

ნაშრომი წარმოადგენს სადისერტაციო კვლევას, რომელიც ემსახურება საქართველოს სამოქალაქო ოდექსით გათვალისწინებულ კერძო სამართლის იმ ინსტიტუტების შესწავლას,რომლებიც საჯარო სამართლის ნორმებთან სინთეზში უკავშირდებიან საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის (ბარგის გადატანის) ურთიერთობებს.
კვლევა ეხება ისეთ (ქვე) საკითხებს, როგორიცაა საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის (ბარგის გადატანის) ურთიერთობათა ზოგად-სამართლებრივი განმარტება, გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების სახეები და მათი სამართლებრივი შეფასება, აღნიშნული ურთიერთობის მხარეები, მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე სამართლებრივი დავის საკითხი და სხვ.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისათვის, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

225. 342.511.3/1 გოცირიძე ევა, Eva GOTSIRIDZE
იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. IMPEACHMENT IN THE USA. რედაქტორი: ლევან ალექსიძე. EDITOR: LEVAN ALEKSIDZE. რეცენზენტები: ლ.ალექსიძე; უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. გამომცემლობა: „უნივერსალი, 2013წ. თბილისი 2013; 306 გვერდი. 2014-3059

წიგნი წარმოადგენს იმპიჩმენტის ინსტიტუტის პირველ სპეციალურ მონოგრაფიულ გამოკვლევას საქართველოში. მასში განხილულია იმპიჩმენტის ინსტიტუტის კლასიკური და უახლესი პრობლემატიკა, ცალკეულ საკითხებზე გამოთქმულია დამოუკიდებელი შეხედულებები, შემუშავებულია ახლებური პოზიციები. წიგნში ასევე შემუშავებულია კონსტიტუციის რაციონალური ინტერპპრეტაციის ზოგადი კონცეფცია, მოცემულია იმპიჩმენტის მექანიზმის ამერიკული, რუსული და ქართული მოდელების შედარებითი ანალიზი, ქართული და რუსული მოდელების კრიტიკული ანალიზი, გამოთქმულია მოსაზრებანი მათი ავ-კარგიანობის, სიცოცხლისუნარიანობისა და ქმედითუნარიანობისათვის, ასევე მოსალოდნელი სირთულეებისა და დილემების შესახებ, რამაც თავი შეიძლება იჩინოს ამ მექანიზმების ამოქმედების შემდეგ. ჩამოყალიბებულია წიანდადებები და რეკომენდაციები საქართველოს კონსტიტუციის იმპიჩმენტთან დაკავშირებული დებულებების გონივრული ინტერპრეტაციისათვის და სხვა.
გამოკვლევას დანართის სახით თან ერთვის აშშ-ის პრეზიდენტების ენდრიუ ჯონსონის, რიჩარდ ნიქსონისა და ბილ ქლინთონის იმპიჩმენტის ისტორია, რაც მკითხველს

საშუალებას აძლევს დაუკვირდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის სპეციფიკასა და თავისებურებებს და ნათლად წარმოადგინოს იმპიჩმენტის მექანიზმი მოქმედებაში. წიგნი წარმოადგენს განვრცობილ და განახლებულ ვერსიას სადირსეტაციო ნაშრომისა, რომელიც ავტორის მიერ შესრულებულია უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქვეყნდება პირველად.

226. 342.4/101 ბურდული ი; გოცირიძე ე; ერქვანია თ; ზოიძე ბ; იზორია ლ; კობახიძე ი; ლორია ა; მაჭარაძე ზ; ტურავა მ; ფირცხალაშვილი ა; ფუტკარაძე ი; ქანთარია ბ; წერეთელი დ; ჯორბენაძე ს; კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. გამომცემლობა: შპს „პეტიტი“. თბილისი 2013; 632 გვერდი. 2014-1085

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე.
საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.
ნაშრომის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი ნორმების სწორად გაგებას, რაც შესაძლებელს გახდის მისი ძირითადი ღირებულებების დამკვიდრებას რეალურ ცხოვრებაში.
კონსტიტუციის კომენტარების დაწერისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუცია არის სამართლის ყველა დარგის საფუძველი.
კომენტარების ავტორებიც სწორედ ამ ნიშნით არიან შერჩეულნი, ვინაიდან ისინი სამართლის სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან და აქვთ იურიდიულ ლიტერატურაზე მუშაობის დიდი გამოცდილება. ისინი ნორმის განმარტებისას, ნორმის ინტერპრეტაციისა და არგუმენტაციის საშუალებად იყენებენ როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სამართალს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.
სახელმძღვანელო მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისთვის, ასევე სახელმწიფო მოხელეებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

227. 342.4/19 საქართველოს კონსტიტუცია. 2013 წლის 13 აპრილის მდგომარეობით. გამომცემლობა „ იურისტების სამყარო“. თბილისი 2013. 79 გვერდი. 2013-3140

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს. იგი შედგება პრეამბულის, ცხრა თავისა და ას ცხრა მუხლისაგან. ესენია: თავი I- ზოგადი დებულებები. თავი II -საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თავი III საქართველოს პარლამენტი. თავი IV- საქართველოს პრეზიდენტი. თავი V სასამართლო ხელისუფლება. თავი VI - სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი. თავი VII - სახელმწიფოს თავდაცვა. თავი VIII- კონსტიტუციის

გადასინჯვა. თავი IX- გარდამავალი დებულებები.
საქართველოს კონსტიტუცია არის სახელწიფოს უზენაესი კანონი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

228. 342.4/19 საქართველოს კონსტიტუცია. გამომცემლობა „ბონა კაუზა“. 2011 წლის აპრილი. ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. 276 გვერდი. 11765

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. საქართველოს კონსტიტუციის კოდიფიცირებული ტექსტი (2011 წლის აპრილის მდგომარეობით) მომზადდა და ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. გამოცემა და გავრცელება ორგანიზებული იქნა სახელმწიფო უწყებათშორისი კომისიის და რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ.
საქართველოს კონსტიტუციის კოდიფიცირებული ტექსტი გამოცემულია და თარგმნილია უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ, საქართველოში დანიის პროგრ ამის 2010-2013 წწ. ფარგლებში.

229. 343.9(02)/7 (ელექტრონული კოდი: 2017-35533) ფაფიაშვილი შოთა
კრიმინალისტიკა. ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო.
რედაქტორები - შ. კოზმანაშვილი, ჯ. გახოკიძე
რეცენზენტები - გ. ალანია, ს. ძაგნიძე
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013 წ. 606 გვერდი.

კრიმინალისტიკა არის იურიდიულიმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური დარგი, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, კვლევის სპეციალური მეთოდები და კრიმინალისტიკის კურსის შესავლის (მეთოდოლოგიის), ტექნიკის, ტაქტიკისა და დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ზოგადი და კერძო მეთოდიკის მთლიანობაში წარმოადგენს იურიდიუოლი მეცნიერების მნიშვნელოვან დამოუკიდებელ დარგს, დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინას.
ნაშრომში განხილული, გამოკვლეული და გადმოცემულია კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევები და რეკომენდაციები დანაშაულთა გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების მიზნებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტექნიკური ხერხების ოპტიმალურად სწორედ გამოყენების მიმართებაში.
ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ბაკალავრიატისა და შსს აკადემიის მსმენელებისათვის.
ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე ოპერაციულ სამძებრო, საადვოკატო,

საექსპერტო, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოს მუშაკებს.

230. 342(09)/6 ცაცანაშვილი მარიამ
სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. მეორე გამოცემა
რედაქტორი :ბ.ზოიძე; რეცენზენტები: ნ. სურგულაძე; ნ. კორძაია-სამადაშვილი
გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013, თბილისი 2013. 599 გვერდი. 2014-5039

სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა მომზადებულია „საზრვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის“ სასწავლო კურსის ფარგლებში, რომელსაც საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები. გათვალისწინებულია ზოგიერთ ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში მსგავსი სასწავლო კურსის სპეციფიკა. ამასთან შენარჩუნებულია სამართალმცოდნეობის ტრადიციული და ფუნდამენტური სქემები კომპლექსური თემების სახით, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენენ კაცობრიობის ისტორიაში და წარმოაჩენენ სამართლებრივი სისტემის გარკვეულ თავისებურებებს.
სხელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესი განხილულია კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის დოქტრინალური მიდგომის გარეშე ზოგადფილოსოფიური და სპეციალური მეთოდების გამოყენებით.
გათვალისწინებულია სტუდენტების, იურიდიული ფაკულტეტების მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

231. 347.82/3 (ელექტრონული კოდი: 2015-7592) გაბიჩვაძე შორენა
საჰაერო ტრანსპორტით ტვირთვის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება
გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 299 გვერდი.

ნაშრომი წარმოადგენს სადისერტაციო კვლევას, რომელიც ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ კერძო სამართლის იმ ინსტიტუტების შესწავლას, რომლებიც საჯარო სამართლის ნორმებთან სინთეზში უკავშირდებიან საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის (ბარგის გადატანის) ურთიერთობებს.
კვლევა ეხება ისეთ (ქვე) საკითხებს, როგორიცაა საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის (ბარგის გადატანის) ურთიერთობათა ზოგად-სამართლებრივი განმარტება, გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების სახეები და მათი სამართლებრივი შეფასება, აღნიშნული ურთიერთობის მხარეები, მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე სამართლებრივი დავის საკითხი და სხვ.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი

იურისტებისათვის, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

232. 347.51/2 (ელექტრონული კოდი: 2015-5396) რუსიაშვილი ჯუმბერ
ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება
თბილისი, „მერიდიანი“, 2013 წ. 524 გვერდი.

ნაშრომი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპროცესო აქტების კრებულს. მასში სისტემატიზებულია და გამარტივებული ფორმით არის მოცემული უზენაესი სასამართლოს განჩინებები, რომლებიც ერთობლიობაში აღებული გვევლინება ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკის ნიმუშად.
წიგნი დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, ადვოკატებს, ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და ყველას, ვისაც ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სურს. კრებულში შეტანილი საპროცესო აქტები, როგორც კვლევის ობიექტი, საინტერესო იქნება სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული პირებისთვისაც.

233. 340.11/2 მაისურაძე ნათელა
სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენჯმენტი;
რეცენზენტები: ლეონიდ დეიჩმანი (აშშ) ალფრედ კურატაშვილი, გივი ლობჟანიძე;
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2013 თბილისი; 186 გვერდი; 2014-3056

მონოგრაფიაში განხილულია სამართლებრივი თავისუფლებისა და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტის პრობლემები. ავტორი მიიჩნევს, რომ სამართლებრივი თავისუფლება, როგორც აუცილებლობა, ერთ-ერთი ფაქტორია სამართლიანობის გზაზე. ნაშრომში განიხილება სამართლებრივი შემოქმედება, როგორც აუცილებელი ახლის შექმნის საფუძველი სამართლებრივი კულტურის განვითარებაში. სამართლებრივი თავისუფლებისა და სამართლებრივი პლურალიზმის მისაღწევად, „ჩრდილოვანი სამართლის“ დასაძლევად.
მონოგრაფიაში ცენტრალური ადგილი უკავია „თავისუფალ ვარირებად ინტეგრალურ და ფილომენურ სამართალს“, როგორც სამართლის პროგრესული განვითარების შედეგს, რომელიც ჰუმანურობისა და ჭეშმარიტი ადამიანურობის გამოხატულებაა.
ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საავტორო უფლებების მქონე სუბიექტების წერილობითი ნებართვის გარეშე.

234. 342.4/101 ბურდული ი; გოცირიძე ე; ერქვანია თ; ზოიძე ბ; იზორია ლ; კობახიძე ი; ლორია ა; მაჭარაძე ზ; ტურავა მ; ფირცხალაშვილი ა; ფუტკარაძე ი; ქანთარია ბ; წერეთელი დ; ჯორბენაძე ს; კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. გამომცემლობა: შპს „პეტიტი“. თბილისი 2013; 632 გვერდი. 2014-1085

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე.
საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.
ნაშრომის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი ნორმების სწორად გაგებას, რაც შესაძლებელს გახდის მისი ძირითადი ღირებულებების დამკვიდრებას რეალურ ცხოვრებაში.
კონსტიტუციის კომენტარების დაწერისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუცია არის სამართლის ყველა დარგის საფუძველი.
კომენტარების ავტორებიც სწორედ ამ ნიშნით არიან შერჩეულნი, ვინაიდან ისინი სამართლის სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან და აქვთ იურიდიულ ლიტერატურაზე მუშაობის დიდი გამოცდილება. ისინი ნორმის განმარტებისას, ნორმის ინტერპრეტაციისა და არგუმენტაციის საშუალებად იყენებენ როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სამართალს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.
სახელმძღვანელო მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისთვის, ასევე სახელმწიფო მოხელეებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

235. 340.11/5 ზოიძე ბესარიონ
სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა. უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში. ესეები. რედაქტორი: პროფესორი გიორგი ხუბუა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013; 249 გვერდი; 2016-7612

ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული იურიდიული, და არამარტო იურიდიული, სამეცნიერო ლიტერატურისათვის . ზოგადად, მეცნიერებისათვის დამახასიათებელი აზროვნების დედუქციური სტილი წიგნში კარგად არის შერწყმული სამართლის პრაქტიკულ ფუნქციებთან.
სამართლის მრავალრიცხოვან ფილოსოფიურ მიმდინარეობებში, ავტორმა შეძლო მთავარი ორიენტირების და აქცენტების გამოკვეთა. ნაშრომში ძალუმად იკვეთება ერთი ძირითადი ხაზი-სამართლის ცენტრში უნდა იდგეს ადამიანი, ნაშრომის მთავარი თემაა-ადამიანი სამართალში.
ავტორი სამართლის ფილოსოფიის ურთულეს თემებზე საუბრობს ფართო მკითხველისათვის გასაგებ ენაზე და ეძებს პასუხს სამართლის და, ზოგადად, ადამიანთა

სოციალური თანაცხოვრების ფუძემდებლურ საკითხებზე.

236. 340.11/1 სამართლის ლოგიკა
პროექტის ხელმძღვანელი - მარი ლონდარიძე
თბილისი 2013; 102 გვერდი; 2014-0802

წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით და მასში შესულია სტუდენტების ნაშრომები, სადაც მათ მიეცათ თავისუფალი აზრისა და მრავალი იდეის დაფიქსირების საშუალება. ნაშრომში შესულია შემდეგი საკითხები: დანაშაული, საკუთრება და მემკვიდრეობა, პედოფილია საქართველოში, საქორწინო ხელშეკრულების როლი საზოგადოებაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, სისხლის აღების ადათი სვანეთში. ქალთა ტრეფიკინგი, ევთანაზია, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, სიკვდილით დასჯა, კანონი ადამიანის ცხოვრებაში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

237. 34(09)(02)/1 გარიშვილი მ, ხოფერია მ.
რომის სამართალი; გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013; თბილისი 2013; 510 გვერდი; 2014-3176

სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის რომის სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თითოეული ეტაპებისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო მექანიზმის თავისებურებანისშესწავლა არის. აგრეთვე რომის საჯარო და კერძო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ევოლუციის პროცესის გაცნობა. რომის სახელმწიფოებრიობის ისტორიის განუყოფელ ნაწილად, ძველი სამყაროს უდიდეს მონაპოვრად-რომის სამართალი იქცა. მის გარეშე თანამედროვე ცივილიზაციების კერძო სამართლის არსებობა სრულიად წარმოუდგენელია. სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის და ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის.

238. 34(09)/24 რომის სამართლის ძეგლები
იუსტინიანეს დიგესტები; წიგნი III, წიგნი IV, 437 გვერდი. გამოსცა: პროფესორი ნუგზარ სურგულაძემ; გამომცემლობა: თბილისის უნივერსიტეტი 2013; ლათინურიდან თარგმნა-ნ. სურგულაძემ, რედაქტორი: ნ. სურგულაძე; სარედაქციო ჯგუფი: ბ. ზოიძე, მ. შუხოშვილი, მ. ხოფერია. 2016-8015

ნაშრომი რომის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის, იუსტინიანეს „დიგესტების“ მესამე და მეოთხე წიგნის ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანია, რომელსაც დართული აქვს შენიშვნები და საძიებლები.
„დიგესტების“ თითოეული წიგნი იყოფა ტიტულებად, თითოეული ტიტული კი-ქვეთავებად. მესამე წიგნი ეთმობა მთლიანად რომაულ სამართლწარმოებას და შედგება ექვსი ტიტულისაგან, ხოლო მეოთხე წიგნი ეხება პირის უფლებებს და ცხრა ტიტულისაგან შედგება.
რომის სამართალი დასავლური იურისპრუდენციის, განსაკუთრებით კი, კერძო სამართლის, ერთ-ერთი ძირითადი ისტორიული წყარო და საფუძველია. სწორედ ამიტომ, მის შესწავლას იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.
ნაშრომი განკუთვნილია როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე რომის სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

239. 342.56/3 კუჭუხიძე ანა
სასამართლო ხელისუფლების როლი პოლიტიკური კრიზისების რეგულირების საქმეში. შესავალი პოლიტიკურ იურისპრუდენციაში. რედაქტორი: გივი ლობჟანიძე. რეცენზენტები: ალექსანდრე კვაშილავა; ბადრი სალუქვაძე. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2013 წელი. 175 გვერდი. 2013-0632

ნაშრომი შეეხება ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების როლი პოლიტიკური კრიზისების რეგულირების საქმეში. ეს საკითხი საქართველოში დღემდე არ ყოფილა სპეციალურად შესწავლილი. მოცემული წიგნი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის მეტ-ნაკლებად აღმოფხვრას და მკითხველთათვის მაქსიმალურად ამომწურავი, მრავალმხრივი და მრავალფეორვანი ინფორმაციის მიწოდებას. ამ მიზნით, წიგნის შედგენისას გამოყენებულია როგორც საქართველოს სამართლებრივი აქტები და ქართველ ავტორთა სამეცნიერო შრომები, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და უცხოელ ავტორთა ნაშრომები, სახელმძღვანელოები. ავტორი არ შემოიფარგლება საკითხების მხოლოდ იურიდიული მხარის შესწავლით და დასმული პრობლემის არსის უკეთ გაცნობიერების მიზნით აქტიურად არის გამოყენებული კონფლიქტოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, პოლიტოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგების მიღწევები.
წიგნი განკუთვნილია იურისტების, პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და მოცემული საკითხით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი რაიმე სახით დარღვევა ისკება საქართველოს კანონმდებლობით.

240. 343.37(02)/1 ხარაზი ია; საერთაშორისო საბაჟო სამართალი; მეორე გადამუშავებული გამოცემა; სამეცნიერო რედაქტორი: დ. გეფერიძე. რეცენზენტები: ხობელია დ; გვარამია ვ; გოგიაშვილი გ; გამომცემლობა „გეორგიკა“; თბილისი 2013 წელი. გვერდი.588; 2013-8999

ლექციების კურსში საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოში არსებული ლიტერატურის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, კონვენციების საფუძველზე წარმოდგენილია შემდეგი თემები და საკითხები: საერთაშორისო საბაჟო სამართლის ცნება და იურიდიული შინაარსი, საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა საბაჟო სფეროში, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების სისტემა საერთაშორისო საბაჟო სამართალში; საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა; საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა; საერთაშორისო საბაჟო კონტროლი; საქონლის საბაჟო გაფორმება და სხვა აქტუალური საკითხები საერთაშორისო საბაჟო სამართლისა.
ნაშრომი სამეცნიერო-პრაქტიკული და გამოყენებითი მიმართულებისა და მნიშვნელობისაა. მასში საპროგრამო მასალა დალაგებულია სტრუქტურულ ელემნტებად: თემებად და პარაგრაფებად.
კურსი განკუთვნილია ნებისმიერი აკადემიური დონის იურისტისათვის.

241. 343.359/12 ბენიძე თ; ჯღარკავა ა; კვეტენაძე ბ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი. 2013 წლის 11 მარტის მდგომარეობით ; გამომცემლობა „წიგნი 2011“; თბილისი, 2013 წელი. გვერდი.503; 2013-10464

საგადასახადო კანონმდებლობა წლების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს, დღევანდელი მოქმედი საგადასახადო კოდექსი 15 კარის, 43 თავისა და 310 მუხლისაგან შედგება. კოდექსი უამრავ დებულებასა და ცნებას გვთავაზობს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის საგადასახადო სისტემაზე, გადასახადების სახეობებზე, საგადასახადო პოლიტიკაზე. საგადასახადო კოდექსი განმარტავს საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფეროს, საგადასახადო კანონმდებლობის პრინციპებს. აწესებს გადასახადის ცნებას და სახეებს. საგადასახადო კოდექსში საუბარია ეკონომიკურ, საქველმოქმედო, რელიგიურ საქმიანობაზე. კოდექსის მეორე კარში გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო აგენტზე, საქართველოს საწარმოსა და უცხოურ საწარმოზე, საერთაშორისო ფინანსურ კომპანიაზე გვასწავლის ცნებებს. კოდექსი მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს გადასახადის გადამხდელის სამართლებრივ დაცვაზე. წიგნში საუბარია საგადასახადო ომბუტსმენზე, მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ომბუდსმენის როლზე გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის კუთხით. საგადასახადო კოდექსი მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს საშემოსავლო და

მოგების გადასახადზე.
წიგნში განხილულია სრულიად სრულიად ახალი ცნება დაუბეგრავი მინიმუმის შესახებ, ასევე საგადასახადო აღრიცხვისა და გადასახადების ადმინისტრირების წესებზე.

242. 354(09)/1 (ელექტრონული კოდი: 2013-0937) დუმბაძე ბექა
საქართველოს ცენტრალური მმართველობის უმაღლესი მოხელეები XI-XV საუკუნეებში
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013 წ. 90 გვერდი.

ერთიანი ფეოდალური ქართული სახელმწიფო შეიქმნა XI საუკუნის დასაწყისში. - საუკუნეების ჩვენი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს. ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოს სათავეში მეფე მონარქიუდგას. სამეფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა - დარბაზი, ხოლო ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს - სავაზირო. გაერთიანებული ფეოდალური სახელმწიფო იყოფოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად და თითოეულ ერთეულს ჰქონდა თავისი საზღვარი.
ნაშრომში განხილული ვიზირთა უფლება-მოვლეობანიო, ყურადღება გამახვილებულია ასევე ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ორგანიზებაზე. ნაშრომი საინტერესო იქნება ქართული სახელმწიფო სამართლის ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისთვის.

243. 355.48/24 (ელექტრონული კოდი: 2018-4168) წურწუმია მამუკა
საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, ტომი I
თბილისი, საგამომცემლო სახლი „მხედარი“, 2013 წ. 531 გვერდი.
საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხების I ტომში შესული ნაშრომები მოიცავენ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიასა და სამხედრო ხელოვნების, შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის ტაქტიკასა და ორგანიზაციას, იარაღთმცოდნეობის დარგს, წმინდა მიწაზე ქართველების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას.
წიგნში შესული ნაშრომები ქრონოლოგიურად და თემატურადაა დალაგებული და შინაარსობრივად დაყოფილია შემდეგ თავებად: შუა საუკუნეების საქართველოს აღჭურვილობა და იარაღი, სამხედრო, ხელოვნება, ყივჩაღები საქართველოში, ქართველები წმინდა მიწაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და რეცენზიები.
წიგნს ასევე ერთვის კონსოლიდირებული ბიბლიოგრაფია, სადაც I ტომის სტატიებში გამოყენებული ლიტერატურაა გამოყენებული.
ნაშრომი განკუთვნილია სამხედრო და საერთოდ საქართველოს ისტორიით

დაინტერესებული პირებისათვის.

244. 364.2(02)/5 (ელექტრონული კოდი: 2013-9674) ჩხეიძე ლ., ქიტოშვილი მ.
საგანგებო სიტუციების მართვის საკანონმდებლო ბაზა
რეცენზენტები - ნ. ბოჭორიშვილი, ნ. ჯვარელია
თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013 წ. 140 გვერდი.

სახელმძღვანელოში მოცემულია საგანგებო სიტუაციების მართვის კანონმდებლობის ძირითადი ცნებები და განმარტებები, საგანგებო სიტუაციის შემთხვევაშ შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის დახმარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და უფლებამოსილი პირები. საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ძირითადი ორინციპები.
მოცემულია საქართველოს ფარგლებში ბუნებრივი და ტექნიკური საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის, მიწის, წყლის, საჰაერო სივრცის, სამრეწველო და სოციალური დანიშნულების ობიექტების, ბუნებრივი გარემოს დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნორმები.
საგანგებო სიტუაციების მართვის კანონმდებლობის ძირითადი მიზანი - საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და მისი განვითარების თავიდან აცილება, საგანგებო სიტუაციის მიერ მიყენებული ზარალისა და ზონის მასშტაბების შემცირება და შედეგების ლიკვიდაცია.
სახელმძღვანელო განკუთვნილია სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის საგანგებო სიტუაციების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „უსაფრთხოების ინჟინერია და რისკების შეფასება“ სტუდენტებისათვის.
წიგნზე დაცულია საავტორო უფლებები.

245. 346.8/18 (ელექტრონული კოდი: 2013-9146) საქართველოს შრომის კოდექსი. საქართველოს ორგანული კანონი. 2013 წლის 25 ივლისის მდგომარეობით. ტექსტი რედაქტირებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით.
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2013 წ. 55 გვერდი.

საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი, 2013 წლის 25 ივლისის მდგომარეობით, გამოცემულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით:
კარი 1. ზოგადი დებულებანიო
თავი 1. შესავალი დებულებანი

კარი 2. ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობა
თავი 2. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა
თავი 3. სამუშაოს შესრულება
თავი 4. სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო
თავი 5. შვებულება
თავი 6. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო
თავი 7. შრომის ანაზღაურება
თავი 8. შრომის პირობების დაცვა
თავი 9. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა
თავი 9[1]. გაერთიანების თავისუფლება
კარი 3. კოლექტიური შრომითი ურთიერთობა
თავი 10. კოლექტიური ხელშეკრულება
კარი 4. პასუხისმგებლობა და დავა
თავი 11. პასუხისმგებლობა
თავი 12. დავა
კარი 4[1] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია
თავი 12[1]. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია
კარი 5. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი
თავი 13. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.

246. 343.57/7 გუდავაძე მიხეილ

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულისათვის.
რედაქტორები - ჯ. გაბელია, ნ. ჟველია
რეცენზენტები - გ. თოდრია, მ. მამნიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“, 2013 წ. 196 გვერდი.

წიგნში გადმოცემულია ნარკოტიკული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხები საზღვარგარეთისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.მოძიებული მასალების გამოყენებით გამოვლენილი ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები.
ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ნარკოდანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა, ნარკოდანაშაულის მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა.
კვლევის მიზნად დასახულია ნარკოდანაშაულის შემადგენლობის შესახებ ახალი მეცნიერული ცოდნის მიღება, ამ დანაშაულებასთან ბრძოლის თეორიულ-გამოყენებითი საკითხების გადაწყვეტა. გამოკვლევაში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ლოგიკური და სხვა მეთოდები.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების სხვა დაინტერებული მკითხველისათვის.
ნაშრომი შედგება V თავისა და პარაგრაფებისაგან.

247. 349.2(082)/1 (ელექტრონული კოდი: 2014-2948) შრომის სამართალი. სტატიათა კრებული II.
რედაქტორი - ბ. ზოიძე
კოორდინატორი - გ. ამირანაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013 წ. 286 გვერდი.

ნაშრომში წარმოდგენილია ახალგაზრდა მკვლევართა სტატიების კრებული, რომელიც შრომის სამართლის პრობლემებს ეძღვნება. განხილულია შემდეგი საკითხები:
ზაქარია შველიძე - შრომითი დისკრიმინაციის შესახებ დავის განხილვის თავისებურებანი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის განჩინების მაგალითზე.
უჩა ძიმისტარაშვილი - ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების თავისებურებანი.
თათია კერესელიძე - შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი.
მარიამ ბაქიაშვილი - სამუშაო დროის თავისებურებანი საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით.
სალომე ქავთარაძე - ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით.
თამთა ბერიკცაშვილი - კონკურენციის აკრძალვა შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდგომ.
გიორგი ამირანაშვილი - დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება.
თამარ შუდრა - დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზონისათვის.
სალომე ფრუიძე - დასაქმებულის დაცვა უცხოური ცემენტის მონაწილეობით გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.

248. 343.9(02)/6 (ელექტრონული კოდი: 2013-15110) გახოკიძე ჯ., გაბუნია მ. კრიმინოლოგია. პირველი ნაწილი. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა
რედაქტორები - გ. თოდრია, ნ. გვენეტაძე
რეცენზენტები - ი. გაბისონია, მ. მამნიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2013 წ. 96 გვერდი.

სახელმძღვანელოში განხილულია კრიმინოლოგიის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ნაწილის საკითხები.
თავი 1. დანაშაულობა
თავი 2. დანაშაულობის მიზეზები
თავი 3. დანაშაულობის მსხვერპლი
თავი 4. დანაშაულობის კონტროლი
თავი 5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტული წესები, როგორც დანაშაულობის საერთაშორისო კონტროლის ძირითადი მიმართულება
თავი 6. კრიმინოლოგიური პოლიტიკა
თავი 7. ლიტერატურა
წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს კრიმინოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს.

249. 343.9(02)/8 (ელექტრონული კოდი: 2017-35654) ფაფიაშვილი შოთა
კრიმინალისტიკა. განსაკუთრებული ნაწილი. დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკა. სახელმძღვანელო
რედაქტორები - ჯ. ბაბილაშვილი
რეცენზენტები - შ. ფიცხელაური, მ. მამნიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013 წ. 630 გვერდი.

თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევების, კანონმდებლობისა და საგამოძიებო-სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის ფონზე ნაშრომში განხილული, გამოკვლეული და გადმოცემულია დანაშაულთა გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების ზოგადი და კერძო მეთოდიკის ძირითადი საკითხები.
ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში მოსწავლე სტუდენტების, დოქტორანტებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის. იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს კრიმინალისტიკის საგნის ახალგაზრდა ლექტორებს, საგამოძიებო, საპროკურორო, საადვოკატო და სასამართლო ორგანოების მუშაკებს თავიანთი რთული პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში.

250. 343.359(02)/1 როგავა ზვიად; ამილახვარი ზაურ; საგადასახადო სამართალი; საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები; დამხმარე სახელმძღვანელო; რედაქტორი: მ.კოპალეიშვილი; რეცენზენტი-ი.ხარშილაძე; გამომცემელი „იურისტების სამყარო“; თბილისი 2013 წელი. გვერდი.560; 2013-3608

გადასახადებით დაბეგვრის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად გადასახადი მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთ შესაძლო საშუალებად იქცა. იცვლებოდა გადასახადების რაოდენობა, მათი დასახელება, დაწესებისა და გადახდის საშუალებები, თუმცა გადასახადების არსი ყოველთვის უცვლელი რჩებოდა.
სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოში მოქმედი გადასახადების შინაარსი. თითოეულ გადასახადზე განხილულია მისი ცემენტები, ძირითადი ნორმატიული აქტები, ინსტრუქციული და მეთოდური მასალა. ასევე განხილულია კონკრეტული მაგალითები, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების გამოყენების თავისებურებანი.
სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართალმცოდნეობის, აგრეთვე ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სპეციალობების სტუდენტებისათვის და საგადასახადო სამართლის საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

როგავა ზვიად; საგადასახადო სამართალი; დამხმარე სახელმძღვანელო; წიგნი III; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; რედაქტორი-მ. კოპალეიშვილი; რეცენზენტით. გვარამაძე; თბილისი 2017 წელი. გვერდი. 438; 2017-36812

სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, გაანალიზებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინსტრუქციები, აგრეთვე საქართველოს შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითებები და კომენტარები და სისტემატურად წარმოდგენილი კონკრეტული სიტუაციური მაგალითები.
სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართალმცოდნეობის, აგრეთვე ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სპეციალობების სტუდენტებისათვის და საგადასახადო სამართლის საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.
განხილულია: 1. საშემოსავლო გადასახადი 2. მოგების გადასახადი 3. დამატებითი ღირებულების გადასახადი 4. აქციზი 5. იმპორტის გადასახადი 6. ქონების გადასახადი.

251. 343.359/16 მიქელაშვილი მერაბ; საგადასახადო პოლიტიკა; თეორია და პრაქტიკა; რედაქტორი-ზ. ვაშაკიძე; რეცენზენტები-მ. ჩიკვილაძე; მ. ვანიშვილი; გამომცემლობა „სიტყვა“; თბილისი 2013; გვერდი. 216; 8799

ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის თეორიული საფუძვლები, გადასახადების ფისკალური, მარეგულირებელი და საკონტროლო ფუნქციების მაქსიმალური რეალიზაციის საფუძველზე ღირებული ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღწევის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები მსოფლიო

პრაქტიკაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკული ანალიზისის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ეს პრინციპები არ იმეორებენ საგადასახადო დაბეგვრისა და საგადასახადო სიტემების პრინციპებს, რაც თავისთავად ასაბუთებს საგადასახადო პოლიტიკის მეცნიერული გააზრების აუცილებლობას, რათა შემცირდეს სუბიექტური ფაქტორის გავლენა საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების დროს. ნაშრომში მოცემულია საქართველოს საგდასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა და ძირითადი წინააღმდეგობები, განხილულია სახელმწიფოებს შორის საგადასახადო კონკურენციის პრობლემები, გაანალიზებულია საგადასახადო რეგულირების ზოგიერთი პრობლემა ეკონომიკური კრიზისის პირობებში. საავტორო უფლებები დაცულია.

252. 343.359/11 გაბისონია ირაკლი

საგადასახადო სამართალი; გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები; რედაქტორები: ზ. რუხაძე; მ. ჯიქია; რეცენზენტები: ჯ. გახოკიძე; ქ. ჯინჭარაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2013 წელი. გვერდი. 131; 2013-3643

343.359/11 გაბისონია ირაკლი; საგადასახადო სამართალი; გამომცემლობა „თეკა და კომპანია“; რედაქტორები: ზ. რუხაძე; ქ. ჯინჭარაძე; რეცენზენტები: ჯ. გახოკიძე; მ. მამნიაშვილი; თბილისი 2012 წელი. გვერდი. 174; 2013-12094

ნაშრომი არის გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმების, საქართველოს კანონმდებლობაში მათთან დაკავშირებით არსებული პრობლემებისა და ხარვეზების საფუძვლიანად განხილვის მცდელობა. საკითხი წარმოდგენელია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მისი განხორციელების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მიხედვით.
ნაშრომში დეტალურადაა განხილული გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფოს შორის დამყარებული საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე გადასახადის გადამხდელის უფლებები, სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებათა დასაცავად შექმნილი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმები. ნაშრომში ინოვაციების გარდა, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველოყოფის ღონისძიებები, საგადასახდო კონტროლი, პასუხისმგებლობა, საგადასახდო დავა, განხილულია მათთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებიც გარკვეულ პრობლემებს წარმოშობენ გადასახადის გადამხდელის უფლებრივ

მდგომარეობასთან დაკავშირებით.

253. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
2013 წლის 8 აპრილის მდგომარეობით; თბილისი 2013 წელი. 141 გვერდი; 2013-8929

თავი 1. ძირითადი დებულებანი (მუხლი 1-15)
თავი 2. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი (16-23 მუხლი);
თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება (მუხლები 24-50)
თავი 4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (51-64 მუხლები)
თავი 5. ადმინისტრაციული ხელშეკრულება (65-71)
თავი 6. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი (72-102 მუხლი)
თავი 7. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში (103-106.5)
თავი 8. ფორმალური ადმნისტრაციული წარმოება (107-114 მუხლები)
თავი 9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (115-121 მუხლები)
თავი 10. ამოღებულია
თავი 11. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი (158-161 მუხლები)
თავი 12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება (162-176)
თავი 13. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით
თავი 14. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა(207-209)
თავი 15. ამოღებულია
თავი 16. გარდამავალი დებულებანი
თავი 17. დასკვნითი დებულებანი

საქართველოს ადმნისტრაციული საპროცესო კოდექსი

თავი 1. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი
თავი 2. განსჯადობა
თავი 3. მიუკერძოებლობა, აცილება
თავი 4. პროცესის ხარჯები
თავი 5. საპროცესო ვადები
თავი 6. მხარეები ადმნისტრაციულ პროცესში
თავი 7. სასამართლო მტკიცებულებები
თავი 7.1. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან

დაკავშირებით
თავი 7.2. ამოღებულია
თავი 7.3. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით
თავი 7.4. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით
თავი 7.5. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადათადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით
თავი 7.6. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან ან თავშესაფრის მიცემსთან დაკავშირებით
7.7 . ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით.
ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე.
ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა -პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე.
8.ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება
დასკვნითი დებულება
კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

254. 342.7(02)/1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; 2013 წლის 10 ივლისის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი, 2013 წელი. გვერდი.83; 2013-9129

გამოცემა მოიცავს შემდეგ საკითხებს:
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.
თავი 1. უფლებები და თავისუფლებები. (2-18 მუხლი)
თავი 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. (19-51 მუხლი)
თავი 3. სხვადასხვა დებულებანი. (52-59 მუხლი)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი. (1-6 მუხლი)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 4. იმ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის შესახებ, რომლებსაც არ მოიცავს კონვენცია და მისი პირველი დამატებითი ოქმი.
(1-7 მუხლი)
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 6. სიკბდილით დასჯის გაუქმების შესახებ. (1-9 მუხლი)
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 7 (1-10 მუხლი)
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 12 (1-6 მუხლი)
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 13 (1-8 მუხლი)
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი 14. კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ. (1-22 მუხლი)

255. 347.374(02)/3 (ელექტრონული კოდი: 2014-3088) შენგელია რ., შენგელია ე.
საბანკო სამართლის საფუძვლები
რედაქტორი - ჯ. ხეცურიანი
შემფასებელი - გ. ხელაია
გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წ. 538 გვერდი.

სახელმძღვანელოში განხილულია ბანკების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, განსაზღვრულია საბანკო სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში, შემუშავებულია საბანკო კანონმდებლობისა და დოქტრინის სრულყოფის ფასები.
სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსის „საბანკო სამართლის საფუძვლები“ სილაბუსს. პირველ განყოფილებაში, რომელიც შრომის ზოგად ნაწილს წარმოადგენს, გადმოცემულია ბანკებისა და საბანკო სისტემების შესახებ ზოგადი დებულებები, საბაზრო მეურნეობის ქვეყნების ბანკებისა და კრედიტების განვითარების პერსპექტივები. საბანკო ურთიერთობათა ანალიზის ფონზე განხილულია საბანკო სამართლის საგანი, რეგულირების მეთოდები, წყაროები და მისი ადგილი სამართლის სისტემაში.
მომდევნო განყოფილება ეძღვნება სასწავლო დისციპლინის განსაკუთრებულ ნაწილს და მათში განხილულია საჯარო საბანკო და კერძო საბანკო სამართლებრივი ურთიერთობები, აგრეთვე მოთხოვნათა უზრუნველყოფის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები.

შრომის ბოლო ნაწილი ეთმობა საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის სამართლებრივ პრობლემებს.

256. 349.2/19 შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები რედაქტორი: ჩაჩავა სოფია; ენობრივი რედაქტორი: გაბელია თამარი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ) 2014. 2015-7607

წიგნი განიხილავს შრომის კანონმდებლობის 2013 წლის ცვლილებებს, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა ისეთი საკითხები, როგორიცაა: შრომის ხელშკრულების დადება, მისი ფორმა და შინაარსი, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევები, ზეგანაკვეთური სამუშაო დრო და მისი ანაზღაურების წესი. ამ საკითხებს მიეძღვნა კონფერენცია თემაზე-„ შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები“. კონფერენციაზე წარმოდგენილი სტატიები განხილულია პირველ სტატიაში. მთლიანად კრებულში კი დატალურადაა გაანალიზებული შრომის კოდექსის ისეთი ცვლილებები, როგორიცაა: ინდივიდუალური დავის განხილვა და გადაწყვეტა, კოლექციური ხელშეკრელების დადების პირობები, საკონპენსაციო პირობები, გაფიცვის უფლება და სხვა.

257. 342/72 გაბისონია ირაკლი; მამნიაშვილი მიხეილი
საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემები. რედაქტორები: სამართლის დოქტორი, პროფესორი ქეთი ჯინჭარაძე, სამართლის დოქტორი პროფესორი: მარი ჯიქია
რეცენზენტი სამართლის დოქტორი, პროფესორი ირინა აქუბარდია
თბილისი, 2014 წელი, 291 გვერდი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
2014-2848

პასუხიმგებლობა კერძო კომუნიკაციების საიდუმლოების დარღვევისა და სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენისათვის საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.
გადასახადებისაგამ თავის არიდების პასუხისმგებლობის თავისებურებები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.
სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური პრობლემები საქართველოსა და საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებში.
ავტორები შეეცადნენ წარმოედგინათ საჯარო სამართლის ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც დღეისათვის უაღრესად აქტუალურია და შედარებით სიახლეს წარმოადგენს ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში.
კომუნიკაციებისა და უკანონო სატელეფონო მოსმენების პრობლემატიკა, რასაც მკითხველს ვთავაზობთ, ნაკლებადაა შესწავლილი, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში გადასახადისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებებზე არა თუ

მონოგრაფიული ნაშრომი, პუბლიკაციაც კი არ მოგვეპოვება. რაც შეეხება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცალკეული ინსტიტუტებისა თუ პროცედურული რეგულაციების მეცნიერულ კვლევას, დღეისათვის აქვს არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.
ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს), პრაქტიკის მუშაკებს და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, უკეთ ჩაწვდნენ და ღრმად შეისწავლონ მასში გადმოცემული პრობლემატური საკითხები.

258. 342.4(02)/6 გეგენავა დ; ქანთარია ბ; ცანავა ლ; თევზაძე თ; მაჭარაძე ზ; ჯავახიშვილი პ; ერქვანია თ; პაპაშვილი თ.
საქართველოს საკონსტუტუციო სამართალი. რედაქტორი : დიმიტრი გეგენავა; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა , 2014. თბილისი 2014; II გამოცემა 416 გვერდი. 2015-2351

„საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ პირველად 2013 წელს გამოიცა და იმთავითვე მიიპყრო იურიდიული საზოგადოების ყურადღება. სახელმძღვანელოს ნოვატორული სტილი, შედარებითსამართლებრივი და ეროვნული საკონსტიტუციო სამართლის შესახებ ინფორმაციის წყალობით მნიშვნელოვნად გამარტივდა საკონსტიტუციო სამართლის სასწავლო დისციპლინის ათვისება.
ნაშრომის მეორე გამოცემა გადამუშავდა, შეივსო და დაიხვეწა. დაემატა რამდენიმე ახალი თავი თუ ქვეთავი, გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერესი. მეორე გამოცემა თვისობრივად ახალი სახელმძრვანელოა.
„საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა, რომელიც მოიცავს კონსტიტუციონალიზმისა და საქართველოს საკონსტიტუციო მოწყობის ძირითადი საფუძვლების შესახებ ინფორმაციას.

259. 342.4(02)/5 დემეტრაშვილი ავთანდილ; კობახიძე ირაკლი; კონსტიტუციური სამართალი. სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. II გამოცემა, 2014. გამომცემლობა „რაიზი“. თბილისი, 2014 წელი. 307 გვერდი. 2015-5616

განათლების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ კომპლექსურად გაიაზრონ და მკითხველს შესთავაზონ კონსტიტუციური სამართლის ზოგადთეორიული, კომპარატივისტული, ეროვნული ცნებები, კატეგორიები, ინსტიტუტები და პროცედურები.

არსებულთაგან ეს სახელმძღვანელო იმით განსხვავდება, რომ ითვალისწინებს კონსტიტუციური სამართლის ბოლოდროინდელ(2012-2014 წლის) ნოველებს, ბრუნვაში შეაქვს ახალი დოქტრინალური და ნორმატიული წყაროები, მოიცავს კონსტიტუციური სამართლის იმ ნაწილს, რომელიც ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ქართულ სასწავლო ლიტერატურაში ანდა ფრაგმენტულად არის შესწავლილი.
სახელმძღვანელო დამოუკიდებლად, ისე, რომ ყოველი მათგანი მხოლოდ თავის ნაშრომზეა პასუხისმგებელი, მომზადებულია ორი თაობის -ძველი - ათანდილ დემეტრაშვილი და ახალი -ირაკლი კობახიძე, პედაგოგ-კონსტიტუციონალისტთა მიერ. ნაშრომი შედგება 11 კარისა და ოცდახუთი თავისაგან. ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი რაიმე სახით დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

260. 342.393/1 ბურდული ორაკლი; საკორპორაციო სამართლის კრებული. რედაქტორი: ი.ბურდული; გამომცემლობა: „მერიდიანი“. თბილისი 2014; 341 გვერდი; ტომი II; 2014-3077

საკორპორაციო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ერთიანი კორპუსი, თანამედრვე იურისპრედენციაში ძალიან დიდ როლს თამაშობს, იგი მრავალი ინსტიტუტისაგან შედგება, რომელიც გლობალურ ტრანსნაციონალურ კორპორაციული რეჟიმების სამყაროში იმდენად ვითარდება, რომ თვითმყოფად და დამოუკიდებელ ერთეულებად წარმოჩინდება.
II ტომი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: აკაკი ქირია-სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები; გიორგი მახარობლიშვილი -სააქციო საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემნტები, ნონა ზუბიტაშვილი-პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოებდან; ნინო ჯიბუტი-ფინანსური კრიზისი და ცვლილებები სარეიტინგო კომპანიათა სამართალში, სალომე ჯიბუტი-ფინანსური კრიზისი და ინვესტორთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი სისტემის უზრუნველყოფა.
კვლევა განხორციელდა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საკორპორაციო საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტურის ფარგლებში.

261. 34(09)(02)/2 გარიშვილი მარინა, ხოფერია მარიამ; საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია; სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“; თბილისი 2014; 710 გვერდი; 2017-41823

სახელმძღვანელო შედგება 12 თავისა და ქვეთავებისაგან, რომელშც განხილულია წინაისტორიული ხანა, ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტების ევოლუცია, მესოპოტამიის ტერიტორიაზე უძველესი

პოლიტიკური წარმონაქმნების სახელმწიფო სამართალი, შუასაუკუნეები და მისი სამართალგანვითარება ევროპული ცივილიზაციებისა და რუსეთის სახელმწიფო სამართალი და სამართალგანვითარება, ინგლისური, გერმანული, ისლამური სამართალგანვითარება, ახალი ხანა, რევოლუციების პერიოდის სახელმწიფო სამართალი და დირექტორი პირველი იმპერიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია საფრანგეთში.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის.

262. 347/46 (ელექტრონული კოდი: 2014-2725) ჰენშელი სანდრა
სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა. მეორე უცვლელი გამოცემა
თბილისი, 2014 წ. 224 გვერდი.

1997 წელს საქართველოში ძალაში შევიდ ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც მას შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადა, თუმცა შენარჩუნდა მისი ძირითადი სტრუქტურა. სამართლის პრაქტიკოსებს მოეთხოვებათ კანონის გამოყენების მეთოდიკის, კერძოდ კი - სუბსუმციის მეთოდის ცოდნა.
როგორც ყველა სხვა მეთოდი სუბსუმციაც ისწავლება. სახელმძღვანელომ ხელი უნდა შეეწყოს ქართველ სტუდენტებს აღნიშნული მეთოდის შესწავლაში. წიგნში წარმოდგენილია არა მხოლოდ მეთოდიკა, არამედ ასევე დეტალურად არის ახსნილი და გადმოცემული არსებითი სამართლებრივი ტერმინები და საქართველოს სამოქალაქო სამართლის სისტემატიკა. სამი სხვადასხვა სირთულის პრაქტიკული მაგალითის მეშვეობით დეტალურად და თანმიმდევრულად არის განმარტებული მეთოდის გამოყენება.
სახელმძღვანელო ეძღვნება დამწყებ სტუდენტებს, რომლებსაც უკვე გავლილი აქვთ კერძო სამართლისა და სამოქალაქო კოდექსის საფუძვლები. თუმცა საინტერესო პრაქტიკული მაგალითებით წიგნი მაღალი კურსის სტუდენტებსაც აძლევს მიღებული ცოდნის გამეორებისა და გადამოწმების შესაძლებლობას.
წიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით.
ნაშრომი დაცულია საავტორო სამართლით.

263. 34(09)/24 რომის სამართლის ძეგლები
იუსტინიანეს დიგესტები: წიგნი V, VI, VII. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2014, ლათინურიდან თარგმნა-ნ. სურგულაძემ; მთავარი რედაქტორი-ნ. სურგულაძე; სარედაქციო ჯგუფი: ბ. ზოიძე, მ. შუხოშვილი, მ. ხოფერია; 2016-8079

ნაშრომი რომის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის, იუსტინიანეს „დიგესტების“ V, VI და VII წიგნების ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანია, რომელსაც დართული აქვს წინასიტყვაობა, შენიშვნები ლექსიკონი და საძიებლები. „დიგესტების“ V წიგნი ექვსი ტიტულისაგან შედგება, VI წიგნი-სამი ტიტულისაგან, ხოლო VII წიგნი კი ცხრა ტიტულისაგან, რომელშიც საუბარია სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტზე-უზუფრუქტზე.
რომის სამართალი დასავლური იურისპრედენციის, კერძოდ კი, კერძო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ისტორიული წყარო და საფუძველია. სწორედამიტომ მის შესწავლას იურიდიული მეცნიერების განვითრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ნაშრომი განკუთვნილია როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ისე რომის სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

264. 34(082)/3 მზია ლეკვეიშვილი-85; საიბულეო კრებული
რედაქტორი: პროფერსორი მაია ივანიძე; სარედაქციო ჯგუფი; მორის შალიკაშვილი, თემურ ცქიტიშვილი, გიორგი ამირანაშვილი; გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“-2014; თბილისი 2014; გვერდი 561; 2015-5934

კრებული წარმოადგენს ივანე ჯავახიშცილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საიუბილეო გამოცემას, რომელიც ემერიტუს იუბილარის კოლეგების, მეგობრებისა და მოსწავლეების მისალმება და მილოცვა, ასევე, მისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომები.

265. 34/64 ქართული სამართლის აქტუალური საკითხები
მთავარი რედაქტორები: პროფესორი-ნანა ჭიღლაძე, თორნიკე ნემსიწვერაძე; სარედაქციო კოლეგია: თამარ ზარანდია, ირაკლი დვალიძე, მარინა გარიშვილი, ზვიად კორძაძე. ტექნიკური სარედაქციო ჯგუფი: თორნიკე ნემსიწვერაძე, სიმონ ტაკაშვილი, გულიკო ფერაძე. გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“; თბილისი 2014; 242 გვერდი; 2014-6357

კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების ნაშრომები, რომლებიც სამართლის სხვადასხვა მიმართულების აქტუალურ საკითხებს ეხება. სტატიათა კრებული ეძღვნება ქართული იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი ფეძემდებლის, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დამაარსებლის პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხსოვნას.
კრებული განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების , იურისტებისა და

სამართლის პრობლემებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. სტატიათა კრებული გამოიცა „კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ ფინანსური მხარდაჭერით.

266. 347.78(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2014-6373) ძამუკაშვილი დავით
ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი. მეორე გამოცემა (გათვალისწინებულია 2013-2014 წწ. საკანონმდებლო ცვლილებები)
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2014 წ. 505 გვერდი.

მონოგრაფია ადრინდელი წიგნის „ინტელექტურალური საკუთრების სამართალი“ მესამე გამოცემის ძირეული გადამუშავების საფუძველზეა 2012 წელს შექმნილი, რაც გამოიწვია ინტელექტუალურ უფლებათა სფეროში 2010 წლის ცვლილებებმა. გადამუშავება იმდენად ძირეული იყო, რომ წიგნი ახალი სათაურით გამოვიდა და ეს მისი მეორე გამოცემაა. მასშ ინტელექტუალური უფლებები და ურთიერთობები განხილულია ზოგადი არსიდან მოყოლებით. წიგნი გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოდ. იგი გაუადვილებს საგნის შესწავლით დაინტერესებულ პირებს ინტელექტუალურ უფლებათა სამართლისათვის დამახასიათებელ საფუძვლებში გარკვევას.

267. 343.955(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2014-3066) კარაიანი ა., ცვეტკოვ ვ.
იურიდიული ფსიქოლოგია. ექსპერიმენტიდან პრაქტიკამდე
ნ.დ. ერიაშვილის რედაქციით
თბილისი, გამომცემლობა „სამართალი საქართველო“, 2014 წ. 139 გვერდი.

სახელმძღვანელოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კლასიკური და ავტორიტეტული ექსპერიმენტული გამოკვლევების მაგალითზე უჩვენოს სამართალდამცავ ორგანოთა სპეციალისტებს, თუ როგორ და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის რომელ რგოლებში აღმოცენდება სამართალდამცავი პროცესის დამახინჯებისა და დეზორგანიზაციისხელშემწყობი ფსიქოლოგიური პირობები, სად იმალება „წყალქვეშ ქვები“ და შეცდომები.
სახელმძღვანელო გათვალისწინებულია შსს უმაღლესი სასწავლებლების კურსანტებისა და იურიდიული პროფილის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, იურიდიული ფსიქოლოგიის კურსის მასწავლებლებისათვიოს. ნაშრომი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ რეკომენდაცია, როგორც დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო იმ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ იურისპუდენციის სპეციალობაზე.

ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი რაიმე ფორმით დარღვევა დასჯადია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

268. 34(09)/21 შემდგენელი: ბექა ქანთარია
ქართული სამართლის ისტორია
რედაქტორი: იაკობ ფუტკარაძე; გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“; თბილისი 2014 წელი. 330 გვერდი; II გამოცემა; 2015-5269

წიგნი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ქართული სამართლის ისტორიაში მიღებული ცოდნა განიმტკიცონ ქართული სამართლის ზოგიერთი ძეგლის გაცნობით. წიგნის მნიშვნელობა დიდია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის, ვინაიდან იგი ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინად იქცა. კურსის მიზანია სტუდენტს დაანახოს ქართული სამართლის ისტორიის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, ასწავლოს ქარტული სამართლის ისტორიის კავშირი სამართლის თეორიასთან და სამართლის სხვა დარგებთან, შეასწავლოს თანამედროვე სამართლის ნორმების პრაქტიკაი გამოყენება.
ყველა უფლება დაცულია. წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, არ შეიძლება გამოიყენონ ავტორის ნებართვის გარეშე.

269. 343.3(02)/2 ლეკვეიშვილი მ; თოდუა ნ; მამულაშვილი
სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; წიგნი I; მეხუთე გამოცემა; რედაქტორი -გ. მამულაშვილი; გამომცემლობა „მერიდიანი“; თბილისი 2014 წელი. გვერდი.846; 2015-11463;

სისხლის სამართალი შედგება 2 ნაწილისაგან: ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში მოცემულია დანაშაულის ყველა შემადგენლობისათვის საერთო ცნებები და ნიშნები, მისი პრინციპები და ინსტიტუტები. რაც შეეხება კერძო ნაწილს, მასში განსაზღვრულია დანაშაულთა ცალკეული სახეები და მითითებულია იმ სახეზე, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მისი ჩადენისათვის. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი შეიძლება განიმარტოს, როგორც სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულად აღიარებულ ქმედებათა წრესა და ნიშნებს, ასევე მისი ჩადენისათვის დადგენილ სასჯელის სახესა და ზომას.
წიგნი მოიცავს ადამიანის საწინააღმდეგო, ეკონომიკურსა და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მომართულ დანაშაულს.
სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და

დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.

270. 343.23/4 ხახნაული ლევან; დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა; ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით; წიგნი II სამეცნიერო რედაქტორი: მ. ტურავა; გამომცემლობა: „მერიდიანი"; თბილისი 2014; გვერდი.403; 2017-43564

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია.
დაუმთავრებელი დანაშაულის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით მეტად საინტერესო და ამავდროულად სასარგებლო დასკვების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა განიცდის გერმანული სისხლის სამართლის გავლენას, მათ შორის მაინც არსებობს პრინციპული განსხვავება. მაშინ როდესაც საქართველოს ს.ს კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის მცდელობასთან ერთად დანაშაულის მომზადებაც ისჯება, გერმანული ს.ს კანონმდებლობა მხოლოდ დანაშაულის მცდელობის დასჯადობას აღიარებს.
წიგნში მოცემულია დაწვრილებითი ანალიზი, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკის თავისებურებებს.
ნაშრომი შედგება 5 კარის, 4 თავისა და პარაგრაფებისაგან.

271. 342. 72(02)1 კუბლაშვილი კონსტანტინე; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. IV გამოცემა.
იურიდიული სახელმძღვანელო; რედაქტორი: თამარ ბერიძე; რეცენზენტები: თევდორე ნინიძე; კონსტანტინე კორკელია; შპს „ფაუნტეინ ჯორჯია" 2014; თბილისი, 2017 წელი. 375 გვერდი; 2017-39534;

სახელმძღვანელო შედგენილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში ადამიანის უფლებათა სფეროში დამკვიდრებული სასწავლო კურსის შესაბამისად. მასში დაწვრილებით არის განხილული ადამიანის უფლებათა წარმოშობის ისტორია, ადამიანის უფლებათა შესახებ მსოფლიოში შექმნილი პირველი იურიდიული დოკუმენტები, კონსტიტუციები და კეკლარაციები, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც ხახლისა და სახელმწიფო ხელისუფლების შემზღუდავი უშუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა, ძირითადი უფლებების ცნება, კატეგორიები, მათი გამოყენების უფლებამოსილების ძირითადი უფლების ცნება, შინაარსი, მის მიერ დაცული სფერო, შესაძლებელი შეზღუდვის ფარგლები და ამ შეზღუდვის კონსტიტუციურ-

სამართლებრივი საფუძვლები.
ცვლილებათა მნიშვნელობიდან და სიმრავლიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ტექსტის გადამუშავება და მისი დახვეწა როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად. და სწორედ ასეთი დაზუსტებული სახით წარდგა მკითხველის წინაშე სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა, რომელიც უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, თუმცა იგი დააინტერესებს როგორც ადვოკატებსა და პროკურორებს, ასევე მოსამართლეებს.

272. 347/58 (ელექტრონული კოდი: 2014-2941) დერნბურგწრი ჰ.
პანდექტები. ტომი პირველი. ზოგადი ნაწილი
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 480 გვერდი.

ჰაინრიხ დერნბურგის, ამ სახელგანთქმული მეცნიერის კალამს ეკუთვნის, მრავალრიცხოვანი იურიდიული მონოგრაფიული გამოკვლევანი და საერთო კურსები. 1884-1887 წწ. გამოვიდა სამ-ტომიანი „პანდექტები“. დერნბურგის ყოველი მონოგრაფიული ნაშრომი წარმოადგენს დაუფასებელ განძს ევროპის მეცნიერებისათვის. იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, რომლის ძალისხმევით მსოფლიოში არაერთი აღიარებული ავტორის ნაშრომი იქნა გამოცემული, მკითხველს სთავაზობს ჰაინრიხ დერბურგის ფუნდამენტურ ნაშრომს „პამდექტებს“, რომელიც პირველად 1928 წელს გამოიცა თბილისში და იგი ქართულად თარგმნა კ. ჯაფარიძემ.
წიგნის მიზანია ხელი შეუწყოს და გააადვილოს რომაული სამართლის საფუძვლიანი შესწავლა, როგორც სამართლის მეცნიერების და კაცობრიული კულტურის ერთ-ერთ უძირითადესი ელემენტისა, ვინაიდან წიგნში განხილული სამართლებრივი ინსტიტუტები მომდინარეობს რომის სამართლიდან და მათი მდგომარეობის გამო ნაკლებად ექვემდებარება ჟამთა ცვლას, წიგნი არსებული რედაქციითა შემოთავაზებული.
ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მომავალ იურისტებს, მოქმედ იურისტებს და იურისპრუდენციის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს სამართლებრივი თვალსაწიერის გაფართოებაშ.

273. 347.2/3 (ელექტრონული კოდი: 2014-6543) მარიამიძე გიორგი
კაზუსები და მათი ამოხსნის მეთოდები სანივთო სამართალში. წიგნი I - საკუთრების შეძენა და დაკარგვა უძრავ და მოძრავ ნივთებზე. I ნაწილი, I გამოცემა
თბილისი, გამოცემლობა „იურისტების სამყარო“, 2014 წ. 324 გვერდი.

წიგნი შექმნილია გერმანული კაზუსების წიგნის - Egbert Rumpf-Rometsch, Die Falle, RGB – Sachenrecht 2,2. Aufla.ge, BDK Bucherdienst Gmbh, Koln 2003-ბაზაზე. წიგნის ტექსტის

ძირითადი ნაწილი (კაზუსები, ცნებები, ტერმიონები და ა.შ.), ასევე წერის სტილი და ა.შ> თარგმნილი და გადმოღებულია ზემოაღნიშნული კაზუსების წიგნიდან და ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშა მოყვანილი.
წიგნში გამოყენებულია ნორმატიული აქტები 2014 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით.
წიგნის მიზანია მკითხველს ის საკითხები, რომლებიც ქართულ სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის თეორიაშია პრობლემატური.
წიგნში სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა პრაქტიკულ მაგალითებზეა აგებული და კაზუსების ამოხსნის გზები ავტორის მიერ შემოთავაზებული სქემებისა და მეთოდების სახით არის წარმოდგენილი.

274. 347.734(02)/3 (ელექტრონული კოდი: 2014-3088) შენგელია რ., შენგელია ე.
საბანკო სამართლის საფუძვლები
რედაქტორი - ჯ. ხეცურიანი
შემფასებელი - გ. ხელაია
გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წ. 538 გვერდი.

სახელმძღვანელოში განხილულია ბანკების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, განსაზღვრულია საბანკო სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში, შემუშავებულია საბანკო კანონმდებლობისა და დოქტრინის სრულყოფის გზები.
სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსის „საბანკო სამართლის საფუძვლები“ სილაბუსს.
პირველ განყოფილებაში, რომელიც ზოგად ნაწილს წარმოადგენს, გადმოცემულია ბანკებისა და საბანკო სისტემების შესახებ ზოგადი დებულებები, საბაზრო მეურნეობის ქვეყნების ბანკებისა და კრედიტების განვითარების პერსპექტივები. საბანკო ურთიერთობათა ანალიზის ფონზე განხილულია საბანკო სამართლის საგანი, რეგულირების მეთოდები, წყაროები და მისი ადგილი სამართლის სისტემაში.
მომდევნო განყოფილება ეძღვნება სასწავლო დისციპლინის განსაკუთრებულ ნაწილს და მათში განხილულია საჯარო საბანკო და კერძო საბანკო სამართლებრივი ურთიერთობები, აგრეთვე მოთხოვნათა უზრუნველყოფის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები.
შრომის ბოლო ნაწილი ეთმობა საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის სამართლებრივ პრობლემებს.

275. 342.7(082)/5 კორკელია კონსტანტინე (რედ) ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. სტატიათა კრებული; გამომცემელი: GTZ; german cooperation 2014; თბილისი 2014 წელი. 363 გვერდი; 2015-7696;

სტატიათა ავტორების მიერ კრებულში განხილულია შემდეგი საკითხები: კონსტანტინე კორკელია-წინასიტყვაობა
იენს დეპე-ადამიანის ძირითადი უფლებების ევროპული სტანდარტები და საერთაშორისო თანამშრომლობა სასამართლოში იურიდიული დახმარების უფლების მაგალითზე.
ნიკო თათულაშვილი-შრომითი უფლებები საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაში.
გივი მიქანაძე-პრობაციონერების უფლებები მის მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისას.
სიმონ პაპუაშვილი-დროებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ: შესაძლებლობები და გამოწვევები.
მერაბ ტურავა-ჰარმონიული კონვერგენცია საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესში და ქართული სისხლის სამართლის საპროცესო წესები.
ლალი ფაფიაშვილი-ციფრული მტკიცებულებების ამოღება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკმარისი თუ ილუზორული გარანტია?
სალომე ქერაშვილი-მფლობელობის კონსტიტუციური დაცვა და მისი ზეგავლენა კერძო სამართალზე: უპირატესად გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრედენტების საფუძველზე.
ირაკლი ყანდიაშვილი-მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომით მედიაციის მაგალითზე.
მიხეილ შარაშიძე-საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ანალიზი.
გვანცა ჩხაიძე-„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა
ნინო ცუხიშვილი-რელიგიური პრაქტიკისა და სიმბოლოების გამოყენება საჯარო სკოლაში.
ბექა ძამაშვილი-დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია და მისი გამოვლენის ფორმები.
სოფიო წაქაძე-ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე-საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ:დასაბუთებული არგუმენტაცია თუ დიპლომატიური ბუნდოვანება.
ნანა ჭიღლაძე-ქალთა საარჩევნო უფლება.
მათიას ჰარტვიგი-ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივარი, როგორც უფლების დაცვის განსაკუთრებული სახის წარმოება.
კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კრებული გამოცემულია GTZ-ის ფინანსური მხარდაჭერით.

276. 34(02)/17 ალფაიძე თამარ; სამართალმცოდნეობის შესავალი
მეორე გამოცემა; რეცენზენტები: მალხაზ ბეგიაშვილი, გიორგი თევდორაშვილი, ლევან იზორია, გიორგი კვერენჩხილაძე, ზაზა რუხაძე, კახი ყურაშვილ, პაატა ცნობილაძე; საგამომცემლო სახლი: „ბეჭდვითი სიტყვის კომპონენტი“.
თბილისი 2015; 447 გვერდი; 2015-11752

„სამართლამცოდნეობის შესავალი“ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემასი წამყვანი სასწავლო დისციპლინაა, ვინაიდან იგი სტუდენტს აძლევს პირველ დაწყებით ცოდნას სახელმწიფო სამართლებრივ მოვლენებზე, რის გარეშეც დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლა შეუძლებელია.
სახელმძღვანელოში ახსნილი და მეცნიერულად დასაბუთებულია ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის არსი, სამართლის ნორმა და მისი გამოვლენის ფორმები, კანონი და მისი ადგილი ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემაშ, სმართლის რეალიზაციის ფორმები, სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ.
სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს იურიდიული მეცნიერების საფუძვლების დაუფლებაში, გამოუმუშავოს მათ ცოდნის ათვისების უნარ-ჩვევები და იურიდიული აზროვნების სტილი.
სახელმძღვანელოში გამოყენებულია სათანადო ნორმატიული აქტები, ქართველი სწავლული იურისტების შრომები, მდიდარი უცხოენოვანი ლიტერატურა.
თეორიული დებულებები ილუსტრირებულია შესაბამისი სქემებით. წიგნში ასევე მოცემულია კაზუსები.

277. 347.78/18 (ელექტრონული კოდი: 2015-5463) ძამუკაშვილი დავით
ევროკავშირის საავტორო სამართალი
თბილისი, „ბონა კაუზა“, 2015 წ. 239 გვერდი.

მსოფლიოში გლობალიზაციის განუხრელი განვითარების პროცესში, რომლის მონაწილეც ჩვენი ქვეყანაც არის და რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა კომერციული ურთიერთობებისა და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა სამართლის ჰარმონიზაციამ შეიძინა. საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირთან და იტვირთა მის სამართალთან საკუთარი, ეროვნული სამართლის შეთანწყობის ვალდებულება.
„ევროკავშირის საავტორო სამართლის“ მკითხველისათვის მიწოდებით „ბონა კაუზა“ იწყებს ევროკავშირის სამართლისადმი მიძღვნილ გამოცემათა სერიას „ევროკავშირის სამართალი“. ამ სერიის პირველ წიგნში, რომელიც წარმოგვიდგინა ცნობილმა მეცნიერმა

დავით ძამუკაშვილმა, მოცემული ევროკავშირის ერთიან სივრცეში მოქმედი საავტორო სამართლებრივი ურთოერთობების მომწესრიგებელი ყველა დირექტივის დაწვრილებითი ანალიზები, რომლებიც ქართულის უქონლობის გამო, ინგლისური ტექსტების სახით არის ნაშრომს დართული.
ნაშრომი დახმარებას გაუწევს მეცნიერებს, მაგისტრანტ სტუდენტებს, დოქტორანტებს, ადვოკატებსა და სხვა პრაქტიკოს სპეციალისტებს.

278. 347.4/21 (ელექტრონული კოდი: 2015-11710) ჩიტაშვილი ნ.
შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებაზე. შედარებითი ანალიზი.
სამეცნიერო რედაქტორი - თ. ზამბახიძე, გამოც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015 წ. 419 გვერდი.

ნაშრომის გარგლებში განხორციელებული კვლევა ათი თავის სახით არის ჩამოყალიბებული:
პირველ ორ თავში წარმოჩენილია კვლევის საგანი, მიზანი და აქტუალობა. განსაზღვრულია შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი პრობლემატიკის კვლევის გარგლებში, რომელიც მოიცავს ანგლო-ამერიკული, კონტინენტური და უნიფიცირებული სამართლის კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთების და მათი გავლენის აღწერას ნაციონალური სამართლის განვითარებაზე.
მესამე თავი ეთმობა შეცვლილი გარემოებებით დაფუძნებული ორი უმთავრესი სამართლებრივი კონსტრუქციის - ვალდებულების შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის, როგორც ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპების კონცეფტუალურ ანალიზს.
მეოთხე თავი ეძღვნება შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ანალიზი კონცეფციების კვლევას უცხოურ სამართლებრივ სისტემებში და მათი იურიდიული მახასიათებლების ანალიზს.
მეხუთე თავში გამოკვლეულია შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის კონცეფციების დაფუძნების სამართლებრივი წინაპირობები.
მეექვსე თავში განხილულია შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი.
მეშვიდე და მერვე თავები ასახავს ხელშეკრულების ადაპტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის სახეებისა და გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხს.
მეცხრე თავი მესამე პირის მიერ შესრულების გართულების ან შეუძლებლობის გამომწვევი გარემოების აღმოცენების საფუძვლით პასუხისმგებლობისაგან

განთავისუფლების საკითხის კვლევას მოიცავს.
მეათე თავი, დასკვნის სახით შემოთავაზებულია ძირითადი შემაჯამებელი თეზისები და ქართული კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

279. 347.4/20 (ელექტრონული კოდი: 2015-11871) ჩიტოშვილი თ.
ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები. უსაფუძვლო გამდიდრება
გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015 წ. 171 გვერდი.

პრაქტიკაში, პირებს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში, ხშირად რთული ხდება იმის გამიჯვნა, თუ როგორი სახით ვალდებულებასთან გვაქვს საქმე (სახელშეკრიულებო, წინასახელშეკრულებო, კანონისმიერი), რა ტიპის ვალდებულება დაირღვა ძირითადი, დამატებითი, გულისხმიერების, მეორადი თუ სხვ.
ხშირად რთული ხდება, ჩვეულებრივი და შემთხვევითი პირობების, წინარე ხელშეკრულებითა და ,ოლაპარაკებების პროცესში წარმოშობილ ვალდებულებათა ურთიერთგამიჯვნა, რაც მხარეთა შორის ხდება დავის საგანი. სწორედ აღნიშნული საკითხების დეტალური განხილვა არის მოცემული ნაშრომში.
ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი უსაფუძვლო გამდიდრებას, როგორც კანონისმიერი ვალდებულების ერთ-ერთ სახეს.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის და სამართლის სკოლის სტუდენტთათვის, თეორიულ და პრაქტიკულსფეროში მოღვაწე იურისტთათვის და ვალდებულებითი სამართლის (უსაფუძვლო გამდიდრების) საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

280. 347.6/9 (ელექტრონული კოდი: 2015-11656) შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე
საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი
რედაქტორები - ჯ. ხეცურიანი, ლ. ჭანტურია
შემფასებლები - ზ. ძლიერიშვილი, შ. ქურდაძე, დ. იმნაძე
გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წ. 494 გვერდი.

სამოქალაქო კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში შეტანილმა არსებითი ხასიათის ცვლილებებმა და შესაბამისი ლიტერატურის იშვიათობამ დღის წესრიგში საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ახალი სასწავლო წიგნის შექმნის აუცილებლობა. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხების გაერთიანება მათ შორის არსებული შინაარსობრივი და ლოგიკური კავშირითაცაა განპირობებული. ამასთან, საჭირო გახდა პრაქტიკისა და უცხოური გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება. სწორედ ამას ისახავს მიზნად ნაშრომი. მასში განხილულია ოჯახთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა სამართლებრივი საკითხი.

წიგნი განკუთვნილია მომავალი და მოქმედი იურისტებისათვის, ასევე საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

281. 349.2/18 ზენაიშვილი ამირან
საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის კომენტარები. გამომცემლობა „იურისტის სამყარო“. თბილისი, 2015 წ. 2015-5510

საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის კომენტარები. გამოცემა განაპირობა შრომის კოდექსში არსებითი ცვლილებების შეტანამ, ორგანული კანონის პრაქტიკაში დანერგვის საჭიროებამ, მისი მართებულად გაგების აუცილებლობამ. კომენტარების შედგენისას ყურადღება გამახვილებულია ორგანული კანონის თავსებადობაზე ევროკავშირის კანონებთან, საერთაშორისო აქტებთან და კონვენციებთან შესაბამისობაზე; კომენტარებში აგრეთვე გამოყენებულია სხვადსხვა ქვეყნების კვლევები და ამ ქვეყნების გამოცდილება, თავების მიხედვით. აგრეთვე გაანალიზებული და შეფასებულია, როგორც ბიზნეს სექტორის, ისე დასაქმებულთა გაერთიანების პოზიციები და სხვა.
ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონში შემოტანილი ინსტიტუტების პრაქტიკაში გატარების გზებს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციის თვალსაზრისით.

282. 342.4(076)/1 გეგენავა დიმიტრი; მაჭარაძე ზურაბ; პრაქტიკუმი საკონსტიტუციო სამართალში; რედაქტორები: გეგენავა დიმიტრი; გაბუნია მონიკა; პაპაშვილი თამარ; დავით ბატონიშვილის სახელობის სამართლის ინსტიტუტი 2015; თბილისი 2015; 169 გვერდი. დამხმარე სახელმძღვანელო; 2015-5681

„პრაქტიკუმი საკონსტიტუციო სამართალში“ სასწავლო პროცესზე ორიენტირებული დამხმარე სახელმძღვანელოა, რომლის უმთავრესი მიზანი სამართლის მიმართულების სტუდენტთათვის საკონსტიტუციო სამართლის შესწავლის პროცესის გამარტივებაა. წიგნი თემატურად სამი ნაწილისგან შედგება: სასემინარო საკითხები, კაზუსები და ტესტები. პირველ ნაწილში თავმოყრილია კითხვები და ფუნდამენტური საკითხები, რომელიც საკონსტიტუციო სამართლის ათვისების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და ურომლისოდაც ამ მიმართულებით მიღებული ცოდნა არასისტემატური და ზედაპირულია.
კაზუსების ნაწილში წარმოდგენილია კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა და საკუთრივ კაზუსები. მოცემულია კაზუსის ამოხსნის სქემები სახელმწიფო მოწყობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების სამართალში.

წიგნის მესამე ნაწილი ეთმობა ტესტებს, რომელსაც არ ერთვის მართებული პასუხები, რათა ტესტების დამუშავების პროცესი იყოს რეალურად საინტერესო.
წიგნი დაეხმარება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, უკეთ გაიაზროს და ყურადღება გაამახვილოს საკონსტიტუციო სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

283. 342.393/2 მახარობლიშვილი გიორგი.
კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. შედარებით-სამართლებრივი კვლევა. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი 2015; 369 გვერდი. 2015-7669

ნაშრომში გაანალიზებულია საკორპორაციო სამართლის ბირთვის, კორპორაციული მართვის მაფორმირებელი ძირითადი ელემენტები ზოგად კონტექსტში. კორპორაციული მართვის ერთიანი, უნიფიცირებული ფორმულა არა არსებობს, რადენადაც ის დამოკიდებულია გეოგრაფიულ არეალზე, დროზე, სივრცეზე. ეკონომიკურ-სამართლებრივ გარემოსა და კომპანიაზე. შესაბამისად, კარგი კორპორაციული მართვის ზოგადი ფორმულის დებულებების შემუშავებისა და დანერგვის რეკომენდაციები სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი რეალობისა და კომპანიათა პრაქტიკული შემეცნების გზით უნდა შესრულდეს. ამიტომ, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეოთოდი, რომელიც მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპისა და ქართულ კორპორაციულ-სამართლებრივ განზომილებებს.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

284. 342.393/1 ბურდული ირაკლი; გიორგი მახარობლიშვილი
საკორპორაციო სამართლის კრებული. რედაქტორები: ი. ბურდული; გ. მახარობლიშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015; 214 გვერდი., ტომი III. 2017-43039

თანამედროვე კაპიტალისტურ ურთიერთობებში საკორპორაციო სამართლის როლი დღითი-დღე იზრდება იგი უამრავი ინსტიტუტის, საკითხის, პრობლემის ანალიზს, ხოლო კვლევა თავდაუზოგავ შრომას და უახლესი ტენდენციების გააზრებას მოითხოვს. საკორპორაციო სამართლის III ტომში გაანალიზებული საკითხები თემატურად, ლოგიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული და მასში შესულია შემდეგი ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორების მიერ დამუშავებული თემები: ანა ხარაიშვილი - საწესდებო კაპიტალის დოქტრინა სისტემ-შედარებით კონტექსტში; გიორგი კოკვაძე- სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ; თამარ ბაზღაძე -დორექტორის ანაზღაურება, როგორც ეფექტური კორპორაციული მართვის წინაპირობა მსოფლიო ეკონომიკური

კრიზისის შედეგად მიღებული გამოცდილების მაგალითზე; კლაუს ჰოპტი- გერმანული დუალისტური სისტემა; გამოცდილება, თეორიები, რეფორმები.
საკორპორაციო სამართლის კრებულთა სერია, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა საუძველი იურიდიულ ფაკულტეტზე არსებულ საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტის საქმიანობის ფარგლებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილის შემტანია საკორპორაციო სამართალში იურიდიული ლიტერატურის შექმნა-განვითარების პროცესისთვის.

285. 341.4/8 ტურავა მერაბ
საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015 წელი. 401 გვერდი. 2017-43371

პირველად ქართული სამართლის ისტორიაში ქვეყნდება ნაშრომი საერთაშორისო სისხლის სამართალში. წიგნშ განხილულია საერთაშორისო სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები. ნაშრომი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ახლანდელ ვითარებაში, როდესაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ინტერესის სფეროშია.
წიგნი განკუთვნილია პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ სხვა მკითხველთათვის.
წიგნი შეიქმნა ბერლინის ჰუმბოლდტის, იენის ფრიდრიხ შილერისა და კიოლნის უნივერსიტეტებში სამეცნიერო მუშაობის დროს ალექსანდრე ჰუმბოლდტის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

286. 345.73(02)/2 (ელექტრონული კოდი: 2016-7686) მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი
თარგმანის ავტორი - კახაბერ გოშაძე
რედაქტორი - მ. ბეგიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 253 გვერდი.

მონაცემთა დაცვას დიდი ყურადღება ექცევა ევროპის მასშტაბით. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო განიხილავს ევროპის მასშტაბით მოქმედ იმ სამართლებრივ თუ სარეკომენდაციო სახის დოკუმენტებს, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოს თარგმნის გადაწყვეტიოლება ორი მიზეზის გამო იქნა მიღებულოი: პირველი, მონაცემთა დაცვის ქართული სამართლებრივი ნორმები ახდენს ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას და მეორე, მოცემული ნორმები ახდენს ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას და მეორე,

მოცემული სახელმძღვანელო ამომწურავად განიხილავს ევროპაში არსებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ძირითად წესებს. არსებული თარგმანი ხელს შეუწყობს მონაცემთა დაცვის სფეროს განვითარებასა და განმტკიცებას საქართველოში.

287. 347/57 (ელექტრონული კოდი: 2016-8297) პეპენაშვილი ნინო
საქართველოს სამოქალაქო სამართლის კომენტარი. წიგნი პირველი, მეორე გამოცემა
რედაქტორი: ნ. ნიავაძე
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ტექსტი 2015 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2015 წ. 553 გვერდი.
ნაშრომში ასახულია უკლებლივ ყველა ცვლილება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2015 წლის 5 ნოემბრამდე, ხოლო ცალკეული მუხლების კომენტირებისას ციტირებული ნორმატიული მასალის ტექსტში 2015 წლის 15 მაისამდე განხორციელდა. ზოგიერთი მუხლის კომენტარზე თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატა ქართულ ენაზე ნათარგმნი მნიშვნელოვანი ნაშრომები, ცალკეული მუხლების კომენტირებისას გამოყენებულია 1950-1964 წლებში გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მაღალი სამეცნიერო ღირებულებით გამოირჩევა გამოცემას ერთვის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი სამოქალაქო უფლების შესახებ, რომლის გაცნობა მკითხველს საშუალებას მისცემს ხელახლა გაიაზროს სამოქალაქო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები.
ნაშრომის მიზანია სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის თითოეული მუხლის ირგვლივ მკითხველს ის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მიაწოდოს, რაც მას საშუალებას მისცემს სიღრმისეულად შეისწავლოს კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი ცნებები.
გამოცემა ემყარება სამართლის მეცნიერების კლასიკოსთა ნაშრომებს.

288. 341.7/10 ხუცურაული ირაკლი
საკონსულო სამართალი საკონსულო ფუნქციები, შეღავათები, პრივილეგიები და იმუნიტეტები. კომენტარები II გადამუშავებული გამოცემა. რედაქტორი: ელენე ლეჟავა. გამომცემელი: „ბონა კაუზა“. თბილისი 2015 წელი. 129 გვერდი; 2015-5532

საკონსულო სამართალი ეროვნული და საერთაშორისო სამართლის იმ ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც საკონსულო დაწესებულებების, მათი თანამდებობის პირების, თანამშრომლების სამართლებრივ მდგომარეობასა და ფუნქციებს აწესრიგებს.
წიგნი შეიცავს საკონსულო სამართლის შესახებ კომენტარებს. მასში პირველადაა განხილული საკონსულო ფუნქციების, შეღავათების, პრივილეგიებისა და

იმუნიტეტებისაგან, ასევე აღწერილია საკონსულო პატენტისა და ეგზეკვატურის გაცემის თანამედროვე წესი. ფართოდაა გაშუქებული თემა საპატიო კონსულის ინსტიტუტის შესახებ.
წიგნი განკუთვნილია საკონსულო დაწესებულების თანამშრომლების, დიპლომატების, იურისტების, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტებისა და ლექტორებისათვის.

289. 340.6(076)/4 მჭედლიშვილი მარლენ
სასამართლო -ქიმიური ექსპერტიზის საფუძვლები
მესამე გადამუშავებული გამოცემა. რეცენზენტები: ზ. სვანიძე; რ. კლდიაშვილი;
საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015
თბილისი 2015; 407 გვერდი; 2016-0424

სახელმძღვანელოში განხილულია ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებათა სახეები, მათი წარმოშობის წყაროები, ორგანიზმზე მოქმედების თავისებურებანი და მათი მეტაბოლიზმი, მძიმე და კეთილშობილი ლითონები, ფეთქებადი ნივთიერებები; ნიადაგი, მათი კვლევის ძირითადი ხერხები და მეთოდები; შხამებს მიკუთვნებული ნივთიერების შემცველობაზე ბიომასალის გამოკვლევის ზოგადი პრინციპები და ბიომასალაში მათი აღმოჩენის სპეციფიკური მეთოდები. წარმოდგენილია სილაბუსით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და მათი შესრულების მეთოდიკა, მოცემულია ტესტები და გართულებული ამოცანები.
სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუ-ის ქიმიური და კვების პროდუქტების ეექსპერტიზის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს მიერ.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და დარღვევა ისჯება კანონით.

290. 34(09)/24 რომის სამართლის ძეგლები
იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი VIII, IX, X, XI; 568 გვერდი;
უნივერსიტეტის გამომცემლობა 2015; ლათინურიდან თარგმნა -ნ. სურგულაძე; მთავარი რედაქტორი: ნ. სურგულაძე; სარედაქციო ჯგუფი: ბ. ზოიძე, მ. შუხოშვილი, მ. ხოფერია
2016-17502

ნაშრომი რომის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის, იუსტინიანეს დიგესტების მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე წიგნების ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანია, რომელსაც დართული აქვს წინასიტყვაობა, შენიშვნები,

ლექსიკონი და საძიებლები.
დიგესტების VII წიგნი შედგება- ექვსი ტიტულისაგან (თავისაგან) და მთლიანად ეთმობა-სერვიტუტს.
IX წიგნი შედგება-ოთხი ტიტულისაგან და ეძღვნება შერეულ სარჩელებს
მეათე წიგნიც შედგება ოთხი ტიტულისაგან და მასში განხილულია განსაკუთრებული კატეგორიის შერეული სარჩელები, რომლებიც ახლოს დგანან სანივთო სარჩელებთან
მეთერთემტე წიგნი შედგება-სულ რვა ტიტულისაგან და მასში განხილულია ის სარჩელები, რომელთა მეშვეობით ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდნენ.
ნაშრომი განკუთვნილია როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ასევე რომის სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

291. 34(09)/14 მეტრეველი ვ, დავითაშვილი გ; პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ოსტორია
ლექციების კურსი, მეორე გამოცემა. რედაქტორი: ვალერიან მეტრეველი; რეცენზენტები: ნ. კორძაია-სამადაშვილი , მ. ცაცანაშვილი.
გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“ 2015; 2015-5395

ნაშრომში განხილულია იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის ყველა ძირითადი საკითხი.
პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია იურიდიული მეცნიერებაა, რომლის შესწავლის საგანი არის პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, თეორიები, შეხედულებები, დოქტრინები, კონცეფციები, დებულებები და ა.შ.
ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

292. 34/50 ხუბუა გიორგი;სამართლის თეორია
რეცენზენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ინწკირველი. სამართლის დოქტორი: ლევანი იზორია. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015; 277 გვერდი; მეორე , შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. 2015-11399

წიგნში განხილულია სმართლის ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართლის ღირებულებით, ფილოსოფიურ და კულტურულ წინამძღვრებს, სამართლის მიმართებას სახელმწიფო ხელისუფლებასთან, პოლიტიკასთან. საზოგადოებაში მოქმედ სხვადასხვა ნორმატიულ სისტემებთან.

სამართლის ნორმათა განმარტების თემა გაშუქებულია თანამედროვე იურიდიული მეთოდების ფონზე.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და სამართლის თეორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

293. 343.9/24 (ელექტრონული კოდი: 4905) გოგნიაშვილი ნინო
კრიმინალისტიკა. ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით
რედაქტორი - ა. კალატოზიშვილი
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. 251 გვერდი.

ნაშრომში განხილულია კრიმინალისტიკის კურსის მეთოდოლოგიის, კრიმინალისტიკის ტექნიკის, კრიმინალისტიკის ტექნიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის მნიშვნელოვანი საკითხები კითხვა-პასუხში.
გამოცემა შედგება IV ნაწილისა და XXXV თავისაგან.
წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ექსპერტ-კრიმინალისტებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სტუდენტებისათვის.
ნაშრომი ასევე დაეხმარება საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

294. 344(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2015-7528) ძამაშვილი ბექა
სამხედრო კონფლიქტების სამართალი ძალის გამოყენების აკრძალვა
რედაქტორი - გოჩა ლორთქიფანიძე
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წელი, 289 გვერდი.

სახელმძღვანელო შედგენილია დასავლური უნივერსიტეტების შესაბამისი მოდელების გათვალისწინებით და აერთიანებს სამ თავს. პირველ თავში განხილულია აქტუალური თეორიული საკითხები, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები და რელევანტური სასამართლო პრაქტიკა არსებული სამართლებრივი რეგულაციების ჭრილში.
სახელმძღვანელოს მეორე თავში მოცემულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა მოკლე ანალიზი, რომელტაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლის განვითარებაში.

295. 347.21/4 (ელექტრონული კოდი: 2015-5333) ქოჩაშვილი ქეთევან
მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში.
თანდართული ტექსტებით. მეორე გადამუშავებული გამოცემა

რედაქტორი - ლ. ჭანტურია
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2016 წ. 359 გვერდი.

წიგნი სამეცნიერო ნაშრომის მეორე გამოცემაა. მონოგრაფიაში გამოკვლეულია სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური ინსტიტუტების - მფლობელებისა და საკუთრების ურთიერთკავშირის ცნებების, წარმოშობა-განვითარების და დაცვის თვალსაზრისით ისტორიულ, დოგმატურ და შედარებით-სამართლებრივ ჭრილში. ნაშრომის შინაარსი მოიცავს თითქმის ყველა ძირეულ საკითხს, რაც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ადამიანთა მოდგმის არსებობისთვის განუყოფელ ამ ინსტიტუტებს. მონოგრაფიის ტექსტს თან ერთვის ორი დანართი.
ნაშრომის შექმნის პროცესში გამოყენებული იქნა კვლევის როგორც ზოგად-სამეცნიერო, ისე სპეციალურ სამართლებრივი მეთოდები.
წიგნი შედგება 5 თავისა და ქვეთავებისაგან. ასევე მოცემულია პრაქტიკული ხასიათის მასალა, კერძოდ ტესტები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში.
წიგნი განკუთვნილია სამოქალაქო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველტა ფართო წრისთვის.

296. 347.2/4 (ელექტრონული კოდი: 2015-11815) შოთაძერ თამარ
შედარებითი სანივთო სამართალი, I გამოცემა
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 171 გვერდი.

ნაშრომი წარმოადგენს სანივთო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების კომპარტივისტულ კვლევას. ნაშრომში განხილულია, როგორც კლასიკური სანივთო ინსტიტუტები, ასევე მისი თანამედროვე სახესხვაობები როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე საერთო სამართლის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია რომის კერძო სამართალმა. დავის მხრივ ქართული კერძო სამართლის განვითარების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ევროპულ კერძო სამართლას, კერძოდ, თანამედროვე ქართული სანივთო სამართლის ჩამოყალიბება განხორციელდა გერმანული კერძო სამართლის რეცეფციის გაზით. ნაშრომში განხილულია კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში შემავალი ორ განსხვავებულ სამართლებრივ ოჯახში ასახული ცალკეულ სანივთო ინსტიტუტთა (უფლებათა) სამართლებრივი ბუნება, ასევე მოცემულია თითოეულ ამ ოჯახში შემავალი ცალკეული ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული მაგალითები.
შედარებითი სანივთო სამართლის თანამედროვე ტენდენციები, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს გაიფართოონ ცოდნა და თვალსაწიერი.

297. 347.1/4 (ელექტრონული კოდი: 2015-5469) რუსიაშვილი გიორგი
კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. შიდასამართლებრივი მიმოხილვა. თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 287 გვერდი.

შედარებითი სამართალმცოდნეობა წარმოადგენს სამართალმცოდნეობის დარგს, რომელიც ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა მართლწესრიგში წარმოქმნილ ფენომენებს. დღესდღეობით შედარებითი სამართალმცოდნეობა წარმოადგენს კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული საუნივერსიტეტო კურიკულუმების განუყოფელ ნაწილს. სამართლის ინსტიტუტების შედარებით0სამართლებრივ ჭრილში მიმოხილვა იძლევა მათი სიღრმისეული შემეცნების საშუალებას და ისეთი ასპექტების გათვალისწინებას, რომლებიც იგივე ინსტიტუტების მხოლოდ ერთი სამართლის ჭრილში განხილვისას შეუცნობელი რჩება.
კრებულში ქართული სამართლის პასაჟები, ჩვეულებრივ, ცალკე არ არის გამოყოფილი, რადგან ნაშრომის მიზანი უცხო ქვეყნების სამართლის დოქტრინების გათვალისწინებით ქართული სამართლისათვის დასკვნების გამოტანაა, ამ დასკვნების გამოტანა უშუალოდ უცხოური სამართლის მიმოხილვისას ჩანართის სახით ხდება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გერმანული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ქართულ სამართალთან შეპირისპირებაზე, რის გამოც კრებულში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის დანაწესები უხვადაა ციტირებული.

298. 347/60 (ელექტრონული კოდი: 2015-7655) ბერეკაშვილი ლიანა, თოდუა მზია, ჩაჩავა სოფო, ძლიერიშვილი ზურაბ
კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში. თანდართული კაზუსის ნიმუშებით
თბილისი, GIZ 2015, 2015 წელი, 197 გვერდი.

სახელმძღვანელო წარმოადგენს და განიხილავს იურისტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კერძოდ, აბსტრაქტული ნორმების კონკრეტულ ფაქტებთან სტრუქტურირებული მისადაგების მეთოდს, რომელსაც ასევე კაზუსის ამოხსნის მეთოდი ეწოდება.
ნაშრომის დასაწყისში წარმოდგენილია შესავალი კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის არსსა და მიზანში, ასევე განმარტებები იურიდიულ დასკვნასა და გადაწყვეტილებას შორის არსებული სისტემური განსხვავების შესახებ.
ძირითადი აქცენტი დასმულია პრაქტიკულ მითითებებზე იურიდიული კაზუსების დამუშავებისას - რომელშიც ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე ფაბულის დამუშავება, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა, ან როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პრობლემის ირგვლივ

არსებული დაპირისპირების სწორად წარმოდგენა და გადაწყვეტა. ამასთან, მოცემულია საკითხის განხილვის სტრუქტურა და მექანიზმი, როგორიცაა მოთხოვნის უფლების საფუძვლები სამოქალაქო სამართალში.
მეორე ნაწილში კი სახელმძღვანელო შეიცავს მთელ რიგ კაზუსებს მაგალითის სახით და მათ ამოხსნებს.
წიგნი გამოცემულია GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით.

299. 34(014)/1 ალექსიძე ლევან, გაგუა იამზე, დანელია მაია, კობახიძე ეკატერინე, რუხაძე ნინო; ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია; გამომცემლობა: მერიდიანი 2015; 677 გვერდი; რედაქტორი: იამზე გაგუა; რეცენზენტები: ნანა ტონია, დავით ბოსტათანაშვილი. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს პრეზიდენტის ხელშეწყობით 2016-14797

ნაშრომი „ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია“ წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით 2012-2014 წლებში დაფინანსებული პროექტის საფუძველზე შექმნილ გამოკვლევას, რომელიც მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.
ნაშრომში თავი მოიყარა არამხოლოდ რომაული სამართლის წიაღში წარმოქმნილმა ლემებმა, არამეს შუასაუკუნეების და უფრო გვიანდელ ეპოქაში ჩამოყალიბებულმა ლათინურმა იურიდიულმა ტერმინებმა.

300. 343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2011 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „რაიზი“, თბილისი, 2011 წ. 300 გვერდი. 2013-11916

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2012 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით; გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2012 წელი. გვერდი.359; 2013-11920

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2015 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2015; გვერდი.427; 2015-5238

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2013 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით; გამომცემლობა „რაიზი“; თბილისი 2013 წელი. გვერდი.339; 2013-2265

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2011 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „რაიზი“, თბილისი 2011 წელი. გვერდი.300; 2013-11916

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; კოდიფიცირებული; 2015 წლის 5 მარტის მდგომარეობით; გამომცემელი „ბონა კაუზა“; თბილისი 2015 წელი. გვერდი. 347; 2015-6600

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2013 წლის 17 ივლისის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2013; გვერდი.409; 2013-8903

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; 2012 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით; გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2012 წელი. გვერდი.359; 2013-11920

343. 359/4 საქართველოს საგადასახადო ჯოდექსი; 2018 წლის 6 მარტის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018 წელი. გვერდი.425; 7348

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; კოდიფიცირებული ტექსტი; გამოცემულია 2017 წლის 20 მარტის მდგომარეობით; თბილისი 2017 წელი. გვერდი.360; 2017-36976

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი
მიღებულია 2004 წლის 22 დეკემბერს; დაიბეჭდა შპს „არადანის“ მიერ; თბილისი 2004 წელი. გვერდი. 191; 2013-11919;

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2018)
საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად წესებს და პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგდასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის

გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

301. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; თბილისი 2015 წელი. გვერდი.154; 2015-11456

302. 343.2(02)/6 ჯიშკარიანი ბაჩანა
კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში; სამეცნიერო რედაქტორი: გ. დგებუაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; თბილისი 2015 წელი. გვერდი. 133; 2015-5737

კრებულში შეტანილია მარტივი და საშუალო სირთულის კაზუსები, რათა, ერთი მხრივ, სტუდენტებმა შეძლონ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის ადვილად გააზრება და მეორე მხრივ, შედარებიტ რთულ კითხვებზე პასუხის დასაბუთებულად გაცემა. კაზუსები დამუშავებულია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა საკითხზე, დაწყებული სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედებით და დამთვარებული უმოქმედობით.
სახელმძღვანელო აგებულია იმ სტილით, როგორც ეს ტიპური გერმანული კაზუსების კრებულისათვის არის დამახასიათებელი და განკუთვნილია უფრო დამწყებთათვის, რათა მათ ძირითადად სახელმძღვანელოებთან ერთად სამუშაო ჯგუფებში მუშაობისას გამოიყენონ ის.
წიგნი გამოიცა იურიდიული კომპანია „სამართლის სახლის" ფინანსური მხარდაჭერით. ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

303. 343.2 (02)/1 ნაჭყებია გურამ; სისხლის სამართალი; ზოგადი ნაწილი; რედაქტორი-ირაკლი დვალიძე; გამომცემელი-რედაქტორი- ზ. ნაჭყებია; გამომცემლობა „ივერიონი", თბილისი 2015 წელი. გვერდი.440; 2016-8257

სახელმძღვანელო წარმოადგენს ახალ გადამუშავებულ და უფრო სრულყოფილ გამოცემას. შედგება 14 თავისა და პარაგრაფებისაგან. ესენია: თავი პირველი-სისხლის სამართლის ცნება, მოწესრიგების საგანი და მეთოდი. თავი მეორე-პასუხიმგებლობა სისხლის სამართალში და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა.
თავი მესამე-სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში.

თავი მეოთხე-სისხლის სამართლის პრინციპები
თავი მეხუთე-პოლიტიკა სისხლის სამართალში-და სისხლის სამართლის თეორია.
თავი მეექვსე-სისხლის სამართლის კანონი
თავი მეშვიდე-ს.ს კანონის მოქმედების ფარგლებში
თავი მერვე-დანაშაულის ცნება(ნიშნები, ელემენტები)
თავი მეცხრე-ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ცნება და ნიშნები.
თავი მეათე-დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტრუი მხარის ცნება და ელემნტები.
თავი მეთერთმეტე-მართლწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ცნების მეორე ელემნტი
თავი მეთორმეტე-ბრალის ცნება და თეორიები
თავი მეცამეტე-ბრალის კატეგორია და მისი გამოვლენის ფორმები
თავი მეთოთხმეტე-იურიდიული პირის ს.ს პასუხიმგებლობა

304. 343.2/8 ნაჭყებია გურამ; პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში; სამეცნიერო რედაქტორი - მ. ლეკვეიშვილი; რედაქტორი-ზ. ნაჭყებია; რეცენზენტი-კ. ქეცბაია; გამომცემლობა-„ივერიონი"; თბილისი 2015 წელი. 280 გვერდი.; 2015-5658

ნარკვევის ძირითადი იდეები ავტორის ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბდა და უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც არის გაბნეული.
ნარკვევში წინაა წამოწეული სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ფილოსოფიური პრობლემები, აგრეთვე სისხლის სამართლის მეცნიერებისა და დოგმატიკის მეთოდოლოგიური საკითხები ჩეზარე ბეკარიას იდეების შესაბამისად. აქტუალურია დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობისა და ჭეშმარიტი თანაფარდობის საკითხები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ როგორც მეცნიერული კვლევის სფეროში, ოსე სტუდენტთა სწავლების პრობლემატიკაშიც.
ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული რიგი სადავო საკითხი, ყურადღება გადატანილია ქართულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ტრადიციებზე. საკითხები გადმოცემულია არა ტრადიციულად თავებისა და პარაგრაფების მიხედვით, არამედ ამა თუ იმ თემატიკის მიხედვით, რაც საქართველოს ს.ს. კოდექსის ზოგადი ნაწილის პრობლემატიკას უკავშირდება.

305. 347.6/9 (ელექტრონული კოდი: 2015-11656) შენგელია რომან; შენგელია ეკატერინე
საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი
რედაქტორი - ჯ. ხეცურიანი; ლ. ჭანტურია
შემფასებლები - ზ. ძლიერიშვილი; შ. ქურდაძე; დ. იმნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წ. 494 გვერდი.

სამოქალაქო კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში შეტანილმა არსებითი ხასიათის ცვლილებებმა და შესაბამისი ლიტერატურის იშვიათობამ დღის წესრიგში დააყენა საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ახალი სასწავლო წიგნის შექმნის აუცილებლობა. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხების გაერთიანება მათ შორის არსებული შინაარსობრივი და ლოგიკური კავშირითაცაა განპირობებული. ამასთან, საჭირო გახდა პრაქტიკისა და უცხოური გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება. სწორედ ამას ისახავს მიზნად ნაშრომი. მასში განხილულია ოჯახთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა სამართლებრივი საკითხი. წიგნი განკუთვნილია მომავალი და მოქმედი იურისტებისათვის, ასევე საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

306. 347.4/20 (ელექტრონული კოდი: 2015-11871) ჩიტოშვილი თამარ
ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები. უსაფუძვლო გამდიდრება
გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015 წ. 171 გვერდი.

პრაქტიკაში, პირებს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში, ხშირად რთული ხდება იმის გამიჯვნა თუ როგორი სახის ვალდებულებასთან გვაქვს საქმე (სახელშეკრულებო, წინასახელშეკრულებო, კანონისმიერი), რა ტიპის ვალდებულება დაირღვა ძირითადი, დამატებითი, გულისხმიერების, მეორადი თუ სხვ.
ხშირად რთული ხდება, ჩვეულებრივი და შემთხვევითი პირობების, წინარე ხელშეკრულებითა და მოლაპარაკებების პროცესში წარმოშობილ ვალდებულებათა ურთიერთგამიჯვნა, რაც მხარეთა შორის ხდება დავის საგანი. სწორედ აღნიშნული საკითხების დეტალური განხილვა არის მოცემული ნაშრომში.
ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს, ასევე, დათმობილი უსაფუძვლო გამდიდრებას, როგორც კანონისმიერი ვალდებულების ერთ-ერთ სახეს.
განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის და სამართლის სკოლის სტუდენტთათვის, თეორიულ და პრაქტიკულ სფეროში მოღვაწე იურისთათვის და ვალდებულებითი სამართლის (უსაფუძვლო გამდიდრების) საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

307. 347.4/21 (ელექტრონული კოდი: 2015-11710) ჩიტაშვილი ნათია
შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე. შედარებითი ანალიზი
სამეცნიერო რედაქტორი - თ. ზამბახიძე
გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 419 გვერდი.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ათი თავის სახით არის ჩამოყალიბებული:
პირველ ორ თავში წარმოჩენილია კვლევის საგანი, მიზანი და აქტუალობა.
განსაზღვრულია შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი პრობლემატიკის კვლევის ფარგლები, რომელიც მოიცავს ანგლო-ამერიკული, კონტინენტური და უნიფიცირებული სამართლის კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთებას და მათი გავლენის აღწერას ნაციონალური სამართლის განვითარებაზე.
მესამე თავი ეთმობა შეცვლილი გარემოებებით დაფუძნებული ორი უმთავრესი სამართლებრივი კონსტრუქციის - ვალდებულების შესრულების კონცეფტუალურ ანალიზს.
მეოთხე თავი ეძღვნება შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის ანალოგი კონცეფციების კვლევას უცხოურ სამართლებრივ სისტემებში და მათი იურიდიული მახასიათებლების ანალიზს.
მეხუთე თავში გამოკვლეულია შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის კონცეფციების დაფუძნების სამართლებრივი წინაპირობები.
მეექვსე თავში განხილულია შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგები, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი.
მეშვიდე და მერვე თავები ასახავს ხელშეკრულების ადაპტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის სახეებისა და გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხს.
მეცხრე თავი მესამე პირის მიერ შესრულების გართულების ან შეუძლებლობის გამომწვევი აღმოცენების საფუძვლით პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხის კვლევას მოიცავს.
მეათე თავი, დასკვნის სახიტ შემოთავაზებულია ძირითადი შემაჯამებელი თეზისები და ქართული კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

308. 343.13(02)/1 საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი
ზოგადი ნაწილი III გამოცემა; გამომცემლობა-„იურისტების სამყარო“- რდაქტორები: ჯ. გახოკიძე; მ. მამნიშვილი; ი. გაბისონია; რეცენზენტები: ჯ. ჯანაშია; ა. ტალღაშვილი;

სახელმძღვანელო სისხლის სამართლის პროცესის (ზოგადი ნაწილი) მესამე, გადამუშავებული გამოცემაა, მასში გადმოცემულია მოქმედი სიხლის სამართლის პროცესის ყველა ძირითადი საკითხი. ახლებურადაა გაანალიზებული სისხლის სამართლის პროცესის ცნება, სისხლის სამართლის პროცესის ის ინსტიტუტები თუ

ცალკეული პროცესუალური საკითხები, რომლებიც მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოგვთავაზა და ჩვენი კანონმდებლობისათვის ნოვაციას წარმოადგენს.
ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ყველა საკიტხი, ავტორები შეეცადნენ ცალკეული პროცესუალური ასპექტების განილვისას, ამერიკული მეცნიერების გარდა ესარგებლათ, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის სისტემის მეცნიერთა ნაშრომებითაც, რადგანაც ესა თუ ის პრობლემატიკა, მაგალითად, სისხლისმართლებრივი დევნის ინსტიტუტი, ორივე სამართლის სისტემისათვის უაღრესად აქტუალურია.
სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტებს, მეცნიერ-მუშაკებს, პრაქტიკოს იურისტებს და სისხლის სამართლის პროცესით დაინტერესებულ სხვა პირებს. შეისწავლონ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის არსი და მისი დანიშნულება.

309. 342.4/128 საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია(1921); მასალები და დოკუმენტები; ტომი I; გამომცემლობა შპს „ირიდა“; რედაქტორები: ემზარ ჯგერენაია; თეა კენჭოშვილი; თბილისი 2015 წელი. 138964

342.4/128 საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია(1921)
მასალები და დოკუმენტები. ტომი II
გამომცემლობა „საჩინო“; თბილისი 2018 წელი. 1007 გვ; 138965
საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია(1921)
მასალები და დოკუმენტები; ტომი I და II

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ქვეყნის პირველი კონსტიტუცია დრამატულ ვითარებაში. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის დასასრულს, 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო.
კონსტიტუციის მიღებიდან კი რამდენიმე დღეში საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო, რომელმაც 70 წელი გასტანა და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილს გახდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.
კონსტიტუციის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის ისტორიაში. კონსტიტუცია არა მარტო სმართლებრივი აქტია, არამედ დიდი კულტურული და ისტორიული დოკუმენტიცაა. მასში თვალსაჩინოდ ვლინდება კონკრეტული ერის, საზოგადოების ღირებულებათა სისტემა და სამართლებრივი აზროვნების დონე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია თანადროული ეპოქის ევროპული სამართლებრივი აზროვნების სიმაღლეზეა და მასში გამოცხადებული იდეები სრულებით შეესაბამება ევროპული საზოგადოების ღირებულებებს.

დღეს მრავალი მკვლევარია დაინტერესებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესწავლით, სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტმა გადაწყვიტა, გამოეცა დოკუმენტები და მასალები, რომელიც ასახავს საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების პროცესს.
ნაშრომი ეძღვნება ისიდორე დოლიძის დაბადებიდან მეასე წლისთავს.

310. 343/63 დვალიძე ირაკლი; თუმანიშვლი ირაკლი; გვენეტაძე ნინო; კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში; თანდართული კაზუსის ნიმუშებით; რედაქტორები: ირაკლი დვალიძე; მერაბ ტურავა; თბილისი 2015 წელი. 2015-7666

სახელმძღვანელო წარმოადგენს და განიხილავს იურისტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. კერძოდ, აბსტრაქტული ნორმების კონკრეტულ ფაქტებთან სტრუქტურირებული მისადაგების მეთოდს, რომელსაც ასევე კაზუსის ამოხსნის მეთოდი ეწოდება.
ნაშრომი შეეხება კანონის პრაქტიკულ შემთხვევებზე გამოყენებისა და მორგების მეთოდოლოგიას სისხლის სამართალში და ხაზს უსვამს უპირველეს ყოვლისა ამ მეთოდოლოგიის გამოყენებას იურიდიული კაზუსების განხილვისას. დასაწყისში წარმოდგენილია შესავალი კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის არსსა და მიზანში, ასევე განმარტებები იურიდიულ დასკვნასა და გადაწყვეტილებას შორის არსებული სისტემური განსხვავების შესახებ. ძირითადი აქცენტი დასმულია პრაქტიკულ მითითებებზე იურიდიული კაზუსების დამუშავებისას რომელშიც ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე ფაბულის დამუშავება, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა ან როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პრობლემის ირგვლივ არსებული დაპირისპირების სწორად წარმოდგენა და გადაწყვეტა.
მეორე ნაწილში კი სახელმძღვანელო შეიცავს მთელ რიგ კაზუსებს მაგალითის სახით და მათ ამოხსნებს, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ სწავლებისას მოხდეს მათი ერთობლივად განხილვა და გააზრება. წიგნი გამოცემულია GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით.

311. 342.9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2015; 154 გვერდი; 2015-11456

342. 9/9 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2017 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით; თბილისი 2017 წელი. 158 გვერდი; 2017-34804

საქართველოს კანონი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
თავი 1. ძირითადი დებულებანი (1-15 მუხლები)
თავი 2. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი (16-26)
თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება (27-50)
თავი 4. (51-64) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი
თავი 5. ადმინისტრაციული ხელშეკრულება(65-71)
თავი 6. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება (72-102)
თავი 7. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში (103-106.5 მუხლები)
თავი 8. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება (107-114)
თავი 9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (115-121)
თავი 10. ამოღებულია (122-157)
თავი 11. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი. (158-161)
თავი 12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება.(162-176)
თავი 13. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით (177-206)
თავი 14. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა (207-209)
თავი 15. ამოღებულია (210-217)
თავი 16. გარდამავალი დებულებანი (მუხლი 218)
თავი 17. დასკვნითი დებულებანი (219-220)

საქართველოს კანონი-საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
თავი.1 ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი (1-4 მუხლი)
თავი 2. განსჯადობა (5-6)
თავი 3. მიუკერძოებლობა; აცილება.(7-8)
თავი 4. პროცესის ხარჯები (9-11)
თავი 5. საპროცესო ვალები (12-13.3)
თავი 6. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში. სასამართლოს მეგობარი (14-16)
თავი 7. სასამართლო მტკიცებულებები (17-21)
თავი 7.1. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით (21.1-21.3)

თავი 7.2 . ამოღებულია (21.4-21.11)
თავი 7.3 ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით(21.15-21.15)
თავი 7.4 ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით
თავი 7.5 ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით
თავი 7.6 ადმინისტრაციული სამართალწარმოება ლტოლვილის სტატუსის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან ან გაუქმებასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით (21.24-21.25)
თავი 7.7 ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით(21.26-21.29)
თვი 7.8 ადმნისტრაციული სამართალწარმოება ტერროზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. (21.30-21.34)
თავი 7.9 ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგაზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე (21.35-21.38)
თავი 7.10 ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით (21.39-21.44)
თავი 7.11ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე(21.45-21.47)
თავი 7.12 ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე. (21.48-21.50)
თავი 7.13 ადმინისტრაციული სამართალწარმოება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით. (21.51-21.56)
თავი 7.14 ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით. (21.57-21.60)
თავი 8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში(22-33.1)

თავი 9. აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება. (34-35.2)
თავი 9.1 გარდამავალი დებულებანი (35-35.3)
თავი.10 დასკვნითი დებულება (მუხლი 36)

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებები.
საქართველოს ზოგად ადმინიტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები.
კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

312. 342.79(082)/6 კორკელია კონსტანტინე (რედ) ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2015 წელი. 313 გვერდი. 2016-8785

კრებული შეიქმნა ამერიკის ხალხის კეთილი ნებით, აშშ-ის საერთაშორისო ანვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ნაშრომში განხილულია შემდეგი თემები:
კონსტანტინე კერკელია-წინასიტყვაობა.
ქეთევან ბუაძე, დავით ჯაიანი-ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენება საგადასახადო სამართლის საკითხებთან მიმართებით.
გაგა გაბრიჩიძე -ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც პოლიტიკური პირობითობის ნაწილი საქართველო-ევროპის ურთიერთობაში.
შოთა გეწაძე-ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი.
შორენა გიგიაური-სამოსამართლო უფლებამოსილების ვალის უსაფრთხოება მოსამართლეების გამოსაცდელი ვადით განწესების შემთხვევაში.
კონსტანტინე კორკელია-ბავშვთა უფლებების დაცვა შვილად აყვანის სფეროში: საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში.
გივი მიქანაძე- წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქმიანობის ზეგავლენა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმაზე.
ნანა მჭედლიძე-დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან.
ნინო საგინაშვილი-პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.
საბა ფიფია-საკუთრების უფლების დაცვა სამხედრო ოკუპაციის დორს. ოდრი ელეგელი-პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები საქართველოში: „მხოლოდ დემანტიკა და მეტი არაფერი“?
თორნიკე ცაგარეიშვილი-საავტორო უფლება, როგორც ადამიანის უფლება და მისი

ადგილი ქართულ სამართალში.
ბექა ძამაშვილი-გაეროს სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კონვენციების მიღების მიზანშეწონილობა დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის ფონზე.
ენდრიუ ჯემჩევსკი-ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.
ლევან ჯორბენაძე -სახელის უფლება და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა.
კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

313. 343.7/9 (ელექტრონული კოდი: 2015-11370) კვარაცხელია რამაზ
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია
რედაქტორები - ო. გამყრელიძე, ფ. დიასამიძე
რეცენზენტები - გ. აბესაძე, ი. ვარძელაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 285 გვერდი.

ნაშრომი მოიცავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ დანაშაულთა კვალიფიკაციის პრობლემებს. საკითხის მოკლე ისტორიული მიმოხოლვის შემდეგ შესწავლილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხი. ამ დანაშაულთა შემადგენლობები აღწერილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე თავში.
საფუძვლიანადაა შესწავლილი მოქმედი კანონმდებლობის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა, გამოთქმულია მეტად საყურადღებო მოსაზრებები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხებზე.
ნაშრომი ძირითადად სამეცნიერო ხასიათისაა, თუმცა მას აგრეთვე პრაქტიკული და სასწავლო დანიშნულებაც აქვს. იგი განკუთვნილია შ.ს.ს.-ის, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკების, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

314. 343.9/24 (ელექტრონული კოდი: 4905) გოგნიაშვილი ნ.
კრიმინალისტიკა
ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით
რედაქტორი - ა. კალატოზიშვილი
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. 251 გვერდი.

ნაშრომში განხილულია კრიმინალისტიკის კურსის მეთოდოლოგიის,

კრიმინალისტიკის ტექნიკის, კრიმინალისტიკის ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის მნიშვნელოვანი საკითხები კითხვა-პასუხში.
გამოცემა შედგება IV ნაწილისა და XXXV თავისაგან.
წიგნიო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ექსპერტ-კრიმინალისტებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სტუდენტებისათვის. ნაშრომი ასევე დაეხმარება საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

315. 345.73(02)/2 (ელექტრონული კოდი: 2016-7686) მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი
თარგმანის ავტორი - კახაბერ გოშაძე
რედაქტორი - მ. ბეგიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 253 გვერდი.

მონაცემთა დაცვას დიდი ყურადღება ექცევა ევროპის მასშტაბით. მონაცემტა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო განიხილავს ევროპის მასშტაბით მოქმედ იმ სამართლებრივ თუ სარეკომენდაციო სახის დოკუმენტებს, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოს თარგმანის გადაწყვეტილება ორი მიზეზის გამო იქნა მიღებული: პირველი, მონაცემთა დაცვის ქართული სამართლებრივი ნორმები ახდენს ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას და მეორე, მოცემული სახელმძღვანელო ამომწურავად განიხილავს ევროპაში არსებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ძირითად წესებს. არსებული თარგმანი ხელს შეუწყობს მონაცემთა დაცვის სფეროს განვითარებასა და განმტკიცებას საქართველოში.

316. 344(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2015-7528) ძამაშვილი ბექა
სამხედრო კონფლიქტების სამართალი ძალის გამოყენების აკრძალვა
რედაქტორი - გოჩა ლორთქიფანიძე
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 289 გვერდი.

სახელმძღვანელო შედგენილია დასავლური უნივერსიტეტების შესაბამისი მოდულების გათვალისწინებით და აერთიანებს სამ თავს. პირველ თავში განხილულია აქტიალური თეორიული საკითხები, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები და რელევანტური სასამართლო პრაქტიკა არსებული სამართლებრივი რეგულაციების ჭრილშ.
სახელმძღვანელოს მეორე თავში მოცემულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იმ გადაწყვეტილრბათა მოკლე ანალიზი, რომელთაც განსაკუთრებული

როლი ითამაშეს ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლის განვითარებაში.
მესამე თავში დანართის სახით წარმოდგენილია გაეროს წესდებისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის ქართულენოვანი ვერსიები, მკითხველთა იმ კატეგორიისთვის, ვისთვისაც ენობრივი ბარიერის გამო პრობლემაა მისი ორიგინალში წაკითხვა.
სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის მიმართულების სტუდენტებისთვის და იურისტებისთვის, ასევე სამართლის ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

317. 345.73(02)/2 (ელექტრონული კოდი: 2016-7686) მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი
თარგმანის ავტორი - კახაბერ გოშაძე
რედაქტორი - მ. ბეგიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 253 გვერდი.

მონაცემთა დაცვის დიდი ყურადღება ექცევა ევროპის მასშტაბით. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო განიხილავს ევროპის მასშტაბით მოქმედ იმ სამართლებრივ თუ სარეკომენდაციო სახის დოკუმენტებს, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოს თარგმნის გადაწყვეტილება ორი მიზეზის გამო იქნა მიღებული: პირველი, მონაცემთა დაცვის ქართული სამართლებრივი ნორმები ახდენს ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას და მეორე, მოცემული სახელმძღვანელო ამომწურავად გჰანიხილავს ევროპაში არსებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ძირითად წესებს. არსებული თარგმანი ხელს შეუწყობს მონაცემთა დაცვის სფეროს განვითარებასა და განმტკიცებას საქართველოში.

318. 347/57 (ელექტრონული კოდი: 2016-8297) პეპენაშვილი ნინო
საქართველოს სამოქალაქო სამართლის კომენტარი. წიგნი პირველი. მეორე გამოცემა
რედაქტორი - ნ. ნიავაძე
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ტექსტი 2015 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2015 წ. 553 გვერდი.

ნაშრომში ასახულია უკლებლივ ყველა ცვლილება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2015 წლის 5 ნოემბრამდე, ხოლო ცალკეული მუხლების კომენტირებისას ციტირებული ნორმატიული მასალის ტექსტში 2015 წლის 15 მაისამდე განხორციელდა. ზოგიერთი მუხლის კომენტარზე თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატა ქართულ ენაზე ნათარგმნი მნიშვნელოვანი ნაშრომები, ცალკეული მუხლების

კომენტირებისას გამოყენებულია 1950-1964 წლებში გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მაღალი სამეცნიერო ღირებულებით გამოირჩევა. გამოცემას ერთვის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი სამოქალაქო უფლების შესახებ, რომლის გაცნობა მკითხველს საშუალებას მისცემს ხელახლა გაიაზროს სამოქალაქო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები.
ნაშრომის მიზანია სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის თითოეული მუხლის ირგვლივმკითხველს ის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მიაწოდოს, რაც მას საშუალებას მისცემს სიღრმისეულად შეისწავლოს კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი ცნებები.
გამოცემა ემყარება სამართლის მეცნიერების კლასიკოსთა ნაშრომებს.

319. 347.78/18 **(ელექტრონული კოდი: 2015-5463)** ძამუკაშვილი დავით
ევროკავშირის საავტორო სამართალი
გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015 წ. 239 გვერდი.

მსოფლიოში გლობალიზაციის განუხრელი განვითარების პროცესში, რომლის მონაწილეც ჩვენი ქვეყანაც არის და რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა კომერციული ურთიერთობებისა და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა სამართლის ჰარმონიზაციამ შეიძინა. საქართველო მჭიდროდთანამშრომლობს ევროკავშირთან და იტვირთა მის სამართალთან საკუთარი, ეროვნული სამართლის შეთანწყობის ვალდებულება.

„ევროკავშირის საავტორო სამართლი“-ს მკითხველისათვის მიწოდებით „ბონჰა კაუზა“ იწყებს ევროკავშირის სამართლისადმი მიძღვნილ გამოცემათა სერიას „ევროკავშირის სამართალი“. ამ სერიის პირველი წიგნი, რომელიც წარმოგვიდგინა ცნობილმა მეცნიერმა დავით ძამუკაშვილმა, მოცემულ ევროკავშირის ერთიან სივრცეში მოქმედი საავტორო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ყველა დირექტივის დაწვრილებითი ანალიზი, რომლებიც, ქართულის უქონლობის გამო, ინგლისური ტექსტების სახით არის ნაშრომს დართული.
ნაშრომი დახმარებას გაუწევს მეცნიერებებს, მაგისტრანტ სტუდენტებს, დოქტორანტებს, ადვოკატებსა და სხვა პრაქტიკოს სპეციალისტებს.

320. **342(082)/1 (ელექტრონული კოდი: 2016-15922) ქართული ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები. სამეცნიერო რედაქტორი: ლიანა გიორგაძე. ტექნიკური რედაქცია: მონიკა გაბუნია, ნინო ბინიაშვილი, ნათია ნასყიდაშვილი, ანი სპარსიაშვილი, ლინდა გიორგაძე. ყდის დიზაინი: დიმიტრი გეგენავა. თბილისი, 2016 წ. 107 გვერდი. საგამომცემლო უზრუნველყოფა: დავით ბატონიშვილის სამართლის**

ინსტიტუტის გამომცემლობა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საჯარო ადმინისტრაციაში. საჯარო სამართლის თითოეული იურიდიული პირის ფუნქციური დანიშნულება და უფლებამოსილების ფარგლები განსხვავებულია, ხოლო მათი განსხვავებულობა დამოკიდებულია ავტონომიურობის ხარისხზე. ავტონომიურობის ხარისხი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა კომპეტენციას ადიფერენცირებს და მათ განსხვავებულ როლს აკისრებს საჯარო პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე აისახება.
„ქართული ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მორიგი გამოცემაა, რომელშიც თავმოყრილია სტატიები ადმინისტრაციული სამართლის სხვადასხვა სფეროდან და ეხება ქართული სამართლისთვის მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს.
წიგნი საინტერესო იქნება როგორც იურისტების, ისე ადმინისტრაციული მეცნიერების მიმართულების წარმომადგენელთათვის.

321. 349.4/4 გაბუნია, მონიკა
საკუთრების სოციალური ფუნქცია მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში. რედაქტორი: ზოიძე ბესარიონ; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2016

საკუთრების უფლების დაცვა და მისი სამართლებრივი გარანტირება თითოეული სახელმწიფოს უპირატესი მოვალეობაა, რაც აისახება შესაბამის საკანონმდებლო აქტებში თუ საერთაშორისო დოკუმენტებში, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება. ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს საკუთრების სოციალური ფუნქციის არსი, მისი იდეა და პრაქტიკული გამოყენების საფუძვლები, შესწავლილ იქნეს მიწის სტატუსი, მიწაზე სამართლებრივი რეჟიმი და ის სოციალური -სამართლებრივი ბოჭვა, რომელიც მიწის საკუთრების მიმართ ხორციელდება. კვლევა ეფუძნება და მოიცავს დოქტრინას, ევროპულ და ამერიკულ მიდგომებს, ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. განხილულია თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები და პრობლემატიკა. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-გენეტიკური, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური, სინთეზური, ანალიტიკური, ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდები.

322. 342.393/3 ცერცვაძე ლაშა.
დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას. (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.) სამეცნიერო ხელმძღვანელი ი.

ბურდული. ტეცენზენტები: ო. ზამბახიძე, გ. მახარობლიშვილი; ლ. ცერცვაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ . თბილისი 2016. 339 გვერდი. 2016-19330

დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას.
წიგნი წარმოადგენს დისერტაციის ადაპტირებულ ვერსიას. როგორც წიგნის სათაურიდან ირკვევა, იგი შეეხება დირექტორთა მოვალეობებს კომპანიის მართვის პროცესში, ხოლო საკითხი განხილულია ევროკავშირის, აშშ-ის და ქართული სამართლის მაგალითზე.
კორპორაციული მართვა და მასში შემავალი ცალკეული საკითხები თანამედროვე კერძო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა და მისი ეფექტური მოდელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარმატებული ბიზნესის შესაქმნელად. აღნიშნული ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება კორპორაციული მართვის სამართლებრივ ასპექტზეა გამახვილებული.

323. 342.4(082)/4 ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები.
სამეცნიერო რედაქტორები: ზვიად კორძაძე; თორნიკე ნემსიწვერიძე. სარედაქციო კოლეგია: ზაზა რუხაძე; ნანა ჭიღლაძე; ქეთევან ერემაძე.
„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“, 2016. თბილისი 2016; 430 გვერდი. 2016-18509
ძირითადი კანონის მისაღებად გამართული სამართლებრივი დისკურსები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება.
კრებული ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 95 წლისთავს. კრებულში შესულია საკონსტიტუციო კომისიისა და დამფუძნებელი კრების წევრების სამეცნიერო-ანალიტიკური სახის ნაშრომები, რომლებიც წინ უძღოდა ქვეყნის ძირითადი კანონის მიღებას დემოკრატიული პროცესის საერთო სურათის შესაფასებლად. ასევე, კრებულში შესულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცემული კონსტიტუციის ქართული(1921 წელი, ბათუმი), ფრანგული (1922 წელი, პარიზი), და ნიუ-იორკში გამოცემული ინგლისური ტექსტი (ჟურნალი-„The voice of free Georgia”, 1953 წელი, რედ. ა. ცომაია).
ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერ-იურისტებისა და 1921 წლის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.
„ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული საკონსტიტუციო სამართლის ლიტერატურისათვის.

324. 349.4/4 (ელექტრონული კოდი: 2017-37134) გაბუნია მონიკა
საკუთრების საოციალური ფუნქცია მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში
რედაქტორი - ბ. ზოიძე
თბილისი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016 წ. 102 გვერდი.
საქართველო აგრარული კულტურის მქონე ქვეყანა და მისი ისტორიული თუ თანამედროვე სინამდვილიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივია. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას სამართლებრივ, სამოქალაქო სივრცეში განსკუთრებული სტატუსი აქვს მინიჭებული.
„საკუთრების სოციალური ფუნქცია მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში“ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სოციალური ფუნქციის ურთიერთმიმართულების სინთეზური ანალიზია, მცდელობა, წამოჭრილ სამართლებრივ, პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე პრობლემათა გადაჭრის გზები, სათანადო რეკომენდაციები იქნეს შემუშავებული.
ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც იურისტებს, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

325. 368(02)/9 (ელექტრონული კოდი: 2016-4677) ცერცვაძე არჩილ, ხანთაძე გიორგი, ვეკუა დავით
სადაზღვევო საქმე
რედაქტორები - ს. პავლიაშვილი, დ. ჯანგულაშვილი
რეცენზენტები - შ. ნაცვლიშვილი, ნ. შონია
თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2016 წ. 485 გვერდი.

ნაშრომი მკითხველს აძლევს საშუალებას გაერკვეს რისკის კონცეფციაში, გაეცნოს დაზღვევის წარმოშობასა და განვითარებას, შეისწავლოს დაზღვევის არსი, სახეები, ფორმები, ფუნქციები და პრინციპები. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას, მოქმედებისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს, სადაზღვევო ბაზრის მონაწილეებს, სადაზღვევო საქმის ორგანიზაციასა და სადაზღვევო დოკუმენტაციას. მასში განხილულია ანდერაიტინგი და სადაზღვევო კომპანიის რისკს, მენეჯმენტის ძირითადი ინსტრუმენტები - პულინგი, ადეკვატური სადაზღვევო პრემია და რეზერვირება, ასევე დამატებითი ინსტრუმენტები - თანადაზღვევა, გადაზღვევა და სეკურიტიზება
ცალკე თავებად არის განხილული პირადი, ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობები. სათანადო ადგილი ეთმობა სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობას.

გამოცემა მომზადებულია სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, მენეჯერების, მეცნიერ-მკვლევარებისა და სადაზღვევო სფეროთი დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

326. 347.152/5 (ელექტრონული კოდი: 2016-8966) კონცეფცია სამართალში, რეგულირებასა და პრაქტიკაში. სახელმძღვანელო მარეგულირებლებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებებისა და წესების დამდგენთათვის. თარგმანი
თარგმანის ავტორი - კ. გოშაძე
რედაქტორი - მ. ბეგიაშვილი
თბილისი, 2016 წ. 94 გვერდი.

წინასიტყვაობა: პამელა ჯონს ჰარბორი
ანა კავუკიანი, Ph.D.
ინფორმაციისა და პირადი ცხოვრების დაცვის კომისარი
ინდივიდის პრივატული სივრცის დაცვა თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა.პერსონალური მონაცემების და, ზოგადად, პირადი ცხოვრების დაცვისთვის დადგენილი წესები არსებული ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების პარალელურად მთელი მსოფლიოს მასშტაბით განიცდის განმვითარებასა და დახვეწას. პირადი ცხოვრების დაცვის უფლებათა განმტკიცების მიზნით მიღებულია არაერთი სარეკომენდაციო თუ სავალდებულო ხასიათის დოკუმენტი.
პუბლიკაცია საყურადღებოა იმით, რომ ავტორი გვთავაზობს პრივატული სფეროს დაცვის ახლებურ და მაქსიმალურად მოქნილ გზას. პუბლიკაციის მთავარ აქცენტს წარმოადგენს პრივატული სფეროს დამცავი დებულებების საქმიანობის საწყის ეტაპზე, საუკეთესო შემთხვევაში კი, მოქმედებათა განხორციელებამდე დანერგვა.
პუბლიკაცია წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს საჯარო და კერძო პირებისთვის, როგორც მონაცემთა დამმუშავებლებისთვის.

327. 347.2(02)/1 (ელექტრონული კოდი: 2018-3873) მანფრედ ვოლფი, მარინა ველენჰოფერი
სანივთო სამართალი, 29-ე გამოცემა
მთარგმნელი და რედაქტორი - ზ. ჭეჭელაშვილი
თბილისი, გამომცემელი: საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2016 წ. 869 გვერდი.

გამოცემა წარმოადგენს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს წინგადადგმულ ნაბიჯს ქართული ცივილისტიკის განვითარების რთულ გზაზე, როდესაც პირველად საქართველოშ ქართველ იურისტს აქვს შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე გაეცნოს გერმანული სანივთო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახელმძღვანელოს - დოქ.

მანფრედ ვოლფის „სანივთო სამართალს“. ამ სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის გამოცემის მიზანია იმ ვაკუუმის ნაწილობრივ შევსება, რომელიც არსებობს ქართულ ცივილისტიკაში, განსაკუთრებით კი - სანივთო სამართალში უცხო ენაზე დაწერილი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ქართველი მკითხველის გაცნობასთან დაკავშირებით.
სახელმძღვანელოს ყოველი თავის ბოლოს მოცემულია ჩანართები ქართული სანივთო სამართლიდან, სადაც მოკლედ განხილულია ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები გერმანული და ქართული სანივთო სამართლის სამართლებრივ ინსტიტუტებსა და ცალკეულ ნორმებს შორის.
თარგმანი განკუთვნილია ნოტარიუსებისათვის, კერძო სამართლის სფეროში მოღვაწე მოსამართლეებისა და სხვა იურისტებისათვის, ასევე სტუდენტების, სამეცნიერო მუშაკებისა და კერძო სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

328. 347/61 (ელექტრონული კოდი: 2017-37217) სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.
სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა
რედაქტორი - რ.შენგელია
რეცენზენტი - ჯ. ხეცურიანი
თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016 წ. 498 გვერდი.

სამოქალაქო სამართლის სისტემაში პასუხისმგებლობა უმნიშვნელოვანესი ურთიერთობაა. ნაშრომი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილული გვაქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებები. ესენია: სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნება და ფუნქციები, პასუხისმგებლობის ცემენტები და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული თეორიები.
ნაშრომის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და პირობებს, როგორიცაა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგი და მისი აღმოფხვრის საშუალებები, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დაბოლოს - ბრალი.
მონოგრაფიის მესამე ნაწილი სრულად დათმობილი აქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახეებს

329. 346/30 (ელექტრონული კოდი: 2017-37034) ბურდული ირაკლი (რედ.), მახარობლიშვილი გიორგი, ეგრატაშვილი დემეტრე, გიგუაშვილი გიორგი
თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება. რეფორმის ძირითადი ასპექტები
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2016 წ. 153 გვერდი.

ნაშრომი მოკლედ აღწერს სამეწარმეო სამართლის განვითარების იმ ძირითად მიმართულებებს, რაც სახასიათოდ ქცეულა საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. კვლევის საგნად აღებულია სამეწარმეო სამართალი, თუმცა იგი შედარებით ვიწრო სპექტრშია განხილული, სადაც გადამწყვეტი ადგილი საკორპორაციო სამართალს, როგორც სამეწარმეო სამარტთლის ძირითად ბირთვს ეკუთვნის.
შესაბამისად ნაშრომი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია თანამედროვე სამეწარმეო სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები, რეცეფციის მთელი პროცესი, მეორე ნაწილი უშუალოდ საკორპორაციო სამართალს, ანუ შიდაორგანიზაციულ სამართალს ეძღვნება, მესამე ნაწილში კი გადმოცემულია კაპიტალის ბაზრის სამართლის მნიშვნელობა რეფორმის კონტექსტში და ერთიან დიაგრამაში. სწორედ მესამე ნაწილში არის მცდელობა ქართული კაპიტალის ბაზრის სამართლის მნიშვნელობა რეფორმის კონტექსტში და ერთიან დიაგრამაში. სწორედ მესამე ნაწილში არის მცდელობა ქართული კაპიტალის ბაზრის სამართლის ცნებისა და მისი საფუძვლების ჩამოყალიბების შესახებ.

330. 346/29 (ელექტრონული კოდი: 2017-37018) დვალიძე ირაკლი, მახარობლიშვილი გიორგი
სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთა. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი
თბილისი, გამომცემლობა „საუნჯე“, 2016 წ. 159 გვერდი.

ნაშრომში განხილული სამეწარმეო სფეროში ჩადენილი დანაშაულებების სახეობები შემთხვევით არ იქნა შერჩეული. ავტორებს სურდათ დროის უმოკლეს პერიოდში, განემარტათ ის დანაშაულები, რომლებზეც ნაკლებია ან საერთოდ არ არის, სამეცნიერო კომენტარი.
ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები.
I. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლა (სსკ-ის 190 მუხლი)
II. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (სსკ-ის 192 მუხლი)
III. ცრუ მეწარმეობა (193-ე მუხლი)
IV. ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, გადაცემა, გახმაურება ან გამოყენება (202 მუხლი)
V. ქონების გადამალვა მოჩვენებით ან თვალთმაქციური გარიგებით (205[1] მუხლი0)
VI. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარიანობისას (207-ე მუხლი)
VII. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (220-ე მუხლი)
VIII. გულგრილობა (220[1]-ე მუხლი). სისხლისსამართლებრივი რეგულაცია
წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, პროკურორებსა და სხვა პრაქტიკოს

მუშაკებს ნორმაშეფარდებითი საქმიანობისას.

331. 355.48/26 (ელექტრონული კოდი: 2128) წურწუმია მამუკა
შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი 900-1700
ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება
თბილისი, 2016 წ. 781 გვერდი.
მონოგრაფია ფეოდალური საქართველოს ლაშქრის ტაქტიკისა და შეიარაღების კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნაშრომში თავმოყრილი და გაანალიზებულია 800 წლის მანძილზე არსებული ნცნობები და მასალა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ან ახლებურად ინტერპრეტირებულია აქამდე უცნობი წყაროები თუ არტეფაქტები, დადგენილია იარაღის ტიპოლოგია და ტერმინოლოგია და მოცემულია მათი საერთო კლასიფიკაცია. ნაშრომი X თავისაგან შედგება:
თავი I. სამხედრო ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოშ
თავი II. ქართული ლაშქრის წვრთნა და დისციპლინა
თავი III. ქართული ლაშქრის ტაქტიკა შუა საუკუნეებში
თავი IV. საბრძოლო კამპანია: ქართული ლაშქარი ველზე
თავი V. იარაღი შუა საუკუნეებში საქართველოში
თავი VI. თავდაცვითი აღჭურვილობა
თავი VII. შეტევითი იარაღი
თავი VIII. ცხენი შუა საუკუნეების საქართველოში
თავი IX. საალყო ხელოვნება
თავი X. ქართული შეიარაღების კომპლექსი შუა საუკუნეებში.

332. 352.075/3 (ეელქტრონული კოდი: 2016-27811) კაიშაური ბესიკ
ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სისტემები და პერსპექტივები
რედაქტორი - გ. ბაღათურია
რეცენზენტები - შ. დოღონაძე, ს. პავლიაშვილი
გორი, 2016 წ. 186 გვერდი.
ბესიკ კაიშაურს კვლევის ობიექტად არცეული აქვს ქალაქ გორისა და გორის თემის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, მათი მართვის ფორმები და მეთოდები.
ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და მნიშვნელობა, განხილულია ქართველი და უცხოური მეცნიერების მიდგომები მუნიციპალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.
ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების

ადგილობრივ თვითმმართველობაში. ამავე თავში გამახვილებულია ყურადღება მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
მესამე თავში აღწერილია ქოუჩ-მენეჯმენტის, როგორც პერსონალის გადაწყვეტილების მიღების ეფექტური საშუალების გამოყენების პერსპექტივები ადგილობრივ თვითმმართველობაში.
დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის, მოქალაქეთა ჩართულობის და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შედეგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ნაშრომი სერიოზული შენაძენია საჯარო მმართველობის მეცნიერებისათვის.

333. 342.4/123 ხეცურიანი ჯონი.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. რედაქტორები: ქ. ირემაძე; გ. კვერენჩხილაძე; გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“. თბილისი 2016; 295 გვერდი 2017-36884

გამოცემაში განხილულია საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს-საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, მათ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუტების გამოცდილება, გამოთქმულია საკანონმდებლო წინადადებები ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე.
გამოცემა გათვალისწინებულია სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და კონსტიტუციური სამართლის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

334. 342.4/122 Constitution of Georgia
PubliShing house “word of Lawyers”. Including amendments of 21 st of April, 2016. Tbilisi 2016. page-63. 2016-19016

Contents
Constitution of georgia. general provisions.
Citizenship of Georgia. Fundamental human rights and freedoms.
Parliament of Georgia.
The president of Georgia. Goverment of Georgia.
Judical authority.
State finances and control.
State defense. Local self-goverment.

Revision of the Constitution.
Transitinal provisions.

335. 342.393/3 ცერცვაძე ლაშა.
დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას. (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.) სამეცნიერო ხელმძღვანელი ი. ბურდული. ტეცენზენტები: ო. ზამბახიძე, გ. მახარობლიშვილი; ლ. ცერცვაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ . თბილისი 2016. 339 გვერდი. 2016-19330

წიგნი წარმოადგენს დისერტაციის ადაპტირებულ ვერსიას. როგორც წიგნის სათაურიდან ირკვევა, იგი შეეხება დირექტორთა მოვალეობებს კომპანიის მართვის პროცესში, ხოლო საკითხი განხილულია ევროკავშირის, აშშ-ის და ქართული სამართლის მაგალითზე.
კორპორაციული მართვა და მასში შემავალი ცალკეული საკითხები თანამედროვე კერძო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა და მისი ეფექტური მოდელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა წარმატებული ბიზნესის შესაქმნელად. აღნიშნული ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება კორპორაციული მართვის სამართლებრივ ასპექტზეა გამახვილებული.

336. 347.4/11 (ელექტრონული კოდი: 2016-14274) იოსელიანი ალექსანდრე
სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალი
რედაქტორი - თ. გაბელია
თბილისი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, 197 გვერდი.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი - სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობები, რომლებიც დატვირთულია უცხოური ელემენტებით.
ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლები და მისგან გამომდინერე საკითხები, როგორებიცაა: მხარეთა მიერ არჩეული კავშირი ხელშეკრულებასთან; მხარეთა მიერ სავაჭრო ჩვეულებითი სამართლის არჩევა, სასამართლოს ადგილსამყოფის სამართლის იმპერიტიული ნორმები და მხარეთა ნების ავტონომიის საკითხები; „ლექს ფორისა“ და ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის ნორმები და მხარეთა ნების ავტონომიის საკითხი; „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვა და შრომით ხელშეკრულებებში.
მეორე ნაწილში განხილულია თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მხარეებს იგი არ აურჩევიათ. ხისტი მეთოდის მხარდაჭერის

შემთხვევაში გამოყენებას ექვემდებარება: ხელშეკრულების დადების ადგილი, ხელშეკრულების შესრულების ადგილი ან კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკოლიზიო საბმელთა ნუსხა. მოქნილი მეთოდის შემთხვევაში, მხედველობაში შეიძლება მიღებული იქნეს მხარეთა ჰიპოთეზური განზრახვა, „ყველაზე მჭიდრო კავშირისა“ და „დამახასიათებელი შესრულების“ კონცეფცია; განხილულია ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტვირთის გადაზიდვისა და რწმუნებულებასთან დაკავშირებული თავისებურებანი.
ნაშრომი ეფუძნება 2010 წელს ი.ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ერთ-ერთი უმაღლესი შეფასებით დაცულ დისერტაციას „მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში“.

337. 341.9/6 მიგრიაული როინ; ქართული კერძო სამართლის საკითხები. მეორე შევსებული გამოცემა. გამომცემლობა „იურისტის სამყარო“. თბილისი 2016; 276 გვერდი. 2017-33867

კრებულის მეორე გამოცემაში შეცვლილია მასალების განლაგების თანმიმდევრობა: სტატიები გამოცალკევებულია დანარჩენი პუბლიკაციებისაგან და დახარისხებულია სამართლის დარგების მიხედვით-ვალაუვალობის, სამეწარმეო და სამოქალაქო სამართლის შესაბამისად. ასევე სამართლის სფეროების მიხედვით არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ინტერვიუები, წინასიტყვაობები და სხვა სახის მასალა. კრებულის გამოცემა მნიშვნელოვანწილად განაპირობა პირველ კრებულში (2011) თავმოყრილი სტატიებისა და სხვა პუბლიკაციების მიმართ გამომჟღავნებულმა ინტერესმა და შესაძლებელი გახდა დღეისათვის არსებული ყველა პუბლიკაციის ერთად თავმოყრა.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

338. 340.14/3 ონიანი სულხან; დავითაშვილი გიორგი
ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში. მთვარი რედაქტორი: დ. ბოსტოღანაშვილი; სარედაქციო ჯგუფი-გულიკო ფერაძე, თამთა მახარაძე. გამომცემლობა: „მერიდიანი“ 2016; თბილისი 2016 წელი. 387 გვერდი. 2016-7976

ნაშრომი წარმოადგენს 2015 წლის 20-30 ივნისის ბალსზემო სვანეთის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო -მოხსენებით ანგარიშს.
სვანური ადათობრივი სამართლის შესწავლა მნიშვნელოვანია საერთო-ქართული

ნიშნით, ვინაიდან იგი წარმოადგენს ქართული ადათობრივი სამართლის უძველეს პლასტს და თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას გარკვეული მოდიფიკაციით კვლავ განაგრძობს XXI საუკუნის ქართულ რეალობაშიც. საექსპედეციო მასალები მოძიებულ იქნა ბალზემო სვანეთში, კერძოდ, მესტიის, ლენჯერის, მულახისა და უშგულის თემებში, ასევე ბალსქვემო სვანეთის ეწერის თემში რესპოდენტთა გამოკითხვის გზით.
ნაშრომში განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ქართული ჩვეულებითი სამართლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

339. 341(076)/1 ხვედელიანი დევი
ამოცანები საერთაშორისო კერძო სამართალში
რეცენზენტები: ზ. ძლიერიშვილი; ე. ბაღიშვილი, ზ. გაბისონია; გამომცემლობა „იურისტების სმაყარო“; თბილისი 2016; 102 გვერდი; 2016-15558

გამოცემა გახლავთ ამოცანების (კაზუსების) ერთობა საერთაშორისო კერძო სამართალში, რაც სამართლის ამ დარგის სწავლებაში ახალი სიტყვაა. კრებულში თავმოყრილი ამოცანების დიდი ნაწილი ეფუძნება რეალურ ფაქტებს,რომლებიც შეესაბამება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონს და მოიცავს ამ კანონით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტს.
სამართლის სწავლების მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური კაზუისტური სწავლების მეთოდია, რომლის მიზანიც სტუდენტებში პრაქტიკული იურისპრუდენციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაა. კრებული საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე საერთაშორისო კერძო სმართლის მიმართულების სპეციალისტებისათვის.

340. 340.13/12 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 12.10.2016 მდგომარეობით. რედაქტირებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი 2016; 110 გვერდი. 2017-34598

საქართველოს კანონი. საქართველოს ბიუჯეტი კოდექსი
საქართველოს კანონი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ტექსტი რედაქტირებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით 2016 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით.
ნაშრომი შედგება ოცი თავის, დანართისა და შეტანილი ცვლილებებისაგან. იგი მოიცავს ზოგად დებულებებს , საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ზოგად ნორმებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მარეგულირებელ ნორმებს, ადგილობრივი

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.

341. 343.43/7 მესხი მარინა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები და მასთან ბრძოლის მეთოდები.
რედაქტორი-ქ. ხუციშვილი; გამომცემლობა იურისტების სამყარო; თბილისი, 2016 წელი. გვერდი.206; 2016-15237

ადამიანის მონურ მდგომარეობაში ჩაყენება და მისი თავისუფლების უარყოფა, უპირველეს ყოვლისა, ადამოანის ძირითადი უფლების-იყოს ტავისუფალი-დარღვევაა. „მონობის თანამედროვე ფორმად“ წოდებული ეს დანაშაული ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული, საერთაშორისო ინსტრუმენტებით განმტკიცებული ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების უგულებელყოფის საფუძველიც არის.
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სიმძიმე, პატივისა და ღირსების შელახვა, ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის, მოშლა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ დარღვევად აქცევს. ნაშრომის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ადამიანის უფლებათა დარღვევის ჭრილში განხილვა, მსოფლიოში არსებული საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებული და ჩრდილოვანი მხარეების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოდელისა და მექანიზმების სრულყოფის მიზნით. ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

342. 343. 359/15 ჯიქია მარიამ; ყუფარაძე გიორგი; ევროკავშირის საგადასახადო სამართალი და ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა; სამეცნიერო რედაქტორი-ი. გაბისონია; რედაქტორი-ი. ბერიკაშვილი; ს. კლაზარი; ი. ვოტჯალიკი; ზ. კუკულსკი; გამომცემლობა-„უნივერსალი“; თბილისი 2016 წელი. გვერდი. 164; 3416

სახელმძღვანელოში განხილულია: ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ფეუძემდებლური პრინციპები, ევროკავშირის საერთო საგადასახადო პოლიტიკის მარეგულირებელი ევროპული კონვენციები და ხელშეკრულებები, ევროკავშირის ერთიანი საგადასახადო სიტემა და მისი წყაროები, საერთაშორისო საგადასახადო სამართლისა და ევროკავშირის მეორადი სამართლის ურთიერთმიმართების საკითხები. სახლემძღვანელოში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების

ოთხეულის-ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის, ე.წ ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების სგადასახადო პოლიტიკის მიმოხილვას.
საავტორო უფლებები დაცულია და მისი შეუსრულებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

343. 343.3(02)/3 ჯიშკარიანი ბაჩანა
სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ; რედაქტორები: თ. ებრალიძე; გ. დგებუაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2016 წელი. გვერდი. 246; 2017-34098

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი-დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ ახლადდაფუძნებული, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის პირველი ოფიციალური პუბლიკაცია. ინსტიტუტის მთავარი მიზანია ქართული სისხლის სამართლის საერთაშორისო და ევროპულ ჭრილში დანახვა და გაანალიზება.
სახელმძღვანელო ეყრდნობა გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკას. მამსთანავე, შედარებით ჭრილში გამოყენებულია ქართველ ავტორთა მოსაზრებები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. წიგნის მიზანი არ არის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულის სათითაოდ განხილვა და გაანალიზება. მასში საუბარია მხოლოდ მნიშვნელოვან მუხლებზე.
წიგნი მშვენიერი საჩუქარია როორც სტუდენტების, ისე მთელი იურიდიული საზოგადოებისათვის. მას თუმცა სასწავლო დანიშნულება აქვს, თუმცა დიდ სამსახურს გაუწევს სასამართლო პრაქტიკას და სისხლის სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს.

344. 343.14/3 ჰერმანი თომას; მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი); თარგმანი-ეთერ ჩაჩანიძე; გამომცემლობა-„იურისტების სამყარო“; GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერა; თბილისი, 2016 წელი. 2016-19365

ნაშრომი გამოცემულია GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით, ისევე როგორც სხვა არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა, რომელმაც ხელი შეუწყო იურიდიული ლიტარტურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციას.
მტკიცებულებითი სამართალი განსაზღვრავს თუ როდის უნდა შეაგროვოს მოსამართლემ მტკიცებულებები, ვინ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებულება, რა სახით უნდა მოხდეს ეს ყოველივე და როგორ უნდა შეაფასოს მოსამართლემ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ნაშრომში თავმოყრილია შემდეგი საკიტხები:
I.მტკიცებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპები, რომელიც მოიცავს
მტკიცებულებათა შეგროვების საჭიროება
მტკიცების ტვირთის განაწილება
მტკიცებულებათა სახეები და მათი შეგროვება
II. სავარჯიშო კაზუსები, სადაც ორი კაზუსის მაგალითზე განხილულია
თანმიმდევრულად ნაბიჯები.

345. 342.4/122 Constitution of Georgia
including amendments of 21st of April, 2016; Publushing bouse "World of Lawyers". Tbilisi 2016; 2016-1905

Contents
Constitution of Georgia
Chapter one.
General provisions
Chapter two. Citizenship of Georgia: fundamental human rights and friidoms.
Chapter three.
Parliament of Georgia
Chapter four
The prezident of Georgia
Government og Georgia
Chapter five
Judical Auhtority
Chapter six
State defense
Chapter seven
state Defens
chapter seven
state defense
chapter seven
Local self-Government
chapter eight
Revision of the Constitution

346. 343/56 ლომსაძე მალხაზ; სისხლის სამართლის პროცესი მეექვსე შევსებული გამოცემა; გამომცემლობა „ბონა კაუზა"; რედაქტორი: ბადრი ბიწაძე;

რეცენზენტები: ო. გამყრელიძე; ნ. თევდორაძე; ა. კვაშილავა; ს. ჭელიძე; თბილისი 2016 წელი. 2016-18614

ნაშრომი შედგენილია 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული და 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შესული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. მასში სამეცნიერო კვლევითი მეთოდების გამოყენებით ამომწურავადაა განხილული მოქმედი საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები, გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები, დასმულია საკანონმდებლო წინადადებები კანონმდებლობის დახვეწისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.
ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის, მეცნიერ-იურისტებისათვის, პტაქტიკოსი მეშაკებისათვის და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.
ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულ შსს აკადემიის კურსანტთა ხსოვნას.
ნაშრომი შედგება სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი და კერძო ნაწილისაგან, 22 თავისა და სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილის ტესტებისაგან.

347.

348. 342.7/53 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2016 წელი. შემოკლებული ვერსია. 163 გვერდი. 2018-3133;

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს 2016 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტი შემუშავებულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და წარედგინება საქართველოს პარლამენტს. ანგარიში მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრს და შეეხება შემდეგნ საკითხებს:
1.ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში. 2. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა. 3. სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა. 4. წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა. 5. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. 6. სამართლიანი სასამართლოს უფლება. 7. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. 8. აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება. 9. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია. 10. გამოხატვის თავისუფლება. 11. შეკრებისა და

მანიფესტაციის თავისუფლება. 12. თანასწორობის უფლება. 13. საარჩევნო უფლება. 14. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება. 15 შრომის უფლება. 16. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება. 17. ჯანმრთელობის უფლება. 18. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 19. გენდერული თანასწორობა . 20. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა. 21. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. 22. სათანადო საცხოვრებლის უფლება. 23. სოციალური უზრუნველყოფის უფლება. 24. დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა. 25. კონფლიქტით დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა. 26. ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა. 27. ყოფილი სსრკ-ის მიერ xx საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ. 28. მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა. 29. ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა 30. საკუთრების უფლება.

349. 347. 4(02)/1 ხარაძე ია; კვინიკაძე ქეთევან; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ლექციების კურსი; რედაქტორი-ლ. გულუკაშვილი; გამომცემელი „გეორგიკა“; თბილისი 2016; გვერდი. 574; 2016-8156

სალექციო კურსში „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“ საქართველოს და აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და შავი ზღვის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციებია თავმოყრილი. სალექციო ნთემატიკას თან ერთვის სხვადასხვა სახის სალითხავი მასალები, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კითხვები მასალის უკეთ ათვისებისა და ცოდნის შემოქწმებისათვის,კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების აქტუალური თემები პრეზენტაციებისა და ესეებისათვის. სალექციო კურსში სტუდენტი ყოველი თეორიული საკითხის ანალიზისას იხილავს ასევე უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებებს კონკრეტულ თემასთნ მიმართებაში.
სალექციო კურსი სამართლის სკოლის ბაკალვრიატის სტუდენტებისა და ზოგადად კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის განკუთვნილი.

350. 342.4/124 ნემსიწვერიძე თორნიკე
საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება. სამეცნიერო რედაქტორი-ნანა ჭიღლაძე. „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“; 2017. ცაგერი-თბილისი, 2017 წელი. 330 გვერდი. 2017-45436

მონოგრაფია, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის გადამუშავებულ და განვრცობილ ვერსიას წარმოადგენს, უდიდესი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებისაა. იგი

მნიშვნელოვანი შენაძენია კონსტიტუციონალიზმის თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით დაინტერესებული მკითხველისთვის. ნაშრომი იკვლევს პრეამბულის მრავალფეროვან ბუნებას: აქსიოლოგიურ, დეკლარაციულ, ჰერმენევტიკულ, ნორმატიულ ეფექტებს, მრავალფეროვან სამართლებრივ და პოლიტიკურ მხარეებს. მასში გაანალიზებულია პრეამბულის ბუნებასთან დაკავშირებით განვითარებული ძირითადი თეორიები, საძღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, ასევე საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ანატომია და მისი პრაქტიკაში რეალიზების პერსპექტივები.
ნაშრომი შედგება 3 ძირითადი თავის, ქვეთავების, ძირითადი დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

351. 347/23 (ელექტრონული კოდი: 2018-1266) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 304 გვერდი.

347/23 (ელექტრონული კოდი: 2016-8018) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 2016 წლის 10 მარტის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2016 წ. 302 გვერდი.

347/23 (ელექტრონული კოდი: 11648) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამოცემულია 2011 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „რაიზი“, 2011 წ. 203 გვერდი.

347/23 (ელექტრონული კოდი: 11651) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ცვლილებითა და დამატებით 2012 წლის 7 თებერვლამდე მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2012 წ. 275 გვერდი.

347/23 (ელექტრონული კოდი: 2012-5620) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამოცემულია 2012 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „რაიზი“, 2012 წ. 220 გვერდი.

347/23 (ელექტრონული კოდი: 11650) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამოცემულია 2009 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „რაიზი“, 2009 წ. 187 გვერდი.

347/23 (ელექტრონული კოდი: 11649) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამოცემულია 2012 წლის 14 ივნისის მდგომარეობით

თბილისი, გამომცემლობა „რაიზი“, 2012 წ. 221 გვერდი.

საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ.
საპროცესო კოდექსი შედგება თერთმეტი კარისა და LII თავისაგან:
კარი I. სასამართლო
კარი II. მხარეები
კარი III. სასამართლო მტკიცებულებები
კარი IV. სასარჩელო წარმოება
კარი V. გამარტივებული წარმოება
კარი VI. უდავო წარმოება
კარი VII. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი
კარი VII[1]. სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში
კარი VII[2]. ამოღებული
კარი VII[3]. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე
კარი VII[4]. თავი XLIV[10] პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება.
კარი VIII. აპელაცია
კარი IX. კასაცია
კარი X. კერძო საჩივარი
კარი XI. საქმის წარმოების განახლება.
ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა, სადაც მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ დავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ ,ეორე ,ხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.
მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.
სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

352. 342.393(02)/4 დოლიძე დავით.
კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში. შედარებით-სამართლებრივი კვლევა. გამომცემლობა - “იურისტების სამყარო“.

თბილისი , 2017 წელი. 162 გვერდი. 2017-39614

წიგნი წარმოადგენს დისერტაციის ადაპტირებულ ვერსიას. მასში განხორციელებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევა, რომელიც ძირითადად ქართულ და გერმანულ კორპორაციულ მართვას მოიცავს. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ასევე განხილულია ავსტრიული და ევროკავშირის მიდგომები.
ნაშრომში გამოყენებულია საკორპორაციო სამართლის სფეროში არსებული, როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, გაანალიზებულია სხვადასხვა სახელმწიფოს ნორმატიული აქტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, მათ შორის რეკომენდაციები, დადგენილებები, სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე ერთმანეთთანაა შედარებული განსხვავებული სამართლებრივი დოქტრინებისა და სასამართლო პრაქტიკის მიდგომები.

353. 340.14/4 დავითაშვილი გიორგი
დანაშაულთა სახეები: ქართულ ჩვეულებით სამართალში
რეცენზენტი პროფესორი დ. ბოსტოღანაშვილი; გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“ თბილისი 2017 წელი. 698 გვერდი; 2017-36960

ნაშრომი ეხება დანაშაულის ცალკეული სახეების განხილვას ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის მიხედვით. ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ცალკეული დანაშაულების ზოგად დახასიათებაზე და განსაკუთრებით იმ პასუხისმგებლობაზე, რაც ამ დანაშაულების ჩადენისათვის საქართველოს ცალკეული კუთხეების ჩვეულებითი სამართალი იყო გათვალისწინებული ამ ნაშრომში განხილულ იქნა დანაშაულთა კლასიფიკაცია, სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები, დანაშაულის სუბიექტი, სუბიექტური მხარე, დანაშაულის მცდელობის საკითხი, თანამონაწილეობის ინსტიტუტი, სასჯელთა სისტემა და კლასიფიკაცია, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები, ასევე სასჯელთა ცალკეული სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში.
ნაშრომი ძირითადად შესრულებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

354. 34(02)/16 ვაჩეიშვილი ალექსანდრე
სამართლის ზოგადი თეორია. შესავალი სოციოლოგიაში. რედაქტორი: მარინე მარინაშვილი; გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“; თბილისი 2017; 313 გვერდი; 2017-44865

წიგნში გადმოცემულია თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული თეორიები სამართლის შინაარსისა და წარმოშობის შესახებ, აგრეთვე დახასიათებულია სამართალი ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობით, საჯარო და კერძო სამართლის განსხვავების საფუძველი და სამართლის პრაქტიკული გამოყენება.
წიგნის მიზანია დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სამართლის ზოგადი ცნებების შესწავლაში და შეთვისებაში, მისცეს მას სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის საშუალებითაც ის შემდეგში უფრო ადვილად გაერკვევა ცალკე იურიდიულ დისციპლინებში.
ორივე წარმოდგენილი შრომის უნიკალურობა გამოყენებული წყაროების სიმრავლეშია, კერძოდ, ნაშრომებში გამოყენებულია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, რუსულ, ლათინურ და ძველ ბერძნულ ენოვანი წყაროები. თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნაშრომი, რომელშიც გამოყენებული იქნება შვიდენოვანი წყაროები ჯერ-ჯერობით არ დაწერილა.
გამოცემაში შენარჩუნებულია ავტორის სტილი და ნაშრომები, რომლებიც უცვლელი სახით გამოიცა.

355. 34/67 ბაჩიაშვილი იოსებ
იურიდიული განათლება და სამართშემოქმედება; რედაქტორი: ბ. ცხადაძე
რეცენზენტები: პროფესორი - ალექსანდრე ტალიაშვილი, პროფესორი -ირაკლი გაბისონია
საგამომცემლო სახლი „ ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2017; 56 გვერდი; 2017-34246

ნაშრომი ეძღვნება იურიდიული განათლების მეთოდოლოგიას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. არსობრივ თემას წარმოადგენს იურისპრუდენციის ზოგადთეორიული და სოციალური საგნების სწავლების ურთიერთშესაბამისობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.
ნაშრომი განკუთვნილია პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი ხელს შეუწყობს იურიდიული დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას.
განხილულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით(იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

356. 343.359(02)/3 ხარაზი ია; საგადასახადო სამართალი; დამხმარე სახელმძღვანელო. I ნაწილი; რედაქტორი -ვ. გვარამია; გამომცემლობა „გეორგიკა“; თბილისი, 2017; გვერდი.735; 2017-44998

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს ტარიფები და საქონლის კლასიფიკაცია; გადასახადების სახეები, საერთო- სახელმწიფოებრივი გადასახადები, კერძოდ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, ადგილობრივი გადასახადი. საგადასახადო სამართლის აღნიშნული ინსტიტუტების კვლევისას გამოყენებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, მთავრობის დადგენილებები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითებები, მონოგრაფიები. სახელმძღვანელოში მოცემული საგადასახადო ინსტიტუტები გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. სტუდენტების და დაინტერესებული პირებისათვის, გადასახადების უკეთ აღქმის მიზნით, აქ წარმოდგენილია სახელმძღვანელოში ყოველი თავის ბოლოს წრმოდგენილია ტესტები, კაზუსები, საორიენტაციო კითხვები და სასამართლო პრაქტიკა.

357. 347/63 (ელექტრონული კოდი: 2017-43659) სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი. წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები
რედაქტორი - ლ. ჭანტურია
თბილისი, 2017 წ. 809 გვერდი.

სამ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა ახალ კომენტარზე მუშაობა. სამოქალაქო კომენტარი განსხვავდება წინამობერდი კომენტარისაგან როგორც სტრუქტურით, ისე მასში მოცემული მასალის მოცულობით. იგი საინტერესო და დახვეწილი კვლევებითაა შევსებული ახალი თაობის იურისტების მიერ.
კომენტარის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება კომენტარების აღიარებულ სტანდარტებს. წიგნი შეიცავს სამოქალაქო კოდექსის ყველა მუხლის კომენტარს. კომენტარის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მუხლების სტრუქტურირებული და სისტემური განხილვა სასამართლო, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის, იურიდიული ლიტერატურისა და რელევანტური საკანონმდებლო მასალის საფუძველზე.
სამოქალაქო კოდექსის კომენტარი შედგება IV კარის, თავებისა და 146 მუხლისაგან. კომენტარის გამოცემას მხარში ედგნენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელთა ფინანსურმა თუ საექსპერტო თანადგომამ შესაძლებელი გახადა პროექტის განხორციელება.

358. 347/62 (ელექტრონული კოდი: 2017-37125) გოკიელი ფატი
ცივილისტური შტუდიები. მოგონებები
შესავალი წერილი თ. ნინიძის
რედაქტორები - თ. ნინიძე, მ. უგრეხელიძე
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ , 2017 წ. 178 გვერდი.

კრებულში, რომელსაც „ცივილისტური შტუდიები“ ეწოდა, პირველად დაიბეჭდა ფატი გოკიელის ესსეები ცივილისტიკის - სამოქალაქო სამართლის პრობლემებზე.
ესეების ერთი ნაწილი, რომელიც ავტორის მიერ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში უშუალოდ აკადემიური მიზნებისათვის იწერებოდა, დღესაც ინარჩუნებს ღირებულებას სამართლის თეორიის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის. რაც შეეხება მოგონებებს, მათი მნიშვნელობა პროფესიულ ფარგლებს და საყურადღებო დოკუმენტებია ქართული ჰუმანიტარული კულტურისათვის.
ავტორის თეორიული ინტენციის საგნები - უფლება, იურიდიული პირი, ბრუნვიდან ამოღებული ნივთები წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ცივილისტური აზრის ისტორიის გამჭოლ თემებს, ამავე დროს თანამედროვე კერძო და საჯარო სამართლის საერთო იურიდიული კატეგორიებია.
კრებულის შემეცნებითი ღირებულება უდავოა, სამოქალაქო სამართლის თეორიის, ცივილისტური აზრის ისტორიის და გასული საუკუნის ოციანი წლების ქართული რეალობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

359. 347.2/5 (ელექტრონული კოდი: 2018-2232) ზარანდია თამარ, მახარობლიშვილი გიორგი
საკუთრებისცნების ტრანსფორმაცია თანამედროვე სანივთო და საკორპორაციო სამართალში
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 94 გვერდი.
საკუთრება თანამედროვე სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ტენდენციური ინსტიტუტია. თანამედროვე კოდექსმა უარი თქვა საკუთრების ფორმებზე. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ კი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“.
თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში ქონების ცნებაში მოიაზრება საავტორო უფლება, გამოგონება, პატენტი და ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა სიკეთე.

საკუთრების უფლება საქართველოშ სარგებლობს კონსტიტუციური დაცვით.

360. 346.1/14 (ელექტრონული კოდი: 2017-45009) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2017 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით ანბანურ-საგნობრივი საძიებლით
ტექსტი რედაქტირებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით“
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 398 გვერდი.

346.1/14 (ელექტრონული კოდი: 2015-5352) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2015 წლის 7 მარტის მდგომარეობით ანბანურ-საგნობრივი საძიებლით
ტექსტი რედაქტირებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მასალებზე დაყრდნობით
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წ. 506 გვერდი.

346.1/14 (ელექტრონული კოდი: 2013-12599) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოცემულია 2009 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით
რედაქტირებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით
თბილისი, გამომცემლობა „რაისი“, 2009 წ. 245 გვერდი.

346.1/14 (ელექტრონული კოდი: 2013-12600) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცვლილებითა და დამატებით 2007 წლის 15 თებერვლამდე
თბილისი, გამომცემელი „ბონა კაუზა“ 2007 წ. 396 გვერდი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედდა, ქართული სამართლის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა. მან შეისისხლხორცა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის უახლესი მიღწევები და ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საფუძველი გახდა.
კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.
უნდა აღინიშნოს, რომ 1520-ე მუხლის შესაბამისად სამოქალაქო კოდექსი შემოღებულ იქნა სავალდებულო სასწავლო დისციპლინად ყველა ტიპის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განკუთვნილია ადვოკატებისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, არასამთავრობო სექტორის

წარმომადგენლებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

361. 347.23/6 (ელექტრონული კოდი: 20147-33888) რუსიაშვილი გ.
უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი. შესრულების კონდიქცია.
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 307 გვერდი.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონტინენტური ევროპის სამოქალაქო მართლწესრიგებში ის, რასაც შემსრულებული მიმღებს გადასცემს უსაფუძვლოდ, მაგალითად არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღებმა უნდა დაუბრუნოს გამცემს შესრულების კონდიქციით. ასევე სხვის უფლებებში ჩარევის გზით მითვისებულიც მიმთვისებელმა უნდა დააბრუნოს ხელყოფის კონდიქციით შესრულების კონდიქცია და ხელყოფის კონდიქცია წარმოადგენენ იმ მთავარ ინსტრუმენტებს, რომლებიც ემსახურება ქონების უსაფუძვლო მოძრაობის უკუქცევას.
გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამართლის სისტემების მსგავსად, ქართული სამართალიც იცნობს კონდიქციურ მოთხოვნას. ამავდროულად უცნობს ასევე ვინდიკაციასაც, როგორც მესაკუთრის მიერ მოთხოვნას მფლობელობის უფლების გარეშე ნივთის მფლობელის მიერ.
ნაშრომი ეხება ორმხრივი ხელშეკრულებების კონდიქციით უკუქცევის საკითხს. დოგმატურად ყველაზე დახვეწილი გადაწყვეტა ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების შედეგების აღმოსაფხვრელად განავითარა გერმანული სამართლის დოქტრინამ. ეს გადაწყვეტა ცნობილია სალდოს თეორიის სახელით. რაც დღეს-დღეობით კრებით სახელად იქცა და რამდენიმე თეორიას აერთიანებს.

362. 347.23/7 (ელექტრონული კოდი: 8067) ანეტ კური, ტომას დრეირი
ევროპის ანტელექტუალური საკუთრების სამართალი
ტექსტების, გადაწყვეტილებები, მასალები
მთარგმნელოი - გვანცა გუგეშაშველი
რედაქტორი - ნ. ბურდული
თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 წ. 588 გვერდი.

ნაშრომი, უპირატესად სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა, თუმცა იგი გამიზნულია როგორც ევროპული, ისე არაევროპული იურისტებისთვისაც, რომელთაც სურთ, გაეცნონ საგნის ძირითად სტრუქტურასა და არსებულ მფგომარეობას.
ნაშრომი არ არის სახელმძღვანელო კლასიკური გაგებით, რადგან განმარტებითი და

დასკვნითი ნაწილების გარდა, მასში საკმაოდ ბევრი ორიგინალური დოკუმენტის სრული ტექსტია ორიგინალური დოკუმენტების შერჩევისას ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ფრაგმენტებზე. ნაშრომის თითოეული თავი და ქვეთავი იწყება შესავალი ნაწილით, რომელსაც მოსდევს მითითება სამართლებრივ აქტებსა და შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებებზე. თითოეული ქვეთავის ბოლოს კი კითხვებია.
ნაშრომი ასახავს საკანონმდებლო განვიტარებას 2012 წლის სექტემბრამდე.

363. 347.2(02)/2 (ელექტრონული კოდი: 149214) შოთაძე თამარ
სანივთო (ქონებრივი) სამართალი. თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა
თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2017 წ. 543 გვერდი.

სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს სანივთო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების კომპარატივისტულ კვლევას. ნაშრომში განხილულია, როგორც კლასიკური სანივთო ინსტიტუტები, ასევე მისი თანამედროვე სახესხვაობები.
ნაშრომში განხილულია კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში შემავალი, ორ განსხვავებულ სამართლებრივ ოჯახში ასახული ცალკეულ სანივთო ინსტიტუტთა (უფლებათა) სამართლებრივი ბუნება, ასევე მოცემულია თითოეულ ამ ოჯახში შემავალი ცალკეული ევროპულიქვეყნების კანონმდებლობაში არსებული მაგალითები.
შედარებითი სანივთო სამართლის თანამედროვე ტენდენციები დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს გაიფართოონ ცოდნა და თვალსაწიერი.
სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი აგებულია თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლების საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მოდელზე.
სახელმძღვანელოში განხილულ საკითხზე მოცემულია თეორიული დასაბუთება, საკანონმდებლო რეგულირება, პრაქიკული დავალებები და სამოსამართლო სამართალი.
სანივთო სამართლის ცოდნა მნიშვნელოვანი საწინდარია კერძო სამართლაში წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის.

364. 347.191/1 (ელექტრონული კოდი: 2017-40002) მაისურაძე ნათელა
სამართლებრივი მართვისა და რეგულირების მეთოდები
რეცენზენტები - გ. ლობჟანიძე, მ. მამნიაშვილი
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 180 გვერდი.

მონოგრაფიაში განხილულია სამართლებრივი მართვისა და რეგულირების მეთოდების არსი, უზოგადესი, ზოგადი და კონკრეტული მეთოდები. ავტორი განიხილავს როგორც უკვე ცნობილ: პრეცედენტულ, იმპერატიულ, დისპოზიციურ, ინდუქციურ, დედუქციურ, რედუცქიურ, აბდუქციურ, პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების,

დარწმუნების, ზომიერების, ძალდატანების, ინტენციის (განზრახვის), სინერგეტიკულ, რეპრეზენტაციის, ნეიროლონგვისტული პროგრამირების (NLP) მეთოდებს, ასევე ავტორის მიერ მოკვლეულ მეთოდებს: თავისუფლად ვარირებად ინტეგრალურ მეთოდს, რეგრესიული იძულების, ბრძოლის, საშემსრულებლო, მომთხოვნელობის, ჟესტიკულაციის, საუბრის ინტონაციისა და ა.შ. მეთოდებს.

365. 347.152(6) (ელექტრონული კოდი: 2018-1546) ბოხაშვილი ბესარიონ, კორკელია კონსტანტინე
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 309 გვერდი.

წიგნი მოიცავს იმ უფლებების საფუძვლიან ანალიზს, რომლებიც გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, განსაკუთრებითკი, მისზედ მუხლში. პუბლიკაციის მიზანია ადამიანის ძირითადი უფლებების ცოდნის დონის ამაღლება, განსაკუთრებით იურიდიულ პროფესიებში, უფლებათა დაცვის ხელშესაწყობად და გრძელვადიანი პერსპექტივით, საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა.
წიგნი განკუთვნილია სამართალმცოდნეობისა და იურიდიული პრაქტიკის წარმომადგენლებისათვის, ასევე სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

366. 346/28 (ელექტრონული კოდი: 2017-37375) ჯიშკარიანი ბაჩანა (რედ.), მარტინ პაულ ვასმერი (რედ.)
ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია. კონფერენციის მასალები
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 229 გვერდი.

2016 წლის 4 და 5 ნოემბერს კრებულის რედაქტორებმა ორგანიზება გაუწიეს პირველ კონფერენციას ქართული ეკონომიკური სასხლის სამართლის ევროპეიზაციასთან დაკავშირებით. კონფერენციას მხარი დაუჭირა როგორც „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულმა ფონდმა“ (IRZ), ასევე საქართველოს უნივერსიტეტმა. ღონისძიებაში ჩართული იყო ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი.
კრებულის მიზანია, კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების ერთიანი სახით გამოცემა, რომელიც განკუთვნილია როგორც იურისტებისათვის, ასევე სტუდენტებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

367. 34(082)/5 ქართული სამართლის კლასიკა; წიგნი I; სამეცნიერო რედაქტორები: ზ. კორძაძე; თ. ნემსიწვერაძე; „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“; თბილისი 2017; გვერდი.659; 147415

სარედაქციო კოლეგია-ო. გამყრელიძე; გ. დავითაშვილი; ნ. ჭიღლაძე; მ. გარიშვილი
კრებული „ქართული სამართლის კლასიკა“- მკითხველს აცნობს გამოჩენილ ქართველ სამართლისმცოდნეთა რჩეულ ნაშრომებს . კრებულში სულ 24 სტატიაა შეტანილი, მათ შორის არის ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის წერილი, რომელშიც სამართლებრივი საკითხებია გაშუქებული. მკითხველი გაეცნობა, ასევე, სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების მეტად საყურადღებო ნაშრომებს, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებას.
გამოცემა შეიცავს ნაშრომებს, რომელშიც გაშუქებულია ქართული სამართლის ისტორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის და სხვა სამართლებრივი საკითხები და მათი ერთ წიგნად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან იგი ხელმისაწვდომს ხდის ცალკეულ ავტორთა სტატიებს მკითხველისათვის.

ბიჭია მიხეილ; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; დამხმარე სახელმძღვანელო; მეორე გადამუშავებული გამოცემა; რედაქტორები: ცისკაძე მ; ძლიერიშვილი ზ; გამომცემლობა „ბონა კაუზა“; თბილისი, 2018 წელი. გვერდი.551; 147414

საზიარო უფლებები; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება; უსაფუძვლო გამდიდრება; დელიქტური ვალდებულებები
სახელმძღვანელო არის მცდელობა თავი მოუყაროს კანონისმიერი ვალდებულებების სფეროში არსებულ პრობლემას. შესაბამისად ნაშრომში განხილულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებები და ინსტიტუტები როგორიცაა: საზიარო უფლებები; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება; დელიქტური ვალდებულებები. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პრობლემათა სხვადასხვა ასპექტი, რომლებსაც გარდა თეორიული მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვთ.
წიგნი განკუთვნილია უპირატესად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის, ასევე საინტერესო იქნება როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისათვის.

368. 343.359(02)/2 როგავა ზვიად; საგადასახადო სამართალი; დამხმარე სახელმძღვანელო; წიგნი II; რედაქტორი -მ. კოპალეიშვილი; რეცენზენტი-თ. გვარამაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; თბილისი 2017 წელი. გვერდი.339; 2017-36822

სახელმძღვანელოში განხილულია საგადასახადო კონტროლის სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხები, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირის არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესი, ასევე ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის.
სახელმძღვანელოში გაანალიზებულია საგადასახადო კონტროლის ორგანიზაციის საკითხები, ასევე საგადასახადო დანაშაულთან ბრძოლის ასპექტები საზღვარგარეთის ქვეყნებში.
ნაშრომი განკუთვნილია სამართალმცოდნეობის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სპეციალობების სტუდენტებისათვის და საგადასახადო საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.
საავტორო უფლებები დაცულია და მისი დარღვევა ისჯება კანონმდებლობით.

369. 343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი; კოდიფიცირებული ტექსტი; გამოცემულია 2017 წლის 20 მარტის მდგომარეობით; თბილისი 2017 წელი. გვერდი.360; 2017-36976

343.359/4 საქართველოს საგადასახადო კოდექსი
მიღებულია 2004 წლის 22 დეკემბერს; დაიბეჭდა შპს „არადანის" მიერ; თბილისი 2004 წელი. გვერდი. 191; 2013-11919;
საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2018)
საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად წესებს და პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგდასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან

დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

370. 343.352/7 მელქაძე ზურაბ
კორუფციულ სამოხელეო დანაშაულზე გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების თავისებურებები; რედაქტორები: ჯ. გახოკიძე, ი.გაბისონია; რეცენზენტები: მ.მამნიაშვილი; დ. კარიაული; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; თბილისი 2017 წელი. გვერდი. 115; 2017-45554

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მმართველობის სფეროში ჩადენილი ნებისმიერი სახის კორუფციული სამოხელეო დანაშაული უარყოფითად აისახება სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე და რეალურად ემუქრება ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს. განხილულია კორუფციული ხასიათის ყველაზე გავრცელებული დანაშაულების: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის და ქრთამის აღების გამოვლენის, თავიდან აცილების და აღკვეთის პროცესში გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების თავისებურებები . გამოკვლევაში მოცემულია ყველა ის ძირითადი კონცეპტუალური საკითხი, რომელიც განხილულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებას ახლავს თან.
ავტორის მიერ შემოთავაზებულია გამოძიების სრულყოფისათვის და ერთიანი საგამოძიებო პრაქტიკის დასანერგად აუცილებელი პროცესუალური და ოპერაციული საქმიანობის ორგანიზაციული რეკომენდაციები.
ნაშრომი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს დაეხმარება აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარებასა და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღებაში.

371. 343.3(02)/2 ლეკვეიშვილი მზია, თოდუა ნონა, მამულაშვილი გოჩა; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; წიგნი II ; მეხუთე გამოცემა. რედაქტორი- გ. მამულაშვილი; გამომცემლობა-„მერიდიანი", თბილისი 2017; გვერდი.623; 2017-39582

343.3(02)/2 ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, გვენეტაძე ნ, მუმლაძე დ; რედაქტორი გ. მამულაშვილი; რეცენზენტები-რ. გოგშელიძე, გ. ნაჭყებია; გამომცემლობა „მერიდიანი"; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; წიგნი II; მესამე გამოცემა; თბილისი 2009; გვერდი.423; 2016-18389

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი V მე-3 გამოცემა

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი შეიძლება განიმარტოს, როგორც სისხლის სამრთლის კანონით დადგენილ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულად აღიარებულ ქმედებათა წრესა და ნიშნებს, ასევე მისი ჩადენისათვის დადგენილ სასჯელის სახესა და ზომას.
ნაშრომი საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს გაგრძელებაა. იგი მოიცავს ეკოლოგიურ დანაშაულს, სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულის ზოგად დახასიათებას და დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ.
წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

372. 343.121.5/1 მინაშვილი ირაკლი; არასრუნწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარი; გამომცემლობა „იურისტების სამყარო"; რედაქტორები: ი. გაბისონია; ჯ. გახოკიძე; ჯ. გაბელია; რეცენზენტები: ქ. ჯინჭარაძე; ჯ. ჯანაშია; თბილისი 2017; 374 გვ; 2017-44942

წარმოდგენილი ნაშრომი არის არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მუხლობრივი განმარტება აღნიშნული კოდექსის მიზნებისა და საფუძვლების, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცნების, მათი საქმის გამოძიებისა და სასამართლო პროცესის წარმოების და უფლება-მოვალეობის შესახებ.
ნაშრომში განხილული საკითხები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მისი განხორციელების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მიხედვით.
ნაშრომი როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისათვის და არაიურიდიული განათლების მქონე მკითხველისათვის არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმების სწორი სამართლებრივი კუთხით განმარტება, ხოლო ავტორისათვის წარმატებული ნაბიჯი მის საქმიანობაში.
ნაშრომი შედგება XIII თავისა და პარაგრაფებისაგან.

373. 342.924/8 ნორმტიული აქტების კრებული იკარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთათვის და აპარატის მოხელეთათვის; კრებულის ავტორები: მ. მახარაძე; თ. ცეცხლაძე; კ. ცეცხლაძე; ავტორთა კოლექტივი: კ. დემეტრაშვილი; ვ. გურგენიძე; მ. სალუქვაძე; ნ. ნაფეტვარიძე; დ. გოგიჩაიშვილი; ზ. ჩაგანავა; მ. გვარჯალაძე; დ. კაიანი; ნ. ხადური; თბილისი 2017 წელი. 2013-5331
სამაგიდო წიგნი
„საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია გამოდის გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვიტარების სფეროში საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა დაწესებულებებისათვის განხორციელებული პროექტების ეგიდით.
„მოხელე და კანონმდებლობის“ სერიის „ნორმატიული აქტების კრებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთათვის და აპარატის მოხელეთათვის“-უპირველესად განკუთვნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთათვის და აპარატის მოხელეთათვის. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია საქართველოს ნორმატიული აქტები, მეორეში კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტები.
კრებული სათანადო დახმარებას გაუწევს ხელისუფლების დანარჩენი შტოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მეტნაკლები ინტერესი ან შეხება აქვს ამ სფეროსთან
წიგნი მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსფარენტობის გაუმჯობესება.“

374. 355.45(09)/4 (ელექტრონული კოდი: 9950) ანჩაბაძე გიორგი
სამხედრო საქმე საქართველოში უძველესი ხანიდან XVIII საუკუნის ბოლომდე
რეცენზენტები: პ. ბუხრაშვილი, დ. მალაზონია
თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017 წ. 111 გვერდი.

ნარკვევი ეძღვნება სამხედრო საქმის ისტორიას საქართველოში ორმოც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული ისტორიის თვალსაზრისითაც. ნაშრომში კომპლექსურად არის წარმოდგენილი ძველი და ფეოდალური პერიოდების სამხედრო ძალების ორგანიზაცია, სტრუქტურა, სოციალური შემადგენლობა, შეიარაღების სისტემები, ომისა და ბრძოლის ფორმები და სხვა. შესავალში სამხედრო-ისტორიული წყაროები მოკლედაა მიმოხილული. სამხადრო საქმის ისტორია გადმოცემულია ზოგადისტორიული პროცესის კონტექსტში.
წიგნში წარმოდგენილია ისტორიული იარაღის ფოტოები გადაღებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

375. 368.4/38 (ელექტრონული კოდი: 2018-1991) სოსელია მაია, როსტიაშვილი თამარ, მაისაშვილი გიორგი
ბიზნეს მოდელების შექმნა და ადაპტაცია საქართველოს სადაზღვევო კომპანიებში
რედაქტორი - რ. ქინქლაძე

რეცენზენტები - ნ. რინკიაშვილი, მ. ჩეჩელაშვილი
თბილისი, 2017 წ. 182 გვერდი.
ნაშრომი ეხება ინოვაციური ტიპის ორგანიზაციის მართვის ბიზნეს-მოდელის შემუშავებისა და ადაპტაციის საკითხებს, სადაზღვევო კომპანიების მართვის ბიზნეს-მოდელის ფუნქციონირების პრობლემებს, მის ადგილსა და როლის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში. მოცემულია სადაზღვევო კომპანიის მართვის პროცესულ-ორიენტირებული ბიზნეს-მოდელის შემუშავებისა და ადაპტაციის მექანიზმები, უცხოური გამოცდილება და საქართველოში ამ მიმართულებით განვითარების პერსპექტივა.
წიგნი განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრების და აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

376. 364.2(02)/6 (ელექტრონული კოდი: 2017-45685) მელქაძე თეიმურაზ
საგანგებო სიტუაციების მართვა
რეცენზენტები - მ. წიქარიშვილი, ე. მეძმარიაშვილი
თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017 წ. 278 გვერდი.

სახელმძღვანელოში განხილულია საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის საფუძვლები, მისი განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტები და ამ კომპონენტების შეფასების მეთოდები, საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის გეგმების მომზადების, ასევე რისკის შემცირების, საგანგებო სიტუაციებისას მოსახლეობის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათი ქცევისა და მოქმედების წესები.
სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ასევე უწყებებისა და ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პასუხისმგებელი პირებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტების მენეჯერთათვის.
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ.
ყველა საავტორო უფლება დაცულია.

377. 349.2(02)/1 (ელექტრონული კოდი: 148998) საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები
ავტორთა კოლექტივი: ზ. შველიძე, ქ. ბოდონე, თ. თოდრია, თ. ხაჟომია, ნ. გუჯაბიძე
თანარედაქტორები - ნ. ბაქაქური, თ. თოდრია, ზ. შველიძე
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017 წ. 318 გვერდი.

ავტორები: ზაქარია შველიძე (თავი I, V, VII), ქსავიერ ბოდონე (თავი II), თეიმურაზ

თოდრია (თავი III), თამარ ხაჟომია (თავი IV), ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი (თავი VI)
შრომის სამართალი (როგორც სამართლის დარგი) წარმოიშვა დასაქმებულის სპეციალური მდგომარეობიდან და დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე და მისი მიზანიც, თავისი ისტორიული განვითარების თანახმად, არის დასაქმებულის დაცვა მისი ინტერესის უსაფუძვლო და არათანაზომიერი ხელყოფისგან.
სახელმძღვანელო, წარმოადგენს ქართველ მოსამართლეთა ჯგუფისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა ერთობლივი მუშაობის შედეგს და შემუშავებულია იმ მიზნით, რომ მოსამართლეები საქართველოში სრულად აღიჭურვონ როგორცადგილობრივი შრომის კანონმდებლობის, ასევე რელევანტური საერთაშორისო შრომის სტანდარტების ინტეგრირებული და თანმიმდევრული გზით გამოყენების შესაძლებლობით.
სახელმძღვანელო შედგება VII თავისა და ქვეთავებისაგან.
წიგნზე საავტორო უფლებები დაცულია და მისი რაიმე ფორმით დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

378. 355(03)/5 (ელექტრონული კოდი: 2018-2159) ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი
ელგუჯა მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით
თბილისი, 2017 წ. 692 გვერდი.

საქართველოს სახელმწიფო და მისი სამხედრო ორგანიზაცია საჭიროებს ერთიან, გამართულ და მოწესრიგებულ სამხედრო ტერმინებს. ქვეყნისათვის ამის აუცილებლობა განპირობებულია სისტემური სამხედრო აღმშენებლობის და შეიარაღებული ძალების მოქმედებათა შესაბამისი, მიღებული ტერმინებით და ცნებებით ასახვისათვის, რაც ასევე უპირობოდ აუცილებელია ურთიერთობისას სხვა სახელმწიფოებთან, მით უმეტეს სტრატეგიულ და სამხედრო პარტნიორებთან.
ქართული ნსამხედრო ტერმინებისა და მათი განმარტებების კომპლექსური , სისტემური და კლასიფიცირებული წარმოდგენისათვის ავტორებმა შექმნეს ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც ძალზედ საინტერესო იქნება სამხედრო პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, სამხედრო მეცნიერებისათვის, დიპლომატიური კორპუსისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.
საავტორო უფლება დაცულია.

379. 343.6/14 (ელექტრონული კოდი: 2017-37103) კენკებაშვილი თ.
მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი
რედაქტორი: გია დეკანობიშვილი

თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 172 გვერდი.

მკვლელობები, დანაშაულთა ის სახეა, რომელიც თავისი დანაშაულებრივი ბუნებითა და მრავალწახნაგოვანი გარემოებებით, საუკეთესოდ წარმოაჩენს გამოძიების თანამედროვე გამოწვევებს. მონოგრაფიაში განხილულია სხვადასხვა გარემოებებში ჩადენილ მკვლელობათა და ძალადობის ნიშნებით გვამის აღმოჩენის გამოძიების დაგეგმვის მიმართულებები. ყურადღება გამახვილებულია არამხოლოდ გამოძიების დაგეგმვაზე, არამედ სხვადასხვა საქმეთა საექსპერტო კვლევის მხარეზე.
წიგნში აგრეთვე განხილულია ოპერაციულ-სამძებრო და ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა როლი და მნიშვნელობა მკვლელობათა გამოძიების პროცესში.
მონოგრაფია კუთვნილია სამართლისა და კრიმინალისტიკის მიმართულების სტუდენტებისა და პრაქტიკოსი გამომძიებლებისთვის.
ყველა საავტორო უფლება დაცული და მისი დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

380. 343.9(02)/6 (ელექტრონული კოდი: 2017-34362) გახოკიძე ც., გაბუნია მ.
კრიმინოლოგია. მეორე ნაწილი
რედაქტორები: გახოკიძე ჯ., გაბისონია ი.
რეცენზენტები: მამნიაშვილი მ., თოდრია გ., ლომსაძე მ., გაბელია ჯ.
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. გვერდი. 64

წიგნი ეძღვნება საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს შოთა ფაფიაშვილის 80 წლის იუბილეს.
წიგნი მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშრისო ურთიერთობათა ფაკულტეტის კანონმდებლობის კვლევისა და კრიმინოლოგიის ლაბორატორიაში.
იგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართალსა და სამართლიანობაზე
დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგია
ალკოჰოლიზმის კრიმინოლოგია
კრიმინოლოგია და აზარტული თამაშები
კრიმინოლოგია და სუიციდი
ნარკოპრევენცია და სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში
ლიტერატურა
ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი ნებისმიერი ფორმით დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

381. 343/47 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს კანონი; ზოგადი ნაწილი; 2017 წლის 15 მარტის მდგომარეობით; გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“; ანბანურ-საგნობრივი საძიებლით; თბილისი 2017 წელი. 2017-33992

ანბანურ-საგნობრივი საძიებლით
კოდექსი შედგება ზოგადი და ჯერძო ნაწილისაგან
ზოგადი მაწილი შედგება შემდგეი თავებისაგან:
კარი პირველი
სისხლის სამართლის კანონი
თავი I.საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა
თავი II. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები
თავი III. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები
თავი IV. ერთიანი დანაშაულის სახეები
თავი V. დანაშაულის სიმრავლე
თავი VI. დაუმთავრებელი დანაშაული
თავი VII. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა
თავი VIII. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი
თავი IX. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი
კარი მესამე
სასჯელი
თავი X. სასჯელის მიზნები და სახეები
თავი XI. სასჯელის დანიშვნა
თავი XII. პირობითი მსჯავრი
კარი მეოთხე
ს.ს პასუხიმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება
თავი XIII. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.
თავი XIV. სასჯელისაგან გათავისუფლება
თავი XV. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლეობა
კარი მეხუთე. ამოღებულია
კარი 6. იურიდიული პირის ს.ს. პასუხისმგებლობა
თავი XVII. იურიდიული პირის ს.ს. პასუხიმგებლობა, სასჯელთა სახეები, მათი გამოყენების წესი და პირობები.
კერძო ნაწილი
კარი მეშვიდე
დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ
თავი XIX. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

თავი XX. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ
თავი XXI. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა
თავი XXII. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ
თავი XXIII. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ
თავი XXIV. დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ
კარი მერვე
ეკონომიკური დანაშაული
თავი XXV. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
თავი XXVI. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ
თავი XXVII. დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში
თავი XXVIII. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში
თავი XXIX. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ
კარი მეცხრე
დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
თავი XXX. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
თავი XXXI. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა
თავი XXXII. დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ
თავი XXXII. დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ
თავი XXXII. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში
თავი XXXIII. ნარკოტიკული დანაშაული
თავი XXXIV. სატრანსპორტო დანაშაული
თავი XXXV. კიბერდანაშაული
კარი მეთე
თავი XXXVI. დანაშაული გარემოს დაცვის წესის წიააღმდეგ
კარი მეთერთმეტე
დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ
თავი XXXVII. დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ.
თავი XXXVII. ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა.
თავი XXXVIII . ტერორიზმი
თავი XXXIX. სამოხელეო დანაშაული
თავი XL. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ
კარი მეთორმეტე
დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

თავი XLI. დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ.
თავი XLII. დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ
თავი XLIII. დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება
თავი XLIV. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ
კარი მეცამეტე
დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ
თავი XLV. დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ
თავი XLVI. დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ
კარი მეთოთხმეტე
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ
თავი XLVII. დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანისტური სამართლის წინააღმდეგ
კარი მეთხუთმეტე
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი
თავი XLVIII. გარდამავალი დებულებანი
თავი XLIX. დასკვნითი დებულებანი

382. 342. 9/9 (ელექტრონული კოდი: 2017-34804) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 2017 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით; თბილისი 2017 წ. 158 გვერდი.

თავი 1. ძირითადი დებულებანი (1-15 მუხლები)
თავი 2. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი (16-26)
თავი 3. ინფორმაციის თავისუფლება (27-50)
თავი 4. (51-64) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი
თავი 5. ადმინისტრაციული ხელშეკრულება(65-71)
თავი 6. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება (72-102)
თავი 7. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში (103-106.5 მუხლები)
თავი 8. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება (107-114)
თავი 9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (115-121)
თავი 10. ამოღებულია (122-157)
თავი 11. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი. (158-161)
თავი 12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება.(162-176)
თავი 13. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით (177-206)
თავი 14. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა (207-209)
თავი 15. ამოღებულია (210-217)
თავი 16. გარდამავალი დებულებანი (მუხლი 218)
თავი 17. დასკვნითი დებულებანი (219-220)
საქართველოს კანონი-საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
თავი.1 ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი (1-4 მუხლი)
თავი 2. განსჯადობა (5-6)
თავი 3. მიუკერძოებლობა; აცილება.(7-8)
თავი 4. პროცესის ხარჯები (9-11)
თავი 5. საპროცესო ვალები (12-13.3)
თავი 6. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში. სასამართლოს მეგობარი (14-16)
თავი 7. სასამართლო მტკიცებულებები (17-21)
თავი 7.1. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით (21.1-21.3)
თავი 7.2 . ამოღებულია (21.4-21.11)
თავი 7.3 ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით(21.15-21.15)
თავი 7.4 ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით
თავი 7.5 ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით
თავი 7.6 ადმინისტრაციული სამართალწარმოება ლტოლვილის სტატუსის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან ან გაუქმებასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით (21.24-21.25)
თავი 7.7 ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით(21.26-21.29)
თვი 7.8 ადმნისტრაციული სამართალწარმოება ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. (21.30-21.34)

თავი 7.9 ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგაზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე (21.35-21.38)
თავი 7.10 ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით (21.39-21.44)
თავი 7.11ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე(21.45-21.47)
თავი 7.12 ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე. (21.48-21.50)
თავი 7.13 ადმინისტრაციული სამართალწარმოება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით. (21.51-21.56)
თავი 7.14 ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით. (21.57-21.60)
თავი 8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში(22-33.1)
თავი 9. აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება. (34-35.2)
თავი 9.1 გარდამავალი დებულებანი (35-35.3)
თავი.10 დასკვნითი დებულება (მუხლი 36)
საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებები.
საქართველოს ზოგად ადმინიტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები.
კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

383. 342. 72(02)1 (ელექტრონული კოდი: 2017-39534) კუბლაშვილი კონსტანტინე; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. IV გამოცემა.
იურიდიული სახელმძღვანელო. რედაქტორი: თამარ ბერიძე; რეცენზენტები: თევდორე ნინიძე; კონსტანტინე კორკელია; შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“ 2014; თბილისი, 2017 წ. 375 გვერდი.
სახელმძღვანელო შედგენილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში ადამიანის უფლებათა სფეროში დამკვიდრებული სასწავლო კურსის შესაბამისად. მასში დაწვრილებით არის განხილული ადამიანის უფლებათა წარმოშობის ისტორია, ადამიანის უფლებათა შესახებ მსოფლიოში შექმნილი პირველი იურიდიული

დოკუმენტები, კონსტიტუციები და კეკლარაციები, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც ხახლისა და სახელმწიფო ხელისუფლების შემზღუდავი უშუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა, ძირითადი უფლებების ცნება, კატეგორიები, მათი გამოყენების უფლებამოსილების ძირითადი უფლების ცნება, შინაარსი, მის მიერ დაცული სფერო, შესაძლებელი შეზღუდვის ფარგლები და ამ შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები.
ცვლილებათა მნიშვნელობიდან და სიმრავლიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ტექსტის გადამუშავება და მისი დახვეწა როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად. და სწორედ ასეთი დაზუსტებული სახით წარდგა მკითხველის წინაშე სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა, რომელიც უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, თუმცა იგი დააინტერესებს როგორც ადვოკატებსა და პროკურორებს, ასევე მოსამართლეებს.

384. 346/16 (ელექტრონული კოდი: 2017-34440) საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. 2017 წლის 20 მარტის მდგომარეობით
თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017 წ. 99 გვერდი.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ შედგება ზოგადი და კერძო ნაწილისაგან, VI თავისა და 71 მუხლისაგან.
თავი 1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თავი 2. კომანდიტური საზოგადოება
თავი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თავი 4. სააქციო საზოგადოება
თავი 5. კოპერატივი
თავი 6. გარდამავალი დებულებანი

კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიეტთა სამართლებრივ ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოიკუდებლად და ორგანიზებულად.

385. 342.7(082)/7 (ელექტრონული კოდი: 3576) კორკელია კონსტანტინე. (რედ) ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში. სტატიათა კრებული. თბილისი, 2017 წ. 198 გვერდი.

სტატიათა კრებული შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ნაშრომში

განხილულია სხვადასხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი შემდეგი თემები:
კონსტანტინე კორკელია-წინასიტყვაობა
დავით დოფიძე -ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დენონსირებისა და შეუსრულებლობის შედეგები.
თინათინ ერქვანია-კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში.
ირინა იმერლიშვილი-არასრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო მდგომარეობა და გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში.
ლევან კასრაძე-შეკრების თავისუფლების შეზღუდვა მორალისა და სხვა სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად-ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთგვაროვანი მიდგომა თუ ორმაგი სტანდარტი. ბესიკ-ლოლაძე-უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში.
მაკა სტივენსონი-სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას თავის იურისდიქციაში შემავალი ყველა ადამიანის სიცოცხლე: მინდელის მაღაროში დასაქმებულთა მაგალითზე.
ქეთევან შუბაშვილი-ბავშთა დისკრიმინაცია სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით.
ნინო ცუხიშვილი- საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლება მარიამ ჯიქია, დიმიტრი გეგენავა-ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.
კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთვარობო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის და ზოგადად, ადამიანის უფლებათა საკითხებიტ დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

386. 342.7/82 (ელექტრონული კოდი: 2017-33262) საქართველოს სახალხო დამცველი; პრეცენციის ეროვნული მექანიზმი; მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, 123 გვერდი.

მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში კვლევის ჩატარების მიზეზი გახდა სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმსა და შიდა მონიტოეინგთანდაკავშირებით იკვეთება გარკვეული, არსებითი ხასიათის პრობლემები. აღნიშნული კვლევა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.
საჩივრის/მოთხოვნის განხილვის პროცედურის და ამ პროცედურისადმი პატიმართა ნდობის ხარისხისა და დამოკიდებულების კვლევა კვლევა საქართველოში პირველად ხორციელდება. კვლევა მოიცავს სოციოლოგიურ და სამართლებრივ კომპონენტებს.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა მიზნად ისახავდა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის პროცედურისა და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკის ანალიზს, ამ პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დონისა და მის მიმართ პატიმართა დამოკიდებულების შეფასებას. პროექტის საბოლოო მიზანს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენდა.
სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოფს პატიმართა უფლებების პატივისცემას და წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ.

387. 342/70 საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. 2018 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. თბილისი, 2018 წელი, 92 გვერდი., გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“ 7534
თავი I
ზოგადი დებულებები
თავი II
საჯარო სამსახურის პრინციპები
თავი III
საჯარო სამსახურის მართვის ცენტრალიზებული სისტემა
თავი IV
მოხელეთა თანამდებობების კლასიფიცირება
თავი V
მოხელის თანამდებობაზე მიღება
თავი VI
მოხელის კარიერის მართვა
თავი VII
მოხელის უფლებები, გარანტიები და მოვალეობები
თავი VIII
მოხელის უფლებები, გარანტიები და მოვალეობები
თავი IX
შრომითი ხელშეკრულება საჯარო სამსახურში
თავი X
დისციპლინური პასუხიმგებლობა
თავი XI
საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა.

თავი XII
მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება
თავი XIII
უფლების დაცვა
თავი XIV
სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფა
თავი XV
გარდამავალი დებულებები
თავი XVI
დასკვნითი დებულებები
შეტანილი ცვლილებები

388. 347.963/4 (ელექტრონული კოდი: 141829-2018), კობალაძე პაატა
პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი
რედაქტორები: ირაკლი გაბისონია, ვეფხვია გვარამია
თბილისი, გამომცემლობა „იურისტის სამყარო“, 2018 წ. 180 გვერდი.

ნაშრომში გაშუქებულია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციის არსი და მისი მნიშვნელობა, მისი ისტორია და დღევანდელობა, საპროცესო საქმიანობათა ურთიერთმიმართება, ბრალდებაზე უარის არსი და მისი სამართლებრივი შედეგები, პროკურორის საბრალდებო სიტყვის სტრუქტურა და მისი ზნეობრივ-ეთიკური საკითხები, პროკურორის სტატუსი და უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში განხილვის პროცესში, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის სტადიაზე.
ნაშრომი მიზნად ისახავს გადმოსცეს დახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, პროკურატურის, როგორც ამ ფუნქციის განმახორციელებელი ერთადერთი სუბიექტის ურთიერთობა სასამართლოსთან და პროცესის სხვა მონაწილეებთან, პროკურატურის ადგილი სახეკმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.
წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული სამეცნიერო პროექტის „საგამოძიებო სამართლის“ ფარგლებში.

389. 343.359(02)/2 (ელექტრონული კოდი: 147468) როგავა ზვიად; საგადასახადო სამართალი; დამხმარე სახელმძღვანელო წიგნი I; რედაქტორი- მ. კოპალეიშვილი; რეცენზენტი-თ. გვარამაძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი, 2018 წ. გვერდი. 520.

სახელმძღვანელოში განხილულია გადასახადის ცნება და მნიშვნელობა, გადასახადის სახეები და მათი კლასიფიკაციის საფუძვლები, გადასახადების სისტემის ცნება და ზოგადი დახასიათება, საგადასახადო სამართლის ცნება, საგანი და მეთოდი, გადასახადებით დაბეგვრის პრინციპები, გადასახადის იურიდიული შემადგენლობის ელემენტები, საგადასახადო სამართლის წყაროები, საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტები და სუბიექტები.
სახელმძღვანელოში გაანალიზებულია საგადასახადო ვალდებულების არსი და მისი შესრულების საკითხები, ასევე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველოყოფის ასპექტები.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივ საფუძვლებს, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის წარმოშობის მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების საშუალებებს, ასევე სახელმწიფოთა საერთაშორისო ეკონომიკურიინტეგრაციის საგადასახადო-სამართლებრივ ასპექტებს.

ბიჭია მიხეილ; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; დამხმარე სახელმძღვანელო; მეორე გადამუშავებული გამოცემა; რედაქტორები: ცისკაძე მ; ძლიერიშვილი ზ; გამომცემლობა „ბონა კაუზა“; თბილისი 2018 წელი. გვერდი.551; 147414

საზიარო უფლებები; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება; უსაფუძვლო გამდიდრება; დელიქტური ვალდებულებები
სახელმძღვანელო არის მცდელობა თავი მოუყაროს კანონისმიერი ვალდებულებების სფეროში არსებულ პრობლემას. შესაბამისად ნაშრომში განხილულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებები და ინსტიტუტები როგორიცაა: საზიარო უფლებები; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება; დელიქტური ვალდებულებები. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პრობლემათა სხვადასხვა ასპექტი, რომლებსაც გარდა თეორიული მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვთ.
წიგნი განკუთვნილია უპირატესად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის, ასევე საინტერესო იქნება როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისათვის.

390. 341.22/7 ეგუტიძე მამუკა
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ დანაშაულთა სისხლისამართლებრივი დახასიათება; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“;

თბილისი 2018; გვერდი. 285; 141742

წიგნში მოცემულია საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულ იმ დანაშაულთა კომენტარი, რომელთა ჩადენაც შემხებლობაშია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან. ამომწურავადაა დახასიათებული სახელმწიფო საზღვარზე როგორც მოძრავი ნივთის, ასევე პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული ცალკეული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი მუხლები გაანალიზებულია საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა სამართლებრივი აქტები, სასამართლო პრაქტიკა, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა. ცალკეულ საკანონმდებლო „პრობლემებზე“ წარმოდგენილია ავტორის სუბიექტური ხედვა. ნაშრომი შედგება 6 თავისა და ქვეთავებისაგან.

391. 343(02)/11 გახოკიძე ჯ; მელქაძე ზ; გაბისონია ი; თოდრია გ; საქართველოს სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. სალექციო კურსი. რედაქტორები: ჯავოდნიშვილი ი; მელქაძე ზ; რეცენზენტები: გაბელია ჯ; მამნიაშვილი მ; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018; გვერდი. 175; 141732

სალექციო კურსში მოხსენიებული ყველა ნორმატიული აქტი განხილულია მოქმედი რედაქციით. მასში ასახული მასალა გადმოცემულია სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში უკანასკნელი ცვლილებების გათვალისწინებით.
ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან და 17 თავისაგან
რეკომენდებულია გამოსაცემად სალექციო კურსის სახით სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე საქართველოს ტექნიკური უნივერტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის მიერ 2018 წლის 22 თებერვალს.
დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს მიერ 2018 წლის 28 თებერვალს.
წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით.

392. 341.217(02)/2 თებიძე ჯაბა
ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018 წელი. გვერდი 266; 142803

ევროპული კავშირი თავისი რთული იურიდიული და პოლიტიკური სტრუქტურით, ამავე დროს აღჭურვილი ეკონომიკური ბერკეტებითა და სავალუტო ინსტრუმენტებით

წარმოადგენს პროგრესულ და საზოგადოებების განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეს.
სახელმძღვანელო „ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი“ განიხილავს და აღწერს ევროკავშირის სტრუქტურას და განსაზღვრავს მის პოლიტიკურ ძალა ბალანსს, ევროპული ინსტიტუტების უფლება-მოვალეობათაგანსაზღვრით. ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, პროფესორ-პედაგოგებისათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის და ევროკავშირით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

393. 347.963.4 კოპალაძე პაატა
პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი
რედაქტორები: ი. გაბისონია; გ. გვარამია; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018; გვერდი.180; 141829

ნაშრომში გადმოცემულია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, პროკურატურის, როგორც ამ ფუნქციის განმახორციელებელი ერთადერთი სუბიექტის , ურთიერთობა სასამართლოსთან და პროცესის სხვა მონაწილეებთან, პროკურატურის ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. ნაშრომში ასევე გაშუქებულია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციის არსი და მისი მნიშვნელობა, მისი ისტორია და დღევანდელობა, საპროცესო საქმიანობათა ურთიერთმიმართება, ბრალდებაზე უარის არსი და მისი სამართლებრივი შედეგები, პროკურორის საბრალდებო სიტყვის სტრუქტურა და მისი ზნეობრივ-ეთიკური საკითხები, პროკურორის სტატუსი და უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში განხილვის პროცესში, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის სტადიაზე. ნაშრომში ხაზი აქვს გასმული პროკურორის საქმიანობის განხორციელების კონკრეტულ ფორმებს: მტკიცებულებათა წარმოდგენა- გამოკვლევას, შუამდგომლობების აღძვრას, მოსაზრებათა გამოთქმას, მხარეთა კამათში მონაწილეობას, საჩივრების აღძვრა-შეტანის, მათ განხილვაში მონაწილეობის სათანადო საპროცესო ფორმით და ა. შ.

394. 343. 359/4 საქართველოს საგადასახადო ჯოდექსი; 2018 წლის 6 მარტის მდგომარეობით; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018 წელი. გვერდი.425; 7348

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად წესებს და პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს ეკონომიკურ

საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგდასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

395. 343.352/8 შეყლაშვილი არჩილ
კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018; გვერდი.101; 8952

კორუფცია წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ ფართოდ გავრცელებულ ნეგატიურ მოვლენას, რომელიც დიდი ხანია გახდა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს. კორუფციის გავრცელებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რამაც დემოკრატიული ქვეყნების ნორმალური ფუნქციონირება საფრთხის ქვეშ დააყენა. მეცნიერებს გააჩნიათ ერთიანი შეხედულება, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი სწორედ კორუფციაა.
ნაშრომი შედგება შვიდი თავისა და ქვეთავებისაგან:
თავი 1. კორუფციის ფენომენი, ცნებები და გამოვლენის ფორმები
თავი 2. კურუფცია, როგორც საერთაშორისო პრობლემა
თავი 3. კორუფციის გამომწვევი მიზეზები
თავი 4. კორუფცია საჯარო სექტორში
თავი 5. კორუფცია პოლიტიკაში
თავი 6. კორუფცია ეკონომიკაში
თავი 7. კორუფცია საქართველოში
თავი 8. პრეცენციული ღონისძიებები კორუფციის წინააღმდეგ. ყველა საავტორო უფლება დაცულია და მისი დარღვევა ისჯება კანონით.

396. 343.3(02)/4 გაბისონია ირაკლი; გაბელია ჯემალ; დარსანია თეიმურაზ;სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; ადამიანის სიციცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ლექციების კურსი; წიგნი-პირველი, რედაქტორი-ნონა თოდუა; რეცენზენტები: თ. შაყულაშვილი, ა. გიორგიძე, გამომცემლობა: „იურისტების

სამყარო“; თბილისი 2018 წელი. გვერდი. 423; 140798

ნაშრომი იძლევა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედების ვრცელ, ამომწურავ განმარტებას. მისი შექმნისათვის გამოყენებულია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და მასალები სასამართლო პრაქტიკიდან.
ლექციების კურსი შედგენილია განახლებული პროგრამის მიხედვით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. განხილულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება და სისტემა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა, კერძო ნაწილის ნორმის სტრუქტურა, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გვარეობითი აღწერილობა და მისი ცალკეული სახეები. დამუშავებულია კონკრეტული კაზუსები, განხილულია ფაქტობრივი გარემოებები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.
სახელმძღვანელო გათვალისწინებულია როგორც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის, ასევე ემსახურება იურისტების პროფესიულ ზრდას, იურიდიული განათლების ხელშეწყობასა და მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების შეძენას.

397. 342.4/128 საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია(1921) მასალები და დოკუმენტები. ტომი II
გამომცემლობა „საჩინო“; თბილისი 2018 წელი. 1007 გვ; 138965

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ქვეყნის პირველი კონსტიტუცია დრამატულ ვითარებაში. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის დასასრულს, 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. კონსტიტუციის მიღებიდან კი რამდენიმე დღეში საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო, რომელმაც 70 წელი გასტანა და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილს გახდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.
კონსტიტუციის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის ისტორიაში. კონსტიტუცია არა მარტო სმართლებრივი აქტია, არამედ დიდი კულტურული და ისტორიული დოკუმენტიცაა. მასში თვალსაჩინოდ ვლინდება კონკრეტული ერის, საზოგადოების ღირებულებათა სისტემა და სამართლებრივი აზროვნების დონე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია თანადროული ეპოქის ევროპული სამართლებრივი აზროვნების სიმაღლეზეა და მასში გამოცხადებული იდეები სრულებით შეესაბამება ევროპული საზოგადოების ღირებულებებს.
დღეს მრავალი მკვლევარია დაინტერესებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის

შესწავლით, სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტმა გადაწყვიტა, გამოეცა დოკუმენტები და მასალები, რომელიც ასახავს საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების პროცესს.
ნაშრომი ეძღვნება ისიდორე დოლიძის დაბადებიდან მეასე წლისთავს.

398. 343.7/10 (ელექტრონული კოდი: 8498) იაკობიძე დავით
ფარული მითვისება და ქურდული სუბკულტურა
ეკონომიკურ-ანთროპოლოგიური ნარკვევი
რედაქტორი: ელენე მენაბდე
რეცენზენტები: ი. გაბისონია, მ. ახობაძე, ა. სიჭინავა
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018 წ. 341 გვერდი.

ნაშრომში განხილულია მატერიალური დოვლათის ფარული მითვისების (ქურდობის, ძარცვისა და იურიდიული, საზოგადოებრივად დაკანონებული ნორმების დარღვევით ქონების დაგროვებით) როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის და მისი განვითარების მექანიზმების ჩამოყალიბებაში, მისი კულტურულ-ისტორიული წინამძღვრები; ქურდული სუბკულტურის წარმოშობის მიზეზები და მასთან ბრძოლის ფორმები. ნაშრომი განკუთვნილია როგორც დოვლათის წარმოების და განაწილების, მისი ფარული მითვისების ეკონომიკური და იურიდიული ასპექტების მკვლევარებისათვის, აგრეთვე, ამ საკითხების შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.
ნაშრომი ეკონომისტებისა და იურისტების თანამშრომლობის მცდელობის ერთგვარი ნიმუშია.

399. 342.4/126 კონსტიტუციონალიზმი ზოგადი შესავალი
წიგნი I. რედაქტორი: დიმიტრი გეგენავა; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტუტის გამომცემლობა, 2018; 8453

კონსტიტუციონალიზმის შესავალში წიგნის გამოცემის იდეა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტში, ჯერ კიდევ 2015 წელში იგეგმებოდა, თუმცა მან დღის სინათლე 2018 წელს იხილა.
„კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I“ საინტერესოა არამხოლოდ იურისტებისა და იურიდიული პროფესიის დაუფლების მსურველთათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის, ვისაც კონსტიტუციონალიზმი და ზოგადად პოლიტიკური სამართალი აინტერესებს.

400. 343/62 ჯიშკარიანი ბაჩანა; ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში; მეორე გამოცემა; რედაქტორი: გიორგი დგებუძე; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი 2018 წელი. 138543

აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემიდან უკვე რამდენიმე წელი გავიდა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ქართული სისხლის სამართლისთვის ევროპულმა სისხლის სამართალმა კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა, ვინაიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ უფრო ინტენსიური ევროპეიზაციის გზა აირჩია. თვითონ ევროკავშირის ფარგლებშიც პროცესები დინამიურად ვითარდება. გამოვიდა ახალი დირექტივა, სიახლეებია ინსტიტუციონალური თვალსაზრისით.
მეორე გამოცემაში ასახულ იქნა სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანი ყველა ძირითადი სიახლე. ამასთანავე, ნაწილობრივ განახლდა ქართული თუ უცხოენოვანი წყაროები, დაემატა ახალი წყაროები, სასამართლო პრეცენდენტები. პირველ გამოცემასთან შედარებით, კაზუსების მეტი რაოდენობა და თვალსაჩინოებისათვის ტექსტში მათი ცალკე გამყოფა, რაც მკითხველს მასალის უკეთ გაგებაში შეუწყობს ხელს.
„ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში“, მეორე გამოცემა, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ფარგლებში მომზადდა. ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ ევროკავშირის სამართლის ანალიზი წარმოადგენს, რათა ქართული სისხლის სამართალი მაქსიმალურად დაუახლოვდეს მას.

401. 34/66 „სამართალმცოდნეობის საკითხები, Corpus Juris”, წიგნი I

“Corpus Juris” წიგნი I „ სამართალმცოდნეობის საკიტხები“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, სტაჟიორების მიერ მომზადებული ნაშრომთა კრებულია. გამოცემის მიზანია, დაეხმაროს სამართლის მიმართულების სტუდენტებს სამართლის თეორიისა და სამართალმცოდნეობის საკითხების შესწავლაში.
გამოცემა მოიცავს სამართლის სხვადასხვა დარგის საინტერესო საკითხებს. იგი თანაბრად საინტერესოა როგორც იურისტების, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის, რომელიც დაინტერესებულია სამართლის საფუძვლებითა და სამართლის თეორიის საკითხებით.
დამხმარე მასალები სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, შედგენილია დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სტაჟიორების მიერ.

402. 349.2/22 (ელექტრონული კოდი: 2019-3763) შრომის კოდექსის კომენტარები
რედაქტორები: პაატა ბელტაძე, რაისა ლიპარტელიანი
თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 2018 წ. 256 გვერდი.

წიგნი მოიცავს შრომითი ურთიერთობების ოთხ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას: შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები; დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები; შრომითი დავა და მისი გადაჭრის მექანიზმები.
წიგნი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს შრომის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული შრომითი ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბებას საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის გზით.
წიგნი დაეხმარება პროფესიული კავშირების წევრებს, დამსაქმებელთა გაერთიანებებს, ორგანიზაციებში საკადრო საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შრომის კოდექსის ნორმების გამოყენებასა თუ განმარტებებში.
წიგნი გამოცემულია სოლიდარობის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. საავტორო უფლებები დაცულია.

403. 347.9/30 (ელექტრონული კოდი: 2019-2525) გეგენავა დიმიტრი (რედ.)
რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში. ტომი I - ამერიკული სამართლისა და სამართლის ფილოსოფიის ცენტრი
თბილისი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018 წ. 106 გვერდი.

1. სალომე რორთქიფანიძე, თამთა გიგაური - დანაშაული სასჯელის გარეშე
2. ვახტანგ სირბილაშვილი, თამარ ლავრელაშვილი - ლოურენსი ტაქსასის წინააღმდეგ
3. ნინო წიკლაური, მარიამ ნანეიშვილი - რიგსი პალმერის წინააღმდეგ
4. ნათია ჯანელიძე, მარიამ ბეჟუაშვილი - „ბეიბი ემის“ საქმე
5. მაკა მოქია, ნინო ქარცივაძე - კვერცხუჯრედის საქმე
6. სოფიკო წურწუმია, ტამთა თავართკილაძე - ტყუპების საქმე
7. ანა ტუხაშვილი, სესილი ჭიტაშვილი - ჯუდისა და მერის განცალკევების საქმე
8. მამაკაცის დეკრეტული შვებულება - მაია გუნთაიშვილი, მარიამ ბეჟიაშვილი
9. მეგი ბაგრატიონ-დავითიშვილი - „სახელის უფლების“ საქმე
10. მარიამ გაგოშიძე, ნინო მუხადგვერდელი - დონოჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ

11. ნინო მაისურაძე, გოჩა ჩოგაძე - ურთიერთობები და მორალური ზონი.

404. 34/49 ქართული სამართლის მიმოხილვა
მთავარი რედაქტორი : კერესელიძე დავით, სარედაქციო კოლეგიის წევრები: გარლანდ ბოიეტი, ნინო ჩოხელი, გაგა გაბრიჩიძე, კონსტანტინე კორკელია, ნანა ჭიღლაძე, ვახტანგ ზაალიშვილი, ეკა ზარნაძე. 177 გვერდი.
სარედაქციო ხელშეწყობა: ქეთევან ვახტანგაძე, ანა მარგველშვილი, ნინო რუხაძე, ლიკა საჯაია. ქართული ტექსტის კორექტორი: თამარ გაბელაია
ინგლისური ტექსტის კორექტორი : ჯეფრი მორსკი; 2016-0323

„ქართული სამართლის მიმოხილვა“ არის ეკონომიკური პოლიტიკისა სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის („ჯეპლაკი“) კვარტალური ჟურნალი, რომელიც გამოიცემა 1998 წლიდან. მისი მიზანია სამართლის სხვადასხვა დარგში არსებული ახალი იდეების, ტენდენციებისა და გამოცდილების მკითხველთათვის გაზიარებით, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობა. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპულ კავშირთან საქართველოს დაახლოებას.
„ჯეპლაკი“ შეიქმნა 1997 წელს ევროპული კავშირის „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობის მიზნით. იგი საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას უწევს კონსულტაციას 1996 წელს „საქართველოს და ევროპულ გაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანმშრომლობის შესახებ შეთანხმების“ განხორციელების უზრუნველსაყოფად.

347.7/12 (ელექტრონული კოდი: 2013-9693) Chechelashvili Zurab
Introduction to the Georgian business law. Text book. Giz, 2013
Tbilisi, 2013, 365 p.

This work – Introduction to the Georgian business law is the first attempt of areating an up-to-date text book in the field of business law in English language. For the first time after adoption of the new Civil Code of Georgian in 1997 any foreign English-speaker researcher or interested person has the rare opportunity to overview all main legal institutions of the Georgian civil, corporate and labour law fields directly in his/her native language without translation.
Part 1. Notion and system of law. General part of civil law.
Part 2. Contract law.
Part 3. Law of property.
Part 4. Corporate law.

Part 5. Labour law.